ეროვნული
ბიბლიოთეკა

სხეული
მოკოლადი

ივნისი 2013 №91
ფასი 7 ლარი

1439/2
2013

მარინა ვაშაყმაძე

მთავარი თემა
განათლება

სპეცპროექტი
ქართველი ბლოგერები

ზურაბ ქიკნაძე
ისტორია ათწლეულებში

ისტორია
ჯულიო ანდრეოტი

DVD ქართული ფილმების კრებული: „ორი მონადირე"

ISSN 1512-2220
9 771512 222006

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხელი
შოკოლადი
ISSN 1512-2018
ISSN 1512-2018
ISSN 1512-2018

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ ჟურნალი "ცხელი შოკოლადი"

შექმენით ქართული ფილმების უნიკალური კრებული

მიიღეთ ყოველთვიურად თქვენთვის სასურველ მისამართზე

www.shokoladi.ge

ONLAIN გამოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყდა: მარინა ვაშაყმაძე
ფოტო: ლელი ბლაგონრავოვა

ცხელი შოკოლადი

N91, ივნისი 2013

06 რედაქტორის სვეტი

08 ავტორთა სვეტები

წარდგენა 10 ნადირობა, როგორც ეროტიზმის ნაირსახეობა ***დავით ბუხრიკიძე***

მოვლენები 12 ახალი ღვინის ფესტივალი 2013

14 ტექნოლოგიები

ანონსი 16 9 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ ***სალომე აფხაზიშვილი***

22 სამხრეთკავკასიური ცეკვის წრე... ***დავით ბუხრიკიძე***

მთავარი თემა – განათლება 28 მომავლის განათლება და საქართველო ***ირმა კახურაშვილი***

40 ქებათა ქება მოწყენილობას ***იოსიფ ბროდსკი***

45 „პატივი უნდა ვცეთ უზენაეს ფასეულობებს: სამყაროს, დედამიწას, ბუნებას, სიცოცხლეს და რეალობას“ ***ვაცლავ ჰაველი***

54 ... ***ჩარლზ სიმიკი***

ისტორია 58 მარინა ვაშაყმაძე – სინონიმების გარეშე ***სანდრო კაკულია***

68 ღვთაებრივი იულიუსი: ღვთაებრივი დამნაშავე? ***გრიგოლ გეგელია***

სპეცპროექტი 76 ქართველი ბლოგერები პირად და საჯარო სივრცეში ***სალომე აფხაზიშვილი***
ფიქრია გოგინაშვილი, ვახო ელერდაშვილი, ლუკა ნახუცრიშვილი, ანინა ტეფნაძე, ნათია მორბედაძე, მარია რეხვიაშვილი, დათო ლობჟანიძე, ია ქუთათელაძე

საავტორო 86 ბლუზი მტკვრის პირას ***ბიძინა მაყაშვილი***

ისტორია ათწლეულებში 94 ზურაბ კიკნაძის 50-იანები

პოეზია 102 ანტონენ არტო, ბესიკ ხარანაული

რეცენზია 106 მშვენიერი ელენე, გაელვებით ***დავით ბუხრიკიძე***

108 სიკვდილი სამოთხეში ***დავით ბუხრიკიძე***

მიმოხილვა 110 წიგნები ***სალომე აფხაზიშვილი***

114 მუსიკა ***სალომე აფხაზიშვილი***

Part of the
ProCredit Group

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

ძლიერი ბანკი
ჩემი ბიზნესის წარმატებისთვის!

*22 22 | 220 22 22 | procreditbank.ge

რედაქტორის სვეტი

მთავარი რედაქტორი
მალხაზ ხარბედია

სტილი და კორექტურა
ინა არჩუაშვილი

დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე

ნომერზე მუშაობდნენ:
სალომე აფხაზიშვილი, დავით ბუხრიკიძე, ბიძინა მაყაშვილი, სანდრო კაკულია, გრიგოლ გეგელია, ირმა კახურაშვილი, ზურაბ კიკნაძე, თამარ ლომიძე, ქეთი ქანთარია

ფოტო
ლელი ბლაგონრავოვა, მაკა გოგალაძე, ეკატერინე მახათაძე

დირექტორი
შალვა ჩუბინიძე

პროექტის მენეჯერი
ქეთევან ბაბუნაშვილი

მარკეტინგის მენეჯერი
ია შენგელია

დისტრიბუცია
მიხეილ მამუჩიშვილი

რეკლამის განთავსება
ტელ.: 225 25 30
მობ.: 577 57 99 00

გამომცემლობა
შპს „ცხელი შოკოლადი"
მისამართი: თბილისი, აფაქიძის ქ. 11, ტიფლის ბიზნეს ცენტრი
სხვა გამოცემები
„ქართული ღვინის გზამკვლევი"

სტამბა
„სეზანი", თბილისი, წერეთლის 140, ტელ.: 235 70 02
ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან

© „ცხელი შოკოლადი" საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

მომავლის განათლება

„თემატური ნომრები" ჩემი სტიქიაა, წლების მანძილზე ასეთი ნომრების კეთებით ვცხოვრობდი „არილში" და არანაირად არ გამოდიოდა „ცხელ შოკოლადშიც" არ გადმომეტანა ეს მრავალწლიანი პრაქტიკა. მითუმეტეს გამომცემლებიც, ქეთი და შალვაც ჩემსავით „თემატოფილები" აღმოჩნდნენ და პირველი, რაც ერთად გადავწყვიტეთ, ის იყო, რომ ყოველ ნომერში რაღაც ერთი პრობლემა წამოგვეწია წინ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთელი ნომერი ერთ თემას მიეძღვნება, არამედ იმას, რომ იმ კონკრეტულ ნომერში კონკრეტულ პრობლემაზე მეტი ყურადღებით ვისაუბრებთ, სხვადასხვა კუთხით შევაფასებთ საკითხს და შევეცდებით რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩავრთოთ ამ საქმეში.

ამიერიდან, ვეცდებით ყველა „ცხელი შოკოლადი" თემატური იყოს.

თემატური ნომერი ადრეც არაერთხელ ყოფილა ამ ჟურნალში, მაგრამ ეს მაინც ჩვენი პირველი თემატურია, და იგი დღევანდელობის ყველაზე მთავარ თემას, განათლებას მივუძღვენით. გვყავს ძალზე საინტერესო სტუმრები, რომლებიც მწვავე კითხვებს სვამენ, არის ზუსტი თუ საკამათო პასუხებიც. აქვე არიან შესანიშნავი აბიტურიენტები, თავიანთი თავისუფალი ხედვებით. ხოლო ეს ხედვები სამი დიდი ავტორისა და მოღვაწის – იოსიფ ბროდსკის, ვაცლავ ჰაველისა და ჩარლზ სიმიკის ახალგაზრდებისადმი მიმართვებში მოვაქციეთ. ამ ნომერში სხვაგანაც ამოიკითხავთ „განათლების" შესახებ მწვავე სტრიქონებს, მაგალითად, ბესიკ ხარანაულის ლექსში „სიდედლე":

„ისეთი დადექი, რომ ყველას სწყინდეს!"

სხვაგან:

„ოღონდ ნურასდროს დაფრინდებით, სადაც ძღომაა
და განწირულება ნუ გეგონებათ, რითიც ამათ ასიამოვნებთ".

დანარჩენი თავად ნახეთ ლექსში, ბრძნული აღტაცებით დაწერილ ამ ლექსში, მანამდე კი გეტყვით, რომ თანამედროვე ქართული განათლება ჯერჯერობით ვერ ერევა სიბნელეს, ვერც ფსევდოქრისტიანულს, ვერც ფსევდოპოლიტიკურს. დღეს ხშირად მხოლოდ წარმატებისთვის, სტატუსის ამაღლებისთვის და შემსრულებელთა რიგების შესავსებად იყენებენ განათლებას, არსებობისთვის, და არა სიცოცხლისთვის, ფლობისთვის და არა სინათლის გასავრცობად, გასაყოფად და არა შესაკავშირებლად. სინათლის განვრცობაა, როდესაც საყვარელ საქმეს აკეთებ, პრინციპული ხარ, ცდილობ რაღაცის შეცვლას, ხელს არასდროს ჩაიქნევ, სულ უცხოეთისკენ არ გაგექცევა თვალი, გექნება ყველასთან (მათ შორის, მხარეებთან) საუბრის თავი და უფლება, როცა გააცნობიერებ, რომ მარგინალიზება, დემონიზება, სხვათა ჩამოწერა და სანაგვეზე გადაყრა გამოსავალი არაა. სინათლის ასეთი განვრცობის შემდეგ განათლებულები აღარ გადაიქცევიან „გამპრავებლებად" და ზიზღის მთესველებად, ხოლო სიბნელე შეიძლება დაიშრიტოს კიდეც.

ხომ ჰგავს ზღაპარს? თუმცა, ხუმრობა იქით იყოს და მომავლის განათლებულებს უფრო იმედიანად ვუყურებ და მგონია, რომ ისინი მაინც არ ჩადგებიან გაყოფის და დანაწევრების შხამიან სამსახურში.

იქნებ ამის იმედადაც ვუწოდეთ დღევანდელი ნომრის მთავარ თემას „მომავლის განათლება".

მალხაზ ხარბედია

SILKNET

მხოლოდ სილქნეტის ინტერნეტ აბონენტებისთვის

ნოუთბუქები

უპრეცედენტოდ დაბალ ფასად!

~~699 ლარი~~

579 ლარი

დანაზოგი: 120 ლარი

acer

~~640 ლარი~~

550 ლარი

დანაზოგი: 90 ლარი

ASUS



- ყველა ნოუთბუქზე ვრცელდება 1-2 წლამდე გარანტია
- ისარგებლეთ სილქნეტის ანტივირუსით სპეციალურ ფასად

ტექნიკური უზრუნველყოფა
მაღაზია "კამარა სისტემს"
ალ. ყაზბეგის გამზ. 19

ტექნიკური უზრუნველყოფა
მაღაზია "ულტრა"
ღვინის აღმართი 23, ალ.ყაზბეგის.9

სისტემს კამარა

ULTRA Smart Solution

Silk Optic

Find us on: facebook.

2 100 100

www.silknet.com

ოპტიკური ტექნოლოგიები

29/167

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ გეგელია

ბევრი თქვენგანის მსგავსად, მეც არასტაბილური დროის შვილი ვარ. თავად განსაჯეთ: მე დავიბადე, როდესაც ჩვენი ქვეყანა ხელახლა სწავლობდა დამოუკიდებლობას, მახსოვს სამოქალაქო ომის ხმები, რუსულ-ქართული ომი, მოვესწარი რევოლუციას, მოდერნიზაციას, და ახლა ვარ მომსწრე ბევრი ხელახალი მცდელობისა, იმავე გზაზე. რას ვცდილობთ ჩვენ? სახელმწიფოებრიობის შექმნას. ბევრს ვფიქრობ პოლიტიკაზე, კონკრეტულ მიზნებსა და შედეგებზე, რომელსაც აუცილებლად უნდა მივაღწიოთ. მაწუხებს არაპრინციპული პოლიტიკა, რომელიც უვიცობასა და პოპულიზმს შორის ავისმომასწავებელი დინამიურობით ირხევა. ანდრეოტიც დათრგუნული დროის მოქალაქე და პოლიტიკოსი იყო. ანდრეოტი იტალიურ პოლიტიკურ აწმყოში ახალ დროსთან ერთად გაჩნდა, რომელიც იტალიის რესპუბლიკის დაბადება იყო. ანდრეოტი, როგორც პოლიტიკოსი, დაიბადა იტალიის რესპუბლიკასთან ერთად და, ათწლეულების განმავლობაში, მას თავად ეპყრა რესპუბლიკური ძალაუფლების სადავეები. ის იყო ძალაუფლება და იყო იტალია. მაგრამ დათრგუნული დროის წინამძღოლობა მარტივი არასდროს არის. ეს არის არჩევანი სტატიკურ პრინციპებსა და დინამიურ მაკიაველიზმს, რწმენასა და იმედგაცურებებს, იდეალურსა და რეალურს, სურვილსა და აუცილებლობას შორის. ეს ის მონსტრული წინაღობაა, რომელიც ადამიანს თანდათანობით ანადგურებს და მისგან პოლიტიკურ გვამსღა ტოვებს.

ღვთაებრივი იულიუსი: ღვთაებრივი დამნაშავე?

გვ. 68

ირმა კახურაშვილი

სწავლის ხარისხზე ფიქრი ორი მიზეზით მიწევს: ჯერ ერთი, განათლების საკითხებზე პერმანენტულად ვწერ და ეს ჩემი პროფესიული ვალია, მეორეც – მყავს აბიტურიენტი შვილი და ის ვნებათაღელვა, რომელიც ამ პროცესს ახლავს ხოლმე, სულ ახალახან პირადად ვინვნიე. ცხადია, როგორც ჟურნალისტს და დედას, მინდა, ახალგაზრდობამ ისეთივე მყარი ცოდნა მიიღოს, როგორც ამას მათი ევროპელი თანატოლები ახერხებენ. თუმცა სახელმწიფოსა და საზოგადოების თანადგომის გარეშე, ეს შეუძლებელია. ვფიქრობ, სიმბოლურია, რომ „ცხელ შოკოლადთან" ჩემი თანამშრომლობის პირველი შემთხვევა ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ თემას – განათლების პრობლემებს უკავშირდება. ხარისხიანი ცოდნა ხომ არა მხოლოდ ჩემი შვილის საიმედო მომავალის საწინდარია, არამედ ჩვენი შვილების მომავალიც, რომლებსაც, როგორ ბანალურადაც არ უნდა ჟღერდეს, მალე ქვეყნის ბედს გადავაბარებთ.

მომავლის განათლება და საქართველო

გვ. 28

სანდრო კაკულია

მარინას დავურეკე, უკვე იცოდა, რომ მასზე „პროფაილი" უნდა დამეწერა, მახოს დაურეკია... ჩვეული სიცილით ვისაუბრეთ და შეხვედრის ადგილიც დავთქვით. „მელნიკოვას დუქანში", საღამოს 8-ზე. საღამოები მაისის თბილისში განსაკუთრებულად სასამოვნოა, მელნიკოვას ეზოც, საკუთარი ვარდებით და ეზოს ბოლოს მიყუდებული ჩუმი ბიუსტებით, მაგრამ არასდროს ყოფილა ასეთი მშვიდი და „ძველებურად" გემრიელი, როგორც იმ საღამოს, როდესაც მარინას შევხვდი. ჩვენ 12 წელიწადზე მეტია ვიცნობთ ერთმანეთს და ამდენივე ხანია ყოველ შეხვედრაზე მე გაცნობის პირველი დღეები მახსენდება, მახსენდება მისი კაბინეტი და კოსტავას გამზირზე მდებარე ძველი რედაქციის შენობა, ჩემი თავი მახსენდება, კალმით რომ ვწერდი ცალხაზიან რვეულში და მერე ეგრევე მარინასთან რომ გავრბოდი, მარინა ყავას ისხამდა და მე ხმამაღლა ვუკითხავდი! მარინასთან შეხვედრა ისედაც ყრმობის ბედნიერ წლებს უკავშირდება, 12 წლის შემდეგ ამდენი ხნით არასდროს მისაუბრია მასთან, რამდენი რამ გავიგე მასზე, თავიდან აღმოვაჩინე და კიდევ უფრო მეტად დავრწმუნდი, რომ იგი ადამიანთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელსაც – სკივრი ჰქვია! ნამდვილი სკივრია, ღრმა და გარედან ძალიან ლამაზი.

მარინა ვაშაყმაძე – სინონიმების გარეშე

გვ. 58

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
იგრძენი ძრძავვალი

9.99%-დან

იპოთეკური და ბიზნესსესხები ლარში

საქართველოში ყველაზე დაბალ პროცენტად

www.999.ge | 2 444 444 | *4444

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ცხელი შოკოლადის“ ქართული ფილმების კრებული

ნადირობა, როგორც ეროტიზმის ნაირსახეობა

ალექსანდრე წუწუნავას „ორი მონადირე“ (1927)

ავტორი: დავით ბუხრიკიძე

„ქართული კინოს კრებული“ ალექსანდრე წუწუნავას თითქმის დავიწყებულ ფილმს, „ორ მონადირეს“ წარმოგიდგენთ, რომელიც 1927 წელს არის გადაღებული. კინოს მოყვარულებს, ცხადია, ემახსოვრებათ „ცხელი შოკოლადის“ ამავე პროექტში რეჟისორის სხვა ფილმებიც: „ქრისტინე“ (პირველი ქართული მხატვრული ფილმი, 1916-1917) და „ხანუმა“ (პირველი ქართული კინოკომედია, 1925).



უკვე გამოცდილმა ალექსანდრე წუწუნავამ, რომელსაც გადაღებული ჰქონდა რამდენიმე ფილმი, ლელი ჯაფარიძის სცენარს საკუთარი თეატრალური ფანტაზიაც მიახმარა. რევოლუციამდელი მთიანი სოფლის მონადირეების უცნაური ისტორია მან ძველი, მკაცრი ადათისა და ეპიკური პოეზიის რითმაში მოაქცია. ერთად გაზრდილ მონადირე ძმადნაფიცებს – ტურიკოსა (მიხეილ გელოვანი) და მგელიას (კოტე მიქაბერიძე) ახალგაზრდა ქალი, მარიკო (თამარ კალანდაძე) შეუყვარდებათ. დავის გადასაჭრელად ისინი წილისყრას გადაწყვეტენ და, რადგან ქალი ტურიკოს „ერგება“, უმკაცრესი პირობის თანახმად, წილისყრაში გამარჯვებულმა ტურიკომ ძმობილი უნდა მოკლას.

ფილმის დრამატურგიიდან გამომდინარე, ბოლომდე გაუგებარი რჩება, რატომ უნდა გაეწირათ სიყრმის მეგობრებს ერთმანეთი თითქმის უცნობი ქალის სიყვარულის გამო? სიმართლე ვთქვათ, ეს აკვიატებული სიკვდილ-ეროტიზმის ვნება უფრო წარსულის რიტუალის გამოძახილია. სინამდვილეში კი ჩოხებში „გადამალული“ სექსი აშკარად სიმბოლური მნიშვნელობისაა და მისი კვალი მიუვალ ჭაუხებში იკარგება.

სიკვდილის, ძმადნაფიცობისა და ფარული ეროტიზმის თემები დინამიურადაა გადაჯაჭვული სოფლის ყოფის ამსახველ სცენებთან. დამჯერებელი და გამომსახველია საშულო ხედები (ოპერატორი სერგეი ზაბოზლაევი), ისევე, როგორც ნატურაზე გადაღებული სცენები. ინტერიერები ძირითადად მონადირე ძმადნაფიცებისა და მარიკოს სახლს ასახავს. ხალიჩები, ტახტები, თუნგები და უამრავი რქები კედელზე ზედმეტად მხატვრულ შთაბეჭდილებას ტოვებს (მხატვარი ვალერიან სიდამონ-ერისთავი).

დედის (მაგდანა) როლს სახელოვანი თეატრალური მსახიობი ელისაბედ ჩერქეზიშვილი თამაშობს, ხოლო მარიკოს (ვის გულისთვისაც ძმაკაცები სამკვდრო-სასიცოცხლო არჩევანის წინაშე აღმოჩნდებიან) – არაპროფესიონალი თამარ კალანდაძე, რომელიც სხვა ფილმებში აღარ გამოჩენილა. ტურიკოსა და მგელიას მეგობრობა იმითაც არის აღსანიშნავი, რომ მათ ურთიერთობაში უფრო მეტი ვნება და ეგზალტაციაა, ვიდრე რაციონალიზმი. ფილმის ყველაზე დრამატული სცენაა, როდესაც სანადიროდ წასულ მეგობრებს მოულოდნელად დათვი თავს დაესხმება, ტურიკო მეგობარს არ მიეშველება და გაწირავს მას. მგელია მხეცთან ბრძოლაში იღუპება და, ამდენად, დათქმა თუ რიტუალი აღსრულებულია. თუმცა უკვე მარტოდ დარჩენილ ტურიკოს სინდისის ქენჯნა მოსვენებას უკარგავს და ბოლოს, ჭკუაარეული, საცალფეხო ხიდიდან უფსკრულში გადაიჩეხება. მოკლედ და ფსიქოანალიტიკურ ენაზე რომ ვთარგმნოთ, ალექსანდრე წუწუნავას ფილმში ტრაგიკული ნადირობა ეროტიზმის ნაირსახეობად იქცევა.

ქართული მხატვრული კინოს ფუძემდებელი, სცენარისტი და რეჟისორი ალექსანდერე წუწუნავა 1881 წელს ლიხაურში (ოზურგეთის რაიონი) დაიბადა. 1900-1905 წლებში ქუთაისის დრამატულ თეატრში მსახიობად და რეჟისორად მუშაობს. 1905-10 წლებში სწავლობდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდიის სარეჟისორო კურსებზე. 1918 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (1955) თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში რეჟისორად მუშაობდა. გადაღებული აქვს ექვსი მხატვრული ფილმი.

სასაჩუქრე ბარათი ავერსისგან

“ავერსი” კიდევ ერთ შესანიშნავ სიურპრიზს გთავაზობთ _ აფთიაქებში უკვე შეგიძლიათ შეიძინოთ ახალი პროდუქტი _ სასაჩუქრე ბარათი, რომლითაც შეიქმნით სასიამოვნო განწყობას, შეარჩევთ თქვენთვის სასურველ კოსმეტიკას, მოვლის საშუალებებს, ან ნებისმიერი დასახელების პროდუქციას, რომელიც “ავერსის” სააფთიაქო ქსელში გახლავთ წარმოდგენილი. ბარათი ასევე შეგიძლიათ გადასცეთ ადამიანს, ვისი ჯანმრთელობა და სილამაზეც თქვენთვის ძვირფასია.

20-ლარიანი, 50-ლარიანი და 100-ლარიანი სასაჩუქრე ბარათების შეძენა
და შესაბამისი ღირებულების პროდუქციის მიღება “ავერსის”
ნებისმიერ აფთიაქშია შესაძლებელი. ახალი პროდუქტის მოქმედების ვადა 3 წლით განისაზღვრება.

ბარათი მართლაც შესანიშნავი საჩუქარია _ ქალბატონები მოვლის საშუალებებს, ასევე, სამკურნალო კოსმეტიკას, უმეტესწილად, ხომ სწორედ აფთიაქებში იძენენ. ეს განპირობებულია, პირველ რიგში, იმით, რომ “ავერსის” სააფთიაქო ქსელი საზოგადოების ნდობით სარგებლობს _ აქ წარმოდგენილი პროდუქცია ყოველთვის მაღალი ხარისხითა და საუკეთესო სამკურნალო ეფექტით გამოირჩევა, ამასთანავე, “ავერსში” ფასები ყოველთვის დაბალანსებულია _ “ავერსს” გახსნის დღიდან პარტნიორი ფირმებისგან პირდაპირი გზით _ შუამავალი კომპანიების გარეშე შემოაქვს პროდუქცია, რაც თავისთავად მაღალი ხარისხის და დაბალი ფასების გარანტი გახლავთ.

თითოეული თქვენგანის ჯანმრთელობა და სილამაზე კომპანია “ავერსის” საზრუნავი გახლავთ, სწორედ ამიტომ, “ავერსი” ერთგულ მომხმარებელს სიურპრიზებით ხშირად ანებივრებს _ ფასდაკლებები, აქციები, ბონუსები, წამახალისებელი გათამაშებები _ ყოველივე ეს “ავერსის” სააფთიაქო ქსელის მომხმარებლისთვის უცხო არ არის. პოპულარობით სარგებლობს “ავერსის” დაგროვებითი მტრედი ბარათიც, რომლის საშუალებით დაგროვილი თანხის შესაბამისი ღირებულების პროდუქტი სასაჩუქრე კატალოგიდან შეგიძლიათ შეარჩიოთ. ახლა კი, მომხმარებელს სასაჩუქრე ბარათით სარგებლობის საშუალებაც ეძლევა _ აჩუქეთ თქვენთვის ძვირფას ადამიანს “ავერსის” სასაჩუქრე ბარათი და საშუალება მიეცით თავად აირჩიოს სასურველი საჩუქარი _ არჩევანი და პროდუქციის ასორტიმენტი კი “ავერსში” მართლაც მრავალფეროვანია.

“ავერსის” სასაჩუქრე ბარათის შეძენის მსურველებს შეგახსენებთ, რომ ბარათი ცალ მხარეს პერფორირებულია. გაცემისას მას მოეხევა პერფორირებული ნაწილი, რომელზეც ნუმერაციაა დატანილი, და აფთიაქში დარჩება.

ამასთანავე, ბარათი აუცილებლად უნდა იყოს დამოწმებული ბეჭდით, რადგან სასაჩუქრე პროდუქცია გაიცემა მხოლოდ დამოწმებული ბარათის წარდგენისას.

გაითვალისწინეთ, რომ “ავერსის” სასაჩუქრე ბარათით პროდუქციის გატანა ერთბაშად უნდა მოხდეს და თუ საჩუქრის მიღებისას ბარათის მფლობელი ნაკლები ღირებულების პროდუქციას აირჩევს, ფასთა სხვაობა არ დაუბრუნდება.

“ავერსი” მუდამ ზრუნავს თქვენს სილამაზესა და საუკეთესო განწყობაზე.
“ავერსი” გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

WWW.AVERSI.GE
☎ 2-967 227

ახალი ღვინის ფესტივალი 2013

ბოლო 4 წლის მანძილზე „ახალი ღვინის ფესტივალი“ ნამდვილ ქალაქურ დღესასწაულად ჩამოყალიბდა. 2013 წლის 11 მაისს თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში გამართულ წლევანდელ ფესტივალს დაახლოებით 20 ათასამდე ადამიანი დაესწრო, გაიზარდა მონაწილე კომპანიებისა და ოჯახური მარნების რიცხვიც.

ღვინის მრავალფეროვნება ფესტივალის ზრდადი პოპულარობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. თითქმის არ არსებობს ჩვენი ქვეყნის მეღვინეობით სახელგანთქმული რეგიონი, საიდანაც ღვინის თუნდაც ერთი ნიმუში მაინც არ იყო წარმოდგენილი ფესტივალზე.

ახალი ღვინის ფესტივალი პირველ რიგში შემოქმედი მეღვინეებისა და ცნობისმოყვარე სტუმრების თავშეყრისა და ერთიანობის ადგილია და ამ ოთხმა წელმა ძალიან ბევრი საინტერესო ტენდენცია გამოავლინა, ტენდენციები, რომლებიც აყალიბებენ ქართული ღვინის და უფრო ფართოდ, ქართული კულტურის სახეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

Samsung GALAXY S4

Dual Shot: ოთმაები ჯადოი

ოი ჯამეა, ეთი საოცაი ფოტო: ფუნქია Dual Shot ეთდოელ აფიქსიებ ჯადის ოივ – ნ და ეანა მ ეს, ყველ "მ ი ვიყავ" მ ენტისათ.

Samsung GALAXY S4 მენი ცოვების ომპანიონი

SAMSUNG

ეკრანი – ბუკრიდერის ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრი

ტექნოლოგია, რომლითაც შექმნილია ბუკრიდერის დისპლეი, მისი ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრია. არჩევანის გაკეთება ელექტრონულ ფურცელსა და თხევად კრისტალურ ეკრანს შორის მოგიწევთ.

ელექტრონული ფურცელი უმცირესი კაფსულებისგან შემდგარი ფურცელია, რომელშიც თეთრი და შავი გრანულები მოძრაობენ. მწარმოებლები ამ ტექნოლოგიას ყოველწლიურად აუმჯობესებენ, რაც პირველ რიგში მისი კონტრასტის გაზრდით გამოიხატება. თუმცა ამ ტექნოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობა მისი ენერგოეფექტურობაა. იგი ენერგიას პრაქტიკულად არ მოიხმარს, რადგან ელექტროენერგია მხოლოდ გამოსახულების განახლებისთვის ესაჭიროება. მეორე მხრივ, ელექტრონული ფურცელი მხოლოდ შავ-თეთრ გამოსახულებას იძლევა, ასევე მისი საშუალებით შეუძლებელია ანიმაციის ჩვენება.

ბოლო დროს ბუკრიდერების მწარმოებელები სულ უფრო ხშირად თხევად კრისტალურ დისპლეებს იყენებენ – ეს ისეთივე დისპლეია, როგორც კომპიუტერებს და მობილურ ტელეფონებსაქვთ. მართალია, ასეთი ბუკრიდერის ბატარეას სულ 5-6 საათი ჰყოფნის, სამაგიეროდ თვალს ფერადი მენიუ და ჭრელაჭრელა ნახატები ახარებს.

თუ არჩევანის გაკეთება გიჭირთ, არსებობს ჰიბრიდული რიდერიც ორი ეკრანით. ერთი ფერად მენიუს და წიგნების ლამაზ ყდებს გიჩვენებთ, კითხვის რეჟიმში კი ითიშება და ესტაფეტას ეკონომიურ ელექტრონულ ქაღალდს გადასცემს.

ახალი სმარტფონი SAMSUNG GALAXY S4

წარმოიდგინეთ სმარტფონი, რომელიც აფიქსირებს თქვენს მზერას, აჩერებს ვიდეოს ჩვენებას, როცა თქვენ ეკრანს მზერას აშორებთ, კითხვისას კი გადადის შემდეგ გვერდზე, როცა თქვენი მზერა გვერდის ბოლო სიტყვისკენაა მიმართული. დაუჯერებელია? ეს ინოვაციური ფუნქციები სამსუნგის ახალ, მეოთხე თაობის სმარტფონს Samsung Galaxy S4-ს აქვს. სმარტფონი აპრილის ბოლოს მსოფლიოს 155 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც გამოჩნდა.

მისი წინამორბედისგან ეს მოდელი უფრო დიდი და მაღალი ხარისხის (Full HD) დისპლეით განსხვავდება. მას 13-მეგაპიქსელიანი კამერა და ახალი პროგრამული ფუნქციები აქვს. მზერის ამოცნობის ფუნქციის გარდა, სმარტფონს დამატებული აქვს ატმოსფერული წნევის, ტემპერატურისა და ტენიანობის საზომი.

კიდევ ერთი ახალი ტექნოლოგია, რომლითაც აღჭურვილია Samsung Galaxy S4, გახლავთ Air Gesture. იგი საშუალებას გაძლევთ სმარტფონი შეხების გარეშე მართოთ, ამისთვის ეკრანთან თითის მიახლოებაც საკმარისია.

მესენჯერები SMS-ების წინააღმდეგ

ტექნოლოგიების სფეროში ტრენდები ძალიან სწრაფად შეიძლება შეიცვალოს. როგორც კვლევები აჩვენებს, malesms-ები შესაძლოა-მთლიანად მესენჯერებმაჩაანაცვლონ.

WhatsApp, BlackBerry Messenger, Viber, Appple iMessage და ჩატის სხვა პლატფორმები მობილური ტელეფონით შეტყობინების უფასოდ ან ძალიან დაბალ ფასად გაგზავნის საშუალებას იძლევიან. მსოფლიო კვლევების თანახმად, 2012 წელს მესენჯერებით გაგზავნილმა შეტყობინებების რაოდენობამ გაგზავნილი sms-ების რაოდენობას ორი მილიარდით გადააჭარბა. შესაძლოა ეს რიცხვი გაზვიადებულიც იყოს, თუმცა მესენჯერების პოპულარობის ზრდა უდავოა.

SAMSUNG

დელიკატური რეცხვის რევოლუციური ტექნოლოგია!

სამსუნგის სარეცხი მანქანა ტექნოლოგიით Eco Bubble დაბალ ტემპერატურაზეც ეფექტურად უმკლავდება ჭუჭყს. ყველაზე დელიკატური ქსოვილიც კი ნაზად და ეფექტურად იქნება გარეცხილი ცივ წყალში. რევოლუციური ტექნოლოგია Eco Bubble სამსუნგისგან - შთამბეჭდავი შედეგი ნებისმიერი ტემპერატურის წყლით რეცხვისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ

ავტორი: სალომე აფხაზიშვილი

გამოფენა

დავით კაკაბაძის ნამუშევრების მასშტაბური გამოფენა

როდის: 18.05-10.07

სად: დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

მისამართი: რუსთაველის გამზ. №11

ეს გამოფენა გასულ თვეს გაიხსნა და ივნისშიც გაგრძელდება. მუზეუმების საერთაშორისო დღე საქართველოში, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ქართველი მხატვრის, დავით კაკაბაძის ნამუშევრების ფართომასშტაბიანი გამოფენით აღინიშნა. ეროვნული გალერეის საგამოფენო სივრცე, რომლის ერთ-ერთ დარბაზში დავით კაკაბაძე ნიკო ფიროსმანაშვილთან და ლადო გუდიაშვილთან ერთად მუდმივმოქმედი გამოფენის ფარგლებში იყო წარმოდგენილი, ამჯერად ორი თვის მანძილზე, მხატვრის 100-ზე მეტი ექსკლუზიურ ნამუშევარს დაიტევს. მათ შორისაა ეროვნული მუზეუმის ფონდებში, კერძო კოლექციებსა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუზეუმში დაცული ნამუშევრები. ექსპონირებული მასალა დავით კაკაბაძეს წარმოაჩენს არა მხოლოდ როგორც მხატვარს, არამედ როგორც თანამედროვე მოაზროვნეს, ფოტოგრაფს, ხელოვნებათმცოდნეს, მეცნიერსა და სტერეოკინოს ერთ-ერთ პირველ გამომგონებელს. ნამუშევრების დათვალიერების გარდა, დავით კაკაბაძის შემოქმედებით დაინტერესებულ ადამიანებს ასევე საშუალება აქვთ მოისმინონ ქართველი და უცხოელი სპეციალისტების ლექციები, რომელიც 10 ივლისამდე, გამოფენის დასრულებამდე გაიმართება. ლექციების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ ეროვნული მუზეუმის ვებგვერდზე – museum.ge.

„კაენ, სად არის შენი ძმა აბელი?“

როდის: 14.06

სად: ჩატარების ადგილი გამოცხადდება ღონისძიების Facebook-ის გვერდზე.

მხატვრული აქცია ბიბლიური სახელწოდებით – „კაენ, სად არის შენი ძმა აბელი?“, ხელოვანებისა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლების ნებაყოფლობითი გამოხმაურებაა იმ მოვლენების მიმართ, რაც 17 მაისს თბილისში განვითარდა. აქცია/გამოფენა მოიცავს თავისუფალ საზოგადოებრივ და შემოქმედებით სივრცეს, სადაც მონაწილეებსა და დამთვალიერებლებს შეეძლებათ ღიად და ძალადობის გარეშე ისაუბრონ საზოგადოებისა და რელიგიის ურთიერთდამოკიდებულებაზე პოსტტოტალიტარულ კულტურაში. აქცია/გამოფენაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მხატვარს, მწერალს, მუსიკოსსა და ასევე სხვა პროფესიის ადამიანებს, ვისთვისაც მნიშვნელოვანია სეკულარიზმის იდეა, ადამიანის უფლებები და თვითგამოხატვის პრობლემები საქართველოში. ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა თავიანთი ნამუშევრები და პროექტები (სხვადასხვა მედიაში შესრულებული ნამუშევრები, ფოტო-ვიდეო დოკუმენტიაცია) უნდა გააგზავნონ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე – cainwwhereisabelthybrother@gmail.com. აქციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ღონისძიების Facebook-ის გვერდს – https://www.facebook.com/events/331010940361906/.

ეროვნული ბიბლიოთეკა

NUXE
PARIS

NUXE, ბუნებისგან ბოძებული სილამაზე!

ექსკლუზიურად GPC აფთიაქებსა და CITY PHARMA - ში!

2916.7

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოფენა

ვახო მუსხელიშვილის პერსონალური გამოფენა



როდის: 23.06-29.06
სად: „ბაია გალერეა“
გახსნა:19:00
მისამართი: შარდენის ქ. №10

ივნისის ბოლოს „ბაია-გალერეაში“ დაგეგმილი გამოფენა პირველია, რომელსაც ქართველი ფერმწერი და გრაფიკოსი, ვახო მუსხელიშვილი საქართველოში ამზადებს. მანამდე ის ამერიკაში ცხოვრობდა და ახალ ნამუშევრებსაც იქიდან უგზავნიდა ქართველ გალერისტებს. ამჯერად ის ოცამდე ფერწერულ ტილოს „ბაია-გალერეაში“ გამოფენს, რომელზე მუშაობაც მხატვარმა აპრილის თვეში დაიწყო და გამოფენის გახსნამდე იმუშავებს. მხატვარმა გვერდი ვერ აუარა საქართველოში ბოლო პერიოდში არსებულ ვითარებას და სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების სარკასტული ხედვა შემოგვთავაზა: „ყოველთვის ვცდილობ შორს ვიყო პოლიტიკისგან, თუმცა განვითარებული მოვლენები ამის საშუალებას არ მაძლევს. მანამდე სულ მეუბნებოდნენ, შენ აქ არ ცხოვრობ, ჩამოდი და შენი თვალით ნახე ყველაფერიო. ბოლო პერიოდის ნამუშევრებიც ამ შეგონების თუ შენიშვნის სტიმულით შეიქმნა. მოვლენებისთვის დამახასიათებელი შინაარსის ინტერპრეტაციით. ვცდილობ უფრო ახლოს ვიყო რეალობასთან“ – ამბობს მხატვარი ახალი ნამუშევრების შესახებ, რომელსაც დამთვალიერებელი ივნისის ბოლოს „ბაია-გალერეაში“ იხილავს.

„ზღვარი“

ლევან ლაღიძის პერსონალური გამოფენა

როდის: 31.05-30.06
სად: Lagidze Gallery
მისამართი: ირ. აბაშიძის ქ. № 85

„მე ახლა ვხედავ სივრცეს... და ვეძებ საზღვარს... ამიტომ ვხატავ“ – ეს სიტყვები მხატვარ ლევან ლაღიძის ნამუშევრების ახალი სერიის – „ზღვარზე“ (სივრცის შესაძლებლობა) – გაანალიზების პროცესის ერთგვარი გასაღები გახლავთ. აღნიშნული სურათი 8 ნაწილისგან შედგება და მხატვრის ბოლო ორი წლის მხატვრული ძიებების შეჯამებას წარმოადგენს. ახალ ხედვას, ახალ ნამუშევრებთან ერთად, ლევან ლაღიძე დამთვალიერებელს თავისსავე გალერეაში ივნისის ბოლომდე წარუდგენს.

გივი ბერიკაშვილი და კახი კავსაძე „უკვდავთა თაღში“

სად: საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი
როდის: 5.06
მისამართი: ია კარგარეთელის ქ. №6

საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი ქართული კინოსა და თეატრის გამორჩეულად დასამახსოვრებელი როლების შემსრულებლებს – კახი კავსაძესა და გივი ბერიკაშვილს სპეციალურ საიუბილეო საღამოს უძღვნის. ამასთან დაკავშირებით, მხოლოდ ერთი დღით, ხელოვნების სასახლის ეზოში მდგარი მოლბერტები მსახიობების ფოტო-სურათებით შეივსება. აქ ასევე უჩვენებენ იმ კადრებს, რომლებიც მათ მიერ შესრულებულ გამორჩეულ ეპოზოდებს გააერთიანებს. ხელოვნების სასახლის „უკვდავთა თაღი“ კი, სადაც საზოგადო მოღვაწეები საკუთარი ხელის ანაბეჭდებს დატოვებენ, სამუდამოდ შემოინახავს მსახიობების როლს ქართული თეატრისა და კინოს ისტორიაში.

გია ჯაფარიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

ქანდაკება, ფერწერა, მინანქარი

როდის: 4.06 -12.06
სად: გალერეა
გახსნა: 19:00
მისამართი: დ.ჭონქაძის ქ. №14

ივნისის პირველ ნახევარში დამთვალიერებელს კიდევ ერთი საინტერესო გამოფენა გალერეა „ვანდაში“ელის, რომელიც ამჯერად ქართველ მოქანდაკესა და ფერმწერს გია ჯაფარიძეს მასპინძლობს. ექსპოზიციის ძირითადი ნაწილი მის ქანდაკებებს ეთმობა, რომელიც სხვადასხვა კომპოზიციებს განასახიერებს. გია ჯაფარიძის შემოქმედებითი ხედვის უკეთ გასაცნობად, თბილისის თემაზე შექმნილი ფერწერული პეიზაჟები და მინანქრითა და შერეული ტექნიკით შესრულებული მისი ნამუშევრებიც დაგეხმარებათ, რომლებზეც მხატვარი ბოლო ორი წლის განმავლობაში მუშაობდა.


აძლიერებს თქვენს ბუნებრივ სილამაზეს
ერთიანი ბიბლიოთეკა
მე ვარ ბანსაკუთრებული
MERZ SPEZIAL
DRAGEES
Skin | Hair | Nails
60 dragees
MERZ
დაბრუნდებული გერმანიიდან
www.merz-spezial.com
მერცის სპეციალური დრაჟე
გლუვი კანი, მბზინვარე თმა
უნიკალური კომბინაცია
და მტკიცე ფრჩხილები
ABC PHARMACIA
ეს-ბი-სი ფარმაციის
ABC PHARMACIA
www.abc-pharm.com
გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას. პრეპარატის უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების შესახებ, დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ფესტივალი

თბილისის VII საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი „ამირანი“

როდის: 3.06 – 7.06

სად: გოეთეს ინსტიტუტი, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, II კორპუსი



სტუდენტური ფილმების ჩვენება, მასტერკლასები პროფესიონალი კინემატოგრაფისტების მონაწილეობით, ინოვაციური და მულტიმედიური პროექტები, თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალის ფარგლებში წელს უკვე მეშვიდედ, უფრო დიდი და მრავალფეროვანი მასშტაბებით განხორციელდება. მასში მონაწილეობას მიიღებს 36 ქვეყნის კინოსკოლა და 17 უცხოელი სტუდენტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, რომლებიც ფესტივალის ორგანიზატორებმა 60-მდე ქვეყნიდან მიღებული 200 ფილმიდან გამოარჩიეს. ფესტივალის ჟიური, რომელიც წელს დაკომპლექტებულია კლაუდია მესსმერის (სცენარისტი გერმანიიდან), ლესზეკ დავიდის (ახალგაზრდა პოპულარული პოლონელი რეჟისორი ლოძის კინოსკოლიდან), გიულენ ჰარლეის (თურქი კინოხელოვანი მარკეტინგის მიმართულებით), ირინა რომანჩენკოსა (უკრაინის კინოფესტივალის დამფუძნებელი) და გიორგი გვახარიასგან (კინომცოდნე), სტუდენტებს ოთხ ძირითად ნომინაციაში შეაფასებს. ესენია: საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი სტუდენტური მხატვრული ფილმი, მოკლემეტრაჟიანი სტუდენტური დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი სტუდენტური/ექსპერიმენტული ფილმი. გაიცემა ჟიურის სპეციალური პრიზი, ასევე დიპლომები საუკეთესო ხმის, მონტაჟისა და ოპერატორის ნამუშევრებისთვის.

ფესტივალის საზეიმო გახსნაზე (3.06/20:00) ტრადიციულად ნაჩვენები იქნება ლევან ზაქარეიშვილის ფილმი – „მამა“, რომელსაც მომდევნო დღეებში ათეულობით მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური/ექსპერიმენტული ფილმის ჩვენება მოყვება. მასტერკლასებს კი, რომელიც 4-დან 7 ივნისის ჩათვლით ყოველდღე გაიმართება, ჟიურის წევრები უხელმძღვანელებენ. ფესტივალის პროგრამაშივე შედის ექსპერიმენტული საღამო – „მოდა და კინემატოგრაფი“, რომელიც თბილისის სამხატვრო აკადემიისა და კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ერთობლივი მუშაობის შედეგს წარმოაჩენს. წელს უკვე მესამედ განხორციელდება პროექტი – „One Short Movie“, რომელიც ფილმის ერთი უწყვეტი კადრით გადაღებას გულისხმობს.

ფესტივალის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და პროგრამის მისაღებად ეწვიეთ ფესტივალის გვერდს Facebook-ზე.

თეატრი

„დრაკონი“ პრემიერა თუმანიშვილის თეატრში

როდის: 30.05, 31.05, 1.06, 11.06, 12.04, 13.06

დასაწყისი: 19:00

მისამართი: აღმაშენებლის გამზ. №164

კინომსახიობთა თეატრი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და დიაბეტით დაავადებულ მოზარდთა რეაბილიტაციის ცენტრ „არტ ჰოლი+“-თან თანამშრომლობით, მაყურებელს მაისის ბოლოს რუსი მწერლისა და დრამატურგის ევგენი შვარცის ცნობილი პიესის – „დრაკონის“ საპრემიერო დადგმას შესთავაზებს. სპექტაკლის რეჟისორი ქართული თეატრისა და კინოს მსახიობი გოგა პიპინაშვილი გახლავთ, რომელიც ამავე დროს ხელოვნების საყმაწვილო ცენტრს – „არტ ჰოლს“ ხელმძღვანელობს. ევგენი შვარცის პიესა – „დრაკონი“ ერთგვარი პოლიტიკური ზღაპარია, რომელიც საზოგადოებისთვის აქტუალურ თემებს მოიცავს. მისი დადგმა მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ჯანმრთელი მოზარდების ინტეგრაციასა და სოციალიზაციას, მათი შემოქმედებითი პოტენციალის წარმოჩენას და ფუნდამენტურ ღირებულებებთან მათ უშუალო შეხებას. სპექტაკლში, თუმანიშვილის თეატრის მსახიობებთან და „არტ ჰოლი+“-ის აღსაზრდელებთან ერთად, თავად რეჟისორიც მონაწილეობს.

ლექცია/დისკუსია

„დროის მანქანა, მუზეუმი 21-ე საუკუნეში“ მოხსენებების ციკლი „საუბრები მუზეუმზე“

სად: გოეთეს ინსტიტუტი

მისამართი: ზანდუკელის ქ. №16

საუბრების ციკლი მუზეუმების პერსპექტივებისა და მნიშვნელობის შესახებ, გოეთეს ინსტიტუტში ივნისის თვეში სამი ღონისძიებით გაგრძელდება. 7 ივნისს, 18:00 საათზე, კინოს მომავლის შესახებ გიორგი გვახარია ისაუბრებს; 14 ივნისს საუბრების ციკლს ნინო გედევანიშვილი განაგრძობს თემაზე – „ახალი მედიახელოვნება – გამოწვევა მუზეუმებს“; თვის ბოლოს კი (20.06) გოეთეს ინსტიტუტში მისული მუზეუმების თემით დაინტერესებული ადამიანების წინაშე ქეთევან კინწურაშვილი წარდგება, რომელიც კანდინსკის, აბსტრაქციისა და მსოფლიოს მუზეუმების შესახებ ისაუბრებს.

ექსკლუზიურად GPC აფთიაქებსა და CITY PHARMA – ში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთკავკასიური ცეკვის წრე...

ექსპერიმენტული ხელოვნების პლატფორმაზე

ავტორი: დავით ბუხრიკიძე

მომაბეზრებელი პოლიტიკური „ცეკვა-თამაშის“ შემდეგ კარგი იქნება და უფრო სასარგებლოც თამამი, კრეატიული და, რაც მთავარია, თანამედროვე ხელოვნებით „გაგრილება“. მოკლედ, არტ-თერაპია ახლა გამოწერილია ჩვენთვის. განსაკუთრებით ბნელად შთაგონებული არტ-მრევლისთვის იქნება მისწრება თანამედროვე ცეკვისა და ექსპერიმენტული ხელოვნების სამხრეთკავკასიური ფესტივალი, რომელიც ივნისში გაიმართება.

ფესტივალის თბილისში ჩატარების იდეა ჯერ კიდევ 2012 წელს გაჩნდა, რომლის ინიციატორი და ორგანიზატორია თანამედროვე ქართული და ევროპული არტით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაცია „პლატფორმა ცვლილებებისთვის“. მისი მთავარი გზავნილია თანამედროვე ცეკვისა და ექსპერიმენტული ხელოვნების განვითარება სამხრეთ კავკასიაში და ახალი შემოქმედებითი პლატფორმის შექმნა. კეთილშობილურად ჟღერს ფესტივალის მიზნებიც: კულტურის მნიშვნელობის ხელახალი გააზრება სოციალური ცვლილებების კონტექსტში; კულტურის როლის გაძლიერება სამხრეთ კავკასიის რეგიონში; ინტერაქციული დიალოგის გამართვა სხვადასხვა ქვეყნის ხელოვანებს შორის; თანამედროვე ხელოვნების შესახებ დისკუსიის გაღრმავება და ინოვაციური პროექტების წახალისება.

როგორც ფესტივალის დირექტორი, თამარ გურჩიანი აღნიშნავს, ფესტივალის პროგრამა აერთიანებს ორ ძირითად მიმართულებას: თანამედროვე ცეკვასა და ექსპერიმენტულ ხელოვნებას. ფესტივალი დაახლოებით 18 თვეზეა გათვლილი და, შესაბამისად, „პლატფორმის“ პირველ შედეგებს უკვე მომავალი წლის შემოდგომაზე შევაფასებთ. ექსპერიმენტებით გამორჩეული ფესტივალი 2013 წლის 2 ივნისს სამეფო უბნის თეატრში გაიხსნება და 9 ივნისს, იმავე თეატრში, ცნობილი ფრანგი ქორეოგრაფის, ჟილ ჟობენის სპექტაკლით დასრულდება. რასაკვირველია, უმთავრესი აქცენტი თანამედროვე ცეკვისა და ექსპერიმენტული ხელოვნების პროგრამაზე კეთდება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი, შვეიცარიელი, ფრანგი, ავსტრიელი და ხორვატი მოცეკვავეები. პარალელურად ჩატარდება „გრაფიტით სტრიტ არტის“ სამდღიანი ფესტივალი, რომლის ფარგლებში თბილისის იპოდრომის ტერიტორიაზე სომეხი, ქართველი, აზერბაიჯანელი მხატვრები და ბელგიაში მცხოვრები გრაფიტის ხელოვნების მცოდნე და მხატვარი ზუკა მიქაბერიძე, იპოდრომის

PAPILLON
პაპილონი

ევროპული
ბიბლიოთეკა

ევროპული ავეჯი განახლებულ პაპილონში

თბილისი აკ. ბაქრაძის 6 (მტკვრის მარჯვენა სანაპირო, დიღმის ხიდთან); ტელ: +99532 2540990
ქუთაისი წერეთლის 163, ტელ: 0431 235025; ბათუმი ბაგრატიონის 109; ტელ: 0422 220348
WWW.PAPILLON.GE

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერიტორიაზე ახალ გვირაბს მოხატავენ.

მომდევნო ღონისძიება დაგეგმილია 2013 წლის სექტემბერში, როდესაც ცნობილი ქართველი ქორეოგრაფის, ბალეტმეისტერისა და პედაგოგის, გიორგი ალექსიძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია გაიმართება. დეკემბერი დაეთმობა ექსპერიმენტულ და ნოვატორულ არტს. 2014 წლის თებერვლის ბოლოს კი გაიმართება დოკუმენტური ფილმების ჩვენება სამხრეთ კავკასიის საბალეტო ტრადიციების შესახებ. ამით ფესტივალის ორგანიზატორები ერთგვარ პატივს მიაგებენ კლასიკურ ბალეტს, რომლის გარეშე მოდერნი და თანამედროვე ცეკვის თეატრი ვერ განვითარდებოდა.

ფესტივალის მხარდამჭერია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო და თბილისის მერია. ხოლო პარტნიორია ევროპის სახლი, სადაც უკვე მაისში გაიმართა პირველი პრესკონფერენცია მისი მნიშვნელობისა და მომავალში შესაძლო გაფართოების შესახებ. პრესკონფერენციას ესწრებოდა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს რეგიონული დირექტორი რუდოლფ შოხი, აგრეთვე იმყოფებოდნენ თბილისის მერიის კულტურის სამსახურის წარმომადგენლები. „ნებისმიერი ფესტივალი ეს არის ადგილი, სადაც ერთმანეთს ხვდებიან, ცვლიან ინფორმაციას, ერთმანეთისგან ახალს სწავლობენ... თანამედროვე ცეკვა ძალიან ღია, ლიბერალური, მრავალი ჟანრის გამაერთიანებელი და ამავდროულად, რთულად მოსახელთებელი ხელოვნებაა. ქორეოგრაფიული ენის ნაზავი, რომელიც ამ ფესტივალზეა წარმოდგენილი, ბევრი ფაქტორითაა განპირობებული. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მთავარია საზოგადოების მზადყოფნა და სურვილი, რომ ამგვარი ექსპერიმენტის აზრი და მნიშვნელობა გაიაზროს, მხარი დაუჭიროს მას“ – აღნიშნავს ცნობილი კრიტიკოსი და ექსპერტი ეკატერინა ვასენინა. აღსანიშნავია, რომ ის არის ძალიან საინტერესო წიგნის, „თანამედროვე ცეკვა პოსტსაბჭოთა სივრცეში“, ავტორი.

ფესტივალი ბიძგს აძლევს თანამედროვე ქორეოგრაფებს, ახლებურად გაიაზრონ თავიანთი კულტურის ტრადიციები და განავითარონ კიდეც თანამედროვე სოციალური გარემოს შთაგონებით თუ გათვალისწინებით. თბილისის ფესტივალი მნიშვნელოვანია სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის – სომხეთის, აზრებაიჯანისა და საქართველოს მრავალფეროვანი და ტრადიციული კულტურის გათვალისწინებით. სწორედ ტრადიციები და მათი ხელახალი გააზრება შეიძლება იქცეს წყაროდ შთაგონებისთვის. ისევე როგორც, ავთენტური კულტურული მასალა ორიგინალურად გამოყენებისთვის.

სამწუხაროდ, Contemporary dance, ანუ თანამედროვე ცეკვა (როგორც მას ევროპაში უწოდებენ), კავკასიისთვის ჯერ კიდევ უცხო ხილია. არადა, სწორედ ევროპულ სივრცეში ადგილის დამკვიდრებისა და საკუთარი თავის რეპრეზენტაციის საუკეთესო გზა სწორედ კულტურული წარსულის ხელახალი გააზრება იქნება. თბილისის ფესტივალი კი ამის საუკეთესო საშუალებად შეიძლება იქცეს.



ფესტივალის პროგრამა დატვირთული და საინტერესოა საიმისოდ, რომ რაღაც ახალი აღმოაჩინოთ. მაგალითად, ევროპულ თანამედროვე ცეკვას ნაზიარევი სომეხი ქორეოგრაფი, რიმა პაპიანი, დანტეს „ახალ ცხოვრებას“ ნახევარ საათში ჩაატევს ოთხი მოცეკვავის მოკრძალებულ-ავთენტური მოძრაობებითა და კომპოზიტორ ფილიპ გლასის მინიმალიზმით. უფრო თამამი და გამომწვევია აზერბაიჯანულ-ავსტრიული პერფორმანსი სახელწოდებით Greenmax, რომელსაც გაცილებით მეტი რამ აქვს საერთო თანამედროვე არტთან და მხატვრობასთან, ვიდრე საკუთრივ ცეკვასთან.

ვერის ბაღში, ღია ცის ქვეშ, გაიმართება რეჟისორ ლელა ჭინჭარაულის ახალი პერფორმანსიც, რომელშიც ჯგუფი „არტბალეტი“ და ანსამბლი „ქართველო“ მიიღებენ მონაწილეობას. თუმცა საფესტივალო „კავკასიურ სამკუთხედს“ ერთგვარად შეკრავს მარიამ ალექსიძის თანამედროვე ბალეტი „V&V“, რომელშიც სრულიად განსხვავებული კომპოზიტორების, გია ყანჩელისა და იანის ქსენაკისის მუსიკაა გარითმული. დაახლოებით 20-წუთიან ქორეოკომპოზიციაში მონაწილე მოცეკვავენი: ნინო გოგუა, მანუელ-ალეხანდრო ვეგა და სილვი შქეშბი, ბალეტომანებს შესაძლოა ახსოვდეთ მარიამ ალექსიძის პროექტიდან „ალვა“. ეს იყო გასული სეზონის ალბათ ყველაზე საინტერესო ქორეოგრაფიული წარმოდგენა, რომელსაც საინტერესო გაგრძელება მოჰყვება ახალ სპექტაკლში. ვიმედოვნებთ, უკვე ახალი ხერხითა თუ ფორმით გამდიდრებული.

ევროპის სახლში საინტერესო დებატები გაიმართება საბალეტო ტრადიციების ქვეყნებში თანამედროვე ცეკვისა და პერფორმანისის ხელოვნების განვითარებასა და პერსპექტივებზე. მასში მონაწილეობენ ზაგრებისა და ტოკიოს Queer ფესტივალის დამაარსებელი ზვონიმირ დობროვიჩი, ქორეოგრაფი და მოცეკვავე მარიამ ალექსიძე, აგრეთვე აზერბაიჯანისა და სომხეთის კულტურის სამინისტროების წარმომადგენლები.

ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ცნობილი პედაგოგი ტატიანა ფატეევა მასტერკლასს ჩაატარებს თანამედროვე ცეკვის საშემსრულებლო ტექნიკის დახვეწისა და განვითარების შესახებ. თუმცა ფესტივალის დახურვის დღეს, 9 ივნისს, ორგანიზატორებმა ჩაროზად შემოინახეს ჟენევის საბალეტო დასის სპექტაკლის – Spider Galaxies ფრაგმენტები, რომელსაც პუბლიკა ცნობილი ქორეოგრაფის, ჟილ ჟობერის თანდასწრებით ნახავს. ვიმედოვნებთ, რომ სიბნელეში მოცეკვავეთა „დეკადა“ დასრულებულია, ახლა სიცხესა და მზისგულზე თავისუფლად მროკავი კავკასიელების დროა.

creative home

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკორატიული აქსესუარები თქვენი ინტერიერისათვის

თბილისი, ჭავჭავაძის 34 , სავაჭრო ცენტრი პიქსელი
ტელ: +995 32 2183507
ქავთარაძის 1, ჰიპერმარკეტი გუდვილი
ტელ:+995 32 2145014

ბათუმი, მემედ აბაშიძის 44
ტელ: 422 2359004

http://www.facebook.com/pages/Creative-Home/

ეროვნული ბიბლიოთეკა



რისკიანი ჰოლივუდი

ავტორი: ელენე კანდელაკი

რამდენიმე წლის წინ, როდესაც კინოეკრანებზე რეჟისორ მაკჯის სათავგადასავლო „ბოევიკი“ „ჩარლის ანგელოზები“ (Charlie's Angels) გამოვიდა, ამერიკული ტელესივრცე წალეკა სამი მშვენიერი „ანგელოზის“ – დრუ ბერიმორის, კამერონ დიასის და ლუსი ლუს ინტერვიუებმა. კინოდივები შოუდან შოუში გადადიოდნენ და ფილმის გადაღების პროცესზე სხვადასხვა ისტორიებს ჰყვებოდნენ. განსაკუთრებული ენთუზიაზმით მსახიობები პასუხობდნენ კითხვას – „მართალია, თუ არა, რომ თითქმის ყველა ტრიუკი ფილმში „ჩარლის ანგელოზები“ თავად შეასრულეთ?“

„ცხადია! რა თქმა უნდა!“ – იწყებდა ლუსი ლუ.

„კი, ჩვენ თავად ვაკეთებდით ამ წარმოუდგენელ ტრიუკებს და ეს იყო საოცარი პროცესი,“ – აგრძელებდა კამერონ დიასი და იხსენდა, როგორ ეკიდა დრუ ბერიმორი 60 კმ/საათით მიმავალი მანქანის კაპოტზე ცალი ხელით და მეორეთი როგორ აბრახუნებდა მუშტებს.

„ჩემში იმდენი ადრენალინი იყო... მე უცებ გავხდი ისეთივე მაგარი და ძლიერი, როგორიც ჩემი გმირია. ეს დაუვიწყარი იყო,“ – კვერს უკრავდა დრუ ბერიმორი.

არსად ჰოლივუდი ისე არ ტყუის, როგორც სატელევიზიო ტოქშოუებში, როცა ვარსკვლავები ჰყვებიან, როგორ შეასრულეს სახიფათო ტრიუკი ამა თუ იმ ფილმში.

მსახიობებმა შეიძლება ბევრი ილაპარაკონ იმაზე, თუ როგორი მაგრები არიან, როგორ დაფრინავენ ერთი ცათამბჯენის სახურავიდან მეორეზე ან როგორ დგანან 120 კმ/საათით მიმავალი მანქანის სახურავზე ცალი ფეხით, მაგრამ, იცოდეთ, რომ ძალიან ხშირად ამას რეალობასთან არაფერი აქვს საერთო.

ძალიანაც რომ უნდოდეთ მსახიობებს ამ ტრიუკების თავად შესრულება, ამის უფლებას გადასაღებ მოედანზე მათ სადაზღვევო კომპანია არ მისცემს. ცხადია, არის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც მსახიობები თავად ასრულებენ ტრიუკებს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიები დიდ რისკზე მიდიან და კინოსტუდიებს მსახიობების დაზღვევა ძალიან ძვირი უჯდებათ.

მას შემდეგ, რაც 1920 წელს მუნჯი კინოს ლეგენდამ – ჰაროლდ ლლოიდმა ფილმ Haunted Spooks-ის გადასაღებ მოედანზე ორი თითი დაკარგა, მსახიობების დაზღვევა ფილმის გადაღების აუცილებელ პირობად იქცა.

ჰოლივუდურ ფილმებში ნებისმიერი დეტალი დაზღვეულია. ყველაზე ძვირი კი კინოსტუდიებს მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობების დაზღვევა უჯდებათ. მაგალითად, არნოლდ შვარცნეგერს „ტერმინატორი 3“-ის გადაღების დროს რამე რომ მოსვლოდა, სადაზღვევო კომპანია 150 მილიონი დოლარით იზარალებდა. თავად ფილმი კი მხოლოდ ორი მილიონი დოლარით იყო დაზღვეული.

დაზღვევა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ფილმის გადაღების დასაწყებად. კინოსტუდია ვერ მიიღებს ფილმის გადაღებისთვის საჭირო თანხას, ვიდრე სადაზღვევო კომპანიასთან ურთიერთობას არ მოაგვარებს. შესაძლოა ყველაფერი მზად იყოს – სცენარი, მსახიობები, სხვა დეტალები და ფილმის გადაღება ვერ დაიწყოს, თუკი კინოსტუდია სადაზღვევო კომპანიასთან კონტრაქტს ვერ გააფორმებს.

სწორედ ასეთი ფაქტის წინაშე დადგა 2003 წელს ენტონი მინგელა, როდესაც „ცივ მთას“ (Cold Mountain) იღებდა. სტუდია Miramax-ის სადაზღვევო კომპანიასთან მოლაპარაკების პროცესი რამდენიმე თვე გაჭიანურდა და საფრთხე შეექმნა არა მარტო კონკრეტულ ფილმს, არამედ ნიკოლ კიდმანის კარიერასაც. სწორედ მთავარი როლის შემსრულებლის, სუპერვარსკვლავ ნიკოლ კიდმანის დაზღვევაზე აცხადებდა უარს სადაზღვევო ბაზრის ისეთი გრანდი, როგორიცაა Fireman's Fund-ი.

სადაზღვევო კომპანიების „შავ სიაში“ კიდმანი 2000 წელს მულენ რუჟის

(Moulin Rouge) გადაღების დროს მოხვდა, როდესაც დამზღვევის წესებს არ დაემორჩილა და გადასაღებ მოედანზე მუხლი დაიზიანა. კიდმანის მუხლი სადაზღვევო კომპანიას მაშინ 3 მილიონი დოლარი დაუჯდა.

ერთი წლის შემდეგ ჭირვეულმა ნიკოლმა უარი განაცხადა ფილმ „შიშის ოთახის" (Panic Room) გადაღებებზე. ვიდრე მას შემცვლელს (ჯოდი ფოსტერი) მოუძებნიდნენ, კინოსტუდიამ 7 მილიონი დოლარი იზარალა და ეს თანხა სადაზღვევო კომპანიამ დაფარა.

შედეგად, ნიკოლ კიდმანი იმ „უპასუხისმგებლო" მსახიობთა ნუსხაში მოხვდა, რომელთა დაზღვევა დიდ რისკთან არის დაკავშირებული. „ცივი მთის" გადაღებები კი მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც კიდმანმა თავისი პირადი ანგარიშიდან 1,5 მილიონი დოლარი პირობით დეპოზიტზე გადარიცხა, იმ პირობით, რომ თუ იგი ფილმის მუშაობას შეაფერხებდა, ფულს სადაზღვევო კომპანია მიიღებდა.

ამ ისტორიამ, როდესაც კიდმანის კარიერა ბენზე ეკიდა, ბევრი ჰოლივუდელი მსახიობი დააფიქრა. აღმოჩნდა, რომ არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად ნიჭიერია მსახიობი და როგორი შემოსავალი მოაქვს მისი მონაწილეობით გადაღებულ ფილმებს – ის არასოდეს მიიღებს როლს, თუ არ დაეზღვევა. მსახიობური ნიჭი და წარმატება კინოგაქირავებაში ეხმარება მსახიობს გახდეს ვარსკვლავი, მაგრამ საგზურს გადასაღები მოედნისკენ მას სადაზღვევო კომპანიები აძლევენ.

სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენელი ისეთივე სრულფასოვანი წევრია გადაღებების პროცესის, როგორც პროდიუსერი ან რეჟისორი. იგი ყოველთვის გადასაღებ მოედანზეა და თვალყურს ადევნებს მსახიობებს, რათა მათ სადაზღვევო კონტრაქტის ყველა მოთხოვნა შეასრულონ.

მსახიობების სიკვდილის, ავადმყოფობის ან როლზე უარის თქმის შემთხვევაში კი, სადაზღვევო კომპანია ვალდებულია დაფაროს ზარალი.

რეჟისორმა ძალიანაც რომ მოინდომოს მსახიობის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება, ამის უფლებას მას დამზღვევი არასოდეს მისცემს. მეტიც, ხშირ შემთხვევაში, მსახიობები არც კი ესწრებიან სახიფათო სცენების გადაღების პროცესს. ჰოლივუდში, როგორც წესი, ფილმის გადაღებები ორ ბლოკად არის გაყოფილი: „ძირითადი გადაღებები", რომელთა დროს მთავარი და მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებლები თავიანთ როლებს ასრულებენ და „დამატებითი გადაღებები", რომელთა დროსაც სარისკო ტრიუკების გადაღება ხდება. „დამატებით გადაღებებზე" მსახიობის ყოფნა სულაც არ არის აუცილებელი. ეს დუბლიორების საქმეა.

მაგალითად, ბონდიანას ერთ-ერთ ფილმში (Tomorrow Never Dies) ჯეიმს ბონდის როლი ხუთმა მსახიობმა შეასრულა. პირს ბროსნანი ჯეიმს ბონდს სტუდია Frogmore-ის ლონდონურ შენობაში თამაშობდა, მაშინ როცა მისი ოთხი დუბლიორი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მის მაგივრად სახიფათო ტრიუკებს ასრულებდა.

იგივე ხდებოდა „ჩარლის ანგელოზების" გადაღებაზეც. დრუ ბერიმორის გმირის – დილანის როლს სამი ადამიანი ასრულებდა. ლუსი ლუს კი, საერთოდაც, ოთხი დუბლიორი ჰყავდა.

თუმცა, როგორც ყველა წესიდან, აქაც არის გამონაკლისები. მაგალითად, 2011 წელს ფილმში „სოლტი" ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტის, ეველინ სოლტის, როლის შემსრულებელმა ანჯელინა ჯოლიმ ყველა სახიფათო ტრიუკი თავად შეასრულა. სწორედ ამიტომ სადაზღვევო კომპანია Fireman's Fund-მა ეს ფილმი 2011 წლის ყველაზე ძვირადდაზღვეულ ფილმად შეაფასა. რისკზე სადაზღვევო კომპანიები მხოლოდ იმ შემთხვევაში მიდიან, თუ ეს სხვადასხვა აუცილებლობით არის გამართლებული.

თითქმის 90 წელია ჰოლივუდის მთავარი მზღვეველი სადაზღვევო კომპანია Fireman's Fund-ია. პირველი ხმოვანი ფილმიდან მოყოლებული, ჰოლივუდური პროდუქციის 80 პროცენტს დღემდე ეს კომპანია აზღვევს. დამზღვევებისთვის ოსკარის ნომინაცია რომ არსებობდეს, დღეს Fireman's Fund-სი ათეულობით „ოქროს კაცუნას" მფლობელი იქნებოდა. წლევანდელი ოსკარების დაჯილდოებაზე 5 სხვადასხვა ნომინაციაში წარდგენილი ფილმი Fireman's Fund-ის მიერ იყო დაზღვეული. მათ შორის კვენტინ ტარანტინოს „ჯანგოც" და ოსკაროსანი „არგოც".

რუბრიკას წარმოგიდგენთ „ალდაგი ბისიაი"
www.facebook.com/aldagi

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავლის განათლება და საქართველო

ავტორი: ირმა კახურაშვილი

ინტერნეტის ერამ არა მხოლოდ შეცვალა განათლების სისტემების განვითარების ტემპი, არამედ მათი სწრაფი ტრანსფორმირებაც გამოიწვია. ბევრი ქვეყანა საკუთარი მომავლის მკაფიო ხედვაზე დაფუძნებული განათლების კონცეფციის ერთიანი ქოლგის ქვეშ მოექცა, ბევრმაც საერთაშორისო პროცესებთან ჰარმონიზაცია მხოლოდ ფორმალურად მოახერხა. განათლების სტანდარტებთან მისადაგების ლიანდაგზე გადასვლა საქართველომაც სცადა. თუმცა, ექსპერტთა აზრით, განათლების სისტემის სრულფასოვანი რეფორმისათვის ჯერ საზოგადოებრივი აზროვნების შინაგანი რეფორმირება იყო საჭირო. გამოტოვა თუ არა განვითარების ეს ეტაპი საქართველომ და რამდენად შეესაბამება ქართული განათლების სისტემა თანამედროვე სამყაროს, ერგება თუ არა ახალი თაობის საჭიროებებსა და ინტერესებს, რამდენად პრაქტიკულ ცოდნა-უნარებს გვაძლევს სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი და მზად არიან თუ არა ქართველი ახალგაზრდები გლობალური კონკურენციისთვის, ამის შესახებ დღეს ჩვენი თემატური ნომრის სტუმრები იმსჯელებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანა ჯავახიშვილი
ფსიქოლოგი

„პედაგოგს უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ ღირსეულია“

კარგი იქნებოდა საქართველოში ისეთი კვლევის ჩატარება, რომელიც თანამედროვე განათლების სისტემის შესახებ ბავშვების, ახალგაზრდების, მშობლებისა და პედაგოგების აზრს შეისწავლიდა, გამოავლენდა მათ ინტერესებსა და საჭიროებებს. სწორედ ამის გათვალისწინებით უნდა მოხდეს განათლების სისტემის ხელახალი გამართვა. რაც უფრო მეტად იქნება აგებული განათლების სტრატეგია რეალური დაინტერესებული სუბიექტების აზრისა და საჭიროებების კვლევაზე, მით მეტი შანსი ექნება უპასუხოს ამ საჭიროებებს. რაც უფრო მეტი თვითმმართველობის შესაძლებლობას მივცემთ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მით უფრო მეტი შანსი გვექნება სწავლა-განათლების პროცესი გახდეს მოქნილი.

რა უნდა ვასწავლოთ თანამედროვე მოქალაქეს? უპირველეს ყოვლისა, ხელი თვითკმარობაში უნდა შევუწყოთ, გავზარდოთ თვითკმარი მოქალაქე, რომელსაც მოქალაქეობრივი ცნობიერება და ფასეულობები აქვს. ამიტომ განათლების სისტემა ბავშვზე ცენტრირებული უნდა იყოს. ამიტომ მას უნდა ვკითხოთ, თუ რა ესაჭიროება. მაგრამ შეუძლებელია თვითკმარობის სწავლება „მოყოლით“, „გადმოცემით“. თუ ბავშვმა ან ახალგაზრდამ ვერ დაინახა, რომ ის თვითკმარ სისტემაშია ჩართული, მაშინ რამდენიც უნდა ვუჩიჩინოთ იყავი თვითკმარიო, ეს არ იმუშავებს. ბავშვი უფრო მეტს სოციალურად დაისწავლის, ვიდრე „აღმზრდელობითი მითითებებით“. ერთი მეგობარი მყავს, რომელიც ზომაზე მეტს მიირთმევს და, ბუნებრივია, მისი შვილიც, მისივე მიბაძვით, ჭარბად იკვებება. ჩემს მეგობარს სულ უკვირს, „შვილს ვეუბნები, ამდენს ნუ ჭამო და წარმოგიდგენია, მაინც ჭამსო“. ეს კონკრეტული მაგალითი კვების კულტურაზეა და ნებისმიერი სახის კულტურა, რისი დამკვიდრებაც გვსურს, ჩვენ უნდა ვაჩვენოთ.

თუ ჩვენს საზოგადოებაში პედაგოგები თავს მარგინალიზებულად გრძნობენ, მათი აღზრდილი თაობიდან დიდ ვერაფერს უნდა ველოდოთ. ამიტომ სკოლა უნდა გახდეს თვითკმარი და მოქალაქეობრივი, დამოუკიდებელი და პასუხისმგებელი სუბიექტი. პედაგოგს უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ ღირსეულია. მხოლოდ ამ შემთხვევაში გაუფრთხილდება თავისი მოსწავლის ღირსებას. მოსწავლის ღირსების გაფრთხილება მისი განათლების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

კანტმა თქვა, რომ ადამიანი უდიდესი ფასეულობაა, ხოლო მისი ყველაზე ფასეული მახასიათებელი მისი ღირსებაა. სხვის ღირსებას ისევე უნდა გაუფრთხილდე, როგორც შენსას. ეს იმთავითვე მოცემული, თანდაყოლილი, კატეგორიული იმპერატივია – მოექცე ადამიანთა მოდგმას იმგვარად, რომ ადამიანი შენი მოქმედების მიზანი იყოს და არასდროს – საშუალება. სკოლას, რომელსაც გასიგრძეგანებული აქვს ეს კატეგორიული იმპერატივი, ფაქტობრივად, აქვს იმის ალგორითმიც, თუ როგორ უნდა აღზარდოს ღირსეული მოქალაქე. ღირსეულ მოქალაქეს ღირსეული მაგალითის გარეშე ვერ გავზრდით.

* * *

ალბათ განათლების სისტემის სრულფასოვანი რეფორმისთვის საზოგადოებრივი აზროვნების შინაგანი რეფორმირებაა საჭირო, ადამიანის ღირსების გაფრთხილების კულტურის დამკვიდრება საზოგადოებრივ ცნობიერებაში. ეს არ მიიღწევა მუდმივი დადანაშაულების ობიექტის ძიებით საკუთარი თუ სხვისი შეცდომების ატრიბუციისთვის. ეს მხოლოდ საკუთარი და სხვისი ღირსების გაფრთხილებით მიიღწევა და თუ ვერც ერთისთვის ვერ მოგვივლია, მაშინ ჯერ უნდა მოვმწიფდეთ იმისათვის, რომ მოწიფულად ვიმსჯელოთ განათლების სისტემის რეფორმაზე.

ვერავითარი „კომპიუტერი და ინგლისური“, გნებავთ, დღევანდელ დღეს შემოპარული „რუსული და ინგლისური“ ვერ ჩაანაცვლებს ღირსების გაფრთხილების კულტურას განათლების საქმეში. მის გარეშე კვლავ აღუზრდელები და გაუნათლებლები დავრჩებით. ალბათ ამიტომაც ხშირად გავიგონებთ: ეს რა შუასაუკუნეობრივი აზროვნებაა ჩვენს საზოგადოებაში. არის და იქნება, სანამ კანტისეულ კატეგორიულ იმპერატივს არ მივუგდებთ ყურს, რომლითაც მან ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში დაამთავრა ადამიანის სიცოცხლისა და მისი ღირსების მიმართ შუასაუკუნეობრივ-ინკვიზიციური, აგდებული დამოკიდებულება.

* * *

თუ გვინდა გავცეთ პასუხი შეკითხვაზე, რა ვასწავლოთ ბავშვს, ვფიქრობ, ბევრი ნაწარმოები, რომლებსაც ახლანდელი მოსწავლეები სწავლობენ, ძალიან ფასეულია. მაგრამ ის, თუ როგორ ვასწავლით – რა ფორმატებს ვიყენებთ მასალის მისაწოდებლად, გაკვეთილის სტრუქტურის აგებისას, აქ ძალიან დიდ პრობლემებს ვხვდებით.

აუცილებელია გაკვეთილი იყოს საინტერესო. ამისათვის პედაგოგი მზად უნდა იყოს თავისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, სწავლების თანამედროვე მეთოდები კარგად გათავისებული და დანერგილი უნდა იყოს განათლების

რა უნდა ვასწავლოთ თანამედროვე მოქალაქეს? უპირველეს ყოვლისა, ხელი თვითკმარობაში უნდა შევუწყოთ, გავზარდოთ თვითკმარი მოქალაქე, რომელსაც მოქალაქეობრივი ცნობიერება და ფასეულობები აქვს. განათლების სისტემა ბავშვზე ცენტრირებული უნდა იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისტემაში და კიდევ ერთი პირობა: პედაგოგი მოტივირებული უნდა იყოს. ჩვენი პედაგოგი კი თავს ღირსებააყრილად, დაუფასებლად, ცხოვრებისგან დაღლილად გრძნობს. ასეთი მარგინალიზებული ყოფიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ის არ არის მოტივირებული პროფესიული ზრდისთვის.

და კიდევ ამ პრობლემის უაღრესად მნიშვნელოვანი მხარე: რას ელის პედაგოგისგან მშობელი – მხოლოდ ნიშანს, რომელიც ბავშვს ისეთი მომავლის დაგეგმვაში არ შეუშლის ხელს, როგორიც მას უნდა თუ ცოდნასაც? თუ იმის მოლოდინი აქვს, რომ აღზრდის თვალსაზრისით, როლური მოდელი უნდა იყოს პედაგოგი? რამდენად ავტორიტეტულია პედაგოგი მშობლისთვის? რამდენად უფრთხილდება მშობელი პედაგოგის ღირსებას? თუ არ უფრთხილდება, მაშინ ნუ მოელის, რომ მისი შვილი გაუფრთხილდება პედაგოგის ღირსებას. ამ შემთხვევაში არც პედაგოგი გაუფრთხილდება მოსწავლის ღირსებას. ასე იკვრება მანკიერი წრე განათლების სისტემაში, რომლის გასარღვევადაც ამ პრობლემებს არა მარტო დანახვა, არამედ გაცნობიერება და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, აღიარება უნდა.

* * *

მჯერა, რომ არ არსებობს თემა და საგანი, რომლის საინტერესოდ სწავლების აწყობა შეუძლებელია. პრობლემა იმაში არ არის, თუ რას ვასწავლით, პრობლემა იმაშია, თუ როგორ ვასწავლით. ინტერესის არქონა ცუდად სწავლების შედეგია. მაგალითად, მე არ მაინტერესებდა სკოლაში გარკვეული საგნები, გარკვეული საგნების მიმართ ითვლებოდა, რომ „მიდრეკილება არ მქონდა". მოგვიანებით, როცა სკოლა დავამთავრე და მისგან დისტანცირებული გავხდი, აღმოვაჩინე, რომ თურმე ძალიანაც მაინტერესებს ეს საგნები და „მიდრეკილებაც" კი მაქვს მათ მიმართ... უბრალოდ, იმდენად უინტერესოდ მასწავლიდნენ, რომ სკოლის პირობებში ამ საგნებზე ან მათ პედაგოგებზე ნეგატიური პირობითი რეფლექსები მქონდა.

თუ სწავლების პროცესში ვიხელმძღვანელებთ თანამედროვე პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მონაპოვრით და ბავშვს როგორც უნიკალურ ინდივიდს, ისე მივუდგებით, მას განათლების ინდივიდუალურ ამოცანებს დავუსახავთ და განვითარების უახლოესი ზონის მიღწევაში დავეხმარებით, ყოველგვარ მიდრეკილებაზე დისკრიმინაციული მსჯელობა ზედმეტი გახდება. იმედია, სწორედ ასე მოხდება ჩვენი განათლების სისტემის განვითარება.

* * *

იმისათვის, რომ ჩვენი განათლების სისტემა კონკურენტუნარიანი იყოს, საჭიროა მისი მოდერნიზაცია. აქ ბევრი ამოცანები დგას: სკოლებისა და უმაღლესი დაწესებულებების თვითთკმარობისა და თვითმმართველობის უზრუნველყოფა, სკოლებში, უმაღლეს დაწესებულებებში, საერთოდ განათლების სისტემაში ღირსების გაფრთხილების კულტურის დამკვიდრება, პედაგოგის პროფესიის დე-მარგინალიზება, განათლებაში საერთაშორისო დასავლურ პროცესებთან/სტანდარტებთან ჰარმონიზაცია, სწავლა-სწავლების მეთოდებისა და ფორმატების მოდერნიზაცია, კადრების მომზადება და სხვ.

ლევან გიგინეიშვილი
მასწავლებელი

„სწავლის ჩვევა, კონცენტრაციის უნარი და გემოვნება"

შეესაბამება თუ არა განათლების არსებული სისტემა თანამედროვე სამყაროს, რამდენად ერგება იგი თანამედროვე ბავშვების და ახალგაზრდების საჭიროებებსა და ინტერესებს? თუ თანამედროვე სამყაროში იგულისხმება ადამიანების მზარდი მისწრაფება წარმატებისკენ, მატერიალური უსაფრთხოების დაკარგვის მომატებული განგაში და ამის გამო ბაზრის ცვალებად მოთხოვნებზე ორიენტირებულობა, უფრო პრაქტიკულობა, ვიდრე იდეალიზმი, მაშინ საქართველოს განათლების სისტემა ვერ შეესაბამება თანამედროვე სამყაროს გამკაცრებულ მოთხოვნებს. ბოლონიის პროცესთან გაერთიანება ითვალისწინებდა სწორედ თანამედროვე გამოწვევების მიღებას. განათლება უნდა გამხდარიყო უფრო პრაქტიკული და მისადაგებული თანამედროვე ცხოვრების სირთულესთან. ბოლონიის პროცესში ერთ-ერთი მთავარი აქცენტი გამახვილებულია ე.წ. სწავლის შესწავლაზე, ანუ უნარზე, რომ სწრაფად ისწავლო რამე ახალი დისციპლინა, პროფესია. მზად იყო მოერგო ახალ საბაზრო ვითარებას, ახალ ინტერესებს და არ დარჩე სამუშაოს გარეშე. სამწუხაროდ, ბოლონიის პროცესთან შეერთება ფორმალობა აღმოჩნდა. საქართველოში დასაქმება დიდ პრობლემად რჩება. სტუდენტებს არა აქვთ ცხადი ხედვა, რომ თუ

კარგად ისწავლიან, შესაბამისად, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ღირსეულ და პროფესიის შესაფერის სამუშაოს იშოვიან. უცხოეთში კურსდამთავრებულებიც კი ვერ ახერხებენ სამუშაოს პოვნას. ისიც ფაქტია, რომ უცხოეთში უფრო ხარისხიანი განათლების სისტემაა, ვიდრე ჩვენთან.

* * *

მიუხედავად იმისა, რომ პლანშეტებისა და ინტერნეტის ერაში ვცხოვრობთ, წიგნის კითხვის ღირებულებას ვერაფერი შეცვლის. თუმცა, ცხადია, ინტერნეტი უდიდესი რესურსია. განათლების პროცესში მისი უარყოფა სისულელე იქნება როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის მხრიდან. მართალია, ცოცხალ ლექციას – ლექტორსა და სტუდენტებს შორის ინტერაქციას – ეს ვერ ცვლის, მაგრამ როდესაც ამის საშუალება არ არის, ხარისხიანი ონლაინური კურსი და ლექციები, როგორც იტყვიან, „მეორე საუკეთესო“ გამოსავალი შეიძლება იყოს.

* * *

უკვე ათი წელია ქართულ ლიტერატურას სკოლაში ვასწავლი და არასდროს ვაძლევ ბავშვებს საზეპიროებს. უბრალოდ, ვეუბნები, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბარათაშვილის „ხმა იდუმალის“ ნებაყოფლობით დაიზეპირებენ, ბონუს-ხუთიანს დავუწერ. მათი ნებაა ისწავლონ ზეპირად თუ არა. ერთხელ, სტუდენტობისას, „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად სწავლა გადავწყვიტე. მართლაც შევძელი ავთანდილის და ასმათის შეხვედრამდე მისი დაზეპირება, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ასე თუ გავაგრძელებდი ძალადობას საკუთარ თავზე, პოემას საერთოდ შევიძულებდი.

ზეპირობა არა, მაგრამ მნიშვნელოვანია პოეტური ნაწარმოების კრიტიკული განხილვა და გააზრება, მსჯელობა მხატვრულ ხერხებზე, მეტაფორებზე, ნაწარმოების ეპოქალური კონტექსტისა თუ ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობითი ფონის გააზრება. გივი ზალდასტანიშვილის ამერიკულ აკადემიაში, სადაც ვასწავლი, სწორედ ამგვარი გაკვეთილები ტარდება: სახლში ბავშვები კითხულობენ ლიტერატურულ ტექსტებს და მთელი გაკვეთილი, ოვალური მაგიდის გარეშემო, განიხილავენ და არჩევენ. ამ დროს ცხადად გამოჩნდება ხოლმე, ვინ როგორ წაიკითხა ტექსტი, ვინ უფრო მიაქცია საინტერესო დეტალებს ყურადღება და ვის რა ორიგინალური აზრი გაუჩნდა.

ერთი ჩემი ამერიკელი პროფესორი გვეუბნებოდა: ადრე კარგ კლასიკოს ფილოლოგად მაშინ მიგიჩნევდნენ, თუ შეგეძლო მიგეთითებინა ამა თუ იმ ციტატის ან გამოთქმის ადგილი ჰომეროსთან ან ჰეროდოტესთან. ახლა კი, ამას ასიათასჯერ უფრო სწრაფად და ეფექტურად კომპიუტერული პროგრამა აკეთებს. მაშასადამე, კარგი კლასიკოსობისთვის სხვა და უფრო მნიშვნელოვან რამეებში გახდა საჭირო

საქართველოში დასაქმება დიდ პრობლემად რჩება. სტუდენტებს არა აქვთ ცხადი ხედვა, რომ თუ კარგად ისწავლიან, შესაბამისად, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ღირსეულ და პროფესიის შესაფერის სამუშაოს იშოვიან.

დახელოვნება, კერძოდ, ტექსტების ანალიზში, რეფლექსირებაში, ახალი საზრისების აღმოჩენაში. რაც შეეხება ტრიგონომეტრიის ფორმულებს, ვერ გეტყვით, მათემატიკის სფეროს სპეციალისტი არ ვარ.

სკოლა და უნივერსიტეტი სწავლის ჩვევას, კონცენტრაციის უნარსა და გემოვნებას უნდა უვითარებდეს მოსწავლეს, რაც ჩვენთან არ ხერხდება. კონკრეტულ მაგალითს მოგიყვანთ: ახლახან ჩემი ერთი ახლობელი ჩამოვიდა უცხოეთიდან, იქ სწავლობს აქაური უმაღლესის დამთავრების შემდეგ. მითხრა, რომ ისეთი ელემენტარული რამეების სწავლა უწევს, რაც ევროპელ სტუდენტებს ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი. ვთქვათ, აკადემიური სტილით წერა – ეს ჩვენში არ ან არასათანადოდ ისწავლება. ამიტომ ჩვენს სტუდენტებს აუცილებლად სჭირდებათ ცალკე კურსის აღება აკადემიურ წერაში.

* * *

ყველაზე დიდი პრობლემაა, როდესაც მოსწავლე ან სტუდენტი საერთოდ გულს იცრუებს სწავლაზე, გამოცდების წინ უგემურად ღეჭავს სასწავლო მასალას და ძირითადად, ლექციებზე დაყიალობს. სწავლის ჩვევის და სწავლისადმი გემოვნების დაკარგვა კი პიროვნული კატასტროფაა. ძნელია საქართველოში ამ კატასტროფას გადაურჩე და, ილიას მეტაფორა რომ გამოვიყენო, „სიბნელესა და სინათლის შორის გადებული ბეწვის ხიდი“ არ ჩაგიტყდეს. მახსოვს, როდესაც ჩემი უნივერსიტეტში სწავლის დროს ტოტალური ყიალი იყო, თავს ვაძალებდი, რომ დღეში საათნახევარი მაინც, რაც არ უნდა მომხდარიყო, მემუშავა ჩემს ოთახში. საქმე რომ არ მქონდა, ვიგონებდი ამ საქმეს, მაგალითად, ინგლისურ წიგნს ვთარგმნიდი. ახლაც მაქვს შენახული თარგმანის ხელნაწერი...

* * *

როდესაც ბავშვობაში მშობლები რამე წიგნს გაძლევენ წასაკითხად, თავიდან შეიძლება ხათრით ან იძულებით წაიკითხო, მერე კი ისე შეხვიდე ეშხში, რომ ეზოში გასვლას და თამაშს წიგნთან დარჩენა გერჩივნოს. ასე რომ, სწავლის პროცესში მარტო ეროსი და შეუცნობლისკენ მხიარული მისწრაფება არ მოქმედებს, მას მტკივნეული და ასკეტური მხარეც აქვს, გურამიშვილის ფორმულის მსგავსად „სწავლის ძირი მწარე არის კენწეროში გატკბილდების“. მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანია და საჭირო თუნდაც ჯერ ნაკლებსაინტერესო საგნების შესწავლისას კონცენტრაციის და ძალისხმევის გამოჩენა, მაინც მეცნიერად ვერ ჩამოყალიბდები, თუ რამე საგანმა განსაკუთრებით, მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებით არ მიგიზიდა და დაგაინტრიგა. ეს ზოგჯერ შემთხვევითაც ხდება. მაგალითად, შემთხვევით წაიკითხე რაღაც სტატია პალეონტოლოგიაზე, გაგიტაცა და იმის მერე ეს მთელი შენი ცხოვრების ინტერესად იქცა. მე, მაგალითად, ფეხბურთი მას შემდეგ შემიყვარდა, როდესაც ექვსი წლისამ დოკუმენტური ფილმი „ეს პელეა“ ვნახე. ამის მერე, რაც კი ფეხბურთზე იწერებოდა ქართულად, ყველაფერს ვკითხულობდი.

შეიძლება საგნის შეყვარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მასწავლებელს ან ლექტორს ჰქონდეს და პედაგოგმა თავისი პირადი მუხტით და ეფექტური გადმოცემის უნარით მოინადიროს მოსწავლე.

* * *

მნიშვნელოვანია განათლება მიმართული იყოს ადამიანის მარადიული ფასეულობისკენ. ადამიანი ერთხელ ცხოვრობს და განათლებამ მას უნდა მისცეს აღქმა იმისა, რომ სამყაროს საიდუმლოებების წინაშე დგომა, გაურკვევლობების ამოხსნისადმი მისწრაფება, მოვლენების მიზეზებში ჩაწვდომის სურვილი ნებისმიერ დისციპლინაში და მეცნიერებაში, არის ყველაზე კეთილშობილური და ადამიანური საქმიანობა. განათლებამ უნდა გაგვიღვივოს განცვიფრების უნარი და უსასრულობის წინაშე ერთგვარი მოკრძალებული თრთოლა.

ქეთი გურჩიანი
ანთროპოლოგი

„ქართული სკოლა ბავშვებს სხვისი ნააზრევის დაფასებას ასწავლის“

განათლების თანამედროვე სისტემები, რომლებიც აგებულია არა მოსწავლის ქარხნულ წარმოებაზე, არამედ მისი განსაკუთრებულობის გამოვლენაზე, უფრო წარმატებულია. ერთნაირი ტესტებისა და გამოცდების ჩამბარებელი, ერთ ყალიბში მოქცეული მოქალაქეების პროდუქცია წარსული მგონია. რა თქმა უნდა, არსებობს განსხვავებები სისტემის შიგნით. მთავარია, ეს სისტემა ძალიან არ გბოჭავდეს და თუ მთლიანად ვერ ხერხდება ბავშვების მრავალფეროვანი უნარების გათვალისწინება და შემოქმედებითი სწავლება, ცალკეული კუნძულების არსებობაც დასაშვებია.

* * *

არ ვარ განათლების სპეციალისტი და მხოლოდ პირადი გამოცდილება მალაპარაკებს. ჩვენს შვილებს ამერიკულ სკოლებში უწევთ სწავლა. მანამდე კი ისინი ქართულ სკოლაში დადიოდნენ. შევამჩნიე, რომ სკოლა კალიფორნიაში მათგან ქმნის ადამიანებს, რომლებმაც თვითონაც უნდა შექმნან რაღაც. გზა კი, რომლითაც ისინი შექმნიან, შეიძლება ძალიან მრავალფეროვანი იყოს. ბავშვებმა ყველა ის რესურსი უნდა გამოიყენონ, რომელიც მათ ძლიერ მხარეს წარმოადგენს. სკოლა ნიუ-იორკში მათგან წესიერ მოქალაქეებს აყალიბებს. ასეთი მოსწავლე კარგად ჩააბარებს ტესტებს, კარგად იაზროვნებს ჩარჩოს შიგნით და თუ გაარღვევს მას, გაარღვიოს. ქართული სკოლა კი მათ სხვისი ნააზრევის დაფასებას ასწავლის. იქნებოდა ეს ტექსტების ზედმიწევნით გამეორება თუ სხვისი ტექსტების გადმოცემა ე.წ. ზეიმებზე.

მგონია, რომ ამ შემთხვევაში მომავალი კალიფორნიელი ბავშვებისაა, ანუ ისეთი სისტემის, რომელიც მოსწავლეებს დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანებად აყალიბებს. მათ აქვთ თავისუფლება და ბევრი გზა, რომ თავიანთი სათქმელი თქვან.

* * *

გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვანია რას ვასწავლით, ისიც მნიშვნელოვანია, როგორ და რატომ ვასწავლით, გვინდა თუ არა, რომ ახალგაზრდას კრიტიკული აზროვნება ჩამოვუყალიბოთ, ვასწავლოთ ცოდნის შეძენა, პრობლემების გადაჭრა... მოდით, ჯერ ვთქვათ, რისთვის გვჭირდება, რომ სკოლაში ან უნივერსიტეტში ყველას წაკითხული ჰქონდეს ერთი და იგივე ტექსტი, შემდეგ კი ვიმსჯელოთ იმაზე, რისი გაკეთება შეიძლება.

ნებისმიერი ერი თავად ირჩევს მისთვის მნიშვნელოვან ტექსტს და მის ირგვლივ ერთიანდება, ანუ ამ ტექსტებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას კულტურა ანიჭებს, მერე კი ეს ტექსტები ქმნიან კულტურას. ეს ორმხრივი მოძრაობაა. ასეთი ტექსტები ასევე წარმოადგენენ მეტაფორების საერთო სკივრს, საიდანაც ვიღებთ გამოთქმებს, ხატებს, სიმბოლოებს და არ გვჭირდება ერთმანეთისთვის ახსნა, როცა ვამბობთ „ბუზებს ითვლის ჭერზე“, რას ვგულისხმობთ. ეს ყველაფერი მშვენიერია და იდენტობის გამყარებას ემსახურება. მაგრამ რა არის ის მსხვერპლი, რომელსაც ვიღებთ, როცა დიდ ნაწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოებებს ვასწავლით ისე, როგორც ვასწავლით? ძირითადი მსხვერპლი არის უკრიტიკო დამოკიდებულება და თავისუფლების შეზღუდვა. ყველა და ყველაფერი შეიძლება გააკრიტიკო, დააყენო ეჭვის ქვეშ. ამ საქმეში გვჭირდება გარღვევა და არა ავტორიტეტების უკრიტიკო მორჩილება.

მგონია, რომ სახელმძღვანელოების ავტორების დონეზე იმის გადაწყვეტა, თუ რა ტექსტები იქნება შეტანილი სახელმძღვანელოში, საკმარისია. არაფერ შუაშია სახელმწიფო და რაიმე გეგმა. ასევე, მასწავლებელს უნდა შეეძლოს, არჩევანი მისცეს ბავშვს, გაუშვას ბიბლიოთეკაში და უთხრას, აირჩიოს წიგნი, რომელიც მას მოსწონს და წაიკითხოს. თუ მასწავლებელი კარგი მეგზურია, კარგი წიგნისკენ უბიძგებს, თუ არა, ბავშვი გააკრიტიკებს ცუდ წიგნს და ამით მეტს შეიძენს, ვიდრე დაძალებული ტექსტის კითხვით.

* * *

ზოგი სკოლა და უნივერსიტეტი მოსწავლეს/ახალგაზრდას აძლევს იმ უნარებს, რომლებიც მას მომავალში დასჭირდება. თუმცა, რასაკვირველია, ცუდ სასწავლებლებშიც არსებობენ ცალკეული პროფესორები და მასწავლებლები, რომლებიც ახერხებენ ცოდნის გადაცემას, ცოდნის კონსტრუირების მოდელზე გადასვლას სტუდენტებთან და მოსწავლეებთან ერთად. ვთქვათ, ჩვენთან სასაცილოდ არ ყოფნით ასეთი მიდგომა – მოსწავლემ ფიზიკის კანონები თავად უნდა აღმოაჩინოს. არადა, ეს იდეა განათლების მეცნიერებაში დაახლოებით ერთი საუკუნეა წამყვანია. იდეის თანახმად, პედაგოგი მხოლოდ გიდია, რომელიც უძღვება მოსწავლეს და იქეთკენ მიჰყავს, რომ ის მიხვდეს, როგორ შეიქმნა ეს ცოდნა. თუ ვერ მიხვდა და მხოლოდ დაიზეპირა, ახალს ვერ შექმნის და დაზეპირებულიც მალე დაავიწყდება. უნდა შევქმნათ გარემო, სადაც სტუდენტები იძენენ ცოდნას, მიდიან ამ ცოდნამდე. ის დრო, როდესაც დიდ აუდიტორიაში პროფესორი ლექციას ატარებდა და მას ჩუმად უსმენდნენ, წარსულს ჩაბარდა. ბოლო ორი წელია ამერიკის საუკეთესო უნივერსიტეტებში არაერთ ლექციას ვესწრები. 180-კაციან აუდიტორიებშიც ინტერაქციას ძალიან დიდი წილი აქვს. სტუდენტების კითხვები, დისკუსია ცვლის ლექციის მიმდინარეობას და პროფესორიც ამ ცვლილებებს მიყვება. სტუდენტები და პროფესორები ლექციის თანაავტორები არიან.

* * *

სკოლა/უმაღლესი სასწავლებელი ახალგაზრდებს გლობალური კონკურენციისთვის ახლა უკეთ ამზადებს, ვიდრე ეს საბჭოთა კავშირის დროს ხდებოდა. სტუდენტებს აქვთ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების საშუალება, სახელმძღვანელოები, რომლებსაც ბევრი ნაკლი აქვთ, მაგრამ შედარებით უფრო ფართო ხედვითაა შექმნილი. თუმცა ეს ჯერ მაინც არასაკმარისია. ამისთვის საჭიროა კრიტიკული აზროვნების, ასევე, ელემენტარული აკადემიური უნარ-ჩვევების განვითარება. მაგალითად, როგორ დასვა შეკითხვა, როგორ მოუსმინო, როცა სხვა საუბრობს, როგორ განარჩიო სანდო წყარო არასანდოსგან და ა.შ. ის ერთეული ადამიანები, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ კარგ უცხოურ უნივერსტიტეტებში, არ არიან საშუალოსტატისტიკური ქართველები. ალბათ, საშუალოსტატისტიკურია კინოთეატრში მობილურმომარჯვებული მაყურებელი, რომელიც თან ლაპარაკობს, თან ფილმს უყურებს, თან მზესუმზირას ყრის` აქეთ-იქით და მის გვერდით მჯდომიც ამას მშვიდად ეგუება...

* * *

თანამედროვე განათლების სისტემის განახლებული ამოცანა უნდა მოიცავდეს მეტ ინდივიდუალურ მიდგომას იმის გათვალისწინეით, რომ ინტელექტი ბევრნაირია და ბევრნაირად კარგი. შეიძლება, ვინმეს მათემატიკა არ ეხერხებოდეს, მაგრამ შესანიშნავად ხატავდეს ან სოციალურად საინტერესო და მნიშვნელოვანი ადამიანი იყოს. განათლების სისტემა არ უნდა იყოს აგებული ინტელექტის ერთფეროვნებაზე, არ უნდა რიყავდეს სხვებს. მრავალფეროვნება აუცილებელია ყველაფერში: სწავლებაშიც, შეფასებაშიც, მომავლის დაგეგმვაშიც. უნიფიცირებული გამოცდები, ტექსტების დაზეპირება ან დამოკიდებულება – „ილიაზე ცუდი არ თქვა, წმინდანია“, არ არის მომავლის განათლება.

ძირითადი მსხვერპლი არის უკრიტიკო დამოკიდებულება და თავისუფლების შეზღუდვა. ყველა და ყველაფერი შეიძლება გააკრიტიკო, დააყენო ეჭვის ქვეშ. ამ საქმეში გვჭირდება გარღვევა და არა ავტორიტეტების უკრიტიკო მორჩილება.

კოტე ჯანდიერი
მწერალი

„ქვეყანას ჭირდება განათლებული, კრიტიკულად მოაზროვნე, პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი, თავისუფალი მოქალაქეები“

ჩემი აზრით, საქართველოში არ არსებობს ნათელი წარმოდგენა სწავლების შინაარსთან დაკავშირებით, არ არსებობს საზოგადოებრივი კონვენცია იმ ფასეულობათა სისტემის შესახებ, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს განათლების პროცესს, არ გვაქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პასუხი კითხვაზე: როგორი მოქალაქის აღზრდა გვესაჭიროება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქვეყნის მომავალი, ეროვნული იდენტობა და კულტურული სუვერენიტეტი. არსებობს მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენები „გახსნილობის“, „სხვათა მიღწევების მიმღებლობისა“ და „მენტალური კარჩაკეტილობის დაუშვებლობის შესახებ“. ეს კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულებით არასაკმარისია განათლების სისტემის ჩამოყალიბებისთვის, მით უმეტეს, რომ გაუგებარია, სახელდობრ რომელი გამოცდილების მიმღებლობაზეა ლაპარაკი და რომლისაზე – არა.

* * *

ყოფილი განათლების მინისტრის, კახა ლომაიას განცხადება იმის შესახებ, რომ წიგნი ეს არის მხოლოდ



ინფორმაცია, რომლის მოკლედ გაცნობა ვიკიპედიითაც შეიძლება, სხვა არაფერია, თუ არა თანამედროვე ბარბაროსობა. თუკი ყველაფერს შევხედათ, როგორც ინფორმაციას, თუკი ჩავთვალეთ, რომ მთელი ეს ინფორმაცია ინტერნეტში, ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში ინახება, რომ „მისი მოძებნა ნებისმიერ წუთს შესაძლებელია ინტერნეტში“ და ამიტომ საჭირო აღარ არის თავში რაიმე ცოდნა გედოს, მაშინ გარანტიას გაძლევთ – ეს „წუთი“ არასდროს დადგება. გამოთაყვანებული ადამიანები ინტერნეტში არა ცოდნას, არამედ დროის მოსაკლავ, უაზრო თამაშებს, ჭორებს, სხვადასხვა საქონლის ფასებს და პორნოგრაფიას ეძებენ.

* * *

ზედაპირულ იდეოლოგიურ პაექრობაში, უაზრო „რეფორმებსა“ და ექსპერიმენტებში გავიდა ოცდაორი წელი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან და ამ პერიოდში მოვახერხეთ ის, რომ ჩვენი განათლების სისტემა საბჭოთა კავშირის დროინდელზე ბევრად მდარე, ზერელე და არაეფექტური გახდა.

* * *

ცოდნა თვითკმარი ღირებულებაა, რომელიც თავისუფალი აზროვნების, გარემომცველი სინამდვილისა და საკუთარი თავის შეცნობის საფუძველია. რას ნიშნავს „რეალურად გამოყენებადი“ ცოდნა? მონას და პირუტყვს ასეთი რამ არ სჭირდება. რობოტების მიკროჩიპებში ჩატვირთულია მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას სჭირდება და არც ერთი ბიტით მეტი, მაგრამ ადამიანი დაბადებიდანვე თავისუფალი და მოაზროვნე არსებაა და მისი გადაქცევა მონად, პირუტყვად ან რობოტად, კაცობრიობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულია. როგორც წესი, ამას ესწრაფიან მსოფლიოზე, ან, მინიმუმ, საკუთარ ხალხზე აბსოლუტური ბატონობის მსურველი ძალები და პიროვნებები. განა „რეალურად გამოყენებადი“ არ არის ცოდნა იმის შესახებ, თუ რა წერია „ვეფხისტყაოსანში“, „ღვთაებრივ კომედიაში“, „სტუმარ-მასპინძელში“ ან „ფაუსტში“, რა არის გამოსახული ყინწვისის ეკლესიის ან სიქსტის კაპელის ფრესკებზე, რისთვის გაწირა თავი სამასმა სპარტელმა, ჟანა დარკმა ან კოპერნიკმა. მაგრამ კაცობრიობას ეს ცოდნა რომ არ ეგროვებინა და არ გადაეცა შემდგომი თაობებისთვის, მაშინ ადამიანი – პირუტყვად, ერი – ბრბოდ, მსოფლიო ცივილიზაცია კი – გარეულ ცხოველთა პოპულაციად გადაიქცეოდა.

ცხადია, ყველაფრის ცოდნა შეუძლებელია. ამიტომ, ისმის კითხვა, რა არის ის უცილობელი ცოდნა, რომელიც ადამიანს უნდა ჰქონდეს ადამიანობის შესანარჩუნებლად, თავისუფალი საზოგადოების სრულყოფილ და სასარგებლო წვრად გახდომის, თვითშემეცნებისა და განვითარებისათვის? საბოლოოდ, ეს არის სფინქსის კითხვა იმის შესახებ, თუ რა არის ადამიანი. ამ კითხვაზე მე და კახა ლომაიას, როგორც ჩანს, სხვადასხვა პასუხი გვაქვს...

* * *

დედამიწაზე, მგონი, უკვე ყველამ გაიგო, რომ ადამიანს აქვს თანდაყოლილი და შეუვალი უფლებები. მაგრამ ამ უფლებებთან ერთად, იგი ვალდებულია თავისი არსებობით პრობლემა არ შეუქმნას სხვა ადამიანებს, საზოგადოებას და ჩვენს საარსებო გარემოს. ამას კი, სურვილის გარდა, გარკვეული ცოდნა სჭირდება. მაგალითად, თუ ადამიანმა არ იცის რატომ ცივა ზამთარში და რატომ ცხელა ზაფხულში, რატომ შრება წყაროები ტყის მოჭრის შემდეგ და, საერთოდ, წარმოდგენა არა აქვს ბუნების ელემენტარულ კანონზომიერებებზე, თუმცა კარგად იცის, როგორ კეთდება ფული – მაშინ ის, თავისდა უნებურად, საფრთხეს უქმნის გარემოს, გარშემო მყოფთა ჯანმრთელობას, კეთილდღეობას, საკუთარი შვილების მომავალს და, შესაძლოა, თვით სიცოცხლეს პლანეტაზე. თუ ასეთი ადამიანების რაოდენობა კრიტიკულ ზღვარს გადასცდება, მაშინ გლობალური ანთროპოგენული კატასტროფა გარდაუვალი გახდება. აქედან გამომდინარე, განათლება მართლაც გულისხმობს ბევრი ისეთი რამის ცოდნასა და გააზრებას, რისკენაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონკრეტულ ინდივიდს, შესაძლოა, არა აქვს მიდრეკილება. მაგრამ განათლებული ადამიანი ბუნებრივად ინტერესდება ასეთი საკითხებით, იმისდა მიუხედავად, ეხება თუ არა ეს უშუალოდ მისი ოჯახის ამწუთიერ კეთილდღეობას, პროფესიას ან კარიერულ წინსვლას.

* * *

განათლების პრობლემა მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის. საქმე არც ისე კარგადაა მსოფლიო მასშტაბით. მაგალითად, აკადემიკოსი არნოლდი თვლის, რომ სასკოლო განათლება საფრანგეთში, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში XX საუკუნის მეორე ნახევარში გატარებული, გაუაზრებელი რეფორმების შედეგად, კატასტროფულადაა დაცემული. კალკულატორით სარგებლობის ჩვევამ გამოიწვია ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების საგრძნობი დაქვეითება და სერიოზული პრობლემები ფიზიკური და მათემატიკური ამოცანების არსის გაგების თვალსაზრისით. მოსწავლეებს უჭირთ იმის გაგება, თუ რას ეკითხებიან.

პარიზის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ, პიერ და მარია კიურების სახელობის უნივერსიტეტში ერთ-ერთმა ლექტორმა შეამჩნია, რომ ფიზიკისა და მათემატიკის ფაკულტეტზე სტუდენტების დიდ უმრავლებას სერიოზული პრობლემები ექმნებათ ელემენტარულ არითმეტიკულ ოპერაციასთან, კერძოდ, გაყოფასთან დაკავშირებით. პრობლემა იმდენად თვალშისაცემი და საყოველთაო იყო, რომ ლექტორი დაინტერესდა საფრანგეთის საშუალო სკოლებში არითმეტიკის სწავლების მეთოდიკით. აღმოჩნდა, რომ ბავშვებს საერთოდ არ უხსნიან გაყოფის არსს და პირდაპირ, გამზადებული ალგორითმების სახით, ასწავლიან ქვეშმიწერით გაყოფას. ნორმალურ სასწავლო პროცესში, ალბათ ლოგიკურია, ადამიანს ჯერ ექვსი ვაშლის სამ ბიჭზე თანაბრად განაწილება შესთავაზო, რათა წარმოდგენა შეექმნას რაზეა საერთოდ ლაპარაკი, რა არის და რისთვისაა საჭირო გაყოფა, სანამ გამზადებული ფორმულების, ცხრილებისა და ალგორითმების გაზეპირებას დაავალებ. ეს მიდგომა გამორიცხავს ლოგიკურ აზროვნებას და აჩვევს კლიშეების და ყალიბების მექანიკურ დამახსოვრება-გამოყენებას დავალების შესასრულებლად. ახალი თაობის კალკულატორები წესების მექანიკურ დამახსოვრებასაც კი აღარ საჭიროებენ, რადგან მათი მეშვეობით ნებისმიერი არითმეტიკული, გეომეტრიული ან ალგებრული გამოთვლაა შესაძლებელი.

ასეთი სწავლების შედეგები ნათლად ჩანს იმ შეცდომებში, რომლებსაც ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტების სტუდენტები კალკულატორის ღილაკზე არასწორად დაჭერის გამო მომხდარ მექანიკურ შეცდომად, და არა აზროვნების ხარვეზად თვლიან. მაგალითად, დასახელებული უნივერსიტეტის ბაკალავრიატში ერთ-ერთმა სტუდენტმა კალკულატორის მეშვეობით გამოითვალა დედამიწის რადიუსი და პასუხად 10 მილიმეტრი მიიღო. ყველაზე უცნაური ის არის, რომ ეს შედეგი რვეულში გადაიტანა ისე, რომ არც დაფიქრებულა პასუხის აბსურდულობაზე. ეს უკვე ცდება საკუთრივ მათემატიკის სწავლების პრობლემას. შესაძლოა ვცდები, მაგრამ ასეთი თვალსაჩინო ხარვეზები და განათლების პაგანიზაცია მომდინარეობს სამომხმარებლო საზოგადოების მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო ფილოსოფიიდან და სტრატეგიიდან. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ძლიერნი ამა ქვეყნისანი ფიქრობენ, რომ თანამედროვე განვითარებულ საზოგადოებას ესაჭიროება მხოლოდ და მხოლოდ კარგი შემსრულებლები. კრეატიული, მოაზროვნე ადამიანების გამოყენებაც, ალბათ საჭიროა, მაგრამ მხოლოდ ერთეულების. ისინი თავისითაც გაიკვლევენ გზას. რაც შეეხება მასას, მოსწავლე ახალგაზრდობას და სტუდენტობას, სულაც არ არის აუცილებელი ასწავლო ფიქრი და აზროვნება, ეს მათ მხოლოდ ხელს შეუშლის პროფესიული მოვალეობების პირნათლად შესრულებაში. საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემამ უნდა მოახდინოს ყველაზე დამჯერი, შრომისმოყვარე და დავალებების უსიტყვოდ შემსრულებელი ადამიანების შერჩევა და წვრთნა.

ცხადია, ყველაფრის ცოდნა შეუძლებელია. ამიტომ ისმის კითხვა, რა არის ის უცილობელი ცოდნა, რომელიც ადამიანს უნდა ჰქონდეს ადამიანობის შესანარჩუნებლად, თავისუფალი საზოგადოების სრულყოფილ და სასარგებლო წვრად გახდომის, თვითშემეცნებისა და განვითარებისათვის?

* * *

უნდა გავიგოთ, რომ განათლების სისტემების კონცეფციები, სტრატეგიები და მართვა – ცოდნის დარგია. ამიტომ განათლების სისტემას უნდა ჩამოშორდნენ არაკომპეტენტური, საქმეში ჩაუხედავი, საეჭვო ფასეულობების მქონე პირები, პოლიტიკანები და პოპულისტები, ლომაიები, შაშკინები, სეფერთელაძეები და შავშიშვილები. ეს საქმე არ შეიძლება მივანდოთ მავანს მხოლოდ იმიტომ, რომ, სიტყვაზე, „კარგი მენეჯერია“. საზოგადოება კი ღრმად უნდა დაფიქრდეს, როგორი სამშობლო უნდა, რა თვისებების მქონე მოქალაქეები უნდა ქმნიდნენ ქვეყნის სხეულს და რა ადგილი უნდა ეკავოს ქართულ სახელმწიფოს ცივილიზებულ ერთა თანამეგობრობაში, ვინ უნდა ვიყოთ ჩვენ – სხვათა მიღწევებისა და დაგროვილი დოვლათის მომხმარებლები, ცივილიზაციის არიერგარდში მოჩანჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლე, სხვების მიერ გაკვალული გზის მტკეპნელები თუ საკუთარი მომავლის შემოქმედნი და ცივილიზაციის საგანძურში, სხვებთან ერთად რაიმე ღირებულის შემტანნი. ფინელებმა ეს მოახერხეს და შექმნეს დღესდღეობით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური განათლების სისტემა. მათ ეს

ამირან ბაბუნაშვილი
ეკონომისტი

„ადამიანმა სკოლაში ისეთი აღზრდა, ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა მიიღოს, რომ მოახერხოს მომავლის პრობლემებთან გამკლავება, მომავალში ცხოვრება."

შესძლეს არა სხვათა მიღწევებისა და შეცდომების ბრმა მიბაძვით, არამედ საკუთარი მომავლის მკაფიო ხედვაზე დაფუძნებული ორიგინალური კონცეფციის შექმნითა და ცხოვრებაში გატარებით.

თუ ჩვენ გავყვებით განათლების იმ ფილოსოფიას, რომელიც მიიჩნევს, რომ ქვეყანას და საზოგადოებას სჭირდება მხოლოდ კარგი შემსრულებლები, რობოტი-იდიოტები და არა განათლებული, კრიტიკულად მოაზროვნე, პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი, თავისუფალი მოქალაქეები, მაშინ საქართველოს არ ექნება მომავალი. ჩვენ არ უნდა დავუშვათ ქართველი ერის გადაქცევა მხოლოდ მომსახურების სფეროში დასაქმებულ, იაფფასიანი უცხოური საქონლის მომხმარებელ, ფიზიოლოგიურ მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე ორიენტირებულ მასად, რომელსაც არ შესწევს ინტელექტუალურ და სულიერ ფასეულობათა შექმნის უნარი. ეს ჩვენი ისტორიის დასასრული იქნება.

ცოდნა... ხვალინდელი ეკონომიკის ნავთობია. **ტოფლერი**

* * *

გარემო – სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ბიზნესის თუ სხვა – უსწრაფესად იცვლება და, ვინც რა უნდა თქვას, ამ ცვლილებებს ვეღარაფერი შეაჩერებს. თუ ამას ვერ დავინახავთ და ჩვენ მიერ სამყაროს აღქმა ისევ ძველ საუკუნეთა შესატყვისი იქნება, ჩამოვრჩებით. ტექნოლოგიურმა და საინფორმაციო რევოლუციამ ყველაფერი შეცვალა. ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა. ურთიერთობა საზღვრების გარეშე ჩვენი დროის უმთავრეს მახასიათებლად იქცა. ინტერნეტი უკვე მილიარდზე მეტ ადამიანს აერთიანებს და მათ წარმოუდგენელი მოცულობის ინფორმაციას სთავაზობს, მაგრამ ინფორმაციას მხოლოდ იმ ადამიანისთვის აქვს ფასი, ვისაც მისი გაგება შეუძლია. რაც მეტი ინფორმაციაა ღია და თავისუფალი, მით მეტია ცოდნის მნიშვნელობა. ცოდნის გარეშე ინფორმაცია აზრს მოკლებულია, აზრსმოკლებული ინფორმაცია კი – უსარგებლოა. დღეს ცოდნის სწრაფად განახლების მოწმენიც ვართ. *„ცოდნა ხანმოკლეა. ცოდნას ისე უნდა მოვეპყროთ, თითქოს იგი რძეა – მასზე გამოშვების თარიღი უნდა დავსვათ. თუ მას დროულად არ გამოვიყენებთ, ამჟავდება და გამოუსადეგარი გახდება"*, – აი, ასეთია ნორდსტრომისა და რიდდერსტალეს მიერ არსებული რეალობის ცოტა ირონიული, მაგრამ ზუსტი შეფასება.

კონკრეტული ცოდნა შეიძლება მოძველებულად ან, სულაც, არასწორად იქნეს მიჩნეული. მას ახალი შეცვლის. ასეთ დინამიკურ გარემოში ადამიანი მუდმივად იგრძნობს ცოდნის უკმარისობას, მუდმივად იპოვის ხარვეზს საკუთარ განათლებაში, თუ იგი ინფორმაციის ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის. სრულიად სხვაგვარადაა საქმე ცოდნის შემთხვევაში – რთულია თვალყური ადევნო ცოდნის ცვლილებას და განვითარებას. ცოდნის ის ტრადიციული „ბაგაჟი", რომლითაც სკოლა დიდი ხნის განმავლობაში ამარაგებდა ადამიანებს, აღარაა საკმარისი. მომავალში ეს პრობლემა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება. ადამიანი იძულებული იქნება ცოდნა და უნარ-ჩვევები უწყვეტად შეივსოს და განავითაროს. მხოლოდ ასე შეძლებს იგი სრულიად ახალი, უჩვეულო პრობლემების წარმატებით გადაწყვეტას და წარმოქმნილი შესაძლებლობებით სარგებლის მიღებას.

ასეთი რეალობა სკოლას რთული პრობლემის წინაშე აყენებს. ტრადიციულ კითხვებზე – „რა ვასწავლოთ? როგორ ვასწავლოთ? ვინ ასწავლოს?" – ტრადიციული პასუხები რეალობასთან სულ უფრო შეუსაბამო ხდება. შედეგად, სკოლა მასობრივად „აწარმოებს უხარისხო პროდუქტს", ანუ უშვებს ადამიანებს, რომელთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები არსებულ ვითარებას აღარ შეესაბამება. ის, რაც დღეს ისწავლება, უკეთეს შემთხვევაში, გუშინდელ სიტუაციას მიესადაგება (უარეს შემთხვევაში – გუშინწინდელს ან, საერთოდ, არც ერთს); წესით კი, ის დღევანდელსაც – არა, ხვალინდელს უნდა შეესაბამებოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საზოგადოება კარდინალურად იცვლება, ყალიბდება ახალი ეკონომიკა, შრომის ბაზარზე ფუნდამენტური ცვლილებები მიმდინარეობს, ცხადი ხდება – მომავალ თაობას ახალი ტიპის განათლება სჭირდება. ადამიანმა სკოლაში ისეთი აღზრდა, ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა მიიღოს, რომ მოახერხოს მომავლის პრობლემებთან გამკლავება, მომავალში ცხოვრება. მაშასადამე, სკოლისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გრძელვადიანი ხედვა და ამ ხედვის შესატყვისი ინოვაციების განხორციელება. რა საზოგადოებაში, როგორ ეკონომიკურ და ბიზნეს გარემოში იცხოვრებს და დასაქმდება ბავშვი, რომელიც დღეს პირველკლასელი ხდება? თუ მას იმ ცოდნას და უნარ-ჩვევებს არ მივცემთ, რომელიც ამ კითხვებზე გააზრებული პასუხის შედეგია, მაშინ ბრმად ვიქცევით და მომავლისთვის შეუფერებელ ადამიანებს ვზრდით.

* * *

უდავოა, განათლების სფეროში ინოვაციები მომავლის საფუძველია, მაგრამ სკოლა ვერ იქნება სიახლის მაძიებელი და განმახორციელებელი, თუ სახელმწიფო არ განუცხადებს მას თავის ურყევ მხარდაჭერას. უმთავრესი ისაა, რომ სკოლას ექსპერიმენტირების, ახლის ძიებისა და დანერგვის გარანტირებული უფლება ჰქონდეს. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ასეთ აქტივობას და სკოლა საჭირო რესურსით უზრუნველყოს. ასეთ შემთხვევაში ახალი, თანამედროვე სკოლის (სხვადასხვაგვარის!) ჩამოყალიბების შანსი გაჩნდება. მაგრამ, თუ სახელმწიფო (განათლების სამინისტროს ხელით) სკოლის ერთ სტანდარტს, ერთიან მოთხოვნას ჩამოაყალიბებს და ძირითად კითხვებს (რა ვასწავლოთ? როგორ ვასწავლოთ? ვინ ასწავლოს?) თავად გასცემს პასუხს, მაშინ ინოვაციური სკოლა ვერ ჩამოყალიბდება. სახელმწიფოს ასეთ ქმედებას თან სხვა უარყოფითი შედეგებიც შეიძლება მოყვეს.

მაგალითი პირველი: ჩვენში მიღებული და ფართოდ გავრცელებულია ე.წ. ტენდერების (ანუ პროდუქტის თუ მომსახურების კონკურსის წესით ყველაზე დაბალ ფასად შესყიდვის) სახიფათო (სხვათა შორის – დასავლური) პრაქტიკა. მაგრამ ფასი არაფერს ნიშნავს, თუ არ ვიცით შესაბამისი მომსახურების (ვთქვათ, გაკვეთილის ჩატარების) ან პროდუქტის (ვთქვათ, სახელმძღვანელოს) ხარისხის მაჩვენებლები. ფასების შედარება ადვილია, მაგრამ ხარისხში რომ გაერკვე, შესაბამისი ხედვა და კომპეტენციაა საჭირო. ხარისხის ადეკვატური კრიტერიუმების არარსებობის შემთხვევაში კი (ასეც იქნება, თუ „საუკეთესო" კრიტერიუმების ჩამოყალიბებას განათლების სამინისტრო ეცდება) შეკვეთას ის მიიღებს, ვინც ყველაზე დაბალი ფასის შეთავაზებას „მოახერხებს". საბოლოოდ, ეს აუცილებლად მიგვიყვანს უფრო მაღალ დანახარჯებამდე(!) და განათლების დაბალ ხარისხამდე.

ის, რაც დღეს ისწავლება, უკეთეს შემთხვევაში, გუშინდელ სიტუაციას მიესადაგება (უარეს შემთხვევაში – გუშინწინდელს ან, საერთოდ, არც ერთს); წესით კი, ის დღევანდელსაც არა, ხვალინდელს უნდა შეესაბამებოდეს.

მეორე მაგალითი: სახელმწიფოს მიერ განათლების სისტემის რეფორმასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება საზოგადოებაში პოლარიზაციას იწვევს. თუ რეფორმებს მოქალაქეთა ერთი ნაწილი მხარს დაუჭერს, მაშინ მეორე ნაწილი უსათუოდ წინააღმდეგი იქნება. ეს ბიუროკრატში შიშის, დაუცველობის გრძნობას იწვევს. შედეგად ცვლილებებისა და ინოვაციების მაგივრად პოპულისტური ქმედებები შეიძლება მივიღოთ. მით უმეტეს, მოსახლეობის უმრავლესობას არ შეუძლია იმის შეფასება, თუ რამდენად ფასეული და ეფექტიანია სკოლაში მიმდინარე რეფორმა. ეს კი პოპულიზმისთვის შესანიშნავი ნიადაგია – დღევანდელი უფასო სახელმძღვანელო უფრო მეტად ფასეული ჩანს, ვიდრე მომავალზე გათვლილი „უჩვეულო" სკოლის კონცეფცია თუ ინოვაციური პედაგოგიური სისტემა.

ისიც ვთქვათ, რომ რეფორმამ შეიძლება უსარგებლოდ აქციოს უკვე არსებული მომსახურებათა ნაწილი (ვთქვათ, რომელიმე დისციპლინის სწავლება). შედეგი მასწავლებლების მიერ სამუშაო ადგილების დაკარგვა იქნება, რაც მძიმე და არაპოპულარული გადაწყვეტილებაა ნებისმიერი მთავრობისთვის. მაგრამ, თუ მომავალზე ვფიქრობთ, თუ ცვლილებების გატარება ნამდვილად გვსურს, მაშინ პოპულისტური გადაწყვეტილებები არაფერს მოგვიტანს.

* * *

სკოლის ტრადიციული მისია – ინფორმაციული განათლება – ისტორიას ბარდება. თანამედროვე სკოლის „არატრადიციული" ამოცანები კრეატიული და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, ანალიზისა და გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებაა. როცა სკოლა აღარაა ცოდნის გავრცელების ერთადერთი საშუალება, სასკოლო განათლების მთავარი ამოცანა მოსწავლის თვითგანათლება და სკოლის გარეთ სწავლის მეთოდებითა და ინსტრუმენტებით მისი შეიარაღებაა. დღეს სკოლა ვალდებულია (!) აქცენტი ათვისებული ცოდნის მოცულობიდან აზროვნების ხარისხზე გადაიტანოს. განათლების სისტემის რეფორმა 21-ე საუკუნის გამოწვევად მიიჩნევა. მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია თავის რეკომენდაციებში აზროვნების ხარისხის გაუმჯობესებაზე მიმართული პედაგოგიური საშუალებების შექმნისა და დანერგვისაკენ მოუწოდებს ქვეყნებს.

ლევ ტოლსტოის მიხედვით

ჰაჯი – მურატი



რეჟისორი გიზო ჟორდანია

მარჯანიშვილის თეატრი

www.marjanishvili.com
www. facebook.com / MARJANISHVILIDRAMATHEATRE

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსიფ ბროდსკი

ქებათა ქება მოწყენილობას

1989 წლის ივნისში დარტმუთ კოლეჯის კურსდამთავრებულების წინაშე წარმოთქმული სიტყვა

მაგრამ თუ სამეფოს შენარჩუნება ვერ მოახერხე
და მამაშენის მსგავსად მიხვედ იქ,
სადაც აზრი ბრალს დებს, გრძნობები კი დაცინვას ემსახურება,
მაშინ საკუთარ ტკივილს მიუგდე ყური...
უ. ოდენი. „ალონსო-ფერდინანტს“

ფოტო: ეკატერინე მახათაძე

იმის მნიშვნელოვან ნაწილზე, რაც ამიერიდან წინ მოგელით, მოწყენილობა გამოაცხადებს თავის უფლებებს. მიზეზი, რის გამოც ამ საზეიმო დღეს თქვენთან ამაზე საუბრის სურვილი გამიჩნდა, იმაში მდგომარეობს, რომ ამგვარი მომავლისთვის – მე ასე ვვარაუდობ – თქვენ არც ერთი კოლეჯი არ გამზადებთ, და არც დარტმუთი იქნება გამონაკლისი. არც ზუსტი, არც ჰუმანიტარული მეცნიერებები მოწყენილობასთან გასამკლავებელ კურსს არ გთავაზობთ. უკეთეს შემთხვევაში შეიძლება მოწყენილობასთან გაცნობა დაგიპირონ, თან ისე, რომ უფრო დიდ მოწყენილობას შეგყრიან. მაგრამ ეს შემთხვევითი შეხება განუკურნებელ სნეულებას როგორ შეედრება? კათედრიდან წამოსული ყველაზე მონოტონური დუდუნი თუ სიტყვაუხვი სახელმძღვანელო, რომლის კითხვისას ქუთუთოები გიმძიმდებათ, არაფერია იმ ფსიქოლოგიურ საჰარასთან შედარებით, რომელიც თქვენსავ საძინებლებში იწყება და ჰორიზონტს ავიწროებს.

რამდენიმე ფსევდონიმით – სევდა, ნაღველი, მოყირჭება, შავნაღვლიანობა, სპლინი, გულდამძიმება, აპათია, დათრგუნვილობა, მოთენთილობა, სიცარიელის შეგრძნება, უიმედობა და ასე შემდეგ – მოწყენილობა – ცნობილი მოწყენილობა, რთული მოვლენაა და, ზოგადად, განმეორების პროდუქტი გახლავთ. ისე ჩანს, თითქოს მისი კურნება გამუდმებული გამომგონებლობის ნიჭსა და ორიგინალობაში უნდა ძევდეს. ანუ იმაში, რისი მოიმედენიც თქვენ ხართ – ნორჩნი და გაბედულებით სავსენი. ვაგლახ, რომ ცხოვრება ამგვარ შესაძლებლობას არ მოგცემთ, რადგან სიცოცხლის მექანიკაში მთავარი სწორედ განმეორებადობაა.

რა თქმა უნდა, ამ მოსაზრებასთან შეწინააღმდეგებაც შეიძლება: რომ პროგრესის, მაშასადამე კი ცივილიზაციის მამოძრავებელი ძალა ორიგინალობის და გამომგონებლობის მუდმივი მაძიებლობაა. თუმცა – რეტროსპექტიული ხედვის უპირატესობაც ამაში მდგომარეობს – ეს სულაც არ გახლავთ მამოძრავებელ ძალთაგან ყველაზე ფასეული, ვინაიდან, ეთიკურ კონცეფციებზე რომ არაფერი ვთქვათ, თუ ჩვენი სახეობის ისტორიას მეცნიერული აღმოჩენების მიხედვით დავყოფთ, დამაღონებელ შედეგს მივიღებთ. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვა, ხელთ მოწყენილობის საუკუნეები შეგვრჩება. თვით ორიგინალობისა და სიახლის ცნებები ავლენს სტანდარტული რეალობის, სიცოცხლის მონოტონურობას, რომლის მთავარი რითმა – არა, უფრო სტილი – მოწყენილობაა. სწორედ ესაა, რაც მას, სიცოცხლეს, ხელოვნებისგან გამოარჩევს, რომლის ყველაზე მძვინვარე მტერიც, ეგ თქვენც იცით, უეჭველია, კლიშეებია. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მოწყენილობასთან გამკლავებას ვერც ხელოვნება გვასწავლის. ამ თემაზე რამდენიმე რომანია დაწერილი; ფერწერული ტილო – კიდევ უფრო ცოტა; რაც შეეხება მუსიკას, მუსიკა უმეტესწილად არასემანტიკური რამაა. ერთადერთი ხერხი, რომლითაც ხელოვნება მოწყენილობისგან, კლიშეს ამ ეგზისტენციური ეკვივალენტისგან მხსნელ თავშესაფრად შეიძლება აქციოთ, ის იქნება, თუკი თავადაც შემოქმედები გახდებით. თუმცა იმდენნი ხართ, რომ ეს პერსპექტივა სწორედ იმდენადვეა ხიბლს მოკლებული, რამდენადაც ნაკლებ შესაძლებელი ჩანს.

მაგრამ საბეჭდ მანქანებს, მოლბერტებს და „სტეინვეებს“ ყველამ ერთადაც რომ მიაშუროთ, მოწყენილობისგან თავს მთლიანად მაინც ვერ მოიხლუდავთ. თუ მოწყენილობის დედა განმეორებაა, მაშინ თქვენ, ნორჩებსა და გაბედულებს, უღიარებლობის და დაბალი ანაზღაურების გამო სულის ხუთვა მალევე დაგეწყებათ, რადგან ხელოვნებას ერთიცა და მეორეც ქრონიკულად თან სდევს. ამ თვალსაზრისით ლიტერატურული შრომა, ფერწერა, მუსიკის თხზვა მნიშვნელოვანწილად ჩამორჩება საადვოკატო ბიუროში, ბანკსა თუ ლაბორატორიაში სამსახურს. რასაკვირველია, ხელოვნების მხსნელი ძალაც ამაში მდგომარეობს. რაკი მოგება არ მოაქვს, ერთობ უხალისოდ ხდება დემოგრაფიის მსხვერპლი. ვინაიდან, როგორც ვთქვით, თუ განმეორება მოწყენილობის დედაა, დემოგრაფია (რომელსაც თქვენს ცხოვრებაში გაცილებით დიდი როლის შესრულება უწევს, ვიდრე თქვენ მიერ შეთვისებულ რომელსამე საგანს) მისი მეორე მშობელია. შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზანთროპულად ჟღერდეს, მაგრამ მე თქვენზე ორჯერ უფროსი ვარ და დედამიწის მოსახლეობა ჩემ თვალწინ გაორმაგდა. იმ დროისთვის, როცა ჩემს ასაკს მიაღწევთ, მისი ოდენობა უკვე ოთხჯერ მეტი იქნება, და თან სრულებით სხვანაირად, ვიდრე თქვენ მოელით. მაგალითად, 2000 წლისთვის იმგვარი კულტურულ-ეთნიკური გადანაწილება მოხდება, რომელიც თქვენს კაცთმოყვარეობას გამოცდად მოევლინება.

თუნდაც მხოლოდ ეს შეამცირებს ორიგინალობის და გამომგონებლობის, როგორც მოწყენილობისგან თავდაცვის პერსპექტივებს. მაგრამ ყველაზე მონოქრომულ სამყაროშიც კი ორიგინალობასა და გამომგონებლობასთან დაკავშირებული სხვაგვარი გართულებები იმაში მდგომარეობს, რომ მათ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ანაზღაურებენ. თუკი პირველის ან მეორეს ნიჭი გაქვთ, მაშინ საკმაოდ მალე გამდიდრდებით. რაც უნდა სასურველი ჩანდეს ეს, თქვენმა უმეტესობამ საკუთარი გამოცდილებით იცის, რომ არავინ იტანჯება მოწყენილობით ისე, როგორც მდიდარი, რადგან ფული დროს ყიდულობს, დროს კი განმეორებადობის თვისება გააჩნია. მე ასე წარმომიდგენია, რომ სიღარიბისკენ არ მიილტვით – თორემ კოლეჯში ხომ არ შემოხვიდოდით – და ამიტომ მოსალოდნელია, რომ მოწყენილობა მაშინვე წამოგეწევათ, როგორც კი თვითდაკმაყოფილების პირველი იარაღი თქვენს ხელთ აღმოჩნდება.

თანამედროვე ტექნიკის წყალობით ეს იარაღი ისევე მრავალრიცხოვანია, როგორც მოწყენილობის სინონიმები.

ცოტნე ხარებაშვილი
მომავალი კინორეჟისორი

ჩაკეტილი სივრცის გარღვევისა და მოგზაურობის სურვილმა ლამის მეზღვაურობა გადააწყვეტინა, მაგრამ მერე, გაჩნდა კინოს სიყვარული და საკუთარი სამყარო, რომელიც ფილმს ჰგავდა. სწორედ ამიტომ თეატრალურში, სარეჟისოროზე ჩაბარება გადაწყვიტა. მიიჩნევს, რომ მის შემთხვევაში ფაკულტეტს გადამწყვეტი მნიშვნელობა არც აქვს – ადრე თუ გვიან, რეჟისორობა აუცილებლად გახდება მისი ძირითადი პროფესია.

სტუდენტობის პერიოდში აუცილებლად მიუბრუნდება ფილოსოფიას და ენათმეცნიერებას, ასევე, წიგნებსა და მუსიკას. აბიტურიენტობის მიზეზით ყველა სიამოვნებამ უკანა პლანზე გადაინაცვლა, ცხადია, დროებით.

თბილისის 52-ე საჯარო სკოლის დამთავრება მისთვის სხვა არაფერია, თუ არა იმის გაცნობიერება, რომ ცხოვრება, ისედაც მდიდარი შთაბეჭდილებებით, შეიძლება კიდევ უფრო დინამიკური და ახალი ემოციებით სავსე გახდეს.

მათი დანიშნულების გათვალისწინებით – დროის სიბევრე უნდა დაგავიწყონ – მათი რიცხოვნობა მრავლისმეტყველია. ასეთივე მრავლისმეტყველია თქვენი მსყიდველუნარიანობაც, რომლის მწვერვალებისკენ აქედან იმ ინსტრუმენტების ტკაცუნისა და ზუზუნის თანხლებით გაემართებით, თქვენს მშობლებსა და ნათესავებს ხელში მაგრად რომ უჭირავთ. ეს წინასწარმეტყველური სცენაა, 1989 წლის გამოშვების ლედი-ჯენტლმენებო, რადგან თქვენ მალე იმ სამყაროში შეაბიჯებთ, რომელშიაც მოვლენის ჩანაწერი თვით მოვლენის მნიშვნელობას ამცრობს – ვიდეოს, სტერეოს, დისტანციური მართვის, სპორტული კოსტიუმებისა და ტრენაჟორების სამყაროში, რომლებიც ფორმის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ, რათა შემდეგ ხელახლა განვლოთ თქვენი საკუთარი ან ვიღაც სხვის წარსული: კონსერვატიული აღფრთოვანება, რომელიც ცოცხალ ხორცს მოითხოვს.

რაც რეგულარობისადმი მიდრეკილებას ამჟღავნებს, მოწყენილობის საფრთხესაც შეიცავს. დიდწილად ეს ფულსაც ეხება – თვით ბანკნოტებსაც და მათ ქონასაც. რასაკვირველია, მოწყენილობის საკურნებლად სიღარიბის გამოცხადებას სულაც არ ვაპირებ – თუმცა, როგორც ჩანს, წმინდა ფრანცისკომ სწორედ ეს მოახერხა, მაგრამ გარემომცველი სიღატაკის მიუხედავად, ახალ-ახალი სამონასტრო ორდენების შექმნის იდეა ამ ჩვენს ვიდეოქრისტიანობის ეპოქაში მაინცდამაინც მიმზიდველი არ მეჩვენება. თანაც თქვენ, ნორჩნი და გაბედულნი, სიკეთის ქმნას სამხრეთ აფრიკის ამა თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ნაწილში უფრო ესწრაფვით, ვიდრე – თქვენსავ მეზობლად, და საყვარელ ლიმონათზე უფრო ადვილად იტყვით უარს, ვიდრე ღატაკთა კვარტალში ფეხის შედგმას დასთანხმდებით. ამიტომ სიღარიბის რეკომენდაციას ვერავინ გაგიწევთ. ერთადერთი, რაც შეიძლება გირჩიოთ, ფულთან სიფრთხილის გამოჩენა იქნება, რადგან თქვენს ანგარიშზე გაჩენილი ნულები შესაძლოა თქვენსავე სულიერ ეკვივალენტად გარდაიქმნას.

სიღარიბეს რაც შეეხება, მოწყენილობა – მის მიერ მოტანილი უბედობების ყველაზე დაუნდობელი ნაწილია და მისგან გაქცევა ყველაზე რადიკალურ ფორმებს: თავაწყვეტილი ამბოხის ან ნარკომანიის ფორმას იღებს. ერთიც და მეორეც დროითი უბედურებაა, რადგან სიღარიბის უბედურება უსასრულოა; ამ უსასრულო ბუნების გამო ორივე მათგანი ძვირი ჯდება. ზოგადად, ადამიანი, რომელიც ვენაში ჰეროინს იშხაპუნებს, ამას უმეტესად იმავე მიზეზით აკეთებს, რომლის გამოც თქვენ ვიდეოს ყიდულობთ: დროის სიჭარბისგან თავდასაღწევად. თუმცა, განსხვავება იმაშია, რომ ის უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე იღებს, და ხსნის ის ხერხები, რომლებიც მის ხელთაა, ისეთივე ზედმეტობებით სცოდავს, როგორც ის, რისგანაც თავის დაღწევას ცდილობს. მთლიანობაში, ტაქტილური სხვაობა შპრიცის ნემსსა და სტერეომოწყობილობის ღილაკს შორის დაახლოებით ისეთსავე ურთიერთმიმართებაშია ერთმანეთთან, როგორი განსხვავებაცაა მქონებელთა თუ უქონელთა მიმართ დროის ზეგავლენის სიმძაფრესა და სიტლანქეს შორის. მოკლედ რომ ვთქვა, გინდ მდიდარი იყავი და გინდ ღარიბი, ადრე თუ გვიან დროის სიჭარბე მაინც გავნებს.

პოტენციურად მქონებელნო, ადრე თუ გვიან თქვენ მოგბეზრდებათ თქვენი სამუშაო, თქვენი მეგობრები, თქვენი, გულისსწორი, ხედი, რომელიც თქვენი ფანჯრიდან იშლება, ავეჯი ან კედლის ფერი თქვენს ოთახში, საკუთარი აზრები, საკუთარი თავი. ამის გამო შეეცდებით, ხსნის გზები იპოვოთ. ზემოთ ნახსენები სიამოვნების მომტანი სათამაშოების გარდა, შეგიძლიათ, სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის, ნაცნობების, ქვეყნის, კლიმატის შეცვლა დაიწყოთ. შეგიძლიათ, მიეცეთ პრომისკუიტეტს, მიეძალოთ ალკოჰოლს, მოგზაურობას, კულინარიის გაკვეთილებს, ნარკოტიკებს, ფსიქოანალიზს. თუმცა შეგიძლიათ ამ ყველაფერს ერთად მოჰკიდოთ ხელი, დროებით ეს ალბათ გიშველით. იმ დღემდე, რასაკვირველია, როცა საკუთარ საძინებელში გაიღვიძებთ, სხვა შპალერით, ახალი ოჯახით გარემოცული, სხვა სახელმწიფოსა და კლიმატში, ტურისტული აგენტისა და ფსიქოანალიტიკოსისგან მოსული ანგარიშების გროვასთან, ისევ იმ ძველი, გაცვეთილი გრძნობით ფანჯრიდან შემოჭრილი დღის ნათელის მიმართ. მერე სპორტულ ფეხსაცმელში ჩაყოფთ ფეხს და უცებ აღმოაჩენთ, რომ მას ზონრები არ ჰქონია, ზონრები, რომელთაც მოქაჩავდით და ასე დაიძვრენდით თავს ამ ყველაფრიდან, რასაც კვლავ ასეთი ნაცნობი შესახედაობა მისცემია. მერე თქვენს ტემპერამენტს ან ასაკს გააჩნია: პანიკა დაგეწყებათ ან ამ შეგრძნების ყოველდღიურობას დანებდებით; ან კიდევ ცვლილებების ახალ რიგს აუტეხთ თავს.

> ერთადერთი ხერხი, რომლითაც ხელოვნება მოწყენილობისგან, კლიშეს ამ ეგზისტენციური ეკვივალენტისგან მხსნელ თავშესაფრად შეიძლება აქციოთ, ის იქნება, თუკი თავადაც შემოქმედები გახდებით. თუმცა იმდენი ხართ, რომ ეს პერსპექტივა სწორედ იმდენადვეა ხიბლს მოკლებული, რამდენადაც ნაკლებ შესაძლებელი ჩანს.

თქვენს ლექსიკონს ნევროზი და დეპრესია შეემატება, თქვენს საშინაო აფთიაქს – ახალი აბები. კაცმა რომ თქვას, ცუდი არაფერია იმაში, რომ ცხოვრება ალტერნატივათა დაუსრულებელ ძიებად აქციოთ, სამსახურებიდან, მეუღლეების, გარემოცვის პოვნა-კარგვაში, თუკი ალიმენტების ხდას გაწვდებით და მოგონებებში შემოპარულ არეულობას გაუძლებთ. ეს მდგომარეობა საკმარისადაა კულტივირებული ეკრანებსა და რომანტიკულ პოეზიაში. მისი სიმუხთლე იმაშია, რომ ძირითად საქმიანობად მალე ეს ძიება გადაგექცევათ და ალტერნატივის თქვენეული მოთხოვნილება ნარკომანის დღიურ დოზას გაუტოლდება. თუმცა აქედან კიდევ ერთი გამოსავალი არსებობს. შესაძლოა, თქვენი თვალთახედვით – არა საუკეთესო, და არც აუცილებლად უსაფრთხო, მაგრამ იაფი და წყალგაუვალი. ვისაც თქვენგან რობერტ ფროსტის „მსახურის მსახური“ წაუკითხავს, მისი ეს სტრიქონიც ეხსომება: საუკეთესო გამოსავალი გამქოლად სვლაა“. ის, რაც მე მინდა შემოგთავაზოთ, ამ თემის ვარიაცია იქნება.

მოწყენილობა რომ მოგეძალებათ, დაჰყევით მას. დანებდით, თავი გააჭყლეტინეთ, დააძირვინეთ, ფსკერამდე ჩაჰყევით. უსიამოვნებებთან გამკლავების წესი ასეთია: ფსკერს რაც მალე შეეხები, მით სწრაფად ამოყვინთავ ზედაპირზე. სხვა დიდი ინგლისურენოვანი პოეტის სიტყვებით რომ ვთქვა, აქ დედააზრი დევს, რომ უარესს თვალი უნდა გაუსწორო. მიზეზი, რომლის გამოც მოწყენილობა ასეთ გამოწვლილვით ყურადღებას იმსახურებს, იმაში მდგომარეობს, რომ ის სუფთა, გაუზავებელი დროა, მის განმეორებად, ნაჭარბევ, მონოტონურ დიდებულებაში. მოწყენილობა, ასე ვთქვათ, ფანჯარაა თქვენი, დროის მხარეს გაჭრილი, მისი ისეთი თვისებებისკენ, რომელთა უგულებელყოფა წესად გვექცა, ისე, რომ ეს უკვე ჩვენს სულიერ წონასწორებას უქმნის საფრთხეს. შეიძლება მარტოობის გარინდებულ საღამოთა შიშის მიზეზიც ეს იყოს, ან იმ მონუსხულობის, რომლითაც ხანდახან მზის სხივში მოტრიალე მტვრის ნაწილაკს ვადევნებთ თვალს, – სადღაც კი საათი წიკწიკებს, სიცხე ჩამომდგარა და ნების ძალა ნულთან გვაქვს გატოლებული.

როცა ეს ფანჯარა გაგეხსნებათ, მის მიხურვას ნუ შეეცდებით; პირიქით, ფართოდ გამოაღეთ, რადგან მოწყენილობა დროის ენაზე ლაპარაკობს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამო დემეტრაშვილი
მომავალი ტელეწამყვანი

თამო დილის გადაცემის წამყვანობაზე ოცნებობს. ოცნების რეალობად ქცევის სურვილი კინოსტუდია „პიონერფილმმაც“ გაუმყარა. აქ, სხვა მოზარდებთან ერთად, არა მხოლოდ ფილმებს იღებდა, არამედ სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობაშიც გაიწაფა. სულ ადრე, მოკლემეტრაჟიან ფილმებში მსახიობობაც სცადა. სწორედ მაშინ მიხვდა, რომ სიამოვნებით იმუშავებდა ტელესფეროში, კამერასთან, ცოცხალ გარემოში. გადაწყვეტილებაც შეგნებულად მიიღო – კავკასიის მედიის სკოლაში უნდა ჩაბაარ‍ოს.

დარწმუნებულია, არ „ჩაიჭრება“, კონკურენციასაც გაუძლებს. სასწავლო წლის დასაწყისში უარი თქვა ყველა გართობაზე და თავით გადაეშვა მეცადინეობაში. ბოლო წელს მშობლიური 47-ე სკოლიდან თბილისის აკადემიურ სკოლაში გადავიდა, რათა სწავლისათვის მაქსიმალური კომფორტი შექმნოდა. კავკასიის მედიის სკოლის „ღია კარის“ დღეებს დაესწრო და ახლა იმედოვნებს, რომ ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების თეორიული საფუძვლების გარდა, შეისწავლის პიარსა და ივენთმენეჯმენტს.

თქვენს ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასი გაკვეთილი აქვს თქვენთვის ჩასატარებელი – გაკვეთილი, რომელიც აქ, ამ კოლეჯის მწვანე მოლზე არ მიგიღიათ – და რომელიც საკუთარი თავის უკიდურეს უმნიშვნელობას მიგახვედრებთ. ის ძალზე ღირებული იქნება თქვენთვის. მათთვისაც, ვისთანაც ოდესმე ურთიერთობა მოგიწევთ. „შენ სასრული ხარ“, – გეტყვით დრო მოწყენილობის ხმით, – „და რაც არ უნდა გააკეთო, ჩემი თვალთახედვით, ამაოებაა“. რასაკვირველია, ეს სიტყვები თქვენს ყურთასმენას მუსიკადე არ ჩაესმება. მაგრამ თქვენი ყველაზე მაღალი, ყველაზე ჟინიანი სწრაფვების ამაოებისა და უმნიშვნელობის განცდა გიჯობდეთ მათი ნაყოფიერების ილუზიას და ამის თანამდევ მედიდურობას.

რადგან მონყენილობა ჩვენი ღირებულების სისტემაში დროის შემოჭრაა, თქვენს არსებობას ის მისი – ზოგადად, არსებობისავე პერსპექტივაში ათავსებს, რომლის საბოლოო შედეგი სიზუსტეა და ამპარტავნების უქონლობა. პირველი, ესეცა ვთქვათ, მეორეს წარმოშობს. რაც მეტს შეიტყობთ საკუთარი სიდიდის შესახებ, მით თვინიერი გახდებით თქვენს მსგავსთა მიმართ, მტვრის იმ ნაწილაკისადმი, მზის სხივში რომ ტრიალებს ან უკვე უმოძრაოდ ასვენია თქვენს მაგიდაზე. ეჰე, რამდენი სიცოცხლე შთანუთქავთ ამ ნაწილაკებს! ოღონდ არა თქვენი, არამედ იმათი თვალთახედვით. იმათთვის თქვენ იგივენი ხართ, რაც დროა ჩვენთვის; ამიტომაა, რომ ასე მცირენი ჩანან.

„მარად გახსოვდე“,
ჩურჩულებს მტვერი.

ვერაფერი იქნება თქვენი, ნორჩებისა და გაბედულების სულიერი განაწესისგან ისე შორს, როგორც განსვენებული გერმანელი პოეტის, პიტერ ხუხელის ამ ორტაპედით გადმოცემული გუნება-განწყობა. მისი ციტირება იმიტომ კი არ განმიზრახავს, ყველაზე მცირეთა – თესლებისა და მცენარეების, ქვიშის მარცვლებისა და მოსკიტების – მცირეთა, მაგრამ მრავალრიცხოვანთა მიმართ გულისხმიერება ჩაგისახოთ. ეს სტრიქონები იმიტომ მოვიტანე, რომ მომწონს, იმიტომ რომ მათში საკუთარ თავს ვცნობ – თავს, და რაკი სიტყვამ მოიტანა, ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმს, რომელიც ოდესმე ამა თუ იმ ზედაპირიდან წარიხოცება. „მარად გახსოვდე“, ამბობს მტვერი. და მათში ისმის მინიშნება, რომ თუკი დროისგან საკუთარ თავზე რამეს შევიტყობთ, მაშინ, საფიქრებელია, რომ, თავის მხრივ, დროც რაღაცას გაიგებს ჩვენგან. რა შეიძლება იყოს ეს რაღაც? თუ მას მნიშვნელობით ჩამოვუვარდებით, სამაგიეროდ, გულისხმიერებით აღვემატებით.

რას ნიშნავს ეს უმნიშვნელობა. თუკი ამის გასააზრებლად ნებისყოფის მადამბლავებელი მოწყენილობა იქნა საჭირო, მოწყენილობას გაუმარჯოს. თქვენ უმნიშვნელონი ხართ, რადგან სასრულნი ხართ. თუმცა, ესეცაა: რაც უფრო სასრულია რამე, მით მეტადაა იგი დამუხტული სიცოცხლით, ემოციებით, სიხარულით, შიშებით, თანალმობით. რადგან უსასრულობა მაინცდამაინც სიცოცხლით არ ჟრიამულობს, მაინცდამაინც ემოციური არაა. ყოველ შემთხვევაში, თქვენი მოწყენილობა სწორედ ამას მოწმობს. რადგან თქვენი მოწყენილობა უსასრულობის მოწყენილობაა. რაკი ასეა, პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტივი ეცით მის წარმოშობას – არა იმაზე ნაკლებ, თუ მოახერხებთ, ვიდრე საკუთარს. რადგან სწორედ ამ უსულგულო უსასრულობის წინათაგრძნობით აიხსნება ადამიანის გრძნობათა სიმძაფრე, რომელიც ხშირად ახალი სიცოცხლის ჩასახვის მიზეზი ხდება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ მოწყენილობისდა გამო ჩაისახეთ, ან რომ სასრული სასრულს შობს (თუმცა შეიძლება ერთიცა და მეორეც დამაჯერებლად ჟღერდეს). ეს უფრო იმ აზრისკენ გვიბიძგებს, რომ ვნება უმნიშვნელოთა პრივილეგიაა.

ამიტომ შეეცადეთ ვნებიანობა არ დაკარგოთ, ცივსისხლიანობა თანავარკვლავედებს დაუტოვეთ. ვნება, პირველ რიგში, მოწყენილობის კურნებაა. და, რა თქმა უნდა, კიდევ ტკივილი, უფრო ფიზიკური, ვიდრე სულიერი – ვნების მუდმივი თანამდევი. თუმცა მე თქვენ არც ერთს გისურვებთ და არც მეორეს. მეორე მხრივ, როცა გტკივათ, ის მაინც იცით, რომ მოტყუებული არ დარჩენილხართ (საკუთარი სხეულის ან სულის მიერ). ამას გარდა, თუკი რამ ახლავს კარგი მოწყენილობას, ნაღველს და საკუთარი და სხვა დანარჩენთა არსებობის უაზრობის განცდას, ეს ისაა, რომ ტყუილში არ ხართ.

შეიძლებოდა, დეტექტივები და ტრილერებიც გამოგეცადათ – რაღაც ისეთი, რაც იქ გამყოფებთ, სადაც მანამდე ვერბალურად/ვიზუალურად/მენტალურად არასდროს ყოფილხართ – რაღაც ისეთი, რაც რამდენიმე საათს გრძელდება. თავი აარიდეთ ტელევიზიას, განსაკუთრებით – არხების ხშირ გადართვას: ეს ხორცშესხმული ზედმეტობაა. თუმცა თუ ამ ხერხებმა არ გაჭრა, მაშინ შეუშვით, „შეყარეთ სულები მრუმე წყვიადში." მკლავები გაშალეთ სახვევნელად, ან მოწყენილობის, ნაღველის ხვევნას დანებდით, ასე თუ ისე, ყოველთვის თქვენზე დიდი იქნება ორივე. მხუთველი იქნება მათი ხვევნა, აბა როგორ, მაგრამ შეეცადეთ, მცირე ხანს გაუძლოთ ამათ და მერე – ცოტა კიდევ. მთავარია, არ იფიქროთ, რომ სადღაც რაღაც შეგეშალათ, უკან არ დაბრუნდეთ და შეცდომის გამოსწორებას არ შეეცადოთ. არა, როგორც პოეტს უთქვამს, „ენდე შენს ტკივილს". ეს საშინელი დათვური ხვევნა შეცდომად არ მიიღოთ. არც ის ყველაფერი, რაც გულს გიღრღნით. მუდამ გახსოვდეთ, ამ ქვეყანაზე არ არის ხვევნა, რომელიც ბოლოს არ განიხვნება.

თუ ეს ნათქვამი გეპირქუშებათ, მაშ არ გცოდნიათ, რა არის ბნელი. თუ რაც გითხარით, ძნელად შესასრულებელი გეჩვენებათ, იმედი მაქვს, დრო დაგიმტკიცებთ თქვენსავ სისნორეს. ხოლო თუ უადგილო გეჩვენებათ ამნაირი საზეიმო ვითარებისთვის, მაშინ მე არ დაგეთანხმებით. დაგეთანხმებოდით, ეს რომ თქვენი აქ მოსვლის ზეიმი იყოს, მაგრამ ის თქვენი აქედან წასვლის აღსანიშნავადაა გამართული. ხვალ თქვენ აქ უკვე აღარ იქნებით, რადგან თქვენმა მშობლებმა

ერთადერთი, რაც შეიძლება გირჩიოთ, ფულთან სიფრთხილის გამოჩენა იქნება, რადგან თქვენს ანგარიშზე გაჩენილი ნულები შესაძლოა თქვენსავე სულიერ ეკვივალენტად გარდაიქმნას.

თქვენი აქ ყოფნის ოთხი წლის ფული გადაიხადეს, და ეს ვადა ამოინურა. ამიტომ ხვალ აქედან სხვაგან გაემგზავრებით, კარიერის, ფულის საკეთებლად, ოჯახების შესაქმნელად, თქვენი ერთადერთი, უნიკალური ბედის შესახვედრად. არც ვარსკლავთა შორის, არც ტროპიკებში, მგონი არც აქვე, გვერდით, ვერმონტში იციან, თუ დარმუთის ამ მოლზე რა ცერემონია იმართება. არა მგონია, ამ თქვენი ორკესტრის ხმები უაით რიერ ჯანქშენამდე მაინც აღწევდეს.

თქვენ ტოვებთ აქაურობას, 1989 წლის კურსდამთავრებულებო. იმ სამყაროში შედიხართ, რომელიც თვალსმოფარებულ ამ ადგილებზე გაცილებით მჭიდროდ იქნება დასახლებული და სადაც თქვენთვის გაცილებით ნაკლებ ყურადღებას გამოიმეტებენ, ვიდრე უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში შეჩვევიხართ. ახლა საკუთარი თავის ბატონ-პატრონები თავადვე ხართ. თუ ამ სამყაროში თქვენს მნიშვნელობაზე უნდა ითქვას რამე, ამას სწრაფად წარმოიდგენთ, როგორც კი 1100-ს, თქვენს ოდენობას, სამყაროს 4,9 მილიონს მიუსადაგებთ. მაშასადამე, ზომიერება სწორედ ისევე უნდა მოუხდეს დღევანდელ მოვლენას, როგორც დაფდაფები.

არაფერს გისურვებთ სხვას, ბედნიერების გარდა. თუმცა წინ ალბათ ბნელი, და, რაც ამაზე უარესია, მოჟამული საათიც ბევრი იქნება; და როგორც გარე სამყაროს, ისე თქვენივე საკუთარი გონებაც იქნება ამის მიზეზი. მათთან გასამკლავებლად რაღაცნაირად თავი უნდა მოიმძლავროთ. თქვენს დახმარებას ჩემი მცირე ძალით დღეს აქ ვცდილობდი, თუმცა, სრულიად აშკარაა, რომ ეს ვერ იქნება საკმარისი. რადგან ის, რაც წინ მოგელით, წარმტაცი, მაგრამ ქანცის გამწყვეტი მოგზაურობა იქნება. დღეს ისეთ მატარებელში სხდებით, რომელიც გზას უგანრიგოდ უნდა გაუდგეს. ვერავინ გეტყვით, რა მოგელით. ვერც ისინი, ვისაც ზურგს უკან იტოვებთ. ერთადერთი, რაც მათ შეუძლიათ დაბეჯითებით გითხრან, ისაა, რომ მგზავრობა ცალმხრივი იქნება, ამიტომ შეეცადეთ, მცირე სარგებელი მაინც გამოიღოთ აზრისგან, რომ რაგინდ უამურიც უნდა იყოს ესა თუ ის სადგური, იქ დახანება დიდხანს არ მოგიწევთ. ამიტომ ნურსად გაეხირებით – მაშინაც კი, თუ მოგეჩვენათ, რომ გზა მოგეჭრათ; ეს ადგილი დღეს თქვენი წარსული ხდება. ამიერიდან აქაურობა თქვენთვის დაპატარავებას დაიწყებს, რადგან ეს მატარებელი გაუჩერებლად ივლის. დაპატარავებას განაგრძობს მაშინაც, როცა მოგეჩვენებათ, რომ გზა მოგეჭრათ... ამიტომ უკანასკნელად მოავლეთ თვალი, სანამ ჯერ თავდაპირველი სიდიდით ხედავთ, სანამ ეს ყველაფერი ფოტოსურათად არ ქცეულა. ისეთი სინაზით მოავლეთ თვალი, როგორის შემძლენიც ხართ, რადგან საკუთარ წარსულს უყურებთ. მოდი, ასე ვთქვათ: თვალი გაუსწორეთ იმას, რაც საუკეთესო იყო თქვენს ცხოვრებაში. რადგან ეჭვი მეპარება, ოდესმე იმაზე ბედნიერები იყოთ, ვიდრე აქ იყავით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაცლავ ჰაველი

„პატივი უნდა ვცეთ უზენაეს ფასეულობებს: სამყაროს, დედამიწას, ბუნებას, სიცოცხლეს და რეალობას“

ჰარვარდის უნივერსიტეტი, კემბრიჯი, მასაჩუსეტსის შტატი, აშშ
1995 წლის 12 მაისი

ბატონო პრეზიდენტო, ბატონო ვიცე-პრეზიდენტო, ქალბატონებო და ბატონებო!

ამას წინათ ზღვისპირა რესტორანში ვიჯექი, ღია ცის ქვეშ. ჩემი სკამი თითქმის ისეთივე იყო, როგორებიც მინახავს პრაღის რესტორნებში მდინარე ვლტავის ნაპირას. უკრავდნენ ისეთსავე როკმუსიკას, როგორსაც უკრავენ ჩეხეთის რესტორნებში. ვხედავდი რეკლამებს, რომლებიც ჩემს სამშობლოშიც მინახავს. გარს მეხვივნენ ახალგაზრდები, რომლებიც სვამდნენ და ისევე ლაღად იქცეოდნენ, როგორც – მათი თანატოლები პრაღაში. ერთადერთი, რაც მათ განასხვავებდა, იყო სახეები, რადგან ამჯერად სინგაპურში ვიმყოფებოდი. ფიქრებმა გამიტაცა და კვლავ – მერამდენეჯერ – ჩავწვდი ბანალურ ჭეშმარიტებას: ჩვენ ვცხოვრობთ ერთ გლობალურ ცივილიზაციაში. ამ ცივილიზაციის იდენტურობას არ განაპირობებს ტანსაცმლის მსგავსება, ან ერთნაირი სასმელი, ან ერთნაირი სარეკლამო მუსიკა მთელ მსოფლიოში, ან თვით საერთაშორისო რეკლამა. მისი არსი უფრო ღრმაა: განუხრელი პროგრესისა და მისთვის დამახასიათებელი ექსპანსიონიზმის, ასევე – მეცნიერების სწრაფი განვითარების შედეგად ჩვენი პლანეტა – პირველად კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში – მოიცვა ერთიანმა ცივილიზაციამ, რომელიც, თავისი არსით, ტექნოლოგიური ხასიათისაა.

ამჟამად მსოფლიო გაბმულია ტელეკომუნიკაციო კავშირების ქსელში, რომელიც შედგება მილიონობით პატარა ნაწილისგან ძაფისგან ან კაპილარისგან. ისინი არა მარტო ელვის სისწრაფით გადასცემენ ყოველნაირ ინფორმაციას, არამედ ავრცელებენ კიდეც სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ქცევის ინტეგრირებულ მოდელებს, სამართლებრივ ნორმებს. მათში „გაედინება“ მილიარდობით დოლარიც, რომლებიც უჩინარია იმათთვისაც კი, ვინც უშუალოდ ჩართულია ამ საქმიანობაში.

ადამიანების ცხოვრება დედამიწის ყველა კუთხეში ურთიერთდაკავშირებულია არა მარტო ინფორმაციული, არამედ – მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისითაც. მახსენდება – ისევე, როგორც სინგაპური გამახსენდა, – რომ სინგაპურის ერთ-ერთი ბანკის კლერკმა გააკოტრა ბანკი დედამიწის სხვა ნაწილში. ჩვენი ცივილიზაციის მიღწევათა წყალობით პრაქტიკულად ყველამ იცის, რა სახის ჩეკები, ობლიგაციები, თამასუქები და აქციები არსებობს. ჩვენთვის ნაცნობია CNN-ი და ჩერნობილი, ვიცით, ვინ არიან „როლინგ სთოუნის“ წევრები, ნელსონ მანდელა ან სალმან რუშდი. მეტსაც გეტყვით: კაპილარები, რომელთა მეშვეობითაც ჩვენი ცივილიზაცია ამჟამად რადიკალურადაა ინტეგრირებული, უკვე გადასცემენ ინფორმაციას ადამიანთა თანაარსებობის გარკვეული წესების შესახებ, რომელთაც დაამტკიცეს თავიანთი ღირებულება. ასეთებია, მაგალითად, დემოკრატია, ადამიანის უფლებების პატივისცემა, კანონის უზენაესობა, ბაზრის კანონები. ამგვარი ინფორმაციული ნაკადები მოიცავს მთელ მსოფლიოს, ფესვს იდგამს სხვადასხვა კუთხეში.

ეს გლობალური ცივილიზაცია ჩაისახა ჩვენს ეპოქაში, იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ცხოვრობენ ევროპული და, საბოლოო ანგარიშში, ევროამერიკული კულტურის ხალხები. ისტორიულად ის განვითარდა კლასიკური, ებრაული და ქრისტიანული ტრადიციების შერწყმის შედეგად. „მივხვდი, რაოდენ პატარაა ეს სამყარო და რამდენი უბედურების თავიდან აცილება შეიძლება, თუ ადამიანები გამოიჩენენ მეტ გაბედულებას, მეტ ოპტიმიზმს, მეტ პასუხისმგებლობას, მეტ ურთიერთგაგებასა და სიყვარულს“. ყოველ შემთხვევაში, თეორიულად ის არა მარტო აკავშირებს ერთმანეთთან დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ადამიანებს, არამედ აწვდის კიდეც კოორდინირებულ საშუალებებს გავრცელებულ საშიშროებათაგან თავის დასაცავად. მას, ასევე, შეუძლია უპრეცედენტო მასშტაბითი გაგვიადვილოს ცხოვრება და წარმოაჩინოს არნახული შესაძლებლობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარი თავისა და გარემომცველი სამყაროს შესამეცნებლად.

და მაინც, ამაში რაღაც არასწორია.

ნება მომეცით, ამ საზეიმო ღონისძიებაზე შევჩერდე იმ თემაზე, რომლის შესახებაც ხშირად ვმსჯელობ ხოლმე მსგავს შემთხვევებში. კერძოდ, მინდა ყურადღება გავამახვილო იმ საშიშროების წყაროზე, რომელიც ემუქრება კაცობრიობას, მიუხედავად გლობალური ცივილიზაციისა, ხშირად კი – მისი მიზეზითაც. უპირველეს ყოვლისა, გავერკვეთ, რა სახის საშიშროებებს შეიძლება წავაწყდეთ.

ვფიქრობ, ჩვენ წინაშე წამოჭრილი მრავალი პრობლემა გამომდინარეობს იქიდან, რომ გლობალური ცივილიზაცია სხვა არაფერია, თუ არა ადამიანთა ცნობიერების მარტოოდენ სიფრიფანა საბურველი. ეს ცივილიზაცია ძალზე ნორჩია, ახალგაზრდა, სუსტი, და კაცობრიობამ ის თავბრუდამხვევი სისწრაფით გაითავისა, ისე, რომ თვითონ, არსებითად, არ შეცვლილა. კაცობრიობამ თანდათანობით და მრავალფეროვნად ჩამოაყალიბა ჩვენი აზროვნების წესები, დამოკიდებულება სამყაროს მიმართ, ქცევის მოდელები და ღირებულებები, რომლებიც უნდა ავითვისოთ და ვაღიაროთ. არსებითად, მსოფლიო ცივილიზაციის ეს ახალი ერთადერთი ეპიდერმისი მხოლოდ ფარავს ან ნიღბავს კულტურების, ხალხების, რელიგიების, ისტორიული ტრადიციებისა და ისტორიულად ჩამოყალიბებული დამოკიდებულებების უზარმაზარ მრავალფეროვნებას, რომლებიც მან, გარკვეული გაგებით, გადაფარა. თუმცა მსოფლიო ცივილიზაციის ეს საბურველი ფართოვდება, კაცობრიობის ყოფიერების ქვედა შრე, ფარული განზომილება სულ უფრო მეტად საჭიროებს მის გათვალისწინებას და არსებობის უფლების მინიჭებას.

ამგვარად, თუმცა მთელი მსოფლიო სულ უფრო მეტად ითვისებს გლობალური ცივილიზაციის ახალ ჩვევებს, მიმდინარეობს მეორე, საპირისპირო პროცესიც – ძველთაძველი ტრადიციების აღორძინება, განსხვავებული რელიგიებისა და კულტურების გამოღვიძება, მათ მიერ ახალი სივრცეების დაპყრობა, სულ უფრო მგზნებარე მცდელობები იმისა, რომ გააზრებულ იქნეს მათი უნიკალური თავისებურებები. საბოლოო ანგარიშში, ისინი მიისწრაფვიან, პოლიტიკური ასპექტში გამოხატონ თავიანთი ინდივიდუალობა.

ხშირად ამბობენ, რომ ჩვენს დროში ყოველი პატარა მინდორიც კი იბრძვის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. მრავალი ერი ან, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი მათგანი ებრძვის თანამედროვე ცივილიზაციას ან მის მთავარ მომხრეებს, რათა საშუალება ჰქონდეთ, თაყვანი სცენ თავიანთ ძველთაძველ ღმერთებს და იცხოვრონ უძველესი ღვთაებრივი მცნებების შესაბამისად. ისინი იყენებენ მათთვის საძულველი

თუმცა მთელი მსოფლიო სულ უფრო მეტად ითვისებს გლობალური ცივილიზაციის ახალ ჩვევებს, მიმდინარეობს მეორე, საპირისპირო პროცესიც – ძველთაძველი ტრადიციების აღორძინება, განსხვავებული რელიგიებისა და კულტურების გამოღვიძება.

ცივილიზაციის ყვლა პროდუქტს – რადარებს, კომპიუტერებს, ლაზერებს, ნერვულ-პარალიტიკურ აირებს და, შესაძლოა, მომავალში ბირთვულ იარაღსაც მიმართონ. ამ ტექნოლოგიურ გამოგონებათაგან განსხვავებით, ცივილიზაციის სხვა პროდუქტები, მაგალითად, დემოკრატია ან იდეა ადამიანის უფლებების შესახებ, მიუღებელია მსოფლიოს მრავალ კუთხეში მცხოვრები ადამიანებისთვის, რადგან, მათი აზრით, არ შეესაბამება ადგილობრივ ტრადიციებს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროამერიკულმა სამყარომ შეაიარაღა დედამიწის სხვადასხვა ნაწილი იმ საშუალებებით, რომლებსაც შეუძლიათ ეფექტურად გაანადგურონ ცივილიზაციის მონაპოვრები. სწორედ მათი წყალობით განხორციელდა ამ საშუალებების გამოგონება, მაგრამ ისინი ხელს უშლიან ადამიანთა მშვიდობიან თანაარსებობას დედამიწაზე.

რა გამომდინარეობს აქედან?

ჩემი რწმენით, ამგვარი მდგომარეობა საგანგაშოა და ის ეხება არა მარტო ევროამერიკულ სამყაროს, არამედ – მთელ ჩვენს თანამედროვე ცივილიზაციას. შესაბამისად, ამ ცივილიზაციამ უნდა გაიაზროს საკუთარი თავი, როგორც მულტიკულტურულმა და შინაგანად წინააღმდეგობრივმა ცივილიზაციამ, რომელმაც კულტურისა და ცივილიზაციის განსხვავებული სფეროების ინდივიდუალობის განადგურებას კი არ უნდა შეუწყოს ხელი, არამედ უნდა შექმნას პირობები მათი სრული თვითმყოფობის შესანარჩუნებლად. ეს მიზანი შესაძლებელი და რეალური გახდება მაშინ, როდესაც ჩამოვაყალიბებთ თანაარსებობის საბაზისო კოდექსს, ერთგვარ საერთო მინიმუმს, რომელიც თანაარსებობის საშუალებას მოგვცემს. მიუხედავად ამისა, ამგვარი კოდექსის შექმნა უნაყოფო იქნება, თუ კაცობრიობის გარკვეული – მცირერიცხოვანი – ნაწილი იძულებით თავს მოახვევს მას სხვებს. ის უნდა იყოს მთელი კაცობრიობის იმ ჭეშმარიტი სულიერი ფესვებიდან ამოზრდილი მისწრაფება, რომლებიც ჩანერგილია ჩვენი საერთო, გლობალური ცივილიზაციის კანქვეშ. თუკი ასეთი კოდექსი, უბრალოდ, გავრცელდება ამ კანის კაპილარების მეშვეობით, კოკა-კოლას მსგავსად – როგორც ერთგვარი შეთავაზება – ის ვერ შეასრულებს ღრმა ან უნივერსალური საშუალების ფუნქციებს.

მაგრამ შესწევს თუ არა კაცობრიობას ამგვარი ძალისხმევის უნარი? ეს იმთავითვე უსაფუძვლო, უტოპიური იდეა ხომ არაა? იქნებ, ვეღარ განვკარგავთ ჩვენსავე ბედ-იღბალს და განწირულნი ვართ იმისთვის, რომ თანდათანობით ამოვწყდეთ კულტურათა შორის მაღალტექნოლოგიური შეტაკებების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედეგად, იმის გამო, რომ არ შეგვიძლია, ერთობლივად წინ აღვუდგეთ ეკოლოგიურ, სოციალურ თუ დემოგრაფიულ, ან კიდევ – თვით ჩვენი ცივილიზაციის მდგომარეობით განპირობებულ კატასტროფებს?

არ ვიცი.

მაგრამ იმედს არ ვკარგავ.

იმედს არ ვკარგავ, რადგან სულ უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ კულტურათა უმრავლესობის სიღრმეში შეიმჩნევა არსებითი მსგავსება, ის, რაც შეიძლება იქცეს – თუკი ამის სურვილი გვექნება – ამოსავალ პუნქტად ხალხთა თანაარსებობის ამ ახალი კოდექსისთვის, რომელმაც შეიძლება გაამყაროს ჩვენი ტრადიციების მრავალფეროვნება.

ხომ არ უნდა ვეძიოთ რელიგიებისა და კულტურების საფუძვლებში (თუმცა ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან) საერთო ელემენტები, მაგალითად, მოწიწება ყოფიერების საიდუმლოსა თუ ზნეობრივი კოდექსის მიმართ; პატივისცემა ჩვენი მეზობლებისა თუ ჩვენი ოჯახის, ხელისუფლების, ადამიანის ღირსებისა თუ ბუნების მიმართ? სოლიდარობისა და კეთილმოსურნეობის გრძნობა სტუმრების მიმართ, რომლებიც კეთილი ზრახვებით მოდიან ჩვენთან?

იქნებ, ჩვენი განსხვავებული სულიერების (რომელიც, არსებითად, ერთი და იმავე რეალობის სხვადასხვაგვარ აღქმას ემყარება) უძველესი საერთო წარმომავლობა ისაა, რასაც შეუძლია ჭეშმარიტად გააერთიანოს განსხვავებულ კულტურათა წარმომადგენლები?

ხომ არ წარმოადგენს ამ არქეტიპული ცნობიერების უძველესი მცნებები იმას,

ელენე ბერიძე
მომავალი ტელეჟურნალისტი

პოლიტოლოგი ბიძის გამო მის ოჯახში პოლიტიკურ საკითხებზე დებატები ყოველთვის პოპულარული იყო. ამ დებატებში ელენეც აქტიურად მონაწილეობდა. ამიტომ არავის გაჰკვირვებია, როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობის მხურვალე სურვილი გამოთქვა. თუმცა, საბოლოოდ, ეს გადაწყვეტილებაც მყიფე აღმოჩნდა. დღეს ელენე მტკიცედაა დარწმუნებული – მისგან ტელეჟურნალისტი დადგება. ძალებს ჯერ გადაცემის წამყვანის ამპლუაში მოსინჯავს, შემდეგ კი საავტორო გადაცემა ექნება.

სკოლამ კარგი მოგონებები დაუტოვა — მერვე კლასამდე მისი სურათი ფრიადოსანთა დაფაზე ეკიდა და, რაც მთავარია, სკოლაში შესანიშნავი და ერთგული მეგობრები შეიძინა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩაბარება ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლად მიაჩნია. უნივერსიტეტს მიზნის მიღწევაში ათვლის წერტილად მიიჩნევს. უმაღლესში სწავლის პარალელურად სურს იმუშაოს და ზრდასრულ ცხოვრებაში ბოლომდე შემზადებულმა შეაბიჯოს.

რასაც თვით არარელიგიური ადამიანიც კი ქვეშეცნეულად სრულყოფილებისა და ღირსების გამოხატულებად მიიჩნევს??

რა თქმა უნდა, არ ვამტკიცებ, რომ თანამედროვე ადამიანებმა თაყვანი უნდა სცენ უძველეს ღვთაებებს და ააღორძინონ ძველთაძველი, დავიწყებული რიტუალები. სრულიად სხვა რაიმეს გთავაზობთ: უნდა ჩავწვდეთ ღრმა კავშირს თუ ნათესაობას ჩვენი სულიერების განსხვავებულ ფორმებს შორის. უნდა გავიხსენოთ ის თავდაპირველი სულიერი თუ მორალური სუბსტანცია, რომლიდანაც ამოიზარდა კაცობრიობის ძირეული გამოცდილება. ვფიქრობ, ესაა ერთადერთი საშუალება იმისა, რომ ახლებურად, უფრო მძაფრად შევიგრძნოთ პასუხისმგებლობა საკუთარი თავისა და სამყაროს წინაშე. ამავე დროს, მხოლოდ ამ გზით შეიძლება მივაღწიოთ უფრო ღრმა ურთიერთგაგებას კულტურებს შორის, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს, ერთად შეიმუშაონ თანაარსებობის მართლაც უნივერსალური ახალი წესი მთელი მსოფლიოსთვის.

გლობალური ცივილიზაციის საფარი, რომელშიც გახვეულია თანამედროვე სამყარო და კაცობრიობის ცნობიერება, როგორც ვიცით, გაორებული ბუნებისაა, რაც ეჭვქვეშ აყენებს მის ამოსავალ ფასეულობებს. ამ ცივილიზაციის ათასობით შესანიშნავ მიღწევას, რომლებიც ეგზომ აუმჯობესებენ ჩვენს ყოფას, შეუძლიათ ასევე, გააღარიბონ, შეამოკლონ და გაანადგურონ ჩვენი ცხოვრება და ხშირად ასეც ხდება. ადამიანთა მომსახურების ნაცვლად, ბევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარი მიღწევა იმონებს მათ. პიროვნული თვითგამოხატვის გაიოლების მაგივრად, ისინი ხელს უწყობენ ადამიანთა დეინდივიდუალიზაციას. თითქმის ყოველმა აღმოჩენამ ან გამოგონებამ – ატომის გახლეჩიდან და დნკ-ს აღმოჩენიდან დაწყებული, ტელევიზიითა და კომპიუტერით დამთავრებული – შეიძლება ზიანი მოგვაყენოს და მათ იყენებდნენ კიდეც ჩვენ წინააღმდეგ. პირველ მსოფლიო ომთან შედარებით, ამჟამად გაცილებით უფრო ადვილია მთელი მეგაპოლისის განადგურება ერთადერთი საჰაერო თავდასხმით. ასევე, ტელევიზიის ეპოქაში ისეთ შეშლილებს, როგორებიც იყვნენ ჰიტლერი ან სტალინი, გაცილებით გაუადვილდებოდათ მთელი ერის სულიერების შერყვნა. კაცობრიობას ახლა შეუძლია პლანეტის კლიმატის შეცვლა, ასევე – მისი წიაღისეული რესურსებისა და მისი მდიდარი ფლორისა და ფაუნის განადგურება სულ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, ხოლო ტერორისტებს ამჟამად უფრო მეტი გამანადგურებელი პოტენციალი აქვთ, ვიდრე ამ საუკუნის დასაწყისში.

როგორც ჩანს, ჩვენს ეპოქაში ადამიანის ტვინის ერთი – რაციონალური – ნაწილი, რომელმაც განახორციელა ყველა ეს მორალურად ნეიტრალური აღმოჩენა, არაჩვეულებრივად განვითარდა, მაშინ, როდესაც კატასტროფულად ჩამორჩა მეორე ნაწილი, რომელიც ფხიზლად უნდა იყოს, რათა ამ აღმოჩენების შედეგად კაცობრიობა არ გადაშენდეს.

მიუხედავად იმისა, თუ სად ვიმყოფები, როდესაც ვუფიქრდები კაცობრიობის წინაშე წამოჭრილ პრობლემებს, ყოველთვის ვუბრუნდები საკითხს ადამიანის პასუხისმგებლობის შესახებ, რომელსაც თითქოს უნარი არ შესწევს, ფეხი აუწყოს ცივილიზაციას და თავიდან აიცილოს საშიშროება, რომელსაც ეს უკანასკნელი უქადის კაცობრიობას.

უკან დასაბრუნებელი გზა მოჭრილი გვაქვს. მხოლოდ მეოცნებე თუ დაიჯერებს, რომ საკითხი შეიძლება მოგვარდეს ცივილიზაციის პროგრესის შეკვეცის გზით (ამა თუ იმ ფორმით). **უახლოეს ეპოქებში სხვა ამოცანა უნდა გადავჭრათ – ესაა პასუხისმგებლობის გრძნობის რადიკალური გამძაფრება.** ჩვენი სინდისი უნდა დაეწიოს ჩვენსავე გონებას, სხვა შემთხვევაში დავიღუპებით.

ღრმად მწამს, რომ არსებობს ამ მიზნის მიღწევის მხოლოდ ერთი ხერხი: უარი უნდა ვთქვათ ანთროპოცენტრისტულ შეხედულებაზე, რომ ადამიანი სამყაროს მეუფეა, რომელსაც ყველაფრის უფლება აქვს. **პატივი უნდა ვცეთ უზენაეს ფასეულობებს: სამყაროს, დედამიწას, ბუნებას, სიცოცხლეს და რეალობას.** ჩვენი პატივისცემა სხვა ადამიანების, სხვა ხალხებისა და სხვა კულტურების მიმართ მხოლოდ გაიზრდება, თუ პატივს ვცემთ კოსმიურ წესრიგს და გავაცნობიერებთ, რომ მისი ნაწილი ვართ, რომ ჩვენი ნამოქმედარი კი არ იკარგება, არამედ ყოფიერების მარადიული მეხსიერების ნაწილად იქცევა და სათანადოდ განისჯება.

უახლოეს ეპოქებში სხვა ამოცანა უნდა გადავჭრათ – ესაა პასუხისმგებლობის გრძნობის რადიკალური გამძაფრება. ჩვენი სინდისი უნდა დაეწიოს ჩვენსავე გონებას, სხვა შემთხვევაში დავიღუპებით.

ამგვარად, აშკარაა, რომ კაცობრიობის მომავლის უკეთეს ალტერნატივას წარმოადგენს ჩვენი ცივილიზაციის გაჯერება სულიერებით. ეს არ ნიშნავს, რომ უბრალოდ უნდა გავიაზროთ მისი მულტიკულტურული ხასიათი და ძალ-ღონე არ დავიშუროთ ახალი მსოფლწესრიგის შექმნისთვის, ყველა კულტურის საერთო ფესვების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს ცივილიზაცია შექმნა სწორედ ევროამერიკულმა კულტურულმა სფერომ და კაცობრიობას შთააგონა დამღუპველი სიამაყე – ახლა უნდა დავუბრუნდეთ ჩვენს სულიერ ფესვებს და **ჩვენი თავმდაბლობით მაგალითი მივცეთ მთელ მსოფლიოს.**

ამგვარი ზოგადი შენიშვნების გამოთქმა, რა თქმა უნდა, ძნელი არაა და აქ არაფერია ახალი ან რევოლუციური. თანამედროვე ადამიანები დაოსტატდნენ ჩვენ მიერ შექნილი სამყაროს კრიზისისა და უბედურებების აღწერაში, რომელთა გამო პასუხისმგებლობა ჩვენ გვეკისრება. გაცილებით ნაკლებად ხელგვეწიფება ჩადენილის გამოსწორება.

რა უნდა გაკეთდეს კონკრეტულად?

არ მჯერა, რომ არსებობს რაღაც უნივერსალური საშუალება ან პანაცეა. არ ვემხრობი იმას, რასაც კარლ პოპერმა უწოდა „გლობალური სოციალური ინჟენერია“, კერძოდ, იმიტომ, რომ ჩემი ზრდასრული ცხოვრების დიდი ნაწილი გავატარე იმ პირობებში, რომლებიც გლობალური მარქსისტული უტოპიის შექმნის მცდელობათა შედეგს წარმოადგენდა. ამიტომ საკმარისად კარგად ვიცი, რა მოჰყვება ამგვარ მცდელობებს.

თუმცა ეს არ მათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან სამყაროს ბედ-იღბალთან დაკავშირებით.

რა თქმა უნდა, ძნელი არაა, გავუღვიძოთ ადამიანებს პასუხისმგებლობის ახალი გრძნობა სამყაროს მიმართ, ვასწავლოთ ისეთი ქცევა, თითქოს დედამიწაზე სამარადჟამოდ უნდა ვიცხოვროთ და ჩავაგონოთ იმის შეგრძნება, რომ ერთ მშვენიერ დღეს მათ პასუხს მოსთხოვენ. ვინ იცის, რამდენი საზარელი კატაკლიზმის განცდა მოუხდება კაცობრიობას, სანამ პასუხისმგებლობის ასეთი გრძნობა ჩვევად გადაექცევა. ეს არ ნიშნავს, რომ საქმე სახვალიოდ უნდა გადავდოთ. მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მასწავლებლებს, აღმზრდელებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს, სასულიერო პირებს, მხატვრებს, მეწარმეებს, ჟურნალისტებს და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ჩართულ აქტიურ ადამიანებს.

უპირველეს ყოვლისა, ესაა პოლიტიკოსთა ამოცანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით ყველაზე დემოკრატიულ პირობებშიც კი პოლიტიკოსებს უდიდესი ზეგავლენა აქვთ ხალხზე, უფრო მეტი, ვიდრე თვითონ ჰგონიათ. ეს ზეგავლენა მდგომარეობს არა მათ ფაქტობრივ უფლებამოსილებებში, რომლებიც, არსებითად, შეზღუდულია, არამედ სპონტანურ ზემოქმედებაში, რომელსაც ახდენს მათი ქარიზმა საზოგადოებაზე.

ჩემი აზრით, პოლიტიკოსთა თანამედროვე თაობის ამოცანას არ წარმოადგენს საზოგადოების კეთილგანწყობის მოპოვება მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მეშვეობით, და არც ტელეეთერში კეკლუცობა. ეს არც არჩევნებში გამარჯვების მოპოვებაა და არც მყუდრო, შემოსავლიანი სამუშაო ადგილის შოვნა. მათი როლი სხვაა: პოლიტიკოსებმა თავიანთ თავზე უნდა აიღონ პასუხისმგებლობის ნაწილი ჩვენი სამყაროს მომავლის გამო და, ამგვარად, მაგალითი აჩვენონ საზოგადოებას. მათი ამოცანა ისაა, რომ გაბედულად განჭვრიტონ მომავალი, არ შეუშინდნენ ბრბოს არაკეთილგანწყობას, განიმსჭვალონ მაღალი სულიერებით (რაც, რა თქმა უნდა, მღვდელმსახურებაზე განზრახ დასწრებაში არ მდგომარეობს), განუწყვეტლივ განუმარტონ საზოგადოებრიობასაც და თავიანთ კოლეგებსაც, რომ პოლიტიკის მიზანი არ მდგომარეობს ცალკეული ჯგუფებისა და ლობისტების ინტერესთა დაცვაში. ბოლოს და ბოლოს, პოლიტიკა უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებას, ესე იგი, ზნეობრივი უნდა იყოს. რამდენად უფრო კეთილშობილურია, ემსახურებოდე საზოგადოებასა და მორალს, ესე იგი, ზრუნავდე თვით ადამიანთა მოდგმის გადარჩენისთვის!



თორნიკე თექთურმანიძე
ივენთების მომავალი ბიზნესადმინისტრატორი

თორნიკე სნოუბორდისტი ექსტრემალია. თავდაპირველად „ჯიპაში“ უნდოდა სწავლის გაგრძელება, მაგრამ საბოლოო არჩევანი თავისუფალ უნივერსიტეტზე შეაჩერა. ახლა ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე აპირებს ჩაბარებას. სამომავლოდ, თავი ივენთკომპანიაში მომუშავედ წარმოუდგენია. თბილისში სენტ-ეგზიუპერის სახელობის ფრანგული კოლეჯი დაამთავრა. გაუმართლა, სკოლაში ოჯახური გარემო ჰქონდა, კლასში კი მხოლოდ ექვსნი იყვნენ და ექვსივე – მეგობარი.

ფრანგულის გარდა, იცის ინგლისური და რუსული ენა, ცოტა იაპონურიც. უმცროსს კლასებში კარატეზე დადიოდა, იაპონური კულტურით იყო გატაცებული. ერთი პერიოდი კი ყველაზე მაგარ პროფესიაზე – მეხანძრეობაზე ოცნებობდა. თორნიკესთვის განსაკუთრებული თემაა ელექტრონული მუსიკა. უკრავს კიდეც და ყველაზე უკეთაც იქ ისვენებს, სადაც ასეთი მუსიკა ჟღერს. უკვე ორი წელია მუშაობს თბილისი **Open Air**-ის ბრენდ მენეჯერად. არის შეცონდ გივე ფესტივალის ორგანიზატორი – ივლისის ბოლომდე ჯერ თბილისს აითვისებს, შემდეგ ბათუმსაც დალაშქრავს.

ესე იგი, ზრუნავდე თვით ადამიანთა მოდგმის გადარჩენისთვის!

არ მგონია, რომ პოლიტიკოსი, რომლიც ამ სარისკო გზას დაადგება, გარდუვალად საფრთხის ქვეშ დააყენებს თავის პოლიტიკურ რეპუტაციას. ამ მცდარი გაგების თანახმად, მოქალაქე ბრიყვია, ხოლო პოლიტიკური წარმატების საფუძველი ისაა, რომ პოლიტიკოსი მისი სიბრიყვით სარგებლობს. ეს ასე არაა. სინდისი – ეს ღვთაებრივი რამ – ყოველ ადამიანს აქვს, რაც მტკიცედ უნდა გვჯეროდეს.

ქალბატონებო და ბატონებო! მსოფლიოს ყველაზე ძლევამოსილი ქვეყნის ყველაზე ცნობილ უნივერსიტეტში ვიმყოფები. თქვენი ნებართვით, რამდენიმე სიტყვით დავახასიათებ ამ დიადი სახელმწიფოს პოლიტიკას.

მათ, ვინც აღჭურვილია ყველაზე მეტი ძალაუფლებითა და გავლენით, ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება. მოგვწონს ეს თუ არა, ამერიკის შეერთებულ შტატებს ამჟამად ეკისრება ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ჩვენი სამყაროს ბედ-იღბლის გამო. ამიტომ შეერთებულმა შტატებმა ძალზე ღრმად უნდა გაიაზროს ეს პასუხისმგებლობა.

იზოლაციონიზმი შეერთებული შტატებისთვის არასოდეს ყოფილა მომგებიანი. ის რომ უფრო ადრე ჩართულიყო პირველ მსოფლიო ომში, ალბათ, ამდენად არ დაზარალდებოდა.

იგივე შეიძლება ითქვას მეორე მსოფლიო ომის შესახებ: როდესაც ჰიტლერი ემზადებოდა ჩეხოსლოვაკიის დასაპყრობად იმ იმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით, რომ დასავლურ დემოკრატიებს გამბედაობა არ ეყოფოდათ მასთან საბრძოლველად, თქვენმა პრეზიდენტმა წერილობით მიმართა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს და სთხოვა, შეთანხმება დაედო ჰიტლერთან. მას რომ არ მოეტყუებინა საკუთარი თავი და მთელი მსოფლიო (როდესაც ვარაუდობდა, რომ შესაძლებელი იყო შეთანხმების მიღწევა იმ შეშლილთან), ანუ ჰიტლერს რომ ეგრძნო საშიშროება შეერთებული შტატების მხრივ, მეორე მსოფლიო ომში ათეულობით ათასი ახალგაზრდა ამერიკელი არ დაიღუპებოდა.

გარდა ამისა, ომის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე, პრეზიდენტს, რომელიც სხვა მხრივ გამოჩენილი პიროვნება გახლდათ, მკაფიოდ რომ ეთქვა „არა“ სტალინის წინადადებაზე მსოფლიოს გადანაწილების შესახებ, ალბათ, ცივ ომს, რომელიც აშშ-ს ასობით მილიარდი დოლარი დაუჯდა, თავიდან ავიცილებდით.

გთხოვთ, ნუ დაუშვებთ ამგვარ შეცდომებს! ისინი საკმაოდ ძვირი დაგიჯდათ! ძლევამოსილი სახელმწიფო გაქვთ და უნდა გაითვალისწინოთ თქვენი პასუხისმგებლობა.

ახლა უფრო მეტი საშიშროების წინაშე ვდგავართ და გამოსავალს არ წარმოადგენს იმათი მცდელობების აღკვეთა, ვისაც სურს, კვლავ გადაანაწილოს მსოფლიო ინტერესთა სფეროებად და დაიმორჩილოს სუსტი ქვეყნები. ახლა უნდა გადავარჩინოთ კაცობრიობა. ესაა ის საკითხი, რომლის შესახებ უკვე ვისაუბრე: თანამედროვე ცივილიზაციის, როგორც მულტიკულტურული და მულტიპოლარული ცივილიზაციის აღქმა, საკაცობრიო კულტურის ორიგინალური სულიერი წყაროების და, პირველ რიგში, ჩვენი საკუთარი კულტურის პატივისცემა, ძალების მოკრება გაბედული და კეთილშობილური მიზნის განსახორციელებლად – ახალი მსოფლწესრიგის ჩამოსაყალიბებლად.

არც ისე დიდი ხნის წინ დავესწარი წვეულებას, რომელზეც მნიშვნელოვან იუბილეს აღნიშნავდნენ. თანამედროვე სახელმწიფოების ორმოცდაათი მეთაური მოვიდა, რათა პატივი მიეგოთ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი ომის გმირებისა და მსხვერპლთათვის. ეს პოლიტიკური კონფერენცია კი არ იყო, არამედ საზოგადოებრივი ღონისძიება, რომლის დანიშნულებაც გახლდათ მოწვეული სტუმრების მიმართ სტუმართმოყვარეობისა და პატივისცემის გამოხატვა. როდესაც მაგიდებთან სტუმრების განაწილების გეგმა ვნახე, გაოცებით აღმოვაჩინე, რომ ჩემი მეზობლები ამა თუ იმ სახელმწიფოს წარმომადგენლებად კი არ იყვნენ დასახელებულნი, არამედ – „გაეროს უშიშროების საბჭოს და G7-ს მუდმივი წევრების“ სახით. დავიბენი. ერთი მხრივ, ვფიქრობდი, რა კარგია, რომ ამა ქვეყნის ძლიერთ ვნახავ და შევძ-

მაგრამ სამყაროს არ გადაარჩენს არც რეგიონალური სტრუქტურების და არც გაეროს განმტკიცება, თუკი ორივე პროცესი არ იქნება შთაგონებული სულიერი მუხტით, რომელიც, ჩემი აზრით, ერთადერთი იმედია იმისა, რომ კაცობრიობა იარსებებს მეორე ათასწლეულშიც.

ლებ მათთან გასაუბრებას არაფორმალურ ვითარებაში-მეთქი. მეორე მხრივ, დავფრთხი, რადგან ეს იყო ყველაზე მსხვილი სახელმწიფოების წარმომადგენლებისთვის განკუთვნილი მაგიდა. გავიფიქრე, რომ მაგიდასთან მსხდომნი, რუსულ ხიზილალასთან ერთად, ისე გაგვანაწილებდნენ ერთმანეთს შორის, რომ ანგარიშს არ გაუწევდნენ ჩვენს აზრს. შესაძლოა, ეს იყო დრამატურგის ფანტაზია. მაგრამ ყოველივე ეს გიამბეთ ერთი უბრალო მიზეზის გამო: რათა გაჩვენოთ უფსკრული, რომელიც არსებობს მსხვილი სახელმწიფოების პასუხისმგებლობასა და [illegible] ქედმაღლობას შორის. მაგიდებთან გაგვანაწილა კაცმა (ვფიქრობ, ეს არ იყო არც ერთი იქ მყოფი პრეზიდენტი), რომელსაც ამოძრავებდა არა პასუხისმგებლობის გრძნობა, არამედ – ბანალურად – სიამაყე ამა ქვეყნის ძლიერთა გამო.

მაგრამ სიამაყე ისაა, რაც სამყაროს ჯოჯოხეთში მიიყვანს. გთავაზობთ ალტერნატივას: უდრტვინველად ვიკისროთ პასუხისმგებლობა ჩვენს სამყაროში მიმდინარე მოვლენების გამო.

არსებობს ერთი შესანიშნავი პერსპექტივა საკითხში ხალხებისა და ცივილიზაციის სფეროების, კულტურისა და რელიგიის თანაარსებობასთან დაკავშირებით, რაც სრულად უნდა იქნას გაგებული და გათვალისწინებული. ესაა ზეეროვნული ან რეგიონალური ერთობების ჩამოყალიბება. ამჟამად მსოფლიოში არსებობს მრავალი ამგვარი ერთობა, ინტეგრაციის სხვადასხვაგვარი მახასიათებლებითა და ხარისხით. მჯერა ამგვარი მიდგომისა, მჯერა, რომ მნიშვნელოვანია ორგანიზმები, რომლებიც განლაგებული არიან ეროვნულ სახელმწიფოებსა და მსოფლიო საზოგადოებას შორის, ორგანიზმები, რომლებიც შეიძლება იქცნენ გლობალური კავშირისა და თანამშრომლობა-კოოპერაციის არსებით საშუალებად. მიმაჩნია, რომ ინტეგრაციის ამ ტენდენციას სამყაროში, სადაც – როგორც უკვე ვთქვი – ყოველი მინდორი მიისწრაფვის დამოუკიდებლობისკენ, მაქსიმალური შესაძლო დახმარება უნდა გაეწიოს.

ამასთან, ინტეგრაცია თვითმიზნად არ უნდა იქცეს. ის უნდა გავიაზროთ როგორც ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც თითოეულ რეგიონს, თითოეულ ქვეყანას, სხვებთან თანამშრომლობისა და კოოპერაციის საშუალებას მისცემს, ესე იგი, ხელს შეუწყობს გეოგრაფიულად, ეთნიკურად, კულტურულად და ეკონომიკურად ახლო ქვეყნებსა და ხალხებს, შექმნან ასოციაციები, გააუმჯობესონ ურთიერთობა ერთმანეთთან და დანარჩენ სამყაროსთან. ამავე დროს, ამ რეგიონალურ ერთობებს არ უნდა ეშინოდეთ, რომ სხვა მსგავსი ერთობები შეიძლება მათ მიმართ მტრულად განეწყონ. რეგიონალური ჯგუფები, რომელთაც აქვთ საერთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრადიციები და საერთო პოლიტიკური კულტურა, უნდა იქცნენ მსოფლიოს რთული პოლიტიკური არქიტექტურის ნაწილად. ამგვარ რეგიონებს შორის თანამშრომლობა უნდა იყოს ბუნებრივი შემადგენელი თანამშრომლობა-კოოპერაციისა მსოფლიო მასშტაბით. თუკი ნატოს გაფართოებასა და მასში იმ ქვეყნების გაერთიანებასთან ერთად, რომლებიც თავიანთ თავს რეგიონის კულტურულ და პოლიტიკურ ნაწილებად მიიჩნევენ, შეიქმნება ალიანსი რუსეთისგან მოსალოდნელი საშიშროებისგან მათ დასაცავად (მაგალითად, ანტირუსული ღონისძიებებით), ეს იქნება ნიშანი იმისა, რომ რუსეთი არ ითვალისწინებს ეპოქის მოთხოვნებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციაა გაერო. მისი შექმნის ორმოცდაათი წლისთავი გვაიძულებს დავფიქრდეთ იმაზე, რომ უნდა გამოვაცოცხლოთ ის ახალი კულტურის, ახალი ძალისა და ახალი საზრისის მეშვეობით, ვაქციოთ უმნიშვნელოვანეს არენად იმ კულტურათა თანამშრომლობისთვის, რომლებიც შეადგენენ ჩვენს პლანეტარულ ცივილიზაციას.

მაგრამ სამყაროს არ გადაარჩენს არც რეგიონალური სტრუქტურების და არც გაეროს განმტკიცება, თუკი ორივე პროცესი არ იქნება შთაგონებული სულიერი მუხტით, რომელიც, ჩემი აზრით, ერთადერთი იმედია იმისა, რომ კაცობრიობა იარსებებს მეორე ათასწლეულშიც.

აქ ვისაუბრე იმაზე, რაც, ჩემი აზრით, უნდა მოიმოქმედონ პოლიტიკოსებმა.

ლიკუნა კაპანაძე
მომავალი ეკონომისტი

მასაჩუსეტსის შტატში მდებარე ერთ-ერთი ქალთა კოლეჯი რაღაცით ჰარი პოტერის ლეგენდარულ ჰოგვორთსს ჰგავს. აქ ლიკუნა ეკონომისტის სპეციალობას აითვისებს. ამერიკული განათლების სისტემა ძალიან მოსწონს – ყველაფერი სტუდენტის ნებაყოფილობით გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული. ლექციების გაცდენაც კი შეგიძლია, მაგრამ სემესტრის ბოლოს მთელი სიმკაცრით მოგეკითხება. დამოუკიდებლად ცხოვრება, თანაც უცხო ქვეყანაში, არ აშინებს. არადა, მეოთხე კლასამდე ბებიასთან ნებიერად იზრდებოდა, მაგრამ მერე, რადგან დედა მუშაობდა, სხვა გზა აღარ ჰქონდა და დამოუკიდებელ ცხოვრებასაც ნელ-ნელა მიეჩვია. მართალია, ერთ ადგილზე ჯდომა და მეცადინეობა დიდად არასოდეს ჰყვარებია, მაგრამ პასუხისმგებლობა ყოველთვის ჰქონდა. აბიტურიენტობის პერიოდში მაინც მოუწია გაცდენილი გაკვეთილების ანაზღაურება...

ბოლო კლასებში აღარც კოსმონავტობა სურდა და აღარც ალპინისტობა. მარკეტინგის მაგისტრატურამდე ეკონომიკის ფაკულტეტის „დაპყრობა" გადაწყვიტა. უახლოეს მომავალში ფსიქოლოგიის შესწავლასაც გეგმავს. ფიქრობს, რომ ეკონომისტის და ფსიქოლოგის განათლება კარგ შედეგს მოუტანს.

ამასთან, არსებობს ჯერ ერთი ძალა, რომელიც ასეთსავე – ან მეტსაც კი – ზეგავლენას ახდენს ადამიანების ცნობიერებაზე, ვიდრე – პოლიტიკოსები.

ეს ძალა არის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

მხოლოდ მაშინ, როდესაც მაღალი პოლიტიკის სფეროში მოვხვდი, სრულად გავაცნობიერე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ორმხრივ საშიში ძალა. მათი ორმაგი ზემოქმედება დამახასიათებელი არაა მხოლოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის. ესაა მხოლოდ ნაწილი, ან გამოხატულება თანამედროვე ცივილიზაციის ორმაგი არსისა, რომლის შესახებაც უკვე ვილაპარაკე.

ტელევიზიის წყალობით მთელმა სამყარომ იხილა, რომ არის ქვეყანა, სახელწოდებით რუანდა, სადაც ადამიანები ეწამებიან რწმენის გამო. ტელევიზიის მეშვეობით შესაძლებელია, ცოტათი მაინც დავეხმაროთ ტანჯულებს. ტელევიზიის წყალობით მთელი სამყარო შეძრა იმან, რაც მოხდა ოკლაჰომა-სითიში და, ამავე დროს, ეს მოვლენა აღქმულ იქნა, როგორც გაფრთხილება ყველასთვის. ტელევიზიის წყალობით ყველამ იცის, რომ არსებობს ქვეყნები – ბოსნია და ჰერცეგოვინა, და რომ საერთაშორისო საზოგადოება წარუმატებლად ცდილობს მათ დაყოფას გროტესკულ მინისახელმწიფოებად იმ სამხედრო პირთა სურვილის შესაბამისად, რომლებიც არც ერთი მათგანის კანონიერი წარმომადგენლები არ არიან.

ესაა თანამედროვე მასმედიის შესანიშნავი მხარე, ან, უფრო ზუსტად, იმათი, ვინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაციას აგროვებს. კაცობრიობა ემადლიერება გაბედულ ჟურნალისტებს, რომლებიც ნებაყოფლობით საფრთხეში იგდებენ საკუთარ სიცოცხლეს იქ, სადაც ხდება უბედურებები, რათა გააღვიძონ კაცობრიობის სინდისი.

ამასთან, არსებობს ტელევიზიის მეორე, უარყოფითი ასპექტი. ტელერეპორტიორები თითქოს ტკბებიან სამყაროში მიმდინარე საზარელი ამბებით ან, რაც უპატიებელია, მათ ჩვეულებრივ მოვლენებად წარმოგვიდგენენ. ტელევიზია პოლიტიკოსებს, პირველ ყოვლისა, ტელევარსკვლავებად წარმოგვიდგენს. მაგრამ სად დაწერილა, რომ ის, ვინც ტელევიზიით გვეკეკლუცება, აუცილებლად კარგი პოლიტიკოსიცაა? ყოველთვის მიკვირდა, რაოდენ დიდი ზეგავლენა აქვთ ჩემზე ტელევიზიის დირექტორებსა და რედაქტორებს, რომ ჩემი იმიჯი გაცილებით მეტადაა დამოკიდებული მათზე, ვიდრე ჩემზე, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია, გავიღიმებ თუ არა ტელეგადაცემაში, ან როგორ შევარჩევ ჰალსტუხს; ტელევიზია მაიძულებს გამოვხატო ჩემი აზრები რაც შეიძლება უფრო გონებამახვილურად, ლოზუნგებით ან შორისდებულებით. შესაძლოა, ჩემი ტელეგამოსახულება ისე შეცვალონ, რომ ჩემს თავს არ ვგავდე. ყოველივე ეს მაოცებს და, ამავ დროს, ვშიშობ, რომ კეთილ მიზნებს არ ემსახურება. ვიცნობ პოლიტიკოსებს, რომლებიც თავიანთ თავს ისე აღიქვამენ, როგორც ეს ტელეკამერით ხდება. ტელევიზიამ შეისრუტა მათი პიროვნებები და ერთგვარ ტელეაჩრდილებად აქცია. ზოგჯერ ვფიქრობ, ძილის დროსაც იმაზე ხომ არ ფიქრობენ, რომ ტელეკამერის წინ მომგებიანად გამოიყურებოდნენ.

ტელევიზია ან პრესა არ აღმაშფოთებს იმის გამო, რომ ისინი ამახინჯებენ ან კვეცენ ჩემს ნათქვამს, ან როდესაც რედაქტირების გზით ტელეეკრანზე ურჩხულს მამსგავსებენ. არ მაღიზიანებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, როდესაც ვრწმუნდები, რომ პოლიტიკური მოღვაწის აღზევება ან დაცემა ხშირად უფრო მეტად მათზეა დამოკიდებული, ვიდრე დაინტერესებულ მხარეთა პოლიტიკაზე. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია სხვა რამ: იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომელნიც განკარგავენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა სამყაროსა და კაცობრიობის მომავლის გამო. ისევე, როგორც ატომის გახლეჩამ შეიძლება უდიდესი სარგებლობა მოუტანოს კაცობრიობას, და, იმავდროულად, საფრთხე შეუქმნას მის არსებობას, ასევე, ტელევიზიას შეიძლება ჰქონდეს

ტელერეპორტიორები თითქოს ტკბებიან სამყაროში მიმდინარე საზარელი ამბებით ან, რაც უპატიებელია, მათ ჩვეულებრივ მოვლენებად წარმოგვიდგენენ. ტელევიზია პოლიტიკოსებს, პირველ ყოვლისა, ტელევარსკვლავებად წარმოგვიდგენს. მაგრამ სად დაწერილა, რომ ის, ვინც ტელევიზიით გვეკეკლუცება, აუცილებლად კარგი პოლიტიკოსიცაა?

სასიკეთო ან არასასიკეთო შედეგები. მას შეუძლია, სწრაფად, შთამბეჭდავად და არნახული ძალით დანერგოს ურთიერთგაგების, ჰუმანურობის, სოლიდარობისა და სულიერების სულისკვეთება, ან კიდევ – თავზარი დასცეს მთელ ხალხებსა და კონტინენტებს. ისევე, როგორც ატომური ენერგიის გამოყენება დამოკიდებულია პასუხისმგებლობის გრძნობაზე, ტელევიზიის ძალაუფლების მართებული გამოყენებაც დამოკიდებული ჩვენს პასუხისმგებლობის გრძნობაზე.

საკითხს, გადაურჩება თუ არა ჩვენი სამყარო მის წინაშე წამოჭრილ საშიშროებებს, განსაზღვრავს, პირველ რიგში, ის, გააცნობიერებენ თუ არა ადამიანები თავიანთ გრძნობებს, შეიგნებენ თუ არა თავიანთი პასუხისმგებლობის ხარისხს და ახლებურად აღიქვამენ თუ არა თვით ყოფიერების სასწაულს. სამყაროს ბედი თითოეული ჩვენგანის ხელთაა. და მაინც, ზოგიერთს მეტი ზეგავლენა აქვს მის ბედზე, ვიდრე – დანარჩენებს. რაც უფრო დიდია ადამიანის გავლენიანობა – იქნება ეს პოლიტიკოსი თუ ტელედიქტორი – მით მეტი მოთხოვნები წაეყენება მის პასუხისმგებლობის გრძნობას და მით ნაკლებად უნდა გაითვალისწინოს საკუთარი ინტერესები.

ბოლოს, ნება მომეცით, გამოვთქვა მცირეოდენი შენიშვნა. პრაღაში დავიბადე და იქ ვცხოვრობდი ათწლეულების განმავლობაში, ისე, რომ უფლება არ მქონდა, ფართო განათლება მიმეღო ან მომენახულებინა სხვა ქვეყნები. მიუხედავად ამისა, დედაჩემს არასოდეს უთქვამს უარი თავის ერთ-ერთ ფარულ და საკმაოდ ექსტრავაგანტურ ოცნებაზე: რომ მე ჰარვარდში ვისწავლიდი. ბედმა წილად არ მარგუნა, ხორცი შემესხა მისი ოცნებისთვის, მაგრამ მოხდა სხვა რამ, რაც დედაჩემს არც კი დასიზმრებია: დოქტორის ხარისხი მივიღე ჰარვარდში, ისე, რომ აქ არასოდეს მისწავლია.

მეტსაც ვიტყვი: საშუალება მომეცა, მენახა სინგაპური და უამრავი სხვა ეგზოტიკური ქვეყანა. დავრწმუნდი, რაოდენ პატარაა ჩვენი სამყარო და რამდენი უბედურება სუფევს მასში, რასაც თავიდან ავიცილებთ, თუკი ადამიანები გამოიჩენენ უფრო მეტ მხნეობას, განიმტკიცებენ იმედებს, იგრძნობენ უფრო მეტ პასუხისმგებლობას, მეტი ურთიერთგაგებითა და სიყვარულით მოექცევიან ერთმანეთს.

არ ვიცი, მიყურებს თუ არა დედაჩემი ზეციდან, მაგრამ თუ მხედავს, ალბათ, ფიქრობს, რომ ცხვირს ვყოფ იმ საქმეებში, რომლებშიც ცხვირი უნდა ჩაყონ მხოლოდ იმ ადამიანებმა, რომლებმაც პოლიტოლოგია ჰარვარდში შეისწავლეს.

ვიმედოვნებ, თქვენ ასე არ ფიქრობთ!

დიდი მადლობა ყურადღებისთვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ALTHAUS

ჩაის სახლი

ცივი ჩაის სეზონი ალთჰაუსის ჩაის სახლში

კაფე მაღაზია

ქიაჩელის 4/1
ტელ: +995 32 218 23 18
info@althaustea.ge

სამუშაო საათები:
09:00 – 23:00
facebook/althaustea.ge
www.althaustea.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩარლზ სიმიკი

■ ■ ■

მისასალმებელი სიტყვა, ბაკნელის უნივერსიტეტი, 2008 წლის 18 მაისი

მივმართავ პრეზიდენტ მიტჩელს, პატივცემულ მასწავლებლებსა და სტუმრებს, აგრეთვე – 2008 წლის გამოსაშვები კლასის მოსწავლეებს!

მიხარია და დიდ პატივად მიმაჩნია, რომ თქვენი მონვევით მონაწილეობას ვიღებ ზეიმში შესანიშნავი ძველი სკოლისა, რომელიც ადრე ცნობილი იყო „პენსილვანიის უდაბნოს“ სახელწოდებით. ვულოცავ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ამ ღირსშესანიშნავ წვიმიან დღეს – ცივ დღეს, რომლის გამო შეიძლება ვიკითხოთ: რაში გამოიხატება გლობალური დათბობა?

ორმოცდაორი წლის წინ თქვენს ადგილას ვიყავი. მახსოვს ჩემი გაოცება და ბედნიერების განცდა კოლეჯის დამთავრებასთან დაკავშირებით და კიდევ უფრო მეტი ბედნიერება, როდესაც ჩემმა შვილებმაც დაამთავრეს კოლეჯი. შეიძლება თქვენთვის ეს ბუნებრივი რამაა, მაგრამ ჩემთვის ძალზე ამაღელვებელია. ბავშვობისას ყველა მასწავლებელი და ნათესავი მარწმუნებდა, რომ უქნარა ვიყავი და გულწრფელად გამიკვირდა, რომ მათი წინასწარმეტყველება არ გამართლდა. გულწრფელად ვაღიარებ: მძულდა სკოლა. მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში, როდესაც ბომბავდნენ ჩემს მშობლიურ ბელგრადს (ახლა გაუკაცრიელებულ ქალაქს), ვლოცულობდი, რომ ერთ-ერთი ბომბი ჩემს სკოლას დასცემოდა. ეს არ მოხდა. მახსოვს ჩემი იმედგაცრუებაც, როდესაც ომი დამთავრდა. აფორიაქებული, დავხეტიალობდი ნახევრადდანგრეული ქალაქის ქუჩებში მეგობრებთან ერთად და ეს იყო მთელი განათლება, რომელიც მჭირდებოდა. დედამ შემასწავლა კითხვა, ხოლო მამაჩემის ბიბლიოთეკის წიგნები უფრო საინტერესო იყო, ვიდრე სახელმძღვანელოები.

სამშობლოს დატოვება

მაშინ არ ვიცოდი, რომ ჩემი ცხოვრება, ისევე, როგორც ჩემი მშობლების ცხოვრება შეიცვლებოდა და რომ ომის შემდეგ ჩვენ – დევნილნი – იძულებით დავტოვებდით სამშობლოს. ჩემმა ოჯახმა მსოფლიო უფასოდ მოიარა ჰიტლერის ომისა და სტალინის მიერ აღმოსავლეთ ევროპის დაპყრობის შედეგად. არავის უკითხავს, რა გვსურდა. ისევე, როგორც მილიონობით სხვა ადამიანს, რომლებიც უსახლკაროდ დარჩნენ, არ გვინდოდა ბელგრადის დატოვება, რადგან ძალიან გვიყვარდა ის. დიდი სახელმწიფოები ერთმანეთში იყოფდნენ ზეგავლენის სფეროებს, საზღვრები შეიცვალა, ეგრეთ წოდებული რკინის ფარდა დაეშვა და ბედის ანაბარა დავრჩით ჩვენი ჩემოდნებითა და მოგონებებით. იმდენი უბედურება არ განგვიცდია, რამდენიც გადაიტანეს ომის შედეგად ადგილგადანაცვლებულმა სხვა ადამიანებმა. მაგალითად, მილიონზე მეტი რუსი, რომლებსაც ომის განმავლობაში გერმანელები აიძულებდნენ, ემუშავათ გერმანიის ქარხნებსა და ფერმებში, მოკავშირეებმა სამშობლოში დააბრუნეს. ზოგიერთი მათგანი დახვრიტეს, დანარჩენები კი გაგზავნეს შრომით ბანაკებში, რათა თანამოქალაქეთა გონება არ აემღვრიათ ევროპაში ათვისებული დეკადენტურ-კაპიტალისტური იდეებით. ჩვენი პერსპექტივები უფრო ნათელი იყო. ვიმედოვნებდით, რომ შეერთებულ შტატებში აღმოვჩნდებოდით, რადგან მამაჩემი ომამდე ამერიკულ კომპანიაში მუშაობდა და კომპანიის მესვეურებს სურდათ, მასთან თანამშრომლობა განეახლებინათ. ათასგვარი ფათერაკების შემდეგ აქ აღმოვჩნდით.

ნიუ-იორკის ხილვა

1954 წლის აგვისტოს ვიდექი იმ ხომალდის გემბანზე, რომელიც ნიუ-იორკის ნავსადგურში შედიოდა. აღტაცებით ვუცქერდი ჰორიზონტს და ვშფოთავდი – არ ვიცოდი, რა მელოდა წინ. იმ მომენტში ჩემთვის ვინმეს რომ ეკითხა, რას ინატრებო, ალბათ, ვუპასუხებდი, რომ მსურდა ინგლისური ენის შესწავლა, ჯინსების, კოვბოური ქამრის, ფერადი სპორტული პერანგის ყიდვა და გასეირნება ერთ-ერთი დიდი ამერიკული ავტომანქანით, რომლებიც იმ დილას ვიხილე. ჩემი პატივმოყვარული სურვილები იმდენად ბუნდოვანი ან მოკრძალებული იყო, რომ მათზე საუბარი არც ღირს. წარმოდგენა არ მქონდა, როგორ წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება.

როდესაც ბავშვობისას მეკითხებოდნენ, რა პროფესიაზე ოცნებობო, რაღაცებს ვიგონებდი. მამაჩემი ინჟინერი იყო და ამიტომ ვიცოდი, რომ უფრო უხიფათო იყო იმის თქმა, რომ ინჟინრობა მსურდა, ჩემი მამიკოს მსგავსად. ამის მოსმენა ყველას სიამოვნებდა. მოგვიანებით, როდესაც მოზარდი გახლდით, მივხვდი, რომ მათემატიკა არ მეხერხებოდა და ჩემს მშობლებს ვაუწყე, ჟურნალისტობაზე ვოცნებობ-მეთქი. მამაჩემს გაუხარდა, დედას კი – არა. ის ფიქრობდა, რომ საზღვარგარეთ კორესპონდენტად მუშაობისას რომელიმე ქვეყანაში უბედურებას გადავაწყდებოდი ომის ან რევოლუციის დროს; შეიძლებოდა ტყვედ ჩავვარდნოდი აჯანყებულებს, რომლებიც, ალბათ, მაწამებდნენ და დამხვრეტდნენ. მე კი ვოცნებობდი. წარმომედგინა, რომ თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი, კოქტეილს ვსვამდი საომარ მოქმედებათა რაიონში განლაგებული ელეგანტური ოტელის ბარში, ვეარშიყებოდი ლამაზ, იდუმალ ქალს, რომელიც, ალბათ, ჯაშუში იყო, მაგრამ წააგავდა 1940-იანი წლების შავ-თეთრი ფილმების (ისინი სიყმაწვილეში ძალიან მიყვარდა) ერთ-ერთ ჰოლივუდელ კინო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავს.

პოეტური შემოქმედება

არსებითად, ჟურნალისტიკა სულაც არ მაინტერესებდა. ვხაზავდი და ვხატავდი, მალულად ლექსებსაც ვწერდი, მაგრამ ვიცოდი, რომ აუცილებლად უნდა მეშოვა სამუშაო. ჩემი მშობლები ცალკე ცხოვრობდნენ და თვრამეტი წლის ასაკში დამოუკიდებლად უნდა მერჩინა თავი და გავრკვეულიყავი სამომავლო გეგმებში. ვიცოდი, რომ უმაღლესი განათლების მისაღებად ღამღამობით უნდა მესწავლა, დღისით კი მემუშავა. წლები დამჭირდა, რათა ბაკალავრის დიპლომი მიმეღო, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ჩემი ძირითადი არჩევანი ძალზე არაპრაქტიკული იყო. ვსწავლობდი რუსულ ენასა და ლიტერატურას, თუმცა კარგად ვიცოდი, რომ ვერასოდეს დავაგროვებდი საკმარის ცოდნას, რათა სხვებისთვის მესწავლებინა ეს საგანი. შეიძლება მკითხოთ, რატომ მოვიქეცი ასე? მიყვარდა დიდი რუსი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებთა კითხვა ორიგინალში. ესაა და ეს. სხვა მიზეზი არ არსებობდა.

ზოგჯერ მეკითხებიან, როდის გადავწყვიტე, პოეტი გავმხდარიყავი. ჩვეულებრივ, ვპასუხობ – რაც ბევრს აკვირვებს – რომ ეს გადაწყვეტილება არასოდეს მიმიღია. ლექსებს ღამით ვწერდი, ვაქვეყნებდი ლიტერატურულ ჟურნალებში, მონაწილეობას ვიღებდი პოეზიის საღამოებში, გავიცანი ზოგიერთი პოეტი, მაგრამ იმ პერიოდში მხატვრობა მსურდა. პრობლემა ის იყო, რომ, პრაქტიკულად, არავითარი ნიჭი არ გამაჩნდა. თითქმის ოცდაათი წლის ასაკში მოვეგე გონს და ხელი ავიღე ხატვაზე. ამ დროისთვის გამოვაქვეყნე ჩემი ლექსების პირველი წიგნი და ვამზადებდი მეორეს, თან ვმუშაობდი ჩიკაგოსა და ნიუ-იორკის სხვადასხვა უწყებაში და ზოგჯერ ვერთობოდი.

ირმა გაჩეჩილაძე
მომავალი ფოტოგრაფი

რაც შეეხება ფოტოგრაფიას, გადაღება „მილნიცათი“ დაიწყო, შემდეგ ბაბუამისის ფირიანი „ზენიტი“ და ბოლოს, ნახევრადპროფესიონალური კამერაც აითვისა. თავდაპირველად ყველაფერს იღებდა. ახლა უკვე გადაღებამდე დეტალებზე ფიქრობს – სად, რა, როგორ, რატომ... მოსწონს უამინდობაში ცარიელი ქუჩების გადაღება. ფოტოაპარატთან მეგობრობა არასოდეს ეზარება. სამხატვრო აკადემიაში ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე აბარებს, მაგრამ, სავარაუდოდ, ფოტოგრაფიის ან დიზაინის მიმართულებით გააგრძელებს სწავლას.

სამყაროს სხვაგვარად აღქმა მას შემდეგ დაიწყო, რაც ფოტოგრაფ გურამ წიბახაშვილის კურსები გაიარა. ბევრი ახალი რამ გაიგო ფოტოზეც, კინოზეც, მხატვრობაზე. ეს მისი ცხოვრების ერთ-ერთი საინტერესო პერიოდი იყო. შემდეგ, პატარა წარმატებებიც ჰქონდა – სოციალური ფოტორეპორტაჟები რამდენიმე სოლიდურმა გამოცემამ დაბეჭდა.

განადგურებული ცხოვრება

არაფერი სჯობს საინტერესო ადგილას ცხოვრებას, მეგობრების ყოლას, მათთან დროსტარებას, სასიყვარულო თავგადასავლებს და სასიამოვნო სამსახურის ქონას. სამწუხაროდ, სამყაროში მიმდინარე მოვლენები დროდადრო არღვევს ჩვენი ცხოვრების მშვიდობიან მდინარებას. კარგად მახსოვს, როგორ მივედი ერთ დღეს სამსახურში – „ჩიკაგო სან თაიმში“ – და მისალმებისას ჩემს თანამშრომლებს ვაცნობე, რომ ვაპირებდი ლიბანში გამგზავრებას არაბებთან საბრძოლველად. ეს იყო 1957 წელი. პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ბეირუთში გაგზავნა საზღვაო ფლოტი. გაზეთები იუწყებოდნენ, რომ საჭირო იყო მეტი ჯარის გაგზავნა. წამიერად შიშმა შემიპყრო. მზად არ ვიყავი, დამეტოვებინა ჩემი მყუდრო ცხოვრება. მოგვიანებით ჯარში ვიმსახურე, მაგრამ, საბედნიეროდ, ვიეტნამში არ მოვხვედრილვარ. იქ ჩემი უმცროსი ძმები გაგზავნეს. შიშის გავლენით, რომელიც მაგრძნობინა აწ უკვე დავიწყებულმა ლიბანის კრიზისმა, თვალყურს ვადევნებდი სამყაროში მიმდინარე მოვლენებს. დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ყოველთვის ხდება რაღაც საშინელი, ამაზრზენი. ჩვენ, უმეტესად, ვფიქრობთ, რომ ეს ამბები ჩვენ არ გვეხება, რომ ისინი სხვა ადამიანების პრობლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაა. შეიძლება თანავუგრძნობდეთ მათ ტანჯვას, მაგრამ სულაც არ გვსურს, გავიაზროთ პოლიტიკა, რომელმაც ეს გამოიწვია და სრულად წარმოვიდგინოთ ხალხის მძიმე მდგომარეობა. სულაც არ გვაინტერესებს დეტალები. მაგალითად, ამჟამად ჩვენ არ ვითვალისწინებთ ომის რეალურ საფრთხეს. ოკუპირებულ ქვეყანაში გავიზარდე და ამის ერთ-ერთი უპირატესობა ისაა, რომ ბავშვობიდანვე ნათლად შევიგენი, რა არის ომი. ჩვენი ტელევიზიით თითქმის არასოდეს გადმოიცემა სისხლისღვრების ამსახველი სცენები. საშუალებას არ გვაძლევენ, ვიხილოთ დახოცილი ადამიანები, დასახიჩრებული სახეები და სხეულები ან მომაკვდავის აგონია. ვერც ერთი პოლიტიკოსი ვერ შეძლებდა თვალი დაეხუჭა ომების პერსპექტივაზე ან მათთვის კეთილშობილური წამოწყებები ეწოდებინა, ტელერეპორტაჟები ამდენად „დავარცხნილი“ რომ არ იყოს და რომ არ გვიმალავდნენ იმას, თუ რას უქადის ომი ადამიანებს. პირველ მსოფლიო ომს ვიღაცამ „სასაკლაო“ უწოდა. დავამატებ, რომ ძირითადად უდანაშაულონი იღუპებიან. ომით თავის მოწონება დაუშვებელია. ამჟამად ხშირად უფრო უხიფათოა, იყო ჯარისკაცი, ვიდრე – სამოქალაქო პირი. თუმცა, რა თქმა უნდა, არც ჯარში სამსახურია სახალისო საქმიანობა.

რეალობა არ გვპატიობს

ომის თემა ყოველთვის მაღელვებდა. ეს საკითხი თქვენთვისაც იქნება შფოთვის მუდმივი მიზეზი. შეიძლება სცადოთ მისი იგნორირება, მაგრამ ვერ შეძლებთ. რეალობა არ პატიობს ცალკეულ ადამიანებსა და ქვეყნებს, რომლებიც ივიწყებენ მის არსებობას. ადრე თუ გვიან ის სანაცვლოს მოგიზღავთ.

ამ საკითხში გამათვითცნობიერეს იმიგრანტებმა და იმიგრანტთა შვილებმა, რომლებიც ნიუ-იორკსა და ჩიკაგოში გავიცანი. ებრაელებს, გერმანელებს, პოლონელებს, იტალიელებს, რუსებს უჩვეულო ცხოვრების გზა ჰქონდათ განვლილი. ისინი მიამბობდნენ, რაოდენ უზომო ბოროტების ან სიკეთის ჩადენის უნარი შესწევთ ადამიანებს. მიყვარდა მათი საუბრების მოსმენა, თუმცა კარგად როდი მესმოდა ამ ადამიანების აღშფოთებული შეძახილები და მოწოდებები. მათ გადაიტანეს რევოლუციები, თავდასხმები, ოჯახური ტრაგედიები, სიღარიბე, დამცირება და ღმერთმა იცის, კიდევ რა. მიუხედავად ამისა, შეინარჩუნეს ცნობისმოყვარეობა, იუმორის გრძნობა და მომიწოდებდნენ: „ჭკუაზე მოდი!“, „გონებას მოუხმე!“, „თვალები გაახილე!“ „ეს წიგნი წაიკითხე!“. ალბათ, ფიქრობდნენ, რომ უნდა იცოდე ყველაფერი ჩვენი სამყაროს შესახებ – ისიც, რაც მოსაწონი არაა.

დამოუკიდებელი აზროვნება

დამოუკიდებელი აზროვნებით უნდა გამოირჩეოდეს ყველა, ვინც საზოგადოების გარემოცვაში ცხოვრობს. პრობლემა ისაა, რომ საზოგადოება (თუმცა სხვაგვარად გვაჩვენებს თავს) ამის საშუალებას არ აძლევს ადამიანებს. ახლახან გადავიკითხე რალფ უოლდო ემერსონის ლექცია, რომელიც მან 1841 წელს წაიკითხა მექანიკოსების შეგირდთა შეკრებაზე ბოსტონში. დიდი ფილოსოფოსი და პოეტი აფრთხილებს ახალგაზრდებს, რომ ზედმეტად მგრძნობიარე სინდისი ხელს უშლის წარმატებას, რომ ყოველი პროფესია მოითხოვს გარკვეულ თვინიერებას, დიდსულოვანი ქცევებისგან თავის შეკავებას, კონფორმიზმს, ცალკეული ადამიანებისა და საზოგადოების თვალსაზრისთან კომპრომისს. ეს ესე, რომელსაც ეწოდება „ადამიანი — რეფორმატორი“, ახლაც ძალზე ამაღელვებელია. გვგონია, რომ ძლიერი პიროვნებები ვართ, ემერსონი კი ამბობს, რომ ჩვენი საზოგადოება იგუებს არა დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანებს, არამედ – მხოლოდ კონფორმისტებს. ნებისმიერი ჩვენგანი, ვინც ფიქრობს, რომ ემერსონის თვალსაზრისი გაზვიადებულია, თავის თავსაც კი ვერ უმხელს სიმართლეს ცხოვრების შესახებ.

> ჩვენ გამუდმებით გვატყუებენ სხვადასხვაგვარი – ფრიად პატივსაცემი – ინსტიტუციები და პიროვნებები. ნებისმიერი ერი დედამიწაზე უფრთხის სიმართლეს და თავს არიდებს იმის აღიარებას, თუ რა გააკეთა თავისი თავისა და სხვებისთვის.

სამყარო ისეთი არაა, როგორიც უნდა იყოს და ეს უნდა გვახსოვდეს მთელი ცხოვრების განმავლობაში. ჩვენ გამუდმებით გვატყუებენ სხვადასხვაგვარი – ფრიად პატივსაცემი – ინსტიტუციები და პიროვნებები. ნებისმიერი ერი დედამიწაზე უფრთხის სიმართლეს და თავს არიდებს იმის აღიარებას, თუ რა გააკეთა თავისი თავისა და სხვებისთვის. ჩვენ აქ არაფრით გამოვირჩევით. მიგვაჩნია, რომ ჩვენი მისიაა სამყაროს გაუმჯობესება, მაგრამ საკუთარი ქვეყნის მონესრიგებაც კი არ ძალგვიძს. საპრეზიდენტო არჩევნების დროს სერიოზულად არ განიხილებოდა არც ერთი პრობლემა, რომლებიც ეხება განათლების, დასაქმების, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის, არალეგალური იმიგრაციის, ეროვნული ვალების, ორი ომის ღირებულების საკითხებს. ოდინდელი თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ცალკეული მარცხის მიუხედავად, ამერიკა ვითარდება, რომ ადრე თუ გვიან ის ისეთი იქნება, როგორც ჩვენს წინაპრებს წარმოედგინათ, რომ გამეფდება ჭეშმარიტი თანასწორობა და პოლიტიკური დემოკრატია, აღარ გამოითქმის ხალხისა და მისი პოლიტიკური წარმომადგენლების მიერ. თუმცა, ხალხი, ალბათ, ცდილობს, ებრძოლოს უსამართლობას და გადაჭრას ამასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემა. მაგრამ ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების ალბათობა სულ უფრო მეტად იკლებს, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი პოლიტიკური დისკურსის დონეს. ვიმედოვნებ, რომ თქვენ – ახალი თაობა შეებრძოლებით ამ ტენდენციას და დაგვიცავთ ჩვენი სულმოკლეობისგან, უგუნურებისგან და თავიდან აგვაცილებთ თვითგანადგურების საფრთხეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაბამისობა

საფრთხე, რომლის შესახებაც ემერსონი გვაფრთხილებდა თითქმის ას სამოცდაათი წლის წინ, ახლაც არსებობს. მას, ისევე, როგორც მე, უყვარდა ეს ქვეყანა და დიდ იმედებს ამყარებდა მასზე. უბრალოდ, არ შეეძლო ეპირფერა და კმაყოფილება გამოეთქვა იმ მოვლენების გამო, რომლებიც სინამდვილეში არ მოსწონდა. ყველა ამერიკელი დიდი პოეტი – დაწყებული უიტმენით – შინაგანად გაორებული იყო, მაშინაც კი, როდესაც განადიდებდა ჩვენი ქვეყნის სილამაზეს და ჩვენი ხალხის მრავალ შესანიშნავ ნიშან-თვისებას. 1855 წელს, „ბალახის ფოთლების" (ლექსების პირველი წიგნის) წინათქმაში უიტმენი ურჩევდა თქვენი ასაკის ახალგაზრდებს: „გიყვარდეთ მიწა, მზე და ცოცხალი არსებები, ნუ გაეკიდებით სიმდიდრეს, დაეხმარეთ უპოვარ ადამიანებს, დაიცავით ბრიყვები და შეშლილები, თქვენი შემოსავლებითა და შრომით დაეხმარეთ ღარიბებს, გძულდეთ ტირანები, ნუ დაეჭვდებით ღმერთის არსებობაში, მოთმინებითა და ლმობიერებით მოეპყარით ადამიანებს, პატივი ეცით პიროვნებებსა და ხალხებს... სკოლაში, ან ეკლესიაში, ან ნებისმიერი წიგნიდან მიღებული ცოდნიდან გამორიცხეთ ყველაფერი, რაც ამდაბლებს თქვენს სულს, და შთამბეჭდავი იქნება თქვენი მჭევრმეტყველება ან მდუმარება, და კიდევ – მზერა და ყოველი მოძრაობა დიადი პოემის – თქვენი სხეულისა".

სიცოცხლის სასწაული

გთავაზობთ ჩემს ლექსს. პოეზიაში უნდა გამოიხატოს მოწიწება სიცოცხლის წინაშე. შეგონებები ცხოვრების მართებულად წარმართვის შესახებ მისი საქმე არაა. ამიტომ სწორედ ლექსით ვამთავრებ ჩემს გამოსვლას. ესაა მოკლე კატრენებით აგებული ოთხსტროფიანი ლექსი. პირველი სამი სტროფი ოცდაათი წლის წინ დავწერე, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა, როგორ უნდა დამესრულებინა ლექსი. შევეცადე წარმომედგინა მისი დასასრული, მაგრამ, უბრალოდ, ვერაფრის მოფიქრება ვერ შევძელი. დაუმთავრებელი ლექსი გადავდე და მრავალი წლის განმავლობაში დროდადრო ვუბრუნდებოდი, იმ იმედით, რომ შევძლებდი მის დამთავრებას. რამდენიმე წლის წინ დასასრული მოვიფიქრე.

ნუკა მაღლაკელიძე
მომავალი მარკეტოლოგი

სახლიდან სკოლამდე მისასვლელად ხუთიოდე წუთი სჭირდებოდა. კერძო სკოლა „ერუდიტის" მოსწავლე მას შემდეგ გახდა, რაც დედამ, პროფესიით მაწავლებელმა, სამსახური შეიცვალა.

უმაღლესი განათლების მიღების ოფიციალურ განაცხადში შვიდი უნივერსიტეტი მონიშნა (პირველი ადგილი თავისუფალმა უნივერსიტეტმა დაიკავა) – ნუკა მარკეტინგის ფაკულტეტზე აბარებს.

ამბობს, რომ მარკეტინგი სფეროა, რომელიც შეუძლებელია მოგბეზრდეს. ის ბიზნესს კვეთს, ბიზნესი კი – გარიგებებს, ფინანსების მართვას, ყიდვა-გაყიდვას, რეკლამას. მარკეტინგის საიდუმლოება მას გაცილებით უფრო აინტერესებს, ვიდრე ფული.

თანატოლებში პუნქტუალურობითა და კომუნიკაბელურობით გამოირჩევა. სიამოვნებით მონაწილეობს სპექტაკლებში, საქველმოქმედო პროექტებში. მუსიკალური შვიდწლედის დამთავრების შემდეგ, ფორტეპიანოზე დაკვრა მის საყვარელ თავშესაქცევად დარჩა.

სკოლას გულდაწყვეტით ემშვიდობება. იყო თვითმმართველობის კლუბის წევრი და პრეზიდენტის „თანამდებობამდეც" მიაღწია. ახალმა სკოლამ საფუძვლიანი ცოდნა მისცა, რეპეტიტორებთან მომზადებაც კი არ დასჭირდა.

ამ ლექსის სახელწოდებაა „ეს
პატარა რაღაც":
ძნელია, იპოვო რაიმე.
ასე ხდება ხოლმე, როდესაც
ქალი გთხოვს, მოაძებნინო
მარგალიტი,
რომელიც აქ, ქუჩაში დაკარგა.

მას შეეძლო თვითონ ეძებნა,
მტირალს, ეუბნები საკუთარ თავს.
როდესაც ეძებ მიწაზე
დავარდნილ მარგალიტს,
ფიქრის დროს, – და არა მილიონი
წლის შემდეგ...

ესაა ზაფხულის ერთ-ერთი
საღამო,
როდესაც გჭირდება მიზეზი,
რათა გამოხვიდე გრილი
ჩრდილიდან.
მაგრამ, სად გაქრა ქალი?

და რატომაა, რომ წლების შემდეგ,
კვლავ დროდადრო მზერას
მიაპყრობ მიწას.
როდესაც ჩქარობ მიხვიდე იქ,
სადაც ახლა იმყოფები,
დაგვიანებით მისული.

შეძლებს თუ არა თითოეული თქვენგანი, იპოვოს საკუთარი უნიკალური გზა, იპოვოს „ეს პატარა რაღაც"?

გმადლობთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: ლელი ბლაგონრავოვა

მარინა ვაშაყმაძე – სინონიმების გარეშე

ადამიანი, რომელიც 15 წუთით უსწრებს დროს

ავტორი: სანდრო კაკულია

ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაში სხვადასხვა ადამიანს განსხვავებული ადგილი აქვს მიჩენილი, ეს ადგილები იმის მიხედვით ნაწილდება, ამა თუ იმ პიროვნებამ რა როლი შეასრულა შენს ცხოვრებაში, რამდენი დრო დაგითმო; შეიძლება, ყურადღება გამოიჩინა, ხანდახან ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ადამიანი მთელი ცხოვრება შენს მეხსიერებაში ერთი გამოხედვის გამო დარჩეს. ჩემს შემთხვევაში რამდენიმე ადამიანია, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნების ერთობლიობის გამო სულ ჩემთან არის. ეს „ყოფნა“ მეტაფიზიკურია, როდესაც, იცი, რომ ისინი არსებობენ, და ეს არსებობა გახარებს, გმატებს ძალებს და გაფიქრებინებს, რომ სიმდიდრე, რომელსაც ფლობ, შეუფასებელია.

ერთ-ერთი მათგანი მარინა ვაშაყმაძეა. მარინას მაშინ შევხვდი, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე რომ ვიყავი. ბუნდოვნად მახსოვს პირველი შეხვედრის დეტალები, მაგრამ მახსოვს მისი უსაზღვროდ გაღიმებული სახე და საოცარი ენერგია, რომლის მსგავსიც იმხანად ჯერ ნანახი არ მქონდა (ჩემი ქიმიის მასწავლების გარდა, რომელიც ისე სწრაფად შემოდიოდა ხოლმე კლასში და ისე სწრაფად გადიოდა, რომ მე რვეულის ამოღებასაც ვერ ვასწრებდი). თუმცა სხვაობა ენერგიასა და ენერგეტიკას შორის ძალიან დიდია, მარინას ენერგიის შესაბამისი ენერგეტიკაც ჰქონდა...

ახლა რომ ვუფიქრდები, რამდენი დრო დამითმო მაშინ, სანამ მე მისი ჟურნალის რედაქციის ოთახში ყოველ მეორე დღეს მივდიოდი და ჩემს ნაწერებს ხმამაღლა ვუკითხავდი, სანამ კალმით ნაწერს მის კომპიუტერზე ვბეჭდავდი, მერე იმდროინდელ ტექნოლოგიურ მიღწევა – „ფლოპ დისკზე“ ვწერდი და მერე პრინტერზე ვბეჭდავდი – ცოტა მერიდება. მერე ხელჩაჭიდებული დავყავდი რედაქციიდან რედაქციაში, ჩემს თავს აცნობდა რედაქტორებს, მწერლებს, სახლშიც მახვედრებდა... მე კი, ისევ ჩემს ჩვეულ პოზაში ვიდექი და ვკითხულობდი... მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, ალბათ 10-12 წელიწადი, და ახლა მივხვდი, რომ თურმე მარინას ამის გარეშე არ შეეძლო, მივხვდი რომ თურმე მარინას იგივე დრო ჩემ გარდა კიდევ ათეულობით ტიპზე აქვს დახარჯული. დღემდე ვხედავ მის ყოფილ სტუდენტებს და მათ გაბადრულ სახეებს, როდესაც მარინას ხვდებიან, ვისმენ ისტორიებს, როგორ დაეხმარა სწავლის პერიოდში, როგორ დააყენა სწორ გზაზე, როგორ გაუღვივა სიყვარული პროფესიის მიმართ და, რა გასაკვირია, რომ ეს ყველაფერი, შემდგომ მისდამი უსაზღვრო სიყვარულით სრულდება.

„კალთა“

პირველად გაზეთ „თბილისის“ რეპორტიორი იყო. ყველაფერი გამართლებააო, ამბობს. „გამიმართლა, რომ ჩემი პირველი რედაქტორი ოთარ იოსელიანი იყო. საოცარი კაცი, რომელმაც მითხრა, რომ შემიძლია ის ვაკეთო, რაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია. არ ვიცი, იმხანად რამდენი რედაქტორი მეტყოდა ამას. ყველაზე მნიშვნელოვნად ადამიანებზე წერა მიმაჩნდა, მათ ცხოვრებაზე და პრობლემებზე. და ამაზე დავიწყე წერა...“

80-იანი წლების ბოლოს, პირველი პრესის კანონი რომ გამოჩნდა, რომლის მიხედვითაც დამოუკიდებელი გამოცემის დაარსება შეიძლებოდა, მარინამ ჟურნალი დააარსა, რომელსაც „კალთა“ დაარქვა. უფლება რომ მოგცეთ, დარგობრივი უნდა იყოსო, უთხრეს. ჰოდა, „კალთა“ იყო „ჟურნალი ქალებისათვის და არა მხოლოდ ქალებისათვის“. კალთა კი, კაბის კალთაც იყო, მთის კალთაც და სამშობლოს კალთაც. ქალების უფლებებზეც წერდნენ, ყოველდღიურ გასაჭირზეც და, მაგალითად, ქაქუცა ჩოლოყაშვილზე და მის რაზმელებზე... პირველი ნომერი 1990 წელს გამოვიდა. ეს პირველი დამოუკიდებელი ჟურნალი იყო საქართველოში და პირველი ჟურნალი, რომელიც კომპიუტერზე აეწყო. მხატვარი ნოდარ სუმბაძე იყო, ფოტოგრაფი გურამ წიბახაშვილი.

გურამ წიბახაშვილი:

„ერთ დღესაც, ჩემთან ტელეფონზე რეკავს მარინა და მთხოვს შეხვედრას. შევხვდი და მითხრა, რომ კეთდება ჟურნალი „კალთა“ და შემომთავაზა ფოტოგრაფად მუშაობა. ეს იყო ჩემი და მარინას საქმიანი ურთიერთობის დასაწყისი. მახსოვს, როგორ უნდოდა, რომ ჟურნალის ხარისხიც საუკეთესო ყოფილიყო, ერთად ვარჩევდით ქაღალდს, ვფიქრობდით კონცეფციაზე... მე, მარინა და ნოდარ სუმბაძე, ფაქტობრივად, ენთუზიაზმზე ვმუშაობდით, უბრალოდ, გვქონდა ერთი საერთო სურვილი, რომ შეგვექმნა ისეთი ჟურნალი, რომელიც ჯერ არ გაკეთებულა. საქმეში ვიზრდებოდით და ვსწავლობდით, და საბოლოო ჯამში 4 წლის განმავლობაში, ჩვენი დაუღალავი შრომის ხარჯზე, ფაქტია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ შევძელით პირველი დამოუკიდებელი ჟურნალის შექმნა“.

გურამი ამბობს: რომ არა მარინა ვაშაყმაძე, მას დღეს ჟურნალისტურ ფოტოგრაფიაში შეიძლება საერთოდ არ ემუშავა. ისევ მარინა...

„მე მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და ჟურნალისტურ ფოტოგრაფიაში დიდი გამოცდილება არ მქონდა. გამიხარდა, როდესაც მარინას სახით სხვა ადამიანმა მაგრძნობინა, რომ შესაძლებელი იყო ჩემი საქმიანობა უფრო ფართო საზოგადოებას ენახა და შეეფასებინა. მარინას აქვს საოცარი უნარი მოტივირების და საქმის მიმართ დადებითად განწყობის. მე ეს ჩემი თვალით მაქვს ნანახი მეორე ჟურნალის – „სტუდიის“ კეთების დროს, სადაც მარინამ შემოიკრიბა ახალგაზრდა სტუდენტები, ვხედავდი, როგორ ასწავლიდა, როგორ უხსნიდა, როგორ ამუშავებდა. ამას საოცარი უნარი და გაძლება უნდა, მარინამ ეს შეძლო და დღეს ის ადამიანები, ვინც მაშინ ჯერ კიდევ ბავშვები იყვნენ, ცნობილი ჟურნალისტები არიან“.

„კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც მე და მარინამ იური მეჩითოვთან ერთად გავაკეთეთ, იყო „ფოტობანკი“. იმ დროს არსებობდა მხოლოდ ერთი სახელმწიფო ბაზა – „გრუზინფორმი“, სადაც ყველა ფოტო იყრიდა თავს, მაგრამ არ იყო ფოტოების მოპოვების არანაირი ალტერნატიული წყარო, ამიტომ ჩვენ შევთავაზეთ სახელმწიფო არქივს, რომ დავეხმარებოდით ფოტოსაქმიანობაში, საარქივო ფოტოების ციფრულ მატარებლებზე გადატანაში. სანაცვლოდ კი, გამოგვიყვეს ერთი ოთახი. მაშინ ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებდით, რამხელა საქმეს ვაკეთებდით, მაგრამ ახლა რომ ვუფიქრდები, ეს იყო ჩვენს ისტორიაში პირველი დამოუკიდებელი ფოტობანკი, საიდანაც შემდგომ ხდებოდა ფოტოების გაცვლა, უამრავ საჭირო კონტაქტზე გასვლა და ა.შ.

„მარინა ვაშაყმაძე დღეს ჩემი მეგობარია, და მე ისევ ძველებურად აღფრთოვანებული ვარ საქმისადმი მისი დამოკიდებულებით“.

„სტუდია“

სტუდიის ბოლოს მეც მოვესწარი. თავში რომ ვახსენე, ვიდექი და მთელი დღეები ხმამაღლა ვუკითხავდი ჩემს დაწერილებს-მეთქი, ეს „წაკითხვები“ სწორედ ამ სტუდიაში მიმდინარეობდა (ისე, აქვე უნდა ვთქვა, რომ ეს „მეთქი“ მარინამ მასწავლა, მანამდე „თქოს“ ვხმარობდი ხოლმე უადგილოდ, ერთხელ სხვათა შორის მითხრა – იცოდე, ამ შემთხვევაში ასე არ უნდა დაწეროო. მას შემდეგ არ შემშლია და სკოლაში დაბრუნებულმა კლასელებს ვამცნე. მერე ერთმა მკითხა, რატომ ასეო? ზუსტი ახსნისთვის მასწავლებელს მივმართე, რომელმაც – ახლა „ვეფხისტყაოსანს“ გავდივართ და მაგის დრო არ არის, გრამატიკის საათზე იკითხეთო, გრამატიკის გაკვეთილამდე შეკითხვა, ცხადია, დამავიწყდა, მარინას ნათქვამი კი არა).

„სტუდიას“, როგორც სიტყვას, ორი მნიშვნელობა აქვს – ჟურნალი „სტუდია“ და ამ ჟურნალის რედაქცია, რომელიც რაღაც უცნაური არტსტუდია იყო, გემრიელი ყავით, არაჩვეულებრივი თანამშრომლებით და ბევრი ფურცლებით; თუ არ ვცდები, სადღაც გვიმრები და პატარა ქოთანში ჩარგული ალოეც მახსოვს. თუმცა ჩემზე უკეთ სტუდია იმ ადამიანებს ახსოვთ, ვინც იქ წლები გაატარა. მარინამ სტუდია 1996 წელს დააარსა. მისი კონცეფცია იყო, რომ ოსტატებსა და შეგირდებს ერთად ეკეთებინათ ჟურნალი, ფაქტობრივად, სკოლა იყო. წარმოიდგინეთ 90-იანი წლები, ქვეყანაში უშუქობა, სიცივე და უსახსრობა... სტუდია, ფართო გაგებით, ალბათ გაერთიანება უფრო იყო, ვიდრე უბრალოდ ჟურნალი. მარინა აქ სრულიად უსასყიდლოდ ასწავლიდა დამწყებ ჟურნალისტებს საქმეს, რომელსაც მთელი ცხოვრება ემსახურება. ვინც თავს გამოიჩენდა ან თუკი ვინმეში პოტენციალს დაინახავდა, თავისთან ტოვებდა და შემდგომ უკვე ერთად აგრძელებდნენ მუშაობას.

სტუდია ბევრისთვის ეპოქალური მოვლენაა. ვინც მარინას დიდი ხანია იცნობს, მასზე საუბარს ყველა ამ პერიოდის აღნიშვნით იწყებს. ჩემი „სტუდიური“ მოგონებები არაფერია იმ ადამიანთა მოგონებებთან, ვინც ამ ჟურნალის ცხოვრებასთან უშუალოდ იყო დაკავშირებული.

ეკა ქევანიშვილი:

„მარინა წინა საუკუნეში გავიცანი, 1997 წელს.

წელი ასე ზუსტად იმიტომ მახსოვს, რომ სწორედ ამ წელს ჟურნალ „სტუდიაში“ მივედით. „სტუდია“ იმ ბნელ, უღიმღამო და უინტერესო წლებში ნამდვილი გამონათება იყო. ეს იყო გამოკვეთილად გემოვნებიანი, თანამედროვე, საღი გამოცემა, რომელსაც მარინა რედაქტორობდა. დღესაც, ამდენი წლის შემდეგ, როცა „სტუდიის“ შემონახულ ნომრებს ვათვალიერებ, მაქვს შეგრძნება, შესაძლოა, ცოტა სუბიექტურიც, რომ ამ ჟურნალმა ბევრ სხვა გამოცემას მისცა ბიძგი; აჩვენა, როგორი უნდა ყოფილიყო ჟურნალი, რომელიც არ დაძველდებოდა. დღესაც მგონია, რომ „სტუდია“ ვეღარავინ გაიმეორა. სიტყვა „საღი“ ტყუილად არ ვახსენე, მარინა ზუსტად მიხვდა, სად უნდა ეძებნა, როგორც თვითონ უყვარს ხოლმე თქმა, „მარგალიტები“ – უკვე გამოცდილი ავტორების გვერდით ამ ჟურნალში მან სივრცე ახალგაზრდებს დაუთმო, გულწრფელ და ნამდვილ ძალას; ადამიანებს, რომელთაც კეთილსინდისიერ ჟურნალისტებად გაზრდაში თავად ეხმარებოდა.

გამიმართლა, რომ ჩემი პირველი რედაქტორი ოთარ იოსელიანი იყო. საოცარი კაცი, რომელმაც მითხრა, რომ შემიძლია ის ვაკეთო, რაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

არც 1997 წელი ვახსენე ტყუილად.

ჩვენ, მე და ჩემი მეგობრები, თსუ-ის მეორე კურსელები ვიყავით. ჟურნალისტობა გვინდოდა. თუმცა ძალიან მალე ყველანი მივხვდით, რომ უნივერსიტე-

ფოტო: გურამ ფანასაშვილის არქივიდან

ტის კედლებში ამ ხელობის სწავლა შეუძლებელი იქნებოდა.

მარინა მაშინ უკვე ცნობილი ჟურნალისტი იყო. ზუსტად მაშინ გავიცანით – ჩვენთვის ძალიან, ძალიან საჭირო დროს და თუ დღეს ვინმე მკითხავს, რა იყო იმ წლებში ყველაზე დიდი გამართლება, ვიტყვი, რომ ეს იყო მარინას ჟურნალისტური სახელოსნო – „სტუდია“.

ციოდა კიდეც, ბნელოდა კიდეც, სახლში მყრალი მწვანე ნავთქურები გველოდა, წესიერად არც ტრანსპორტი დადიოდა, მეტრო წარამარა ჩერდებოდა, არც ფული გვქონდა. არადა, რაღაც ახლის გაგება გვინდოდა, ახლის შექმნაც, მოკლედ, როგორცაა, როცა 18 წლის ხარ... და აი, ამ დროს, უცებ, ჩვენს ცხოვრებაში გაჩნდა მარინა და „სტუდია“. სად ხარ? – „სტუდიაში“, საიდან მოდიხარ? – „სტუდიიდან“, სად შევხვდეთ? „სტუდიაში“... კოსტავაზე, გამომცემლობის ძველ შენობაში გვქონდა ბუდე. იქ ვიკრიბებოდით ხოლმე სტუდენტები, მარტო მომავალი ჟურნალისტები არა; ბევრზე ბევრი საინტერესო ადამიანი, ვინც დღემდე შემომრჩა მეგობრად, სწორედ იქ, მარინამ გაგვაცნო. „სტუდია“ ჩვენთვის მართლაც ყველაფერს ნიშნავდა. ქცევის, გემოვნების, ცოდნის სახლი იყო“.

არიან ადამიანები, რომლებსაც ენანებათ საკუთარი დრო რომ სხვებს დაუთმონ; ადამიანები, რომლებსაც ზოგჯერ სიტყვის თქმაც ეზარებაც, მარინა კი ამით არსებობს.

არ ვიცი... უბრალოდ, ერთ დღეს აღმოვაჩინე, რომ სიტყვები – „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“ ფულზე და სიმდიდრეზე სულაც არ არის. ერთხელ, სიყმაწვილეში, სხვის ნაწერს ვასწორებდი. კარგი იდეა მომივიდა, ჯერ დავაპირე შემეთავაზებინა ავტორისთვის, მერე დამენანა, მე თვითონ რომ დავწერ ამ თემაზე იქ გამოვიყენებ-მეთქი. ჩემს უფროს კოლეგას, მარინა მაისურაძეს გავუზიარე გაზეთ „თბილისში“. მითხრა, არ დაგენანოს, გაეცი და, მერე, როცა დაწერ, ბევრად უკეთესი იდეები მოგივაო. ზუსტად ასე იყო, მაშინაც და ათასჯერაც მას შემდეგ... ახლა იმავეს მე ვეუბნები ჩემს ახალგაზრდა კოლეგებს“.

ეკა ქევანიშვილი:

„მარინა სულ გადარბენაზე იყო ხოლმე, ათას საქმეს მოდებული, ზუსტად ისე, როგორც დღესაა. ხან აგვიანებდა ხოლმე, ჩვენ კი ველოდით, რომ მისი თუნდაც ნახევაარსაათიანი ლექცია მოგვესმინა. მერე მაგიდის კიდეზე ჩამოჯდებოდა და გვიხსნიდა, როგორ უნდა გვეწერა „ადამიანურ“ ენაზე, ზედმეტი პათეტიკის გარეშე, ობიექტურად, დასავლური სტანდარტების, „ოქროს წესების“ დაცვით, როგორ გვეწერა ისე, რომ „დაღლილ ინჟინერს“ ამბავი გაეგო.

ექსპერიმენტების არასოდეს ეშინოდა, დღესაც ვფიქრობ, მე რომ „სტუდიის“ მსგავსი ჟურნალის რედაქტორი ვიყო, ვანდობდი თუ არა უდელიკატურეს თემებზე სტატიის მომზადებას 18-19 წლის დამწყებ ჟურნალისტებს... გვასწავლიდა და თან გვენდობოდა, და, მე მგონი, ჩვენც ძალიან ვცდილობდით, რომ ჩვენი ნაწერი მოსწონებოდა. ისიც ჩვენ თვალწინ მუშაობდა, მახსოვს პირველი სადისკუსიო მაგიდები, რომლებიც ჩვენს ჟურნალში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იბეჭდებოდა და რომელსაც მარინა უძღვებოდა. არც იმას გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ბევრი მოაზროვნის, მწერლის, მხატვრის, მუსიკოსის სახელი პირველად „სტუდაში“ გავიგეთ. ჩვენ ისეთ თემებს ვეძებდით, რაზეც ყველა არ წერდა. დღეს რომ ვიხსენებ, ეს პროცესი მართლა ჰგავდა უცნაურ ექსპედიციას – ჩვენ ამბებს ვთხრიდით, აღმოვაჩენდით და სხვებს ვუზიარებდით. ეს ნდობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

მარინას „სტუდია“ მარტო ჟურნალისტური სახელოსნო არ ყოფილა. ეს იყო შეხვედრების და საინტერესო დისკუსიების ადგილიც. მთელი დღე რომ მჯდარიყავი, იმდენ რამეს გაიგებდი და იმდენ ადამიანს შეხვდებოდი, სხვაგან ალბათ, ამისთვის მთელი თვე დაგჭირდებოდა. მე მგონი, ყველა იქ გავიცანი, ზოგი პირადად, ზოგიც შემოქმედებით – გურამ ნიბახაშვილი, კარლო კაჭარავა, ირაკლი ჩარკვიანი, იური მეჩითოვი, ბიძინა მაყაშვილი, ნათელა გრიგალაშვილი, ბესიკ ხარანაული, გია ბუღაძე, ლაშა ბუღაძე, რატი ამაღლობელი, ზვიად რატიანი, გიორგი ლობჟანიძე, მაია სარიშვილი, შოთა იათაშვილი, დათო ჩიხლაძე, დათო ქართველიშვილი, ზაზა ბურჭულაძე... ტყუილად ჩამოვთვლი, ვინმე აუცილებლად გამომრჩება.

კიდევ მარინას სიახლეები უყვარდა, უცებ გადაღებავდა ხოლმე ოფისის რომელიმე კედელს ყვითლად, მაგიდები და სკამები ერთ დღეს ლურჯი და ნარინჯისფერი გვხვდებოდა. ისედაც, ათას უცნაურ ნივთს ნახავდით ჩვენს „სტუდიაში“. ყველგან პლაკატი, ფოტო, სურათი, სამახსოვრო წარწერა იყო მიკრული. იმდროინდელ რედაქციებს მართლა არ ჰგავდა“.

დღე, დაყოფილი პერიოდებად

დილა

„ძალიან გვიან ვიძინებ და, ამიტომ დილით ადგომა ძალიან მიჭირს, შეიძლება ითქვას, რომ ეს მთელი ჩემი ცხოვრების პრობლემაა“.

ეს რომ მითხრა, ვიფიქრე, ახლა მეტყვის 10-ზე ვიღვიძებ და სამსახურში 11-ისთვის მივდივარო (რამ მაფიქრებინა?!). მარინა ყოველ დილით 7 საათზე იღვიძებს, ხანდახან 8-ზე. (ალბათ 15 წელია, 8 საათზე არ გამიღვიძია, 7-ზე კი მას მერე, რაც დავიბადე, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან სამშობიაროში ზუსტად 28 წლის წინ, პირველი ჩემი ტირილი სწორედ გამთენიისას გაისმა).

ის კი მეუბნება: „არც ისეთი ყოჩაღი ტოროლა ვარ, ის უნდა ნახო, დილით ყავამდე კედელ-კედელ ლასლასით როგორ მივდივარ“.

რადიო „თავისუფლებაში“ დილა დღის დაგეგმვით იწყება, უცხო ადამიანმა მათ თათბირზე რომ შეიხედოს, შეიძლება ძალიან დაიბნეს, ეს ჩვეულებრივ სარედაქციო თათბირებს არ ჰგავს: თემების განსჯა, ახალი ამბები, გეგმების დაწყობა, ღამის ფეისბუკის მიმოხილვა და თან სიცილი, ხარხარი, კომენტარები... როგორც ჩანს, ეს მარინასეული მიდგომაა, რადგან ჩვენთან ზოგიერთ ძალიან პატარა, ლოკალურ და უნიშვნელო კომპანიაშიც კი, ხანდახან დირექტორი ისე იქცევა, გეგონება, მთელი მსოფლიოს პრობლემები მის კისერზეა, და ისეთ მნიშვნელოვან ფიგურად მოაქვს თავი, რომ გაიძულებს იფიქრო, თითქოს ის უმსხვილესი მეგაკომპანიის მფლობელია. ვსაუბრობთ და ბედნიერი ვარ, რომ მარინაც ასე ფიქრობს – რომ მხოლოდ უშუალობითა და გულწრფელი მიდგომით, ინიციატივის დანახვითა და წახალისებით არის შესაძლებელი მიიღო შედეგიც, და პოზიტიურად განაწყო თანამშრომლები.

„ძალიან მძიმე ხელობა გვაქვს, ძალიან მძიმე. მთელი ცხოვრება რომ მიაქვს ისეთი, და თუ ადამიანი ბედნიერი არ არის ამ საქმის კეთებისას, როგორ უნდა გაუძლოს ამ ნარმოუდგენელ მარათონს...“ და მერე ღიმილით ამატებს: „ყველაზე მომხიბვლელ მარათონს ამქვეყნად“.

შუადღე

მუშაობა... შეხვედრები, გადაცემების ჩაწერა, ლექციები და ისევ შეხვედრები...

საღამო

საღამო შეფარდებითია. საღამო ხან ადრე დგება, ხან – ძალიან გვიან... სახლში სტუმრები, სამზარეულო, ხმამაღლა ჩართული ტელევიზორი, ისევ ნიუსები საერთო შეძახილების ფონზე – „გადართე, არ დაიღალე?“ სადილი ხვალისთვის და იქვე მუდმივად გახსნილი ლეპტოპი.

„სტუდიას“, როგორც სიტყვას, ორი მნიშვნელობა აქვს – ჟურნალი „სტუდია“ და ამ ჟურნალის რედაქცია, რომელიც, რაღაც უცნაური არტსტუდია იყო, გემრიელი ყავით, არაჩვეულებრივი თანამშრომლებით და ბევრი ფურცლებით.

ღამე

წერა... და სხვისი ნაწერის კითხვა. სტუდენტური ნამუშევრების დასტა.

ეს გრაფიკი თითქმის უკვე ათეული წელიწადია გრძელდება, მანამდეც დაახლოებით იგივე იყო, ეს დაყოფა პირობითია, ზოგადი და თანაც ძალიან მშრალი, რადგან არ არსებობს მნიშვნელოვანი გამოფენა ან მიღება, სადაც მარინას ვერ ნახავთ. თან ყველგან ისეთ კარგ ხასიათზე გხვდება, ვერც კი წარმოიდგენ, რომ მანამდე შეიძლება 7 საათზე იყოს გაღვიძებული და მინიმუმ ათ საქმიან შეხვედრაზე ნამყოფი... მაგრამ მათ, ვინც მას იცნობს, ეს ხომ უკვე დიდი ხანია აღარ უკვირთ.

საკუთარ თავზე

ვეკითხები – მისი ცხოვრება, რომელიც ამდენი მრავალფეროვანი პერიოდისგან შედგება, არის თუ არა დაყოფილი საქმიან, ფორმალურ, არაფორმალურ და ოჯახურ ცხოვრებად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თქმა უნდა, ამბობს, რომ – არა. ეს ცხოვრება ერთიანია, რომელიც არ იწყება ჟურნალისტიკით და სამსახურით და არ სრულდება საღამოს 7 საათზე სახლში დაბრუნებით. პროცესი უწყვეტია და გრძელდება... მეუბნება, რომ შეიძლება კაფეში იჯდეს, ან სახლში საკუთარ შვილს ელაპარაკებოდეს და ამ დროს მიხვდეს, რომ „იმ თემაზე" რაღაც ძალიან „მაგარის" გაკეთება შეიძლება.

ჩემი თავი ღრმა სიბერეში სოფლად ან ოკეანის ნაპირას ორსართულიანი ხის სახლის აივანზე, კომფორტულ სავარძელში გემრიელად მოკალათებული წარმომიდგენია, აღტაცებული ვუყვები ჩემს ვირტუალურ მომავალს და მგონია, რომ მეტყვის: „აუ, მეც ეგრე ვხედავ ჩემს თავს 30 წლის მერე, რა მაგარია, სანდრო! მაგრამ, აი მარინას პასუხი: „ჰო, რა ვიცი... ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი მშვიდად წამოწოლილი. შეიძლება ორი დღე გავჩერდე მაგ აივანზე, მერე ავდგები და სხვაგან წავალ. არ მინდა მშვიდი სიბერე. მაგ დროისთვის მოვიფიქრებ ალბათ რამეს".

მარინას შემხედვარე ვხვდები, რომ ადამიანის ენერგია შეიძლება ულევი და უცვლელი იყოს. მარინა ამბობს, რომ ადამიანს ყველაფრის სწავლა შეუძლია, ანუ უნარების შეძენა შესაძლებელია, მხოლოდ არ მგონია, რომ ამ მუდმივი „დრაივის" გამომუშავება შესაძლებელი იყოს, ან ხარ ასეთი, ან – არა. მარინას რაც მეტი აქვს საქმე, მით უფრო მეტს ასწრებს. ეცინება: „მე რა... ადამიანი ზოგადად ასეა მოწყობილი, საკუთარ თავზე არ გამოგიცდია?" მისთვის ყველაფერი ადამიანურ ურთიერთობებს ეფუძნება. მარინა ყველასთან ისეთია, როგორიც არის. მეგობრებთან, თანამშრომლებთან, უბრალოდ ნაცნობებთან – გულგახსნილი, უშუალო და ძალიან გულწრფელი.

მარინა ვაშაყმაძემ იმ ბნელ 90-იანებში გადაწყვიტა, რომ სინათლე ყველაზე მნიშვნელოვანია: „ყველაფრის სათავე განათლებაა და ჟურნალისტიკაში ეს განსაკუთრებით გვჭირდებოდა. მიხვდი, რომ თუ დასავლურ სტანდარტებს არ ვისწავლიდით, ჩვენ ჟურნალისტიკა ვერ განვითარდებოდა".

სწავლა, გამოცდილების გაზიარება, პირველი დასავლური ტრენინგები საქართველოში. აწყდება უამრავ წინააღმდეგობას, მაგრამ თავისას არ იშლის! იცის, რომ არაფერი შეიცვლება, თუ არ გაიხსნა ინფორმაციული საზღვრები; ჟურნალისტები ვერაფერს გაიგებენ გლობალური ტენდენციების შესახებ, თუ არ გაეცნობიან ჟურნალისტიკის სკოლებსა და მათ მიმდინარეობებს, ვერ გაითავისებენ, რა სჭირდება მსოფლიოს და რა როლი აკისრია ჟურნალისტს თანამედროვე ყოფაში. მიდის საფრანგეთში, ამერიკაში, ბრუნდება უკან და ცდილობს, იქ მიღებული გამოცდილება ისევ სხვებს გაუზიაროს.

მარინა ვაშაყმაძის ჟურნალისტური ბლოკბასტერი

ჰოლივუდი მსახიობებისთვის არის! არ ვიცი, რა ვუწოდო ჟურნალისტურ თავგადასავალს, რომელიც საერთოდ არ არის კავშირში ჰოლივუდთან, მაგრამ მისი მოსმენის შემდეგ მე ნამდვილი ამერიკული ბლოკბასტერის სცენარი დავინახე. მარინას ცხოვრებაში უნიშვნელოვანესი პერიოდი სწორედ მას შემდეგ იწყება, რაც ის ამერიკაში მიდის.

არიან ადამიანები, რომლებსაც ენანებათ საკუთარი დრო რომ სხვებს დაუთმონ; ადამიანები, რომლებსაც ზოგჯერ სიტყვის თქმაც ეზარებაც, მარინა კი ამით არსებობს.

გაფრთხილება: ქვემოთ განვითარებული მოვლენები ზუსტია და არ წარმოადგენს გამოგონილ ამბავს. მასში აღწერილი პირების სახელები არ არის შეცვლილი, ანონიმურობა არ არის დაცული, ქალაქები: თბილისი, ვარშავა და ვაშინგტონი ნამდვილად დედაქალაქებია. ვფიქრობდი კინემატოგრაფიულ ანალოგზე, რომ უფრო მარტივად შემძლებოდა მკითხველის ემოციურად განწყობა. უცბად მივაგენი – წარმოიდგინეთ სიდნი პოლაკის „თარჯიმანი", ნიკოლ კიდმანისა და შონ პენის მონაწილეობით. ეს ისტორია, ცხადია, ძალიან განსხვავებულია, მაგრამ ისეთი, რომ ჰოლივუდურ დეტექტივის სცენარს დაწერდა კაცი.

1993 წელი, აგვისტო, რეკავს მარინას ტელეფონი, ყურმილს მიღმა ისმის ამერიკელი მამაკაცის ხმა: – გამარჯობა, მე ჯიმ ჰატჩისონი ვარ, ამერიკის საელჩოს პრესატაშე საქართველოში... შეხვედრა შედგა. ჯიმ ჰატჩისონმა უთხრა, რომ იცნობს მის საქმიანობას და თუ წინააღმდეგი არ იქნება, სთავაზობს ამერიკაში გაემგზავროს კოლეგებისთვის გამოცდილების გასაზიარებლად.

მარინა თანხმდება შემოთავაზებას. „რა თქმა უნდა, ვთანხმდები, ის კი არადა, სიხარულისაგან აღარ ვიყავი..." წასვლაზე რომ მიდგა საქმე, სოხუმი რომ დაეცა, აღარ გამოვიდა მშვიდი და უდარდელი ამერიკული ვოიაჟი. დაკარგული აქვს წასვლის ხალისი, დამძიმებული გულით მიემგზავრება. სულ არ ჰგონია, რომ ვინმეს ყურადღებას მიიპყრობს, მაინც აგროვებს ფოტოებსა და დოკუმენტურ მასალებს ომისა თუ ჭუბერის გზის შესახებ.

ამ დროს ვრცელდება ინფორმაცია, რომ სოხუმში ტყვედ ჩავარდნენ ქართველი ჟურნალისტები – იური გავა და საშა (ალექსანდრე) ბერულავა. კავშირი გაწყვეტილია და არავინ იცის მათი შემდგომი ბედი. თბილისში ჟურნალისტები და ოჯახის წევრები ერთიანი ძალებით ცდილობენ ინფორმაციის გაგებას, მაგრამ უშედეგოდ... მარინამ იცის, რომ ნიუ-იორკში მიემგზავრება, ვარშავის გავლით. იქ კაცი დაგხვდებაო, უთხრა ჯიმ ჰატჩისონმა, და დანარჩენს ის აგიხსნისო. ეს კაცი მართლაც დახვდა, სასიამოვნო გარეგნობის შუახნის კაცი.

– გამარჯობა, მე ვეინ დილიჰეი ვარ, ახლა სასტუმროში მივდივართ, ხვალ კი დილის 09:30 წუთზე მოგაკითხავთ.

– ამ დროს არის რეისი? – მარინას ეგონა, რომ მეორე დილით ამერიკაში მიფრინავდა.

– არა, ქალბატონო, ხვალ ეუთოს საერთაშორისო კონფერენცია იმართება ადამიანის უფლებების შესახებ.

L'Entrecôte

the best Steak is prepared here

PRE-FIXED MENU SERVED IN 15 MINUTES

Steak with special sauce for your choice
French fries with parmesan and
Salad "L'Entrecôte" ..... 40 GEL

a: 29, abashidze Str.
t: +995 (322) 20 20 80
e: info@mclab.ge
MClab

[mc]lab
management & consulting laboratory

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომართვით, აქ ყველაფერი წერია, და მარინას დიდი საქაღალდე მიაწოდა. უცნობი მანქანაში ჩაჯდა და წავიდა, მარინა კი კონფერენციის მონაწილის ბეჯით ვარშავის ცენტრში დატოვა.

ეუთოს კონფერენცია, დიდ დარბაზში დიდი მისვლა-მოსვლაა, ევროპისა და აზიის საგარეო საქმეთა მინისტრები, ელჩები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. უჩვენეს მისთვის გამოყოფილი ადგილი და მარინა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების წარმომადგენლების გვერდით აღმოჩნდა.

გაოგნებული ვიყავიო, ამბობს მარინა. იმ დროს მსგავსი შეკრებები მხოლოდ ტელევიზიით ჰქონდა ნანახი: „ვუსმენდი ძალიან სერიოზულ გამოსვლებს ადამიანის უფლებების შესახებ, საუბრებს დარღვევების ნიუანსებზე, რომლებიც ასეთი მნიშვნელოვანი იყო და ასეთი შორი ჩემი სამშობლოს რეალობიდან... ერთი დღე აზრზე მოსვლას მოვანდომე. მერე, ერთ სხდომაზე ცხელ წერტილებში მომუშავე ჟურნალისტების ბედსა და მათ დაცვაზე დაიწყეს საუბარი. ბევრი რამ ითქვა მსოფლოს მრავალ კონფლიქტსა და ცხელ წერტილზე, მაგრამ აფხაზეთის ომი არავის უხსენებია. მახსოვს, როგორ მოვიკრიბე ძალა, როგორ მიკანკალებდა ხელი, როცა სიტყვა ვითხოვე და მიკროფონს მივწვდი... მერე მოვყევი, რა ხდებოდა იმ დროს საქართველოში: როგორ დაბრუნდნენ სოხუმში ადამიანები სოჭის შეთანხმების შემდეგ იმ იმედით, რომ ომი დამთავრდა, და როგორ აღმოჩნდნენ ალყაში; როგორ ჩარჩნენ მოკვეთილ ქალაქში ისინი, ვინც ჭუბერის უღელტეხილზე ვერ გამოასწრო... მათ შორის იყვნენ ჟურნალისტები იური გავა და ალექსანდრე ბერულავა. ვიცოდით, რომ ტყვეობაში იყვნენ, უმძიმეს ვითარებაში, მაგრამ ოჯახებს კავშირი დაკარგული ჰქონდათ და იმედიც თითქმის გადაწურული. მერე ვთქვი: ამ კონფერენციას ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, მაგრამ ვფიქრობ, იმაზე მნიშვნელოვანს ალბათ ვერაფერს გააკეთებს, ვიდრე თუნდაც ორ ადამიანს, ორ ჟურნალისტს ტყვეობიდან გამოიხსნის და სიცოცხლეს შეუნარჩუნებს-მეთქი. სიტყვა დავამთავრე. დარბაზში წამით სიჩუმე ჩამოვარდა... მერე კი ერთი ამბავი ატყდა, ყველა კამერა და მიკროფონი ჩემკენ შემობრუნდა...“

მერე მარინამ მხარზე ვიღაცის ხელის შეხება იგრძნო, მიტრიალდა და დაინახა ვეინ დილიჰეი. შეწუხებული სახე ჰქონდა: მარინა, თუ შეგიძლია, ის, რაც ახლა მიკროფონში თქვი, უცებ, მოკლედ და ნათლად დამიწერეო.

მაშინვე პირადად გადააგზავნა ინფორმაცია ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში. როცა ნიუ-იორკში ჩავედი, ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტში (CPJ) უკვე იცოდნენ ორი სოხუმელი ჟურნალისტის ამბავი. იქვე გავიგე, რომ ვეინ დილიჰეი, ვაშინგტონის ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრის ვიცე-პრეზიდენტი იყო, საოცარი კაცი, შემდგომში ქართველი ჟურნალისტების დიდი მეგობარი. „ჰა, გამოტყდი, პირველად ხომ გეგონა, რომ სამოგზაურო აგენტი ვიყავი“ – იცინოდა ხოლმე, როცა დავმეგობრდით... მე კი პირველად მაშინ მივხვდი, რომ მარტონი არ ვართ...

მარინა ამბობს, რომ ადამიანს ყველაფრის სწავლა შეუძლია, ანუ უნარების შეძენა შესაძლებელია, მხოლოდ არ მგონია, რომ ამ მუდმივი „დრაივის“ გამომუშავება შესაძლებელი იყოს, ან ხარ ასეთი, ან არა.

საქართველოში დაბრუნებულს დამეწია სასიხარულო ამბავი, ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევით, სოხუმის საპყრობილიდან გაათავისუფლეს იური გავა, ალექსანდრე ბერულავა კი, სამწუხაროდ, ვეღარსად იპოვეს...“

დრო, რომლის გახსენებაზეც ეღიმება

სინამდვილეში ამ დროის გახსენებაზე ყველას ეღიმება... უბრალოდ, იმიტომ, რომ იმ დროს იყავი ახალგაზრდა, იმიტომ, რომ იმ დროს შენც და ყველაფერი შენ ირგვლივ იყო უდარდელი, იმიტომ რომ იმ დროს იყო უნივერსიტეტის ბაღი და მწერალთა წრის სხდომები. შემდეგ კი ფეხით დაშვება ვარაზისხევში და გვიან ღამემდე საუბარი ლიტერატურაზე. იყო უნივერსიტეტის თეატრი, იყო მოგზაურობა და ლაშქრობები, სვანეთში, ხევსურეთსა და მთათუშეთში...

„სწორედ სტუდენტობის დროს ვიგრძენი, რა არის შემოქმედება. მივხვდი, რა მაგარია წერა, როგორი გრძნობაა, როდესაც რაღაცას წერ, მერე ამ ნაწერს დახევ და თავიდან დაწერ, მერე იმასაც გადაასწორებ იქამდე, სანამ უცებ არ იტყვი: მგონი, ეს არის...“ თუმცა არის კიდევ ერთი გახსენება, რომელსაც ღიმილის გარეშე ვერ მიყვება. გახსენება რა, მე ჩავაცივდი: ზურა როგორ გაიცანი-მეთქი.

ალბათ იმიტომ, რომ ლიტერატურული მუზეუმის ეზოში ძალიან ლამაზ კაფეში ვსხედვართ, იმიტომ, რომ კარგ ჩაის ვსვამთ, იმიტომ, რომ დაიღალა – ამბავს მიყვება... მაგრამ მითანხმდება – „ეგ არ დაწერო, ეგ ვის აინტერესებს, ყველას აქვს თავისი ლამაზი ამბავი...“

მარტო ერთ რამეს ვიტყვი, რაც სხვა დროს მითხრა: არ ვიცი, რითი დავიმსახურე, რომ ზურა მყავსო. ზურა რომ არ ყოფილიყო, ვერც ვერაფერს დავწერდი და ვერც ვერაფერს მივაღწევდიო; და კიდევ არიან თინათინი და მამუკა... მარინას შვილები. თუმცა ეს უკვე სულ სხვა თემაა.

თავისუფლება

უკვე 7 წელიწადია, რაც რადიო „თავისუფლების“ თბილისის ბიუროს ხელმძღვანელია. ახლა რადიო „თავისუფლებამ“ თავისი მედიასკოლა გახსნა და იმასაც უდგას სათავეში. ისევ ასწავლის... „ჩემი ბოლო და ნამდვილი გამართლება რადიო „თავისუფლებაა“ – ამბობს მშვიდად და ერთმნიშვნელოვნად.

რადიოზე გიჟდება... ამბობს, რომ ნამდვილი ბედნიერებაა და ნამდვილი ფუფუნება ასეთ პროფესიონალებთან მუშაობა. ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

SOBRANIE
LONDON

სობრანიე
ლონდონი

სერტიფიცირებულია

ლონდონი სინს 1879 ლონდონი სინს 1879 ლონდონი სინს 1879 გოლდი ლურჯი ბლექი
სობრანიე სობრანიე სობრანიე სობრანიე

მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას

ისტორია
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოველდღიურად. „მეტი რა არის ცხოვრება...“ ამბობს, რომ უხარია ბიუროში მისვლა და არ უხარია, როცა ვერ მიდის.

ჯიმშერ რეხვიაშვილი: „მარინა რადიოში“

„რადიოს რედაქციას, როგორც რთულსა და მრავალშრიან ორგანიზმს, სამართავად სჭირდება განსაკუთრებული უნარი, რომელიც თავის თავში უნდა მოიცავდეს ულევ ენერგიასა და მაღალ კვალიფიკაციას როგორც შემოქმედებითი, ასევე ტექნიკური თვალსაზრისით. მარინა არის პოზიტიური ენერგიის ულევი წყარო, რომლიდანაც საზრდოობს მთელი რედაქცია: კორესპონდენტები, ტექნიკური თუ სამეურნეო პერსონალი.

როგორც რადიოს ნამდვილი სული, ის ყველგანაა. ამასთან, მისი ეს ყოფნა, მაღალი შინაგანი კულტურის წყალობით, არ არის სხვებისთვის დამთრგუნველი. რედაქტორი და ბიუროს ხელმძღვანელი, რომელიც დღის პირველ ნახევარში გადაცემას გეგმავს და დავალებებს იძლევა, საღამოს შეიძლება რეპორტიორად ანდა ხმის რეჟისორად მოგევლინოს, სადღაც შუაში კი მოასწროს რედაქციისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტების განხილვა და გადატანა. ისევ და ისევ მაღალი შინაგანი კულტურისა და პროფესიონალიზმის წყალობით ის ერთდროულად არის მკაცრი მენეჯერი, ალღოიანი რედაქტორი, დაუზარელი კოლეგა და გულითადი მეგობარი, რომლისთვისაც არ არსებობს ჩიხი და გადაულახავი პრობლემები.

რედაქციაში ყველა დეტალი და კომპონენტი მნიშვნელოვანია, თუმცა მათი ცალ-ცალკე აღებითა და მექანიკური შეერთებით ვერაფერი გამოვა. მარინა არის ის საერთო მნიშვნელი, რომლის გარეშეც რედაქციის ცალკეული ნაწილები ვერაფრით შეიკრიბება და გაცოცხლდება“.

მარინას საათი რადიოში ყოველთვის 15 წუთით წინ არის დაყენებული. რადიომ მასწავლა დროის მძაფრი შეგრძნებაო. „შესრულდება 12:00, ან 1:00 შენს საათზე და კიდევ წინ გაქვს მთელი 15 წუთი. 15 წუთი – მთელი ცხოვრებაა...“

ორი ფრაზით დავასრულებ:

ერთი, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი ფრაზა მარინას შესახებ, მისმა უახლოესმა მეგობარმა, ბიძინა მაყაშვილმა მითხრა: „მარინა, მისი ულევი საქმისა და პროფესიაზე მუდმივად ზრუნვის მიუხედავად, ახერხებს, რომ იყოს ნამდვილი ქალი“.

ეს კი ისევ ეკა ქევანიშვილმა მითხრა, უფრო სწორად, მომწერა:

„და არასოდეს დამავიწყდება მისი მაგიდა, სავსე ფურცლებით, ჟურნალებით, წიგნებით...

სულ რაღაცას ეძებდა ხოლმე, ახლაც ასეა.

მარინას მაგიდა ვერასოდეს იქნება მილაგებული“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღვთაებრივი იულიუსი: ღვთაებრივი დამნაშავე?

ჯულიო ანდრეოტის გზებზე და ბნელ ბილიკებზე

ავტორი: გრიგოლ გეგელია

„აწ დადგა ღამის ბნელი ჟამი გრძნეულთ საფერი,
ოდეს საფლავნი პირს იხსნიან და ჯოჯოხეთიც
სნებას ამოხეთქს და მოაფენს დედამიწასა“.
შექსპირი, „ჰამლეტი“

გამთენიისას, ღამის ქუჩებში თავისუფლად მოხეტიალე რომაელი, სანტა ჯოვანი დეი ფიორენტინის ეკლესიასთან შესაძლოა ერთ მეტად უცნაურ სცენას გადაჰყროდა. აი, წარმოიდგინეთ ძველი, ვიწრო, მუქყვითლად განათებული რომაული ქუჩა ღამის ბოლო საათებში, რომლის კიდესაც დინჯი, პედანტური და მოზომილი ნაბიჯებით მიუყვება საშუალო ასაკის, დაბალი, მხრებში მოხრილი მამაკაცი. გზას ეკლესიისკენ ის ფეხით მიიკვლევს, თუმცა მას გვერდით ნელი სვლით მიჰყვება იარაღმოღერებული, გარდიგარდმო გაფაციცებით მომზირალი დაცვის მომცრო არმია. იტალიაში საშიში დროა, – დილის ექვსი საათი, – როდესაც ბნელეთის ძალები მეფობენ: ბნელი 70-იანები და 80-იანები. ეს ის დროა, როდესაც თითქოს „ჯოჯოხეთი სნებას ამოხეთქს“: ასობით გარდაცვლილი და დაშავებული, მკვლელობებისა და თვითმკველობათა ტალღა, გატაცებები, ტერორი. ეს ანდრეოტის დროა, ადამიანისა, რომელიც ყოველი რომაული განთიადის დადგომას ლოცვით ეგებება.

ეს გახლავთ კადრი პაოლო სორენტინოს შესანიშნავი ფილმიდან „ილ დივო“, რომელიც ჯულიო ანდრეოტის მშფოთვარე ცხოვრებას გვაჩვენებს. ანდრეოტი ეკლესიის მახლობლად ცხოვრობდა, ტიბროსის მოპირდაპირე სანაპიროზე. ის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი იტალიის ყველაზე ლეგენდარული პრემიერი იყო. ჯულიო ანდრეოტი 2013 წლის 6 მაისს გარდაიცვალა, 94 წლის ასაკში. ვინ წარმოიდგენდა. ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდობაში ანდრეოტი სუსტი ჯანმრთელობის გამო ჯარის ექიმმა დაბლოკა. „ჯარში ექიმმა მითხრა, რომ ექვსი თქვე მქონდა დარჩენილი“, იხსენებს ანდრეოტი, „შემდგომში მე მას დავურეკე, რათა მეთქვა, რომ გადავრჩი. ის გარდაცვლილიყო. ყოველთვის ასე ხდებოდა. ისინი იწინასწარმეტყველებდნენ ჩემს დაღმასვლას, მე გადავრჩებოდი, თავად კი კვდებოდნენ“. ეს მოგონება გარკვეულწილად ანდრეოტის მთელს პოლიტიკურ კარიერას შეეხება. ანდრეოტის ამბავი მუდმივი ბრძოლისა და მუდმივი გადარჩენის ამბავია. მეტიც, ჯულიო ანდრეოტი მისი უკლებლივ ყველა მოწინააღმდეგის გარდაცვალებას მოესწრო. შვიდგზის პრემიერი და ოცდაცამეტჯერ მინისტრთა კაბინეტის წევრი, „ანდრეოტი“ იტალიაში ლამის ოთხი დეკადის განმავლობაში ძალაუფლებას ნიშნავდა. ის ენიგმატური ბრენდი იყო, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა გამოცემებში თუ სახალხო ლეგენდებში ცნობილი, როგორც: „ღვთაებრივი იულიუსი“, „იულიუს VI“, „შავი პაპი“, „გარე კარდინალი“, „ბნელეთის კაცი“, „ბელზებელი“, „მეფისტოფელი“, „უსასრულობა“, „სალამანდრა“, „მელია“, „კუზიანი“ და „ხელუხლებელი“.

ანდრეოტის მშფოთვარე პოლიტიკურ ცხოვრებას ამ ტერმინითაგან გარკვეულწილად ყველა, მაგრამ ექსკლუზიურად ვერც ერთი ვერ გამოხატავს ზუსტად. ანდრეოტი მოუხელთებელი ფენომენი იყო, ისევე, როგორც მოუხელთებელი პოლიტიკოსი. მისი ტიტულებში მომწყვდევა ისეთივე რთულია, როგორც წყლის საცერში დაკავება. ის ნამდვილად იყო მხრებში მოხრილი, ზედიზედ ექვსი პაპის მეგობარი და ძალაუფლების ორი სვეტის – კათოლიკური ეკლესიისა და იტალიის მთავრობის – გავლენიანი დამაკავშირებელი რგოლი. მეტიც, ბევრის აზრით, ანდრეოტი ძალაუფლების მესამე სვეტთან, მაფიასთანაც იყო კავშირში. სწორედ აქედან იღებდა სათავეს „ბნელეთის კაცი“ და – როგორც მას სოციალისტური პარტიის ლიდერმა ბეტინო კრაქსიმ უწოდა – „ბელზებელიც“. თუ ანდრეოტი ნამდვილად იყო „ბელზებელი“, ის მეოცე საუკუნის უდავოდ ყველაზე მორწმუნე, ქრისტიანი „ბელზებელი“ იყო, მოუხელთებელი და ამოუცნობი: ბოლოს და ბოლოს, საგამოძიებო კომისიამ ანდრეოტი 26-ჯერ დაჰკითხა, მაგრამ ბრალი ვერ დაუმტკიცა.

ანდრეოტის პოლიტიკურ კარიერას ნამდვილად ახასიათებდა რაღაც ღვთაებრივი შეუცნობლობისა და უსასრულობის მსგავსი: ის ერთდროულად იყო პაპთა რჩეული სტუმარი – რამაც მას „გარე კარდინალის“, „იულის VI-ისა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

და „შავი პაპის“ ტიტულები მოუტანა – და სანტა ჯოვანი დეი ფიორენტინოს ეკლესიის ერთი უბრალო მრევლი. ის ერთდროულად იყო ღრმადმორწმუნე ქრისტიანი და პოლიტიკური ტიტანი, რომელიც დეკადების განმავლობაში მართავდა სკანდალებითა და ბურუსით მოცულ იტალიას, და მათ უკან, ლამის ყოველთვის თავად იდგა. ამდენად, იტალიელი ისტორიკოსი და ჟურნალისტი, ინდრო მონტანელი, სრულიად სამართლიანად წერდა პრემიერს: „თქვენ ან ყველაზე აბეზარი დამნაშავე ხართ, რადგან ვერ დაგიჭირეს, ან ყველაზე დევნილი კაცი იტალიის ისტორიაში“. მისთვის ჩვეული ლაკონიური იუმორით, თავად ანდრეოტიც სნორედ იმავეს ამბობდა: „პუნიკური ომების გარდა, ყველაფერში მე მადანაშაულებენ. მაშინ პატარა ვიყავი“.

ანდრეოტი 1919 წლის 14 იანვარს დაიბადა რომში, მასწავლებელი მამის ოჯახში, იტალიის პარლამენტიდან არც თუ ისე შორს. მაგრამ ბავშვობის მნიშვნელოვანი ნაწილი მან რომის მახლობლად, ქალაქ სენიში გაატარა, სადაც პატარა და მომავალში „ღვთაებრივად“ შერაცხული ჯულიო სტიქაროსნად მსახურობდა. კათოლიციზმი ადრეული ბავშვობიდანვე მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. რომის საპიენცას უნივერსიტეტშიც, სადაც ანდრეოტი კანონიკურ სამართალს სწავლობდა, მისი თეზისი იყო: „დამნაშავის პიროვნება საეკლესიო სამართალში“. მნიშვნელოვანია, რომ იმ დროს საპიენცას უნივერსიტეტი იტალიურ კათოლიკურ უნივერსიტეტთა ფედერაციის ნაწილი იყო, რომელსაც ალდო მორო ხელმძღვანელობდა. მოროსა და ანდრეოტის სახელები ამიერიდან ხშირად გადაიკვეთებოდა. მართლაც, 1942 წელს ალდო მორო კათოლიკურ უნივერსიტეტთა ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე სწორედ ანდრეოტიმ ჩაანაცვლა. შემდგომში მორო ქრისტიანულ დემოკრატიული პარტიის ლიდერი, 1963 წელს კი იტალიის პრემიერი გახდა. ალდო მოროსგან ეს პოსტიც ჯულიო ანდრეოტიმ გადაიბარა 1976 წელს. დროთა განმავლობაში, ეს ორი ადამიანი დარჩებოდა იტალიური ქრისტიან-დემოკრატიის უმნიშვნელოვანეს ფიგურებად ალსიდე დე გასპერისთან ერთად. თუმცა საბოლოო გამარჯვება აქაც ანდრეოტის იყო, რომელმაც ათწლეულების მანძილზე ყველაზე დიდი გავლენა იქონია იტალიურ ქრისტიანულ-დემოკრატიაზე, ისევე, როგორც იტალიურ პოლიტიკაზე. გამოხდებოდა დრო და მოროს ტრაგიკული აღსასრული ანდრეოტის ბიოგრაფიის განუყოფელი ნაწილი გახდებოდა. ბევრის აზრით, ესეც ანდრეოტის გამარჯვება იყო.

ანდრეოტი გარეგნულად ზედმიწევნით მშვიდი, თუმცა მეტად ენერგიული პერსონა იყო. ის იყო ნამდვილი სწავლული, კლასიკური გაგებით – „წერილების კაცი/man of letters~. „ბნელეთის კარდინალი“ სუფთა და ელეგანტური იტალიურით საუბრობდა, სწორედ ისეთით, როგორიც მხოლოდ ძველი დროის კლასიკურად განათლებულ კარდინალებს თუღა ახასიათებდათ. ეს მისსავე დროს უკვე იშვიათობა იყო, ისევე როგორც, მაგალითად, ჩვენი დროის მსოფლიოში კლასიკურად განათლებული პოლიტიკური ლიდერის ხილვაა გასახარელი უცნაურობა. ათწლეულების განმავლობაში იტალიური პოლიტიკური დრამის ცენტრში ყოფნასთან ერთად, ანდრეოტიმ 12 წიგნი დაწერა. მას სხვადასხვა უნივერსიტეტისგან მინიჭებული ჰქონდა უამრავი საპატიო ხარისხი

> ბევრის აზრით, ანდრეოტი ძალაუფლების მესამე სვეტთან, მაფიასთანაც იყო კავშირში. სწორედ აქედან იღებდა სათავეს „ბნელეთის კაცი“ და – როგორც მას სოციალისტური პარტიის ლიდერმა ბეტინო კრაქსიმ უწოდა – „ბელზებელიც“.

და რომის ციცერონისეული კვლევების ცენტრის პრეზიდენტიც გახლდათ. თუმცა, ამ ყველაფრის პარალელურად, ანდრეოტის მაინც რჩებოდა დრო რომის ყველაზე სახელგანთქმულ მისამართებზე სხვადასხვა სადილებსა თუ მიღებებზე დასასწრებად. ანდრეოტის ყველა ყველგან ელოდა. დრო კი ანდრეოტის ყოველთვის ჰქონდა. საქმე იმაშია, რომ ანდრეოტის შაკიკი აწუხებდა და, ამიტომ, ძალიან ცოტა ეძინა. ეს სორენტინოს ფილმშიც ბრწყინვალედ არის დაჭერილი – ანდრეოტი, რომელიც მთელი ღამეების განმავლობაში დადის: სახლში წინ და უკან, რომის ქუჩებში ეკლესიისკენ, რუსეთის პრეზიდენტის რეზიდენციაში სტუმრად მყოფი – გარეთ, თოვლიან ბაღში. მაშინ, როდესაც იტალიას ეძინა ხოლმე, ანდრეოტი დადიოდა და ფიქრობდა. საფიქრალი კი ყოველთვის ბევრი იყო: ურთიერთობა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ფაქციათა შორის, მაფიასთან, სხვა პოლიტიკოსებთან თუ პარტიებთან – ძალაუფლება.

ანდრეოტის პოლიტიკური კარიერა უცნაურ ადგილას და უცნაურ დროს დაიწყო, სრულიად შემთხვევით. 1942 წლის ერთ მშვენიერ დღეს, ვატიკანის ბიბლიოთეკაში, ის ადგილობრივ თანამშრომელს, ალსიდე დე გასპერის გადაეყარა, რომელიც იმ დროს ბიბლიოთეკის კატალოგისტი იყო. მაგრამ დე გასპერი არ ყოფილა მხოლოდ ერთი მოკრძალებული კატალოგისტი. ეს ის დრო იყო, როდესაც კათოლიკური ეკლესია ფაშიზმისა და ომის პერიოდში გავლენიანი კათოლიკური პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებას ლამობდა. ალსიდე დე გასპერი კი ახალგაზრდა კათოლიკეთა წრის მამოძრავებელი ძალა იყო, რომლებიც მომავალ ლიდერებად განიხილებოდნენ. მართლაც, გვიდო გონელასთან ერთად, დე გასპერიმ მალევე დაარსა იტალიის ქრისტიან-დემოკრატიული პარტია. ანდრეოტისთან ბიბლიოთეკაში შეხვედრიდან დაახლოებით სამი წლის თავზე კი, 1945 წლის 10 დეკემბერს, ვატიკანის ბიბლიოთეკის ყოფილი კატალოგისტი, ალსიდე დე გასპერი, იტალიის სამეფოს პირველი ქრისტიან-დემოკრატი და უკანასკნელი

1. ჯულიო ანდრეოტი და ალდო რემონდინო, კონგო, 1961 წ.
2. რომის პაპთან ერთად, 1979 წ.
3. მარათონის გახსნისას
4. სოფი ლორენთან ერთად, 80-იანები
5. ჯულიო ანდრეოტი ესაუბრება ყოფილ პრეზიდენტს ოსკარ ლუიჯი სალფაროს, 2007 წ.
6. ამერიკულ ავიამზიდზე, 1959წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიერ-მინისტრი გახდა, ხოლო 1946 წლის ივლისში ის უკვე იტალიის ახლად შექმნილი რესპუბლიკის პირველი პრემიერი იყო. საკმარისია თვალი გადაავლოთ იტალიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთა სიას და მყისიერად დაინახავთ ქრისტიანული დემოკრატიის აღზევების ისტორიას: 1946-81 წლებში, იტალიის უკლებლივ ყველა პრემიერი ქრისტიან-დემოკრატი იყო. ანდრეოტის პოლიტიკური ცხოვრება სწორედ ამ კონტექსტში დაიწყო და განვითარდა. 1947 წლისათვის ანდრეოტი არამხოლოდ პარლამენტის წევრი, არამედ უკვე მინისტრთა კაბინეტის იუნიორი მდივანიც იყო. მისი ამ პოსტზე დამტკიცება, არც მეტი და არც ნაკლები, თავად პაპმა პიუს XII-მ აკურთხა. პაპებთან და კარდინლებთან მეგობრობას ანდრეოტი არასდროს შეწყვეტდა. მაგალითად, ის იმდენად ახლოს იყო პაპ იოანე XIII-სთან, რომ ამ უკანასკნელმა ანდრეოტის ვატიკანის მეორე კრების მოწვევის ამბავი შეკრებამდე სამი დღით ადრე გაუმხილა. ამიერიდან, ანდრეოტი განუყოფლად იქნებოდა დაკავშირებული იტალიურ პოლიტიკასთან. ოცდაცამეტი სხვადასხვა მთავრობის შემადგენლობაში, ანდრეოტის ხელთ სხვადასხვა დროს იქნებოდა ისეთი მნიშვნელოვანი მინისტერიალური პორტფოლიოები, როგორიცაა საგარეო და შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და ფინანსთა სამინისტროები. მის პერსონაში კი ერთმანეთს გავლენის სამი უმნიშვნელოვანესი წყარო: საეკლესიო, საერო და მაფიოზური ძალაუფლება შეხვდებოდა. ანდრეოტი სამუდამო პარლამენტარი იყო. ლამის შვიდ ათწლეულზე გადაჭიმული საპარლამენტო კარიერა, რომელიც მან 26 წლის ასაკში დაიწყო, მხოლოდ ახლახან, 2013 წლის 6 მაისს დასრულდა, შუადღის თორმეტამდე ცოტა ხნით ადრე, როდესაც ანდრეოტი რომაული სახლის სიმშვიდეში გარდაიცვალა.

თუმცა ანდრეოტის დრომ ბევრი სხვა სიცოცხლის ნაადრევი დასასრული იხილა. „რობერტო, მიქელე, ჯორჯო, კარლო ალბერტო, ჯოვანი, მინო, ძვირფასი ალდო...“, ისმის ანდრეოტის აღელვებული ხმა სორენტინოს „ილ დივოში“. 1978 წლის 16 მარტის დილას, როდესაც ალდო მოროს ესკორტი ჩრდილოეთ რომში ვია ფანის მიუყვებოდა, ჯულიო ანდრეოტის მთავრობა პარლამენტის ნდობის მოსაპოვებლად ემზადებოდა. იტალიის ისტორიაში სრულიად სემინალური მნიშვნელობის დღე დგებოდა. ანდრეოტის მთავრობა ნელ-ნელა იკრიბებოდა პარლამენტში, როდესაც დილის ცხრა საათზე ალდო მოროს ესკორტს მემარცხენე ექსტრემისტთა დაჯგუფება, „წითელი ბრიგადა“, დაესხა თავს. დაცვის ხუთი წევრი ადგილზე დაცხრილეს, მორო კი გაიტაცეს. ალდო მორომ კიდევ 55 დღე იცოცხლა. ეს იყო შოკისმომგვრელი თვეები იტალიის ისტორიაში. ამ დღეების განმავლობაში მორო დაუღალავად წერდა, მათ შორის ანდრეოტის შესახებაც. 55 დღის განმავლობაში მორომ 86 წერილი დაწერა, ორმოცდამეთხუთმეტე დღეს კი მორო სიცოცხლეს გამოასალმეს მანქანის საბარგულში. „ძვირფასი ალდოს“ გატაცების შესახებ ხმა პარლამენტს ინციდენტიდან ბოლოს ერთ საათის განმავლობაში მისწვდა, რაც მნიშვნელოვანი იყო. სრულიად საპირისპირო მოლოდინის მიუხედავად, ანდრეოტის მთავრობა იტალიის პარლამენტმა იმ დღეს ხმათა დიდი უმრავლესობით დაამტკიცა.

ყველაზე გახმაურებული მკვლელობებიდან ბოლო 1992 წელს მოხდა. სიცილიაში მოკლეს სალვო ლიმა, პალერმოს მერი და ანდრეოტის მარჯვენა ხელი რეგიონში. თუმცა, როგორც ჯოზეფ ფარელი აღიშნავს, ეს უკვე მაფიის გაფრთხილება იყო, ანდრეოტის მიერ საბოლოოდ სამართლიანი სასამართლო პროცესების გამხნევებისა და ანტიმაფიოზური კომისიების შექმნის გამო.

„ცივი და შეუცნობელი, ადამიანური სიბრალულისგან დაცლილი მანიპულატორი, რომელსაც ეჭვების ქონა და მერყობა არ სჩვევია. ეს არის ანდრეოტი, რომლის ბრძანებაც ყველა სხვამ აღასრულა“, წერდა გამწარებული და ეული ალდო მორო, პრემიერი, რომელიც უკლებლივ ყველამ გაწირა. თავად მორომ ბოლო დღეებში ეს უკვე კარგად იცოდა. საქმე იმაშია, რომ მოროს სწამდა რადიკალურად განსხვავებული პარტიების პირდაპირი თანამშრომლობის იდეისა. 1974 წელს ის ვაშინგტონს ეწვია, სადაც, როგორც მისი მეუღლე იხსენებს, მას ასეთი რამ უთხრეს: „უნდა შეწყვიტოთ თქვენს ქვეყანაში პოლიტიკური პარტიების პირდაპირი თანამშრომლობის რეჟიმში მოყვანის მცდელობა. ამას ან შეეშვებით, ან ძვირად დაგიჯდებათ“. ანდრეოტის კი დასავლური ალიანსის სრულიად ურყევი რწმენა გააჩნდა. ანდრეოტის მთავრობამ უარი განაცხადა მემარცხენე ექსტრემისტებთან დიალოგზე. როგორც ჯგუფის ერთ-ერთი წევრი და ალდო მოროს უშუალო მკვლელი, მორეტი ამბობდა, ამის დაჯერება თვით „წითელ ბრიგადასაც“ ძალიან უჭირდა. ჩაშლილი მოლაპარაკება მათი დასასრულის დასაწყისი იყო.

ერთი წლის შემდეგ, 1979 წლის 20 მარტს, რომში მოკლეს მინო პეკორელი, ჟურნალისტი, რომელმაც ზედმეტი იცოდა და ზედმეტს წერდა. პეკორელი Osservatore Politico-ს რედაქტორი და დეკადების განმავლობაში იტალიის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ჟურნალისტი იყო. მაგრამ ის ექსკლუზიურად იყო ორიენტირებული სკანდალებზე. კონტაქტთა ფართო ქსელის მეშვეობით უშიშროებაში, მასონურ ლოჟა P2-სა და სამინისტროებში, პეკორელი ფართო რანგის ინფორმაციას მოიპოვებდა და ბეჭდავდა. მაგრამ მას ერთი ასეთი ჩვეულება ჰქონდა, რომელიც შესაძლოა ტრაგიკული დასასრულის მიზეზიც გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხდარიყო, ის პოლიტიკოსებს წინდაწინ აძლევდა მინიშნებას მათი საქმიანობის სკანდალური დეტალების ცოდნის შესახებ, რომლებიც მისი გამოცემის შემდეგ ნომრებში მოხვდებოდა. ასე და ამგვარად, წლების განმავლობაში, პეკორელი წარმატებით აშანტაჟებდა გავლენიან ბიზნესმენებსა და პოლიტიკოსებს. დაზუსტებით არავინ იცის, თუ ვინ და რატომ მოკლა პეკორელი. ზოგის აზრით, პეკორელი მის ზოგად ჟურნალისტურ ახირებასა თუ ვნებას შეეწირა, მაგრამ მაფიის pentiti-ების განცხადებით, პეკორელი დღე-დღეზე გეგმავდა ერთი ახალი ტექსტის გამოქვეყნებას. ეს ტექსტი, არც მეტი, არც ნაკლები, ალდო მოროს მიერ ტყვეობისას გაკეთებული ერთ-ერთი ჩანაწერი იყო, სადაც ის ჯულიო ანდრეოტის მკაცრად აკრიტიკებდა.

1982 წელს პალერმოში მაფიამ მოკლა კარლო ალბერტა დალა კიეზა, კარაბინერთა გენერალი, ცნობილი როგორც პრინციპული კაცი, რომელმაც იტალიის ციხეებში წამების შემოღებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ის სიცილიაში მაფიასთან საბრძოლველად მიავლინეს. თუმცა მივლინებამდე რამდენიმე დღით ადრე გენერალი ანდრეოტის შეხვდა, სადაც მან გამოხატა მაფიასთან ბრძოლის პროცესში მათთან დაკავშირებული სიცილიელი ქრისტიან-დემოკრატების წინააღმდეგ მოქმედების მზადყოფნა. იმ დღეს დალა კიეზამ დღიურში ჩანაწერი გაკეთა, სადაც იგი ყვება, თუ როგორ გააჯავრა ანდრეოტი ამისმა მოსმენამ. თავად ანდრეოტი კი ყოველთვის ამბობდა, რომ ასეთი შეხვედრა არასდროს შემდგარა. იმ დროს იტალიის პრემიერი არა ანდრეოტი, არამედ სპადოლინი იყო, რომელსაც დალა კიეზამ სიცილიაში ანდრეოტის ფრაქციის მაფიასთან კავშირის შესახებ მისწერა. იმავე წლის სექტემბერში, გენერალი დალა კიეზა მეუღლესთან ერთად დაცხრილეს პალერმოში. ასევე 1982 წელს, ლონდონის Blackfriars' Bridge-ის ქვეშ ჩამომხრჩვალი იპოვეს გამოჩენილი ფინანსისტი რობერტო კალვი. ოთხი წლის შემდეგ, 1986 წელს, მისი ბედი მეორე, ასევე საეჭვო რეპუტაციის მქონე და ანდრეოტისთან ასევე დაახლოებულმა ბანკირმა, მიქელე სინდონამ გაიზიარა. ის ყავით მონამლეს ციხეში. „უნდა ვაღიარო, რომ დედა ტერეზას უფრო ხშირად ვხვდებოდი ხოლმე, ვიდრე სინდონას ან კალვის", ჩვეული სიმშვიდით დასძინა ანდრეოტიმ.

ყველაზე გახმაურებული მკვლელობებიდან ბოლო 1992 წელს მოხდა. სიცილიაში მოკლეს სალვო ლიმა, პალერმოს მერი და ანდრეოტის მარჯვენა ხელი რეგიონში. თუმცა, როგორც ჯოზეფ ფარელი აღიშნავს, ეს უკვე მაფიის გაფრთხილება იყო, ანდრეოტის მიერ საბოლოოდ სამართლიანი სასამართლო პროცესების გამხნევებისა და ანტიმაფიოზური კომისიების შექმნის გამო. 1992 წელს ანდრეოტის აქტიური პოლიტიკური კარიერის დასრულებასთან ერთად, მაფიის პენტიტი-ს მიერ მიცემული ჩვენებების საფუძველზე, ანდრეოტის მაფიასთან ურთიერთობისთვის წაუყენეს ბრალი. იმ დროს ფართოდ გავრცელდა ხმა, რომ პრემიერმა პალერმოს ერთ-ერთ სასტუმროში, არც მეტი და არც ნაკლები, გავლენიან მაფიოზ სალვატორე „ტოტო" რიინასთან გაცვალა კოცნა. „ხელუხლებელი იულიუსი" ოცდაექვსჯერ დაკითხეს. ბრალი არ დამტკიცდა. უშუალოდ გახმაურებული მკვლელობებიდან ანდრეოტის დალა კიეზას მკვლელობისთვის მხოლოდ ბრალი წაუყენეს, პეკორელის მკვლელობისთვის კი ის სასამართლოზეც წარდგა. 2002 წლის ნოემბერში სასამართლომ მას 24 წელი მიუსაჯა მინო პეკორელის საქმისთვის. მაგრამ ღვთაებრივი ნება აქაც მეტად კეთილი აღმოჩნდა: 2003 წლის ოქტომბერში სააპელაციო სასამართლომ ანდრეოტი უდანაშაულოდ ცნო.

შემთხვევითობა თუ ღვთაებრივი ნება? „შემთხვევითობის არ მწამს. მე ღვთაებრივი ნების მწამს", ამბობდა ანდრეოტი. საბოლოოდ, სწორედ ამას მივყავართ ანდრეოტისეულ „მაკიაველიზმთან". იყო თუ არა ანდრეოტი „მაკიაველური" ლიდერი? აუცილებლად. რატომ? ამის პასუხი ანდრეოტის დროშია. ანდრეოტი დათრგუნვილი დროის პოლიტიკოსი იყო, დროისა, რომელსაც ფაშიზმის მახსოვრობა და კომუნიზმის ალბათობა არ ასვენებდა. სწორედ ამიტომ ანდრეოტის ურყევად სწამდა დასავლური ალიანსის სიკარგისა და აუცილებლობის. სწორედ მისი გამოისობით და მისი ლიდერობის დროს იტალია უპრეცედენტოდ დაუახლოვდა NATO-ს. როგორც ანდრეოტის 1990 წლის 24 ოქტომბრის სკანდალურმა აღიარებამ ცხადყო, მიუხედავად მუდმივი უარყოფისა, NATO ნამდვილად აწარმოებდა ანტიკომუნისტურ „ოპერაცია გლადიოს", რომლის ერთ-ერთი მონაწილე ქვეყანა იტალია იყო. დრო მსხვერპლს მოითხოვდა. „ოპერაცია გლადიო", ისევე როგორც „დაძაბულობის სტრატეგია" სასიცოცხლოდ აუცილებლად აღიქმებოდა.

„მაკიაველიზმის" ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი სწორედ დროსთან მიდგომაა. საქმე იმაშია, რომ პოლიტიკის ტრადიციული ქრისტიანულ-სტოიკური მსოფლხედვა გარკვეულ სტატიკურობას გულისხმობს, რადგან ამ ჩარჩოში ადამიანი ღვთაებრივად დადგენილი კონტინუუმის მოქმედი პირია. ამდენად, პოლიტიკური წარმატება განუყოფლად უკავშირდება ბედისწერის რწმენას, ისევე როგორც უმაღლეს ღვთაებრივ წესრიგთან გარკვეულ მორჩილებას. მაგრამ ამგვარი მსოფლხედვა დანებებასაც გულისხმობს. ეს კი პოლიტიკურად უვარგისია. ეს რეალიზაცია პირველად ადრინდელი მოდერნის ევროპულ აზროვნებაში გაჩნდა, ნიკოლო მაკიაველისა და შემდეგ ფრანჩესკო გუიჩარდინის ნაწერებში. თუმცა პრობლემამ ყველაზე ნათლად იუსტუს ლიპსიუსის ნაწერებში იჩინა თავი, რომელიც ზედმიწევნით ქრისტიანი ავტორი იყო და, იმავდროულად, კარგად ხვდებოდა, რომ ქრისტიანული სტატიკური პრინციპები პოლიტიკური წარმატების შესაძლებლობას ამცირებდა. ამ პრობლემამ ლიპსიუსი მაკიაველისთან დააბრუნა. მაკიაველი „მთავარში" ასეთ რაღაცას წერდა: „ფორტუნა ადამიანის ბედის ნახევრის არბიტრია, მეორე ნახევარის გაკონტროლებას კი იგი თავად ადამიანს მიანდობს". მართლაც, მაკიაველის აქტიური მოთამაშის სწამდა, რომელიც ცდილობდა თავად განესაზღვრა პოლიტიკური წარმატება, რომელიც შეიგრძნობდა დროს და პასუხობდა დროს: კონკრეტულ პოლიტიკურ აწმყოს. ამდენად, მაკიაველისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრადიციული ქრისტიანულ-სტოიკური ხედვა ფსიქოლოგიური დებილიზმის ფორმაა. მისთვის არც უდროო პოლიტიკური სიბრძნეები თუ სტატიკური პრინციპები არსებობს. კონკრეტული პოლიტიკური აწმყო კონკრეტულ პოლიტიკურ პასუხს მოითხოვს, შესაბამისად, გარკვეულ დინამიკურობასაც.

მაკიაველის „მთავრის" ორი უმთავრესი ოპერაცია, ერთი მხრივ, ძალაუფლების მოპოვება, ხოლო მეორე მხრივ, მისი შენარჩუნებაა. ანდრეოტისეული მაკიაველიზმის მორიგი მნიშვნელოვანი ასპექტი სწორედ ძალაუფლების შენარჩუნება იყო. ანდრეოტის ადარდებდა არა ის, თუ კონკრეტულად რა სახის ცვლილებად გარდაიქმნებოდა მისი პოლიტიკა, არამედ ის, თუ ვის ეპყრა ძალაუფლება. ბოროტ ძალებს ძალაუფლება არამც და არამც არ უნდა ჩაეგდოთ ხელთ. ამიტომ ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით ანდრეოტი მზად იყო ეთანამშრომლა სხვადასხვა დაჯგუფებასთან, ბოროტთან თუ კეთილთან, იდეოლოგიურად მისაღებთან თუ მიუღებელთან: კომუნისტებთან, ან, იქნებ, როგორც ბევრი ფიქრობდა, მაფიასთანაც კი, რომელიც სიცილიაში გამარჯვების გარანტი იყო? მარკო ტარკი, ფლორენციის უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლიანად ამბობდა, რომ „ანდრეოტი იცნობს ძალაუფლების ყველა კორიდორს, და ის არასდროს მოერიდება გამოიყენოს ნებისმიერი საშუალება, რაც კი საჭიროა". ჯიუტი პრინციპულობით სახელგათქმული ბრიტანელი „რკინის ლედი", მარგარეტ ტეტჩერი კი ანდრეოტის შესახებ ამბობდა, რომ მას „პრინციპების მიმართ პოზიტიური ანტიპათია გააჩნდა, მეტიც, რწმენა, რომ პრინციპული ადამიანი განწირული იყო სასაცილოობისთვის". აქ კი აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ანდრეოტის კოლეგა ჯერარდო ბიანკო, რომელიც აღნიშნავდა, რომ „ანდრეოტი გარკვეულ იეზუიტურ კლერიკალურ ტრადიციას მიეკუთვნება, რომლის ფარგლებშიც ადამიანი ცნობს, რომ დაცემულ სამყაროში არსებული მასალით უნდა იმუშაო". ესეც „მაკიაველიზმია", მაკიაველური რეალიზმი, რომელსაც „მთავრის" XV თავში ვხვდებით. ერთია წარმოსახვითი, იდეალური სამყარო, ხოლო მეორე – რეალობა, გვეუბნება მაკიაველი. „მთავარში" ის სწორედ არსებულ, რეალურ სამყაროში გადარჩენის კონკრეტული გზების შესახებ საუბრობს. ანდრეოტიმ ეს კარგად იცოდა. „პოლიტიკაში თავისუფალი ნება ილუზიაა. ცოდვილ სამყაროში სახელმწიფო მოღვაწის წინაშე არ არის არჩევანი კეთილსა და ბოროტს შორის. მას შეიძლება მოუხდეს მრუდე გზის გაყოლა სამართლიანი ბოლოს მისაღწევად. მხოლოდ სულელი თუ მიიჩნევს, რომ ეს ასე არ არის". დიახ, ჯულიო.

სორენტინოს ფილმში ერთი ბრწყინვალე ეპიზოდია, სადაც ლივია, ანდრეოტის მეუღლე, ყოფილ პრემიერს

ანდრეოტი დათრგუნული დროის პოლიტიკოსი იყო, დროისა, რომელსაც ფაშიზმის მახსოვრობა და კომუნიზმის ალბათობა არ ასვენებდა. სწორედ ამიტომ ანდრეოტის ურყევად სწამდა დასავლური ალიანსის სიკარგისა და აუცილებლობის.

ეუბნება, რომ შეუძლებელია ის არ იცნობდეს საყვარელი თანამეცხედრის ხასიათს, შეუძლებელია მას მაფიასთან ჰქონოდა კავშირი. ანდრეოტი დუმს, წყვილი გაყინული შესცქერის ტელევიზორს. შემდეგ კი ანდრეოტის გმირი შესანიშნავ მონოლოგს კითხულობს, რომელიც მის მშფოთვარე ცხოვრებას ბრწყინვალედ ატყვევებს. ეს გახლავთ არც თუ ისე მარტივი არჩევანი სტატიკურ ქრისტიანობასა და დინამიკურ მაკიაველიზმს, რწმენასა და იმედგაცურებებს, იდეალურსა და რეალურს, სურვილსა და აუცილებლობას შორის. ეს იყო ანდრეოტი.

„ძვირფასო ლივია,

შენმა მეტყველმა თვალებმა აღმაფრთოვანა ერთ შუადღეს, ვერანოს სასაფლაოზე. მე ეგ ძველი ადგილი ავირჩიე, რათა შენთვის ხელი მეთხოვა. გახსოვს? კი, ვიცი, რომ გახსოვს. შენმა ცოცხალმა, უდანაშაულო, დატყვევებულმა თვალებმა არ იცოდა, არ იცის და არ ეცოდინება, მათ წარმოდგენა არა აქვთ იმ საქმეთა შესახებ, რომლებიც ძალაუფლებამ უნდა ჩაიდინოს იმისათვის, რომ ქვეყნის კეთილდღეობა და განვითარება უზრუნველყოს.

ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, ეს ძალაუფლება ვიყავი მე. მონსტრული, ვერამოთქმული წინააღმდეგობა, რომელმაც მე ცინიკურ კაცად მაქცია, რომელსაც შენც კი ვეღარ შიფრავდი.

შენმა ცოცხალმა, უდანაშაულო თვალებმა არ უწყის, რა არის ეს პასუხისმგებლობა. პირდაპირი და არაპირდაპირი პასუხისმგებლობა მთელს ხოცვა-ჟლეტაზე იტალიაში 1969-84 წლებში, რომელმაც ზუსტად 236 გარდაცვლილი და 817 დაშავებული დატოვა. მსხვერპლთა ოჯახებს მე ვეუბნები, რომ ვაღიარებ. ვაღიარებ, რომ ეს იყო ჩემი მარცხი, ჩემი ყველაზე დიდი მარცხი.

ვიტყვი, გინდ უაზრო იყოს. არეულობა ქვეყანას არასტაბილურს ხდიდა. ტერორი, ექსტრემისტული პარტიების იზოლაცია და ქრისტიან-დემოკრატების მსგავსი ცენტრისტული პარტიების გაძლიერება... ამას „დაძაბულობის სტრატეგია" ეწოდა. უფრო სწორი იქნებოდა, ამისთვის „გადარჩენის სტრატეგია" ეწოდებინათ!

რობერტო, მიქელე, ჯორჯო, კარლო ალბერტო, ჯოვანი, მინო, ძვირფასი ალდო, ყველანი სიმართლის მოყვარულები აღმოჩნდენ.

სიჩუმეში განეიტრალებული ასაფეთქებლად გამზადებული ყველა ბომბი.

ყველა მათგანი ფიქრობდა, რომ სიმართლე სწორი რამაა, მაგრამ სინამდვილეში ის სამყაროს დასასრულია. ჩვენ ვერ დავუშვებთ სამყაროს დასასრულს იმის სახელით, თუ რა არის მართალი!

ჩვენ გვაქვს ამოცანა, ღვთაებრივი ამოცანა! ჩვენ უნდა გვიყვარდეს ღმერთი დიდად, რომ გავიგოთ, თუ როგორი აუცილებელია ბოროტება სიკეთისათვის!..

ღმერთმა იცის ეს და მეც ვიცი ეს".

1. ანდრეოტი ტოვებს სასამართლოს დარბაზს, 1996 წ.
2. ARIS-ის 40 წლის იუბილეზე, რომი, 2003 წ.
2. ჯულიო ანდრეოტი და ემა ბონინო, სენატში 2008 წელს
4. ევროპის ეკონომიკური გაერთიანების სამიტზე, 1978 წ.
5. ჯულიო ანდრეოტი მიხეილ გორბაჩოვთან ერთად, მილანი, 90-იანები


ფიქრების ფურცლები photoblog


ლინგვისტუსის ბლოგი
აზროვნების განსხვავებულობისა და ენების სწავლის შესახებ
with 5 comments
A⇒B
A
B
Deduktion
Induktion
Abduktion
ოჯახი, სახლი და სხვა თავისტკივილები
MARCH 24, 2013

DREAMAR'S BLOG
ძალადობა ქრისტეს სახელით

ლუკა ნახუცრიშვილის ბლოგი
ცოფი
Blog Archive
About Me
My Blog List

ლობჟანიძის ბლოგი
აქცენტით

ქართველი ბლოგერები

პირად და საჯარო სივრცეში

ავტორი: სალომე აფხაზიშვილი

ბლოგინგის ათვლის წერტილად საქართველოში 2005-2006 წლებს მიიჩნევენ. ეს ის პერიოდია, როდესაც, ინტერნეტთან დაახლოებული ადამიანების მცირე ჯგუფმა, პირადი ჩანაწერებისთვის ადგილი არა „ბლოკნოტებში", არამედ ონლაინ-დღიურებისთვის შექმნილ სპეციალურ პლატფორმაზე იპოვა. მაშინ ამ ადამიანებმა სხვადასხვა ტიპის საქმიანი, თუ ფერადფურცლიანი დღიურები, რომელთა უმეტესობა რიცხვებისა და ასოების საიდუმლო კომბინაციებით ილუქებოდა, საჯარო სივრცეში განათავსეს და ინტერნეტის ნებისმიერ მომხმარებელს საშუალება მისცეს, მათი პირადი, ყოველდღიური ცხოვრებით ეცხოვრათ. უცნობი ადამიანების ცხოვრების დეტალებით დაინტერესებულმა ინტერნეტ-საზოგადოებამ ბლოგები თავიდანვე განსაკუთრებული ინტერესით მიიღო. ამან ერთგვარი ისტერიკაც კი გამოიწვია. ადამიანები მუდმივი მოლოდინის რეჟიმში გადავიდნენ და ჩვეული ინტერესით ელოდებოდნენ მომდევნო პოსტს რიგითი ბლოგერის ცხოვრებიდან.

ინფორმაციის მიღებისა და ბლოგის პლატფორმის განვითარების შემდეგ, ბლოგერების რაოდენობაც გაიზარდა და ონლაინ-დღიურებიც უკვე ონლაინ გამოცემებს დაუახლოვდა. გაჩნდა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და სხვა სპეციფიკური შინაარსის პოსტები, რომელიც საზოგადოების ინფორმირების, პრაქტიკული და ექსკლუზიური ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთ მძლავრ მექანიზმად იქცა. დღეს ბლოგინგი, ფეისბუქის სახით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშეა, რაც, ერთი შეხედვით, სულ უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანს ხდის ბლოგის ფუნქციას ინტერნეტ-მომხმარებლისთვის. ამ საკითხის შესახებ ჩვენ კითხვები „ცხელი შოკოლადის" სპეცპროექტის გმირებსაც დავუსვით. განსხვავებული გამოცდილების, სპეციფიკის, რეიტინგისა და თემატიკის მქონე ქართველები ბლოგერები, ბლოგის შექმნის მიზნებთან და გამოცდილებასთან ერთად, სპეცპროექტის ერთ-ერთ მთავარ კითხვას პასუხობენ: რა არის ბლოგი მათთვის – პირადი სივრცე თუ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების საშუალება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრია გოგინაშვილი

„ფიქროს ფურცლები“ - FIQRO.BLOGSPOT.COM

პირველი ბლოგ-პოსტი: 2005 წელი

ჩემი ძირითადი პროფესია უჯრედულ და მოლეკულურ ბიოლოგიას უკავშირდება, თუმცა უნივერსიტეტის დამთავრების დროს, ქვეყანაში არსებული რთული ვითარების გამო, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი არაფერი გამიკეთებია. ენთუზიაზმით მუშაობა უბრალოდ ვეღარ შევძელი და ახალ სამსახურს კომუნიკაციების სექტორში მივაგენი. სწორედ ამ სივრცემ დამაკავშირა ინტერნეტთან, რამაც საბოლოოდ ბლოგიც შემაქმნევინა. ვიდრე საკუთარ ინტერნეტ-დღიური მექნებოდა, ინტერნეტში სხვა ბლოგებს ვკითხულობდი და მალევე მივხვდი, რომ ძალიან მარტივად, ბევრი ცოდნის გარეშე, მეც შემეძლო იგივე მეკეთებინა. ყოველგვარი წინასწარ განსაზღვრული მიზნებისა და ინფორმაციის გარეშე გავაკეთე ჩემი ბლოგი, რომელსაც „ფიქროს ფურცლები“ ვუწოდე. ახლა ჩემი ბლოგის სახელზე ძალიან მეცინება, მაგრამ მაშინ ისეთი ტენდენცია იყო, რომ თუ გინდოდა პოპულარული ბლოგი გქონოდა, უცნაური სახელი უნდა დაგერქმია მისთვის. ბლოგის შექმნას დაემთხვა ისიც, რომ ფოტოაპარატი მაჩუქეს, რის შემდეგაც, ჩემს ბლოგზე პირად ჩანაწერებთან ერთად, ფოტოებსაც ვტვირთავდი. ჩემი ფოტოები ძალიან უცნაურად, ჩემი ყოველგვარი აქტიურობის გარეშე ხდებოდა პოპულარული, ამიტომ მივხვდი, რომ ფოტოგრაფია პროფესიულად უნდა შემესწავლა. ასეც მოვიქეცი. ნელ-ნელა, პეიზაჟების, მცენარეებისა და ცხოველების გადაღებიდან, ყოველდღიურობაში უფრო საინტერესო დეტალების დაფიქსირებამდე მივედი. ასე გადავიღე ერთი ფოტო, რომელიც მოგვიანებით ყველაზე პოპულარულ პოსტად იქცა ჩემს ბლოგზე. შიშველი გოგონა, თავზე ჩამოცმული პოლიეთილენის ცელოფნით, რომელიც სტუდიაში გადავიღე, ჩემს იმდროინდელ დეპრესიულ მდგომარეობას გამოხატავდა. ეს ფოტო ჩემი ბლოგიდან, ჟურნალ „დრო მშვიდობისას“ ყდაზე აღმოჩნდა, რომელიც მთლიანად შიშის თემას ეძღვნებოდა.

ბლოგის პოპულარიზაციას განსაკუთრებული მიზნებით არ ვცდილობ. უბრალოდ ფან-ფეიჯი მაქვს ფეისბუქზე და იქ ვაშვარებ ხოლმე ჩემს ფოტოებს. ჩემს ბლოგს დღეში დაახლოებით 330 ვიზიტორი ჰყავს და ვფიქრობ, არც ისე ცუდი სტატისტიკაა. შვილები არ მყავს და შემიძლია ვთქვა, რომ ერთადერთი, რაც გავზარდე და დღემდე ვუვლი, ჩემი ბლოგია. სულ ვამბობ ხოლმე, რომ, აი, დღეს რომ აქედან წავიდე და მოვკვდე, ერთადერთი, რასაც დავტოვებ, ჩემი ბლოგია. მეგობრებს ვეუბნები, რომ, თუ მოულოდნელად გარდავიცვლები, ერთადერთი, რასაც მათ დავუტოვებ ჩემი ბლოგის პაროლია.

ვახო ელერდაშვილი

ლინგვისტუსის ბლოგი – LINGUISTUSS.COM

პირველი ბლოგ-პოსტი: 2008 წელი

ცოტაოდენ რთული მისია მერგო – ჩემს თავზე უნდა ვისაუბრო მონოლოგის რეჟიმში, რაც არცთუ ადვილი საქმეა, თუმცა შევეცდები. თავიდან ფაქტებით დავიწყოთ: ათიოდე წლის წინ დავამთავრე თსუ-ის ფიზიკის ფაკულტეტი, შემდეგ ათი წელიწადი ვსწავლობდი უცხო ენებს, ვმუშაობდი პროგრამისტად და აქტიურად ვიყავი ჩართული თამაშში „რა? სად? როდის?". ბოლოს ეს ყველაფერი რომ მომბეზრდა, წავედი ავსტრიაში, სადაც დავამთავრე კეპლერის უნივერსიტეტის სამაგისტრო კურსი კომპიუტერულ მეცნიერებებში და დავრჩი განუსაზღვრელი ვადით. ამჟამად ვაგრძელებ ცხოვრებას და მუშაობას ავსტრიაში და შორიდან, იმედის თვალით ვუცდი ივერიის გაბრწყინებას.

ჩემი ბლოგ-პოსტები ეხება: სიტყვებს, წიგნებს, ენებს, მათემატიკას, ტექნოლოგიებს, „რა? სად? როდის?"-ის შეკითხვებს, გამოცანებს, თავსატეხებს და ა.შ. ამ ბოლო დროს ბლოგზე წერას მოვუკელი და ძირითადად მიკრობლოგინგით, ფეისბუქზე აქტიურობით შემოვიფარგლები, თუმცა თუ რაიმე საინტერესოს ვაწყდები, ყოველთვის მახსენდება ხოლმე ჩემი ნახევრადმიტოვებული ბლოგი, რომელსაც, მიუხედავად ასეთი სტატუსისა, ყოველ დღე ორასიდან სამას კაცამდე სტუმრობს. ჩემი ყველაზე პოპულარული პოსტი უმბერტო ეკომ დაწერა, მე ის მხოლოდ ვიპოვე ჟურნალ l'Espresso-ში და ვთარგმნე იტალიურიდან. სვეტი სახელწოდებით „ეს რუსთაველი ვიღა იყო?!", იტალიელი მწერალი საუბრობდა ზოგადი განათლების მდგომარეობაზე დასავლეთში და სადღაც გაკვრით ჰქონდა ნახსენები რუსთაველი, იმის საჩვენებლად, რომ პატარა ერებსაც შეიძლება ჰყავდეთ დიდი პოეტები.

ბლოგი ჩემთვის გართობის ერთ-ერთი ფორმაა, შესაბამისად, არასოდეს მიფიქრია ის შემოსავლის წყაროდ მექცია. ის არსებობს იმისთვის, რომ მომავალში დამაფიქროს იმაზე, რაც მაღელვებს და მაინტერესებს, აქ და ახლა. თუ ამის პარალელურად ვინმე თავის საკბილოსაც იპოვის, გამოდის, რომ ტყუილად არ ვწვალობ. ბლოგის ვიზიტორთა რიცხვი ჯერჯერობით არ იკლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბლოგი თავის ფუნქციას ამართლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლუკა ნახუცრიშვილი

ლუკა ნახუცრიშვილის ბლოგი – NAKHUTSRISHVILI.BLOGSPOT.COM

პირველი ბლოგ-პოსტი: 2012 წელი

მიუხედავად იმისა, რომ პერიოდულად საქართველოსთვის აქტუალურ საკითხებზე საკუთარ მოსაზრებებს ფეისბუკის თუ სხვა ვირტუალური პლატფორმების საშუალებით მანამდეც ვაქვეყნებდი ხოლმე, საკუთარი ბლოგის შექმნა ოდნავ მოგვიანებით, თუმცა მაინც გადავწყვიტე, რადგან მივხვდი, რომ რამდენიმე არსებით საკითხზე (განსაკუთრებით რელიგიისა და სეკულარული საზოგადოების პრობლემებზე) უფრო ვრცლად მომიწევდა საუბარი. თანაც, საკუთარი ბლოგი სრული „სარედაქციო" დამოუკიდებლობის საშუალებას მაძლევდა. თუმცა ახლაც მიჭირს იმის თქმა, რომ „ბლოგერი" ვარ, რადგან ძალიან იშვიათად ვწერ. შეიძლება თვეები ისე გავიდეს, რომ ბლოგზე არაფერი გამოვაქვეყნო. თუმცა არის პერიოდებიც, როდესაც თემატურად დაკავშირებულ საკითხებზე ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე ბლოგს ვაქვეყნებ. ამიტომ ჩემი ბლოგის ვიზიტორთა რაოდენობაც არამდგრადია. ხან 500 ადამიანი კითხულობს ჩემს ბლოგს, ხან – 5000. თუმცა მაინც შემიძლია გამოვარჩიო ჩემი ყველაზე პოპულარული პოსტი („ცოცხის პათოლოგია"), რომელიც სექტემბრის ციხის სკანდალთან დაკავშირებული ჩემი პირველი გამოხმაურება იყო. ეს ტექსტი თან საკმაოდ მოკლე იყო, თან ისეთ საკითხს შეეხო, რომელსაც ბევრი დაეთანხმა, მაგრამ კიდევ უფრო მეტი გააღიზიანა. მთავარი პროტესტი და, შესაბამისად, დიდი ცნობისმოყვარეობა გამოიწვია ჩემმა შენიშვნამ იმის შესახებ, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილის აღშფოთების მთავარი მიზეზი სექსუალური ხასიათის ვიდეოები გახდა (უფრო ნაკლებად, კოლექტიური ცემის ვიდეო) და რომ დემონსტრაციებსა თუ წერილობითი სახით გამოყენებული საპროტესტო ენაც და სიმბოლიკაც სექსუალურად დატვირთული აგრესიით იყო გამასჭვალული.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ბლოგინგით ფულის შოვნა არასოდეს მიცდია და დარწმუნებული ვარ, ეს აქტივობა მომავალშიც მხოლოდ გვერდითი და ძალიან წყვეტილი საქმიანობა იქნება ჩემს ცხოვრებაში. ბლოგინგის შემოსავლის წყაროდ აღქმა იმიტომ მიჭირს, რომ სამეცნიერო ჟურნალებსა თუ ყოველდღიურ გაზეთებში გამოქვეყნებული მოსაზრებებისგან განსხვავებით, ბლოგის წერა და მკითხველის მხრიდან მისი „მოხმარება" ჩემთვის სწორედ უანგარო გაზიარების პრინციპს ეფუძნება.

ანინა ტეფნაძე

ყველაზე მარილიანი ბლოგი – ANINALAND.WORDPRESS.COM

პირველი ბლოგ-პოსტი: 2008 წელი

ბლოგი 17 წლის ასაკში შევქმენი. მაშინ მოთხრობებს ვწერდი და მინდოდა, რომ ინტერნეტსივრცეში მათი ადგილი მომეძებნა და თუ ვინმეს სურვილი ექნებოდა და მეტყოდა, რომ ჩემი ნაწერების კითხვა სურდა, მქონოდა ლინკი, რომლითაც დაინტერესებული ადამიანები ადვილად გაიცნობდნენ ჩემს მოთხრობებს. მაშინ იმაზე არც ვფიქრობდი, რომ ამ ბლოგზე ძალიან პირადი ამბების შესახებ დავწერდი, მაგალითად, როგორ ვიღვიძებდი დილით, რა მიყვარდა, რაზე ვოცნებობდი და ა.შ. ბლოგის შექმნიდან მალევე გავაცნობიერე, რომ ძალიან მარტივია იყო ბლოგერი იმ ქვეყანაში, სადაც არც ისე ბევრი ბლოგერია. პოსტების წერის გარდა, გადავწყვიტე თავად შემექნა ბლოგის დიზაინი, რისთვისაც შავ-თეთრი ეროტიული ფოტოები გამოვიყენე. ეს ერთგვარი კომერციული ჩანაფიქრი იყო, მსურდა ამ ფოტოების გზით ჩემს ბლოგს ბევრი ვიზიტორი ჰყოლოდა, რომლებიც ფოტოებისგან დამოუკიდებლად, ბევრ სხვა საინტერესო მასალებს წაიკითხავდნენ. მაშინ ქართულმა საზოგადოებამ ამ ფოტოების გამო, ჩემი ბლოგი ეროტიკულადაც კი აღიქვა და მართლაც ასე იყო, თუმცა ამ ბლოგებში არაფერი იყო ისეთი, რაც დიდ ხმაურს გამოიწვევდა; უბრალოდ, მაშინ ისედაც არ იყო ქართველი ბლოგერების რაოდენობა ბევრი და მათ შორის თამამი თემატიკით სულ რამდენიმე გამოირჩეოდა, ამიტომ ალბათ ამანაც განაპირობა ჩემი ბლოგის პოპულარობა. სწორედ ბლოგის პოპულარობის გამო, სულ ახლახან ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ ჩემი მოთხრობების კრებული გამოსცა. „ჩემი შეყვარებულის შეყვარებული" – ასე ჰქვია ამ წიგნს და მოთხრობასაც, რომელიც სხვათა შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოსტია ჩემს ბლოგზე. თუმცა ახლა რომ ვუფიქრდები, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხრობები ახლა წიგნშიც შეგიძლიათ წაიკითხოთ, მათ ინტერნეტის სპეციფიკა მაინც ეტყობათ – მეტი უშუალობა, მცირე მოცულობის ტექსტები და თხრობის სისხარტე, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ შენს გვერდზე შემოსული მკითხველი ბოლომდე დააინტერესო. საინტერესოა ისიც, რომ იმ როლით, რომელსაც ბლოგის ავტორობა განიჭებს, მნიშვნელოვანიც კი ხდები ვიღაცისთვის, ვინც შენს პოსტებს მუდმივად ელოდება და ხშირად გსტუმრობს. ამიტომაც მგონია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ უფრო მეტმა ადამიანმა მოახერხოს და გასცდეს ფეისბუქზე „ჩათაობას", პოსტების წერას და ბლოგის სახით უფრო მნიშვნელოვანი სათქმელი თქვას, თუნდაც თქვა ის, რაც ყველაზე მეტად აწუხებს და რასაც აპროტესტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათია მორბედაძე

კეჟერაძის ბლოგი – KEJERADZE.WORDPRESS.COM

პირველი ბლოგ-პოსტი: 2011 წელი

მხატვრულ ლიტერატურას ჩემს პროფესიასთან კავშირი არ აქვს, თუმცა ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჰობია, რაც პროფესიის პარალელურად მაქვს. ბლოგის შექმნის მიზეზი თავდაპირველად ის იყო, რომ მინდოდა ამ პლატფორმაზე დარეგისტრირებით სხვა ბლოგები ჩემთვის უფრო ადვილად ხელმისაწვდომი გამხდარიყო და კონკრეტულ პოსტებთან დაკავშირებით ჩემი აზრიც გამომეთქვა, რასაც თავისთავად მოჰყვა საკუთარი ბლოგის შექმნაც, რომელსაც დღემდე ვანარმოებ. პირველი წიგნი, რომლის შესახებაც პოსტი დავწერე იყო გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი". ყველაზე პოპულარული პოსტი კი გახდა ჩანაწერი ჯეკ კერუაკის რომანის – „გზაზე" – შესახებ, რაც, ვფიქრობ, იმან განაპირობა, რომ ჩემი ბლოგის ვიზიტორების დიდმა ნაწილმა ეს წიგნი სწორედ იმ პერიოდში წაიკითხა, როცა მე ეს პოსტი დავწერე, თუმცა ეს ერთი კონკრეტული შემთხვევა არ ყოფილა. ბლოგის წარმოების მთავარი პრინციპი ჩემთვის ის არის, რომ პოსტს კონკრეტული წიგნის შესახებ, კითხვის დასრულებისთანავე ვაქვეყნებ. წინა წლებში წაკითხულ წიგნებზე თითქმის არასოდეს ვწერ. პოსტის დასაწერად სულ რამდენიმე წუთი მჭირდება. ამიტომაც მომწონს ბლოგის პლატფორმა, რომელზეც წიგნის შესახებ ჩემს შთაბეჭდილებებს იმაზე სწრაფად ვწერ, ვიდრე ამას ფურცელზე ხელით წერისას შევძლებდი. თანაც, ბლოგის წარმოება რეჟიმში გამყოფებს. მე, პირადად, მოვალეობები ნაკლებად მაქვს და ერთადერთი, რაც წერის მოვალეობას მაკისრებს, ჩემი ბლოგია.

მიხარია, როდესაც ჩემს ბლოგს ბევრი ვიზიტორი ჰყავს ხოლმე, რადგან თუკი პოსტების კითხვის შემდეგ მათ იმ კონკრეტული წიგნის კითხვის სურვილი გაუჩნდებათ, რომლის შესახებაც მე ვწერ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი საქმე იქნება იმ ფონზე, როდესაც წიგნს, ზოგადად, არც ისე ბევრი ადამიანი კითხულობს. თავის დროზე, დათო ტურაშვილის შემოქმედების გაცნობა სწორედ „მოლი ბლუმის" პოსტების კითხვის შემდეგ დავიწყე და დღემდე ვკითხულობ. ასე არიან ალბათ სხვებიც, რომლებიც იმ ბლოგერებს ირჩევენ, წიგნებისა და ლიტერატურის შესახებ რომ წერენ.

მარია რეხვიაშვილი

DREAMAR'S BLOG – DREAMAR.WORDPRESS.COM

პირველი ბლოგ-პოსტი: 2008 წელი

დღიურების წერა ბავშვობიდან მიყვარდა. შემდეგ, როცა ინტერნეტსივრცეს დავუახლოვდი, ბლოგის პლატფორმის სახით აღმოვაჩინე, რომ არსებობს დღიურების ინტერნეტში წერის უფასო საშუალება, ამიტომაც ბლოგის შექმნის პირველ პერიოდში, ჩემი პოსტები ძირითადად პირად ამბებს ეხებოდა. ამავე დროს, ჩემი რამდენიმე კურსელის ბლოგს ვეცნობოდი და წარმოდგენები ბლოგის შესახებ თანდათან იცვლებოდა. შედეგად, ჩემს პირველ ბლოგს თავი მივანებე და 2009 წლიდან ახალი ბლოგის წარმოებას შევუდექი, რომელიც პირად თემებზე აქცენტს ნაკლებად აკეთებდა. ეს იყო პოლიტიკაც, სოციალური საკითხებიც, ქალთა უფლებები, ცხოველთა დაცვა და ა.შ. თემები, რომელიც, ძირითადად, საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენდა. ჩემი ყველაზე პოპულარული პოსტიც („რატომ ეშინიათ კაცებს გენდერული თანასწორობის") სწორედ ფემინისტურ საკითხებს ეხებოდა. იყო ასეთი პოსტიც – „აკრძალული კოცნა", რომელიც თბილისში, რიყეზე გამართულ კოცნის აქციას ეხებოდა. ახლა ჩემი ვიზიტორების რაოდენობა შემცირებულია, ეს იმიტომ, რომ ბევრს აღარ ვწერ. ძირითადად ბლოგის წერას მაშინ ვიწყებ, როცა არანაირი ცხოვრებისეული პრობლემა არ მაქვს და თავს მშვიდად ვგრძნობ; და როცა პირიქით ხდება, პოსტების წერის ინტენსივობა სულ უფრო იკლებს.

ბლოგს ძალიან ბევრი სარგებელი აქვს. გარდა იმისა, რომ წერას სწავლობ, ეს არის თვითგამოხატვის უნიკალური საშუალება, ასევე კომუნიკაცია, რომელიც ხშირად ვირტუალური სივრციდან რეალურ ცხოვრებაში გადადის. ბლოგი ფინანსური შემოსავლის წყაროც შეიძლება გახდეს. ზუსტად რამდენიმე ხნის წინ, გენდერული თანასწორობის შესახებ პროექტიდან დამიკავშირდნენ და სამსახური შემომთავაზეს. იყო შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა ინტერნეტ-გამოცემებში წერას მთხოვდნენ და მეც სიამოვნებით ვიღებდი ამ შემოთავაზებას. მართალია, ქართულ რეალობაში ბლოგი შემოსავლის წყარო ვერ ხდება, თუმცა სამომავლო პერსპექტივების განვითარების პოტენციალი ნამდვილად აქვს. ბლოგი იმითაც უნივერსალურია, რომ ის ავტორთან ერთად მკითხველისთვისაც არანაკლებ სასარგებლოა. ნებისმიერი ბლოგის ვიზიტორი ამ სივრცეში ექსკლუზიურ ინფორმაცას ან ამბის განსხვავებულად ხედვას ეცნობა, იმას, რასაც ტრადიციულ მედიაში ვერ ნახავს. აქ შეიძლება იყოს პრაქტიკული ინფორმაციაც სხვადასხვა ცხოვრებისეული საჭიროებების შესახებ, რაც კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მიღებაში გეხმარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დათო ლობჟანიძე

ლობჟანიძის ბლოგი აქცენტით – LOBZHANIDZE.WORDPRESS.COM

პირველი ბლოგ-პოსტი: 2007 წელი

ბლოგის წერა მეც პირადი ჩანაწერების კეთებით დავიწყე, თუმცა მოგვიანებით ბლოგზე ჩემს პროფესიასთან დაკავშირებულ მასალებს ვაქვეყნებდი – იქნებოდა ეს სტატიები, სხვადასხვა ტიპის პუბლიკაციები თუ ინფორმაცია. ამის მიუხედავად, მაინც ვცდილობდი, რომ პოსტები ისეთი თემების შესახებაც მეწერა, რომელიც ჩემთვის უფრო საინტერესო იყო, მაგალითად – ლიტერატურის, კინოსა და მუსიკის შესახებ. ამ კონკრეტულ სფეროებზე დამოუკიდებელი, სპეციალიზებული ბლოგის შემექმნაც ვცადე, მაგრამ ქართველი მკითხველის მხრიდან დიდი დაინტერესება არ მოჰყოლია. ამიტომ წერა ძირითადად ზოგად თემებზე გავაგრძელე.

ჩემი ყველაზე პოპულარული პოსტების სერია – „ცნობილი მწერლები რომ ფეისბუკის მომხმარებლები ყოფილიყვნენ“ რამდენიმე თვის წინ შეიქმნა, რომელშიც მწერლები, სხვა ცნობილი ადამიანები და უსულო საგნები გავაერთიანე. იდეა სრულიად შემთხვევით მომივიდა. მსგავსი პოსტები არაქართულ ინტერნეტსივრცეში მქონდა წაკითხული და გადავწყვიტე გართობა ქართველი მკითხველისთვისაც შემეთავაზებინა. ჩემს პოსტებში მათი ფეისბუქის გვერდები შევქმენი, რომლებიც ყველა იმ ქმედებას ახორციელებდნენ, რასაც ჩვენ დღეს ფეისბუქზე ვაკეთებთ. ირონიას ის იწვევდა, რომ ამ ცნობილი ადამიანების უმრავლესობა საუკუნეების წინ ცხოვრობდა და ფეისბუქში მათი არსებობა უკვე სიცილს იწვევდა. პოსტების ეს სერია ჩემს ბლოგზე 5000-მდე ვიზიტორმა ნახა. ამ პოსტების შექმნას დაახლოებით საათ-ნახევარი მოვანდომე. იყო პოსტებიც, მაგალითად ორჰან ფამუქის ერთ-ერთი წიგნის შესახებ, რომლის წერასაც ბევრად დიდი ძალისხმევა დასჭირდა, თუმცა მკითხველის რაოდენობა 50 ვიზიტორს ვერ ასცდა. ადამიანებს, როგორც წესი, უფრო მეტად „Fast Food“ მასალები უყვართ. ზემოთ ნახსენებ პოპულარულ სერიას მე სწორედ „Fast Food“-ს ვადარებ, რომლის შექმნასა და წაკითხვას განსაკუთრებული ძალისხმევა არ სჭირდება. ზოგადად ვთვლი, რომ როდესაც ადამიანი შენს ბლოგზე შემოდის, ის დრო უაზროდ არ უნდა დააკარგვინო. ამაზე წერის დაწყებამდე უნდა იფიქრო და ისეთი რამ უნდა დაწერო, რასაც შინაარსი აქვს. უაზროდ წერას, ჯობს საერთოდ არ წერო.

ია ქუთათელაძე

NO END TO DESIGN – ბლოგი, არამხოლოდ დიზაინის შესახებ – NOENDTODESIGN.BLOGSPOT.COM

პირველი ბლოგ-პოსტი: 2011 წელი

ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ძალიან დიდ დროს ვატარებდი ინტერნეტსივრცეში, მუდმივად ვეძებდი ჩემთვის საინტერესო ინტერიერისა თუ პროდუქტის დიზაინის ნიმუშებს იმისათვის, რომ მცოდნოდა, რა ხდებოდა ამ დარგში მსოფლიო მასშტაბით, ან ამით უბრალოდ ინსპირაციას ვამდიდრებდი. დროთა განმავლობაში მსგავსი „ინტერნეტგამოძიებების" მეშვეობით, საოცრად დიდი რაოდენობის მასალა დამიგროვდა, რასაც ჩემს ინტერნეტსანიშნებში ვინახავდი. გადავწყვიტე სხვებისათვისაც გამეზიარებინა ყველაფერი, რაც მომწონდა, რაც დიდ სიამოვნებას მანიჭებდა, და რაც უბრალოდ გულგრილს არ მტოვებდა. ბლოგის გაკეთებისთანავე შევქმენი ბლოგ-პოსტების სერია, რომელსაც ერქვა – My Imaginary Apartment, რომელიც სხვადასხვა სივრცეების მიხედვით რამდენიმე კატეგორიად იყოფოდა: მისაღების, საძინებელის, სამზარეულოსა და აბაზანის დიზაიანი. იყო სხვა სივრცეებიც. სწორედ ამ პერიოდში შექმნილი ახალი პროდუქტების პოპულარიზაციისთვის გამოვიყენე ჩემი ბლოგი. ჩემი ყველაზე პოპულარული პოსტი ჩემთვის საყვარელ დიზაინერ წყვილს ეხება – Charles and Ray ames – ამერიკელ ცოლ-ქმარს. მათ მოღვაწეობა მეოცე საუკუნის 40-იანი წლებიდან დაიწყეს და უამრავი დიზაინპროდუქტი შექმნეს, რომელიც დღესაც ყველაზე მოთხოვნადია მთელს მსოფლიოში.

ჩემს ბლოგზე ფინანსური მოგების მიზნით განთავსებულ რეკლამებს ვერ შეხვდებით. ამის სურვილი არც არასდროს მქონია. თუმცა იმას, რასაც საკუთარი შემოქმედების ფართო მასებისთვის გაცნობა ჰქვია, ეს ნამდვილად ბლოგის დამსახურებაა. ინტერნეტსივრცემ მართლაც ბევრი რამ შეცვალა ყველასათვის, მათ შორის ხელოვანებისთვისაც. გარდა ამისა, ძალიან ბევრი ცნობილი და კომპეტენტური ადამიანი იყენებს ბლოგს ინფორმაციის მობილიზებისა და გავრცელებისთვის. არსებობს ბევრი გავლენიანი ბლოგიც, რომელიც ინფორმაციის ერთგვარი წყაროა მედიისთვის, სხვადასხვა ტიპის კომპანიებისა და ჩვეულებრივი მომხმარებლებისთვის. დიზაინპროდუქტებით დაინტერესების შემთვევაში კი ორმხრივი თანამშრომლობაც მყარდება. მკითხველი, რომელიც ჩემი ბლოგით დაინტერესდება, შეუძლია ხშირად მესტუმროს და გაიზიაროს დიზაინ-სამყაროს ჩემეული ხედვა.

საავტორო
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბლუზი მტკვრის პირას

ავტორი: ბიძინა მაყაშვილი
ილუსტრაცია: მაია სუმბაძე

(გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ N 90)

1970-იანები

ნაწილი პირველი

გარემო

60-იანი წლების მიწურულს, 1969 წლის ზაფხულში, ჩემს ცხოვრებაში ორი აღსანიშნავი ამბავი მოხდა. პირველი საკაცობრიო მნიშვნელობისაა, ამიტომ მასზე დიდხანს არ შევყოვნდები, უბრალოდ შეგახსენებთ, რომ ამერიკელებმა ადამიანი გადასვეს მთვარეზე. ნილ არმსტრონგის პატარა ნაბიჯმა სიამაყესთან ერთად სინანულის გრძნობა გამიჩინა: ამერიკა კიდევ უფრო შორს წავიდა ჩემგან.

ამ ამბიდან არც ისე დიდი ხნის შემდეგ კი მამაჩემმა, ჩემგან სრულიად დამოუკიდებლად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, თავისი ინიციატივით, სახლში ფირსაკრავი, ე.წ. „პრაიგრივატელი“ და ხუთი ფირფიტა, ანუ „პლასტინკა“ მოიტანა.

იმ დროს საბჭოთა კავშირში უკვე კარგა ხანია დაწყებული ჰქონდათ სტერეოაპარატურის წარმოება, მაგრამ ხარისხი არ უვარგოდათ. თუმცა, რაც მთავარია, სტერეო ჩანაწერებს ჯერ არ უშვებდნენ. ჩვენი ფირსაკრავი მონო იყო, მაგრამ თავისი კლასისთვის საკმაოდ კარგი. რაც შეეხება ფირფიტებს, ეს იყო „მელოდიას“ (ერთადერთი საბჭოთა ორგანიზაცია, რომელიც აწარმოებდა მუსიკალური ინფორმაციის მატარებლებს) მიერ გამოცემული საზღვარგარეთის პოპმუსიკის (მაშინ მას საბჭოთა კავშირში საესტრადო მუსიკა ერქვა) კრებულები, სახელწოდებით – „მუსიკალური კალეიდოსკოპი“. თითოეულში სხვადასხვა შემსრულებლების 10-მდე სიმღერა შედიოდა. ერთ-ერთ მათგანზე სულ ბოლო სიმღერა იყო „ბითლზის“ შედევრი Girl. მინაწერი კი იუწყებოდა – „ტექსტი და მუსიკა – ხალხური“. არ ვიცი საიდან, მაგრამ მაშინ უკვე ვიცოდი, რომ ამ სიმღერის ავტორები ლენონი და მაკარტნი იყვნენ. ვიცოდი ისიც, რომ ჯგუფის დანარჩენ ორ წევრს ჯორჯ ჰარისონი და რინგო სტარი ერქვათ. ეს „პლასტინკა“ ძალიან დიდხანს ჩემი სიამაყის საგანს წარმოადგენდა და გული მწყდება, რომ დღემდე არ შევინახე, როგორც სამუზეუმო ექსპონატი.

ნამდვილ „პლასტინკებამდე“ ჯერ შორს იყო. როგორც უფროსძმიანმა კლასელმა გვაუწყა, „იქ“ „პლასტინკებს“ დისკები ერქვათ. ჩვენთან ეს დალოცვილი დისკები მაშინ ძალიან ჭირდა. საბჭოთა პროდუქცია კი ერთობ შორს იყო საერთაშორისო სტანდარტებისგან. თუმცა იქაც შეიძლებოდა რაღაცის მოძებნა. ამისთვის, სულ ცოტა, ინტუიცია გჭირდებოდა.

თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე, ფირფიტების ცნობილი მაღაზია იყო, სადაც ხშირად შევდიოდი. „მელოდიის“ კრებულებში შეიძლებოდა „ბითლზის“ მსგავს რაიმე სიურპრიზს გადაწყდომოდი. ერთ-ერთი ასეთი სიურპრიზი გახდა ზემოთ ხსენებული სერიის კიდევ ერთი, 10 სიმღერისგან შედგენილი ფირფიტა, რომელთაგან ერთი „ბი ჯიზს“ ეკუთვნოდა, თუმცა ამის შესახებ ფირფიტაზე დაკრული საინფორმაციო მრგვალი ეტიკეტი არ იუწყებოდა.

ეს არ იყო გამონაკლისი. მსგავსი ფირფიტები ანონიმური შემსრულებლებით საბჭოთა კავშირში საკმაოდ გამოდიოდა. განსაკუთრებით სასაცილო იყო პატარა, ცისფერი, ცელულოიდისგან დამზადებული, დრეკადი ფირფიტები. თავის დროზე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი გამოიგონეს, როგორც წიგნებში ჩასადები ხმოვანი მასალა. ეს იმ დროისთვის იმავე ფუნქციას ასრულებდა, რასაც დღეს ასრულებს ბმული, რომელიც ინტერნეტში განთავსებულ ტექსტურ მასალას აკავშირებს შესაბამის აუდიო ან ვიდეოფაილთან. მაგალითად, დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის ერთ ტომს, რომელშიც შესულია მასალა ლენინის შესახებ, ახლავს ასეთი ფირფიტა, რომლზეც ლენინის სიტყვაა ჩაწერილი.

მაგრამ საბჭოთა კავშირში მათ უფრო „სერიოზული" დატვირთვა მიანიჭეს: დრეკად ფირფიტებს ისევე უშვებდნენ სავაჭრო ქსელში, როგორც ჩვეულებრივ ვინილის დისკებს. მოგვიანებით, სწორედ ამ ფირფიტების საშუალებით ჩამივარდა ხელში ორიოდე საინტერესო ჩანაწერი. მაგალითად, „ბითლზის", „როლინგსცა ბიგ-ბენდი. რატომღაც მგონია, გლენ მილერი უნდა ყოფილიყო. ყდაზე ვინმე კონკრეტული კი არ ეხატა, ზოგადი იყო: რაღაც წიგნაკი, ამერიკის დროშის ნაწილი, საყვირი... კომპოზიცია ძალიან თბილ განწყობას ქმნიდა და ძალიან განსხვავდებოდა ყველაფერ იმისგან, რაც მანამდე მქონდა ნანახი. თანაც ყდის მასალაც განსხვავდებოდა საბჭოურისგან – უფრო მკვრივი მუყაოსგან იყო დამზადებული, რაც სოლიდურობას ანიჭებდა.

ყდის შესახებ ამდენი ტყუილად არ მილაპარაკია. იმ წლებში დისკების ყდები საბჭოთა კავშირში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. უპირველეს ყოვლისა, მათ არავითარი საერთო არ ჰქონდათ ჩანაწერთან. ისინი, უხეშად რომ ვთქვათ, ორ ჯგუფად იყოფოდნენ: რეალისტურები და აბსტრაქტულები. რეალისტურებმთავარია, არ იყო ელექტროგიტარაზე შესრულებული როკი. ეს ფაქტორები კი, იმ დროს, ჩვენთან ისეთი მნიშვნელოვანი იყო, რომ დისკის უპირველეს დანიშნულებას, ანუ მუსიკალურ მომენტს ხშირად მეორეხარისხოვნად აქცევდა.

მერე იყო ინგლისური ჯგუფი „ჰუ"; ისიც საოცარი ენერგიის მატარებელი ჩანაწერი. ისიც შედარებით იაფად ვიყიდე, ალბათ იმიტომ, რომ დისკი დაკაწრულ-დაფხაჭნილი იყო. აქ არ შემიძლია არ გადავუხვიო და ორი სიტყვით არ ვახსენო ის ტერმინოლოგია, რომელსაც ვხმარობდით დისკების მდგომარეობის დასახასიათებლად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ დროისათვის საყოფაცხოვრებო მუსიკალური აპარატურის ხარისხი საბჭოთა კავშირში ძალიან დაბალი იყო. ეს კი იმას ნიშნავ-

ფირფიტები ანონიმური შემსრულებლებით საბჭოთა კავშირში საკმაოდ გამოდიოდა. განსაკუთრებით სასაცილო იყო პატარა, ცისფერი, ცელულოიდისგან დამზადებული, დრეკადი ფირფიტები. თავის დროზე ისინი გამოიგონეს, როგორც წიგნებში ჩასადები ხმოვანი მასალა.

ტოუნზის", „ქრიდენსის" და „შოკინგ ბლუს" 4-4-სიმღერიანი კრებულები, რომლებსაც შემსრულებლების დასახელება არ ეწერათ. უბრალოდ არაფრისმთქმელი – „ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი". საქმეს ისიც ართულებდა, რომ სიმღერების სახელები ორიგინალის ენაზე კი არ ეწერა, არამედ რუსულად თარგმნილი ვერსიით იყო წარმოდგენილი. ერთადერთი, სიმღერების ავტორები იყო მითითებული. ესეც ჩვენს შორის ერთგვარი კამათის საგანი ხდებოდა: ვისი გვარი იყო პირველი – მუსიკის ავტორის, თუ ტექსტის.

ამასობაში, საქართველოში ნელ-ნელა იზრდებოდა საზღვარგარეთ ნამყოფთა რიცხვი, რომლებსაც უცხოეთიდან, სხვა რამეებთან ერთად, დისკებიც ჩამოჰქონდათ. ეხლაც კარგად მახსოვს პირველი უცხოური დისკის ყდამ როგორ მომნუსხა. ჩემზე 10 წლით უფროს ნათესავს ჰქონდა სახლში და სიამაყით მაჩვენა. ვინ, ან რა იყო, ვერ გეტყვით. ნამდვილად იმის თქმა შემიძლია, რომ ამერიკული ორკესტრი იყო, რომელიღაზე ძირითადად ბუნება იყო აღბეჭდილი. უფრო კონკრეტულად კი, ეს იყო მხატვარ ლევიტანის შემოდგომის სევდიანი პეიზაჟები, რომლებიც ყოველგვარ სურვილს გიკლავდნენ გეფიქრა დადებით ემოციებზე. შეიძლება სწორედ ამის გამო იყო, რომ მსგავს ყდებს უფრო კლასიკური მუსიკის ჩანაწერებისთვის გამოიყენებდნენ. პოპულარული მუსიკის ჩანაწერებს, შესაბამისად, უფრო „მხიარულ" ყდებში ფუთავდნენ. ეს მხიარულება, უკეთეს შემთხვევაში, მორის ეშერის ოპტიკური ილუზიების სტილში შესრულებულ ფერად-ფერად სფეროებსა და სპირალებში გამოიხატებოდა.

დროებით დავანებოთ თავი ყდებს და ისევ დისკებს დავუბრუნდეთ. პირველი ნამდვილი დისკი ერთი უბნელი, უფროსი ბიჭისგან ვიყიდე. ამერიკული დუეტის Simon & Garfunkel-ის სიმღერების ფანტასტიკური კრებული იყო. იმ დროისათვის, შედარებით იაფად მომცა, თუმცა ამას თავისი მიზეზები ჰქონდა, რასაც მოგვიანებით მივხვდი. პირველ რიგში, არ ჰქონდა „შთამბეჭდავი" ყდა. და, რაც და, რომ სხვა რამესთან ერთად, დისკებიც სწრაფად ფუჭდებოდა. მით უმეტეს, მაშინ მათი მოვლაც არ ვიცოდით. მათ უჩნდებოდათ თითების ანაბეჭდის ფორმის ცხიმის ლაქები, რომლებიც მტვერს იკრობდა; მათ უჩნდებოდათ ნაკაწრები და ნაფხაჭნები, რომლებშიც მტვერი გროვდებოდა; ამის გამო, დაკვრისას ჩანაწერს ახლდა შიშინი, ხრიალი და ტკაცუნი; ეს უკეთეს შემთხვევაში; უარეს შემთხვევაში დისკს უბრალოდ ვერ მოუსმენდი, რადგან ფირსაკრავის ნემსი ნაფხაჭნებზე იხტუნავებდა და ისე ჩავიდოდა დისკის ბოლომდე, რომ ჩანაწერს ვერ გაიგებდი; ანდა კიდევ საერთოდ ვერ გადაახტებოდა ნაფხაჭნს და ერთ ადგილას იხტუნავებდა. დისკის ყველა ამ მდგომარეობას შესაბამისი ტერმინი ახასიათებდა. მაგალითად დისკს „შიპი" აქვს, ნიშნავდა, რომ დაკვრისას ჩანაწერს შიშინი ახლავს (ალბათ შიშინის აღმნიშვნელი რუსული სიტყვის – шипение-ს მიხედვით). იყო კიდევ მდგომარეობა, რომელიც ასე ხასიათდებოდა – შიპი აქვს, მაგრამ სიმღერებზე არ

ისმის, მხოლოდ სიმღერებს შორისო. ნაფხაჭნს „სტიკი“ ერქვა „შიპის“ არ იყოს, არც „სტიკი“ განისაზღვრებოდა ცალსახად. „სტიკი“ აქვს, მაგრამ არ „ხტება“ ნიშნავდა, რომ ნემსი ნაფხაჭნ ადგილას მხოლოდ ტკაცუნით გაივლიდა და ჩანაწერის ნაწილს არ გადაახტებოდა. თუ ნემსი „სტიკზე“ ხტებოდა, ეს ფირფიტის ღირებულებას მკვეთრად ამცირებდა. მაგრამ იყო კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა, როცა ნემსის მოძრაობა „სტიკთან“ ჩერდებოდა და მოსმენის გასაგრძელებლად ნემსი ხელით უნდა გადაგედო წინ. ეს ერთი პოლუსი იყო. მეორე პოლუსზე სულ ახალთახალი ფირფიტები იყო. სიახლის მწვერვალად დაბეჭდილი, გაუხსნელი, ანუ ისეთი დისკები ითვლებოდა, რომლებსაც მაღაზიის შესაფუთი ცელოფანი შემოუხსნელი ჰქონდათ. ქალიშვილის ასოციაციით, მათი სახელი უბინობას უკავშირდებოდა, რასაც სლენგზე „ცელკა“ ერქვა და ასეთი მდგომარეობის დისკების მაღალი ფასი ამითაც განისაზღვრებოდა. ხარისხისა და ფასის მიხედვით მეორე ადგილზე იყო მდგომარეობა, რომელიც ასე ხასიათდებოდა: „გახსნილია, მაგრამ მხოლოდ ერთხელ არის დაკრული – ჩასაწერად“. და ასე შემდეგ... თუმცა, წელანდელის არ იყოს, უმჯობესია, ისევ ჩანაწერებს დავუბრუნდეთ.

ჩემი მესამე შენაძენიც თანამედროვე მუსიკის კლასიკას წარმოადგენდა. მისი შეძენის ისტორია კარგად ასახავს საქართველოს კომუნისტური წარსულის ერთ ასპექტს. დისკი ვიყიდე დღევანდელი ტექნიკური უნივერსიტეტის, ანუ მაშინდელი „გეპეის“ სტუდენტისგან, რომელსაც ფული გამოცდების ჩასაბარებლად სჭირდებოდა: 100 მანეთი უნდა გადაეხადა ვიღაც ინჟინერისთვის, რომ მის მაგივრად ნახაზები გაეკეთებინა. მაშინ ეს აპრობირებული გზა იყო განათლების დამადასტურებელი დიპლომის მისაღებად. ეს ორი დისკის ფასი იყო – სკოლის მონაფესთვის წარმოუდგენელად დიდი თანხა. მომიხდა ამ საქმეში მეგობრის ჩართვა. მან ჯეიმს ბრაუნი იყიდა, მე ჯიმი ჰენდრიქსი ვარჩიე. ჰენდრიქსის სპონსორი ბაბუაჩემი იყო.

ამის მერე ცოტა ხანი გავჩერდი. ჯერ ერთი, იმდენი ფული სად იყო და, გარდა ამისა, ახლობლებმა დაიწყეს ჩემთან სხვისი დისკების მოტანა და ერთად მოსმენა, თხოვება. მუსიკალური დეფიციტის პირობებში ეს მაშინ გავრცელებული პრაქტიკა იყო და საკმარისი აღმოჩნდა, რომ ჩემს წრეში, ამ სფეროში სხვებზე ოდნავ მეტად ინფორმირებული ვყოფილიყავი.

მაშინ სერიოზულად ვიყავი „ბითლზზე“ დაციკლული. სხვა ყველაფერს, მცირე გამონაკლისის გარდა, სუროგატად მივიჩნევდი. ეს რწმენა, საბედნიეროდ, თუ არ ვცდები, 16 წლის ასაკში შემერყა. უბნელები მყავდნენ. თავიანთი ჭკუით ძველბიჭობდნენ. ამ ნიადაგზე ვიღაც-ვიღაცეებს დისკებს „აწერავდნენ“. თუ რამე უცნობი შეხვდებოდათ, ჩემთან მოჰქონდათ, რომ დასკვნა გამოგვეტანა, თუ რასთან გვქონდა საქმე. ერთხელაც რაღაც საოცრება მოიტანეს. დაწყებული ყდით და დამთავრებული მუსიკით, ყველაფერი მაგიური იყო. ეს ინგლისური ჯგუფის Jethro Tull-is diski gaxldaT, Aqualang. ახლაც კარგად მახსოვს, რა ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი მაშინ. ღმერთმა იცის, იმ დროს რა მანქანებით მოხვდა ეს დისკი თბილისში. ის კი ვიცი, რომ ჩემი ფირსაკრავის გაცვეთილმა ნემსმა ალბათ საბოლოოდ მოუღო ბოლო ისედაც კარგად შელანძღულ ჩანაწერს. მაგრამ მაშინ ამას ვინ ჩიოდა: „ჯეთრო თალი“ ჩემთვის უდიდესი აღმოჩენა გახდა როკსამყაროში. ეს არ ჰგავდა არაფერს, რაც მანამდე მქონდა მოსმენილი, ეს აბსოლუტურად სხვა ხარისხის მუსიკა იყო. ადვილი წარმოსადგენია, რა სულიერ შფოთს გამოიწვევდა „ბითლზის“ ტრადიციებზე გაზრდილ თბილისელ მოზარდში მუსიკა, რომელმაც თვით ინგლისში და ამერიკაშიც კი გამორჩეული ყურადღება დაიმსახურა. ეს ალბომი ყველაფრით უცნაური იყო: ყდაზე გოთური შრიფტი და ზეთის საღებავებით შესრულებული ნახატი, რომლიდანაც აშკარად დიკენსის მაწანწალა იყურებოდა. როგორც მელოდიურად, ისე ტექსტუალურად, ალბათ სამუდამოდ ამეკვიატა პირველი სიმღერის პირველივე ფრაზა: sitting on the park bench, საოცარი ვოკალი და ინსტრუმენტული თანხლება. ეს ნამდვილად დიდი მუსიკა იყო. მაშინ პირველად შემერყა რწმენა „ბითლზის“ უძლეველობის შესახებ. ასეთი მომენტების დავიწყება ძნელია, რაშიც ურიცხვი ადგილობრივი „ჯეთრო თალისტებიც“ დამეთანხმებიან, რომელთათვისაც, ალბათ, ძალიან ნაცნობი უნდა იყოს ამ ჯგუფთან პირველად შეხვედრისას მიღებული განცდა.

მოკლედ, ამ დისკით მივხვდი, რომ პოპულარული მუსიკის სამყაროში „ბითლზის“ გარდა, რაღაც სხვაც შეიძლებოდა ყოფილიყო ღირებული. მალე ეს მოსაზრება კიდევ ერთმა ჯგუფმა დამიდასტურა. ზუსტად იმავე წყაროებით გავიცანი კარლოს სანტანას ჯგუფი ალბომით – Abraxas. მელომანთა წრეებში სანტანა თავიდანვე პოპულარული იყო, თუმცა ე.წ. „ოფიციალური“ მასობრივი აღიარება 90-იანების მიწურულს დაიმსახურა, როცა „პაპსავიკებთან“ ერთად ჩაწერილ ალბომში რამდენიმე „გრემი“ მიიღო.

ცხადია, მხოლოდ უბნელები და ტურისტები არ განსაზღვრავდნენ ჩემი ინტერესების განვითარებას ამ სფეროში. თავის საქმეს აკეთებდა რადიო, უფრო სწორედ, ტრანზისტორი, რომელიც ჩვენს ოჯახში სწორედ იმ პერიოდში გაჩნდა, როცა ფირსაკრავი. ესეც ისევე გამიხარდა, როგორც ფირსაკრავი, რადგან ქსელის რადიოს რეპერტუარი აშკარად ვერ აკმაყოფილებდა ჩემს გაზრდილ მუსიკალურ ინტერესებს.

ბევრივით, მეც ვცდილობდი ტრანზისტორით არ გამომეტოვებინა დასავლური რადიოსადგურების მუსიკალური პროგრამები. რისი მოსმენა შეიძლებოდა მაშინ ტრანზისტორით? ქსელის რადიოსთან შედარებით ძალიან ბევრი რამის. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის საინტერესო სადგურების სიხშირეებს საბჭოთა იდეოლოგები გულმოდგინედ ახშობდნენ. პირველ ყოვლისა, ეს ეხებოდა ორ ყველაზე პოპულარულ სადგურს „ამერიკის ხმას“ და „ბი-ბი-სის“.

იყო კიდევ რაღაცეები, მაგრამ თუ მუსიკა გაინტერესებდა, ეს ორი აუცილებლად უნდა გცოდნოდა. ორივე მათგანს ჰქონდა ორიგინალური მუსიკალური პროგრამა. „ამერიკის ხმის“ გადაცემის მუსიკალური ქუდი რამდენიმე წლის განმავლობაში „ლედ ზეპელინის“ Whole Lotta Love იყო. თუნდაც მხოლოდ ამ ქუდისთვის ღირდა ეს გადაცემა. რუსულენოვან პროგრამაში აქცენტი ძირითადად ამერიკულ როკზე კეთდებოდა. ასევე რუსულენოვანი იყო „ბი-ბი-სის“ გადაცემები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ორი პროგრამა მახსოვს: სევა ნოვგოროდცევის გადაცემა და სემ ჯონსის „Бабушкин Сундук". ნოვგოროდცევი ძლიან პოპულარული იყო, განსაკუთრებით, რუსულენოვან მსმენელებში. მე არ მიყვარდა. პირიქით, მაღიზიანებდა კიდეც რუსეთის პროვინციელებზე გათვლილი „ქაჯური" იუმორი. მუსიკას არა უშავდა. თუმცა ამაში ნოვგოროდცევის ღვაწლი დიდი არ იყო – თითქმის შეუძლებელი იყო იმდროინდელი ბრიტანული როკის უარყოფითად წარმოჩენა. სხვათა შორის, „პერესტროიკის" შემდეგ ნოვგოროდცევი რუსეთში ჩამოვიდა და დაიწყო მუსიკალური ჟურნალის O-ს გამოცემა. ჟურნალი აგებული იყო ავტორიტეტული ინგლისური გამოცემის Q-ს სქემით, მაგრამ სამი ნომრის გამოსვლის შემდეგ დაიხურა. ისევე, როგორც გადაცემაში, ჟურნალშიც შენარჩუნებული იყო რუსული პროვინციული იუმორის სტილი.

სხვა „მტრულ" სადგურებს შორის გამოირჩეოდა „გერმანული ტალღა" და „თავისუფლება", თუმცა აქ პოპულარული მუსიკა ნაკლებად იყო წარმოდგენილი. ყველა ზემოხსენებული სადგური გადასცემდა მოკლე ტალღებზე და ჩახშობას ძირითადად ისინი ექვემდებარებოდნენ. მაგრამ არსებობდა კიდევ საშუალო ტალღები. ამ ტალღებზე მუსიკის მოყვარულები ორ სადგურს ეტანებოდნენ – „ბეირუთს" და „მონტე კარლოს". ამ სადგურებზე შედარებით უკეთ ისმოდა, თუმცა მუსიკალური რეპერტუარი ძირითადად პოპ-ჰიტებით შემოიფარგლებოდა. ამის მიუხედავად, მათაც მონდომებით ვეტანებოდით. მათ მუსიკალური გადაცემები კი არ ჰქონდათ, უბრალოდ მუსიკას ატრიალებდნენ, ისე, რომ არც შემსრულებლებს აცხადებდნენ და არც სიმღერების სახელებს. ჩვენთვის ეს უფრო მეტ ხიბლს სძენდა ამ პროგრამებს. რაღაცნაირად გონება გივარჯიშდებოდა: სტილით, შესრულების მანერით, ან რაიმე სხვა ნიშნით უნდა მიხვედრილიყავი, ვინ ასრულებდა, ან რა სიმღერა იყო და ა.შ. ალბათ სწორედ ამ პერიოდიდან დამკვიდრდა ერთი საინტერესო ტერმინი – „დავიჭირე". „გუშინ „ბი-ბი-სი-ზე" „ბითლზი" დავიჭირე", – ვუზიარებდით ერთმანეთს, იმის მაგივრად, რომ გვეთქვა, – მოვისმინეო.

ორი ქართული რადიოტალღა მაშინ ვერაფრით ვერ იპყრობდა ჩემს ყურადღებას. მათდამი ინტერესი მოგვიანებით გამიჩნდა, 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როცა მათ გარკვეული ადგილი დაუთმეს პოპმუსიკას. მათ შესახებ მოგვიანებით ვისაუბროთ.

მაშინდელი საბჭოთა ბეჭდვითი მედია ამ მიმართულებით (და საერთოდაც) ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. ერთადერთი გამოცემა, სადაც შეიძლებოდა პოპმუსიკასთან დაკავშირებულ ინფორმაციას გადასწყდომოდი, ჟურნალი „როვესნიკი" იყო. ეხლა მეცინება იქ გამოქვეყნებულ მასალებზე, მაგრამ მაშინ დიდი გარღვევა იყო.

ტელევიზიამ წინა წლებთან შედარებით მცირე პროგრესი განიცადა. ნელ-ნელა დაიწყეს უცხოური მუსიკოსების ჩვენება. მართალია, ეს შემსრულებლები შორს იყვნენ ნამდვილი მუსიკისგან, მაგრამ ეს მაინც წინსვლა იყო. პირველ რიგში აჩვენებდნენ თბილისში სტუმრად ჩამოსულ სოციალისტური ქვეყნების მესამეხარისხოვან გასტროლიორებს. კონცერტის მეორე დღეს ისინი მიჰყავდათ ტელევიზიაში, ფონოგრამაზე წერდნენ ერთი-ორ სიმღერას და შემდეგ მთელი წლის განმავლობაში გაუთავებლად ატრიალებდნენ ეთერში. მსგავსი უაზრობა არაფერი გენახოთ! ერთხელ, ნაცნობმა, რომელიც ტელევიზიაში მუშაობდა, ამ ჩაწერებთან დაკავშირებით, ისეთი ისტორია მიამბო, რომელიც კარგად ახასიათებს იმ ეპოქას. ერთი იუგოსლავიური ჯგუფის ჩაწერისას, მომღერალ გოგონებს ისეთი მოკლე კაბები სცმიათ, რომ თურმე „ყველაფერი" უჩანდათ. იმ დროისთვის ჩანაწერის ამ ფორმატით გაშვება წარმოუდგენელი იყო, ამიტომ გაოცებულ მუსიკოსებს სთხოვეს გამოეცვალათ ტანსაცმელი, ვითომდაც სხვა დუბლის ჩასანერად. ცხადია, ეთერში მეორე ვერსიას უჩვენებდნენ, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, – პირველი ვერსია რომ გაეშვათ, ის მუსიკოსები საქართველოში ძალიან პოპულარულები გახდებოდნენ და მეც დავიხსომებდი მათ სახელს.

სწორედ მაშინ გამოჩნდა საქართველოში დღესაც მთელ მსოფლიოში პოპულარული ინგლისელი მომღერალი ტომ ჯონსი. მას ეკრანზე არ გვაჩვენებდნენ, თუმცა სხვადასხვა კრებულებში გაბნეული მისი რამდენიმე სიმღერა იყიდებოდა. განსაკუთრებით პოპულარული იყო მისი ჰიტი Delilah. დაახლოებით ანალოგიური ტიპის სიმღერებს მღეროდა კიდევ ერთი ინგლისელი მომღერალი ენგელბერტ ჰამპერდინკი.

მათი საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, მაგრამ ეს მაინც არ იყო ის მუსიკა, რომელიც მე მჭირდებოდა. ეს არ იყო როკი.

პირველი ნამდვილი როკჯგუფი, რომელიც ტელევიზორით ვნახე, ინგლისური Christie იყო. ჯგუფი 1970 წელს პოლონეთის საკურორტო ქალაქ სოპოტის ფესტივალზე გამოდიოდა კონკურსგარეშე. ფესტივალზე, რომელიც ყოველ წელს იმართებოდა ზაფხულობით, ძირითადად სოცქვეყნების შემსრულებლები გამოდიოდნენ და მას ცენტრალური ტელევიზია გადასცემდა. მაგრამ კონკურსგარეშე პროგრამაში შეიძლებოდა რაიმე საინტერესოს გადაჰყროდი. Christie-იც

სიახლის მწვერვალად დაბეჭდილი, გაუხსნელი, ანუ ისეთი დისკები ითვლებოდა, რომლებსაც მაღაზიის შესაფუთი ცელოფანი შემოუხსნელი ჰქონდათ. ქალიშვილის ასოციაციით, მათი სახელი უბიწობას უკავშირდებოდა, რასაც სლენგზე „ცელკა" ერქვა და ასეთი მდგომარეობის დისკების მაღალი ფასი ამითაც განისაზღვრებოდა.



საავტორო
ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ეს ბედნიერი გამონაკლისი იყო. დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა მათმა გამოსვლამ: სამი, ზოლიან მაისურებში და ჯინსებში გამოწყობილი, თმამოშვებული ბიჭი. ისინი იმდენად განსხვავდებოდნენ ფესტივალის სხვა მონაწილეებისგან, საერთოდ რომ არ ემღერათ, მაინც დიდ ეფექტს მოახდენდნენ. მაგრამ მათ იმღერეს, თანაც იმღერეს თავიანთი უდიდესი საერთაშორისო ჰიტი Yellow River. შეგახსენებთ, რომ ამ სიმღერას დღესაც დროდადრო ატრიალებენ ჩვენი FM რადიოები. მაშინ კი, ტრანზისტორული მიმღებით რომელიმე უცხოური სადგურით უნდა დაგეჭირა, თანაც ჩახშობილი არ უნდა ყოფილიყო. მალე ეს სიმღერა რომელიღაც რუსულმა ჯგუფმა ჩაწერა რუსულად, ოღონდ ტექსტი კი არ თარგმნეს, არა მაინცდამაინც დასავლურში, არამედ აღმოსავლეთ ევროპულსა და საბჭოთა ფილმებში. და საერთოდ, რაც უფრო აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანაში იყო გადაღებული ფილმი, მით მეტი შანსი გქონდა, რომ იქ დასავლური მუსიკა გაიჟღერებდა. ერთ-ერთი ასეთი ფილმი მახსოვს, სომხური იყო და ტელევიზორში ვნახე; ცხადია, მარტო იმიტომ ვნახე, რომ იქ „ბითლზის" Michelle-ს უკრავდნენ. სწორედ ანალოგიური მიზეზის გამო მახსოვს ქართული დეტექტივი „ფილატელისტის სიკვდილი". ოღონდ იქ „ბითლზის" სხვა სიმღერა, ზემოთ ნახსენები Girl ჟღერდა. იყო კიდევ ერთი ქართული ფილმი, რომლის სახელი არ მახსოვს, მაგრამ ბათუმში ახალგაზრდული კრივის განვითარებას ეხება. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკავიცოდი და მხოლოდ რამდენიმე ხლის შემდეგ მოვახდინე მათი იდენტიფიცირება.

დაახლოებით ანალოგიურ შთაბეჭდილებას მიტოვებდა კიდევ ერთი, უფრო ადრე გადაღებული ქართული ფილმი „ყვავილი თოვლში". აქაც ზუსტად იმავეს გამეორება შეიძლება. ძალაუნებურად, ამერიკული „მზიანი ველის სერენადას" ასოციაციებს იწვევდა გენიალური გლენ მილერის ორკესტრის მონაწილეობით. საერთოდ, ამ ფილმმა თავის დროზე უდიდესი გავლენა მოახდინა საბჭოთა კავშირში არა მარტო პოპულარული კულტურის, არამედ ზოგადად, ახალგაზრდების ცხოვრების სტილის განვითარებაზე.

გარდა ამისა, იყო ერთი მუსიკალური ფილმი, რომელსაც დღესაც გარკვეული

პირველი ნამდვილი როკჯგუფი, რომელიც ტელევიზორით ვნახე, ინგლისური CHRISTIE იყო. ჯგუფი 1970 წელს პოლონეთის საკურორტო ქალაქ სოპოტის ფესტივალზე გამოდიოდა კონკურსგარეშე. ფესტივალზე, რომლიც ყოველ წელს იმართებოდა ზაფხულობით, ძირითადად ოცქვეყნების შემსრულებლები გამოდიოდნენ და მას ცენტრალური ტელევიზია გადასცემდა.

არამედ დაწერეს ახალი ვერსია სახურავზე მცხოვრები კარლსონის შესახებ, რომელიც ბავშვებთან მეგობრობდა. საბოლოოდ ერთმა ახლობელმა, რომელიც ტურისტული ვიზით პოლონეთში იყო, ჩამოიტანა იქ გამოცემული Christie-ის სრულფასოვანი დისკი. დისკს მთლიანობაში არაუშავდა და, ეხლაც სიამოვნებით ვიქონიებდი, თუმცა ფაქტია, რომ Yellow River-ის დონის სხვა სიმღერა არ ჰქონდათ.

ცოტა მოგვიანებით კიდევ ერთი ღონისძიების გაშუქება დაიწყეს. სან- რემოს ფესტივალი იტალიურ პოპმუსიკას ეძღვნებოდა, რომლის მოყვარული არ გახლდით, მაგრამ აქაც, არასაკონკურსო ნაწილში, სტუმრების სტატუსით ხშირად დასავლური პოპის და როკის ვარსკვლავები გამოდიოდნენ ხოლმე.

თუ არ ვცდები, სხვა რამით ჩვენი ტელევიზია იმ პერიოდში ვერ გვახარებდა.

იმ ხანებში დასავლური პოპმუსიკის მოსმენა ფილმებშიც შეგეძლო. თანაც ნასკნელი მხატვრული ღირსებებით, ზემოთ ნახსენებ ორივე ფილმს აღემატება, ის მაინც იმიტომ დამამახსოვრდა, რომ იქ ერთ-ერთ სცენაში, პლაჟის დისკოთეკაზე, „ლედ ზეპელინის" Rock'N' Roll-ზე ცეკვავენ.

ხოლო იმ ქართული მხატვრული ფილმებიდან, რომლებშიც ორიგინალური ქართული პოპი ჟღერდა, ყველაზე მეტად იმოქმედა კომედიამ „თოჯინები იცინიან". ფილმში „ორერა" ორ ისეთ სიმღერას მღეროდა, რომ გულგრილს არ მტოვებდა. ეს სიმღერები მაშინ ალბათ ყველაზე ახლოს იყვნენ იმდროინდელი დასავლური პოპის სტანდარტებთან. ერთის სახელი არ მახსოვს, შეიძლება „დედოფალა" ერქვას, მეორე კი ფილმის მთავარი თემაა და ალბათ „თოლია" უნდა ერქვას. პირველი მათგანი კლასიკური სიმღერაა „biC bois"-ის სტილში. მეორეს კი აშკარად ეტყობა, ამერიკული Yankee Doodle-ის გავლენა. რა თქმა უნდა, ეს ამბები მაშინ არ ინტერესით უყურებ – „ორერა სრული სვლით". ფილმი ჯგუფის პოპულარობის პიკზე გამოვიდა. ეს ფილმი ფაქტობრივად, „ორერას" შემოქმედების პირველი ნახევრის შემაჯამებელი ანგარიში გამოდგა. ფილმის შემდეგ ჯგუფმა თავი დაანება უცხოურ სიმღერებს და თითქმის მთლიანად ქართულ რეპერტუარზე გადავიდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ეტაპი პროფესიული თვალსაზრისით უფრო დახვეწილი იყო, მე მაინც ძველი „ორერა" უფრო მომწონდა.

მოგვიანებით, თითქმის ანალოგიური სქემით გადაიღეს ფილმი გოგონათა პოპულარული ანსამბლის „მზიურის" შესახებ. ამ ანსამბლის პირველი თაობის რამდენიმე წევრი დღესაც აგრძელებს მუსიკალურ მოღვაწეობას. ზოგიერთს ვარსკვლავიც კი გაუხსნეს ფილარმონიის წინ, თუმცა ეს ამბავი ჩვენი მოთხრობის თემა არ არის.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

FM
ცნობი
98.0

სტატიაში გამოყენებულია ტარიელ გრიგოლიას ფოტოები, რომლებიც ასახავს გალაკტიონის დაკრძალვას და ნიკიტა ხრუშჩოვის ვიზიტს თბილისში.

ზურაბ პიკნაძის

50-იანები

ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“ რეტროსპექტულ პროექტს იწყებს, სახელწოდებით „ისტორია ათწლეულებში“. ამ პროექტში შევეცდებით ახალი, საინტერესო კუთხით დაგანახოთ ჩვენი ქვეყნის ყოფა და ისტორია კონკრეტულ ათწლეულში, თანაც ეს ყველაფერი ერთი ადამიანის თვალით, მისი აღქმით, მისი სიტყვით. აქ არ იქნება არც ქრონიკები, არც იმაზე ვიდარდებთ ბევრს, თუკი რომელიმე მნიშვნელოვანი თარიღი ან მოვლენა გამოგვრჩება, უბრალოდ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმ ერთი ადამიანის „ათწლეული“ წარმოგიდგინოთ, ვისაც კარგად ახსოვს ეს „ათწლეული“, ან იმისი, ვისაც შეიძლება არ ახსოვს, მაგრამ კარგად იცნობს, მაგალითად, საქართველოს 20-იან წლებს და შეუძლია საინტერესოდ დაწეროს ამ დეკადაზე.

მესმის, რომ ბევრისთვის შესაძლოა ძალიან პირობითი იყოს ასე, ათწლეულებად დაყოფა, თუმცა ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რაღაცა მოვლენის, ან ყოფისთვის დამახასიათებელი ამათუიმ დეტალის გახსენებისას ხშირად ვამბობთ ხოლმე, რომ ეს 70-იანების სტილი იყო, რომ გარკვეული მოდა პირველად 80-იანებში გამოჩნდა, რომ 30-იანებში მომხმდარმა ამბებმა ძალიან შეცვალა ჩვენი ქვეყანა.

იმედი მაქვს, ეს კოლექტიური პროექტი ბევრ მკითხველს გაახსენებს თავის ათწლეულს, ბევრი დაეთანხმება, უფრო მეტი არ დაეთანხმება ავტორს და იქნებ მომავალში უკვე გამოქვეყნებული ათწლეულების შესახებ განსხვავებული ვერსიებიც კი წავიკითხოთ, ან ერთმანეთისგან მოვისმინოთ ასეთი დაზუსტება-დამატებები.

რედაქტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს არც უნდა მოველოდეთ, რომ ათწლეულებს რაღაც საერთო, მათი ყველა მონაწილისთვის ერთნაირი შეფერილობა ექნებათ – ეს დაყოფა ამა და ამ წლეულებად ხომ თვითნებურია, ყოველი ადამიანი თავისი გამოცდილების კვალობაზე ანაწილებს დროის შეუჩერებელ კონტინუუმს. ან რა არის ეს რიცხვი ათი, რომელსაც ესოდენ გადამწყვეტი როლი ეკისრება საუკუნის მდინარების დანაწილებაში? ყოველი საუკუნის დამდეგიდან ტრადიციულად აღნიშნავენ 10-იან, 20-იან, 30-იან, 40-იან და ა. შ. წლებს საუკუნის დასასრულამდე. ნუთუ ყველა ათწლეული სავსეა ერთმანეთისგან განსხვავებული მნიშვნელობებით, ინდივიდუალური საზრისებით, რომ ღირდეს მასზე დაყოვნება, მეხსიერების შეჩერება... თუ დრომ უნდა წაიღოს ისინი დასაკარგავში... თუმცა იყო წლები გარკვეული პერიოდის ათწლეულში, იყო ერთი დღეც, როცა მზად იყო კაცი, რომ იობის სიტყვები ეთქვა: „დაბნელდეს ის დღე, აღარ მოხედოს მას უფალმა ზეგარდამო, აღარ ინათოს მასზე ნათელმა... ბნელმა წაიღოს ის ღამე... თვეთა რიცხვში აღარ ითვლებოდეს...“ განსაკუთრებით ღამე, არა შობის, არამედ დაკარგვის ღამე, უკანმოუქცევლობის ღამე.

დროჟამის სხვისეული აღქმა როგორია, ნამდვილად არ ვიცი, და ვინ როგორ ანაწილებს ამ მდინარებას, რომელ მხარეს ათავსებს წარსულს და მომავალს, მარჯვნივ თუ მარცხნივ, აღმართზე თუ დაქანებაზე, მაგრამ 1933 წელს დაბადებული ადამიანის დღევანდელ აღქმაში, გასული საუკუნის ეს ორი ათწლეული ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებული ინდივიდუალობებია. თუ პირველი ერთი მთლიანობაა, რომლის ობიექტურ და სუბიექტურ ჰაბიტუსს მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა განსაზღვრავდა, მეორე პლურალისტური იყო, წინააღმდეგობრივიც, ბევრი ტკივილის და ბევრი სიხარულის მომტანი.

აი, ფიქრობს კაცი გასული საუკუნის ერთადერთ, ამდენად განუმეორებელ, და ათასწლეულის ბოლო 40-50-იან წლებზე. მათ აქვს თავ-თავიანთი დასაწყისი და დასასრული. ნამდვილად აქვთ, ნამდვილად ისინი ერთმანეთის მიყოლებით წარმოშობილი წლების – ოცი წლის ერთ მთლიანობაში შედედებაა, თუმცა არა შერწყმა, რომ თითოეულ მათგანს ინდივიდუალობა დაეკარგოს. ის გვიყურებს თავისი საკუთარი სახით, განუმეორებელი ინდივიდუალობით, და ჩვენც გამოვარჩევთ მას, ვცნობილობთ მას, ვეხმაურებით მას. ეს ნამდვილად ასეა, ყოველ შემთხვევაში, ამ ნაწერის ავტორის პირად და, თუნდაც, საყოველთაო-საქვეყნო გამოცდილებაში. ბოლოს და ბოლოს, ეს ათწლეულები ჩვენგან გარეშე, სხვაგან სადმე ხომ არ აწყვია, თუნდაც ფერფლად, როგორც პოეტი ამბობს, რომ *„იქ ბევრი დარდის და ბევრი შიშის / გადამტანგულთა ფერფლი აწყვია“*. ბოლოს და ბოლოს, ეს ათწლეულები მეოცე საუკუნეშია შობილი, მეოცე საუკუნე კი ჩვენი დაუვიწყარი სამშობლოა და გვიყვარს, როგორი საბედისწეროც არ უნდა იყოს ის, როგორი ტრაგიკული მოვლენებით აღსავსეც არ უნდა იყოს, რა სიობლის მომტანი, რა ტკივილებიც არ ჰქონდეს მოყენებული, სწორედ ამ ყველაფრისთვის დაუვიწყარია...

დიდი ბუშტი

ეს მისი და, შესაძლოა, მთელი მისი ეპოქის აპოთეოზი, წინა, 40-იანის დასასრულს ეკუთვნის. ის მაღლა, ქალაქის ცაში იქნა აღვლენილი, რათა შვიდი წლის შემდეგ გამსკდარიყო და მეხისტეხად დასცემოდა ქალაქს. 1949 წლის დეკემბრის მიწურულს თექვსმეტიოდე წლის ყმაწვილი ცაში ხედავდა ვეებერთელა განათებულ ბუშტს ბელადის კანონიკური გამოსახულებით. რა იფიქრა მან? რაც იფიქრა, შესაძლოა, ასაკით მოტანილმა განსჯამ გადაფარა, სახე უცვალა იმჟამინდელ შთაბეჭდილებას, და რაღაც სხვა, განსხვავებული აზრი და, შესაძლოა, განცდაც შემატა (როგორც ისტორიკოსის შემთხვევაში ხდება, როცა იგი საკუთარი აწმყოს პოზიციიდან არა თუ აფასებს, არამედ ხედავს კიდეც წარსულის ფაქტებს, და ამას ვერავინ აცდება, ვერც კერძო პირი, რომელიც თავისი წარსულის მეისტორიეა), მაგრამ მაინც შესაძლებელია რეალური განცდის აღდგენა, მისი გასუფთავება შემდეგდროინდელი მინარევებისგან. ღირებული, შესაძლოა, ის უფრო იყოს, ვიდრე საყოველთაოდ გამომუშავებული და ერთხელ და სამუდამოდ გაყინული, ბანალური აზრი ტირანზე. ნუ ვეცდებით ამ ფაქტის რეტროსპექტულ შეფასებას, იმგვარს, როგორიც მხოლოდ ეპოქის დასასრულიდან წარმოითქმის. შეჰყურებდა ბუშტს და ფიქრობდა, თუმცა ეს ფიქრიც არ იყო – მის თვალწინ რაღაც ხდებოდა, რაღაც მოვლენა იყო, სრულიად კანონზომიერი. აჰა, ეს დიდი კაცია, ნამდვილად დიდი კაცია, უკვდავებას მიახლოებულია. და თუ მომავალი განსწავლის შედეგებს მოიმარჯვებდა, იფიქრებდა: თუკი სიკვდილი მას შეეხება, ატაცებული იქნება ჩვენგან ამ ბუშტივით, როგორც რომულუსი, როგორც ელია, რათა იქიდანაც გვასწავლიდეს და წინ მიგვიძღვებოდეს...

მეცნიერების კორიფე

50-იანის დასაბამიდან, მისი პირველი წლის შუაძალიდან, იწყებოდა ბელადის ახალი ამპლუა, რამაც გაამდიდრა მისი ტიტულატურა. ძირითადს – „კომუნიზმის ხუროთმოძღვარს“ გვერდი დაუმშვენა ახალმა ტიტულმა: „მეცნიერების კორიფე“. კორიფემ 1950 წლის 20 ივნისს „პრავდაში“ გამოაქვეყნა „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“. ვერავინ იტყვის დაბეჯითებით, თუ მეცნიერების კიდევ რომელ სფეროს გადასწვდებოდა მისი გენია, რომ დასცლოდა... მაგრამ ის არასრული სამი წელიც საკმარისი იყო, რომ ამ „საკითხებს“ მოეცვა მთელი ქვეყნის მკითხველი საზოგადოება, არა მხოლოდ სამეცნიერო წრეები, განურჩევლად დარგისადმი კუთვნილებისა, ისტორია იქნებოდა თუ ელექტროტექნიკა, ხელოვნების დარგები თუ ბუნებისმეტყველება, ყველა, განურჩევლად, სქესისა, ასაკისა თუ პარტიულობისა ჩაება „საკითხების“ შტუდირებაში. ეს შეუვალი ტრუიზმები ნებისმიერი ხასიათის წიგნის წინასიტყვაობაში უნდა მოხვედრილიყო. ადამიანები დაეწაფნენ მას, როგორც უკვდავების წყაროს. მაშინ არავის გახსენებია, უნდა გახსენებოდათ მაცხოვრის სიტყვები სამარიელი დედაკაცისადმი, ისეთ წყალს შეგასმევ, აღარასოდეს მოგწყურდესო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანა გრძნობდა, რომ შემოდიოდა ახალი დოგმატები, რომლებიც წინათ, ყრილობებზე, მსოფლიო საეკლესიო კრებების ანალოგიურად, ანონიმურად გამოცხადდებოდა ხოლმე. ახლა კი თავად ცოცხალი კლასიკოსის ბაგეები ამეტყველდნენ. აბსოლუტიზმის ამ აპოგეაზე, რომელიც 50-იანის ნიშანია, როდესაც ბელადი ამბობს, სახელმწიფო მე ვარო, და ეს უკვე რწმენის სფეროს ეკუთვნის, გამჭრიახ ადამიანს იმედი უნდა გასჩენოდა, რომ ამიერიდან (იმ ბუშტის გამოჩენის წამიდან) ყველაფერი თავდაღმართზე უნდა დაქანებულიყო. მაგრამ, პირიქით, მასამ ირწმუნა, რომ ბელადთან ერთად კომუნიზმის აღმართებს აუყვებოდა. საბჭოური წუთისოფელი დასრულდებოდა და კომუნიზმის სასუფეველი დამკვიდრდებოდა. ახალი ცა და ახალი მიწა... ამ თხზულებებში, რომლებიც კორიფემ თავისი ცხოვრების კვირაძალზე შექმნა, კომუნიზმის ორი ნიშანი მკაფიოდ გამოჩნდა: ერთი რომ სოციალიზმის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების დროისათვის ნაციონალური ენები გარდაუვალად უნდა შეერწყან (неминуемо должны слиться) ერთმანეთს და ერთი საერთო ენა წარმოიქმნას (სხვათა შორის, ჩვენს მატიანეში ზუსტად ასეთი რამ წერია, რომ ქართლში არსებული შვიდი ენის შერწყმით ერთი ენა – ქართული წამოიშვა) და ეს, არ იქნება, გვარწმუნებდა კორიფე-პროფეტი, არც ველოკორუსული და არც გერმანული, არამედ რაღაც ახალი რამ. მეორე ნაშრომში „სოციალიზმი ეკონომიკური პრობლემები“ (1952) სხვა წინასწარმეტყველებაა გამხელილი: სოფელი და ქალაქი გათანაბრდება. სოფელი ქალაქს გაუსწორდება, ხოლო რა დაემართება ქალაქს, ამაზე წინასწარმეტყველება დუმდა. განსხვავებით ენისა, სოფელ-ქალაქის ეს საკითხი კომუნიზმამდე უნდა გადამწყდარიყო და მიდიოდა დისკუსიები, როგორ უნდა მომხდარიყო ეს. რატომ ვიხსენებთ ლეთეს წყლებისგან დიდიხნის წინათ წალეკილ ამ ამბავს? კომუნიზმის იდეოლოგიამ თავის ამ აპოგეაში გამოაჩინა ლატენტური, აქამდე სააშკარაოზე საჯაროდ გამოუტანელი ვერდიქტი, რომ კულტურას, ცივილიზაციას ელის სითბური სიკვდილი, ისტორია აქეთკენ მიდის და, ჩვენ, „სხვა მასალისგან ნაშენი ადამიანები“ უნდა შევეშველოთ ამ ნეკროფილურ პროცესს. კულტურული ენტროპია გარდაუვალია. 1953-მა წელმა სამანი დაუდო ამაზე თავის მტვრევას. სოფელი, ასე თუ ისე, სოფლად დარჩა, ქალაქი ქალაქად, რუსული რუსულად, გერმანული გერმანულად, ქართული ქართულად. იმ ხანად კომუნიზმის იდეის რწმენით ნაკლებად შეპყრობილი მოქალაქე თავის გულში ასე ფიქრობდა: ვიცი, განწირული ვარ იმ დიადი მიზნისაკენ სვლად. და სწორედ იმიტომ, განწირული ვარ, მომეცეს ნება და უფლება, ხანდახან გადავუხვიო ამ მაგისტრალურ გზას, ვიარო ჩემი ბილიკებით, დაე ხანდახან გზა-კვალიც ამერიოს, ოღონდ ვიარო საკუთარი გზით, ერთხელ მაინც განვმარტოვდე საკუთარ თავთან, ერთხელ მაინც ამ სიცოცხლეში... საბოლოოდ, ხომ მაინც მოვძებნი და ნებით თუ იძულებით და ვადგები საყოველთაო შარაგზას...

ქვეყანა გრძნობდა, რომ შემოდიოდა ახალი დოგმატები, რომლებიც წინათ, ყრილობებზე, მსოფლიო საეკლესიო კრებების ანალოგიურად, ანონიმურად გამოცხადდებოდა ხოლმე.

„კასავაროტკა“

დღემდე ვერ ამიხსნია, მაშინ კი ამაზე არავინ დაფიქრებულა, როგორ დაუშვა რეპრესიების გარეშე დიდი ბუშტის პერიოდში რეჟიმმა ეს მოძრაობა, რომელიც თითქოს მხოლოდ სამოსელით გამოიხატა. სკოლის უნიფორმა არსებობდა და ყველას ემოსა, ვის შეეძლო სკოლაში უფორმოდ სიარული, ამჟამინდელი ტერმინით რომ გამოვთქვათ, არაფორმალურად, როგორც *ქუჩის ბიჭები* დადიან.... მაგრამ უცებ, მოულოდნელად, ის სკოლაშიც შეიჭრა. ვინ იყო ამ მოდის ფუძემდებელი, უფრო სწორად, ძველის ამაღორძინებელი? უდროოდ თუ ძალადობით წასული ძვირფასი ძმების, შვილების, ქმრების სამახსოვროდ კიდობნების ნაფტალინში ჩაწყობილი ხალათი – ვის ოჯახში არ აღმოჩნდებოდა – პირველმა ვინ გამოამზეურა, ვინ იყო იგი? სრული ანონიმი. იყო და არც იყო. ტრადიციის დასაბამი ყოველთვის საიდუმლოებრივია და ის დარჩა 40-იანი წლების მეორე ნახევრის ფოლკლორად, რომელმაც სულ რაღაც სამიოდე წელს გასტანა. არც არავის უცდია მისი სახელწოდების ქართულად თარგმნა (აბა, სცადოს ვინმემ...), თუმცა ის, წარმოშობით რუსული, ქართულ ფენომენად იქცა თავისი ვერბალური ეტიკეტითურთ – „ერთიმუჭა ქართველობა“, ნახევრად ირონიული, ნახევრად საამაყო კონცეპტი, რომელიც ბუნებრივად ეხმიანებოდა სხვას – „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“. რა თქმა უნდა, ვერავინ იტყვის, რომ რეჟიმის მსტოვრებს არ შეუმჩნევიათ ეს სიახლე ახალგაზრდობის ჩაცმულობაში, რომელიც ეპიდემიად იყო მოდებული თბილისს (სხვა ქალაქებზე ვერაფერს ვიტყვი), მაგრამ გულუბრყვილობა იქნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა იმის დაშვება, რომ მათ ყურებს მისი ვერბალური შესატყვისი არ სმენოდათ. ნუთუ არ უკითხავთ, *ვინ* არიან ეს „ერთიმუჭა ქართველები“, რა უნდათ, რისთვის წამოყვეს თავი, რა უდევთ გულში, ვინ არის მათი ხელმძღვანელი, ინსპირატორი? უშიშროება ხომ, როგორც წესი, ხელმძღვანელს ეძებს, რომც არ არსებობდეს ბუნებაში, მაინც ეძებს – შეთქმულების თეორია ამას მოითხოვს, და პოულობს კიდეც. შესაძლებელია, ეს „ერთიმუჭა ქართველობა“ მათი მხრიდან არაფრად ჩასაგდები და ირონიის საგანიც კი იყო. თავად ამ ნიშნით შემოსილნიც, თუ იმჟამინდელ განწყობილებას ნაცრიდან აღვადგენთ, არ იყვნენ მოკლებულნი მის მიმართ ირონიულ დამოკიდებულებას. შესაძლოა, ამ თვითირონიამ და, რაც მთავარია, ტოტალურმა გავრცელებამ, რაც საეჭვო და საშიშ ინდივიდუალიზმს გამორიცხავდა, იხსნა ეს მოძრაობა რეპრესიებისგან. თუმცა ნუ გამოვრიცხავთ უშიშროების მხრიდან „პროვიდენციულ“ მიშვებას, როგორც სკოლაში მწერლობაზე დაყრდნობით ეძლეოდა გასაქანი პატრიოტული გრძნობის კულტივირებას, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. ოღონდ როგორ უნდა მიეღო ამას მონაწილეობა საბჭოთა პატრიოტიზმის შენებაში, ანუ ჰომო-სოვიეტიკუსის შექმნაში, დღემდე აუხსნელი ამოცანაა. იმ ხანებში, ცოტა მოგვიანოდ, საზოგადოების მიმართ გამოწვევის, რაღაც პროტესტის მსგავსი იყო „ბუტილკა“ შარვლების გამოჩენა. ესეც თავისუფლების ერთგვარი მანიფესტაცია იყო, თუმცა მას მხოლოდ მოდის კატეგორიაში მოვაქცევდი, რადგან არსებითად იგი ფრანტულ მოდას უპირისპირდებოდა. რა თქმა უნდა, ვერ გაუთანაბრდა ის „კასავაროტკის“ მნიშვნელობას, რომელსაც სემიოტიკურ სიღრმესთან და გაქანებასთან ერთად მხსნელი ირონიაც ახლდა და ჩვენი პატრიოტიზმის დადებით და უარყოფით ნიშნებსაც აჩენდა, და, რაც მთავარია, გავრცელების მასშტაბს.

ალუდა სკოლაში

გვასწავლიდნენ და ბუნების კანონად მიგვაჩნდა, რომ საზოგადოება უპირატესია პიროვნებაზე, რომ პიროვნულმა უკან უნდა დაიხიოს საზოგადოს წინაშე. კაცმა პიროვნული საზოგადოს უნდა ამსახუროს, მსხვერპლად მიიტანოს ზოგადის საკურთხეველზე. ქართველის დედამ თავისი უსაკუთრესი, რაც კი გააჩნია, თავისი ერდადერთი, მსხვერპლად უნდა გაიღოს საზოგადოსთვის, ანონიმური *სხვების* ერთობლიობისთვის. ეს სკოლაში ლიტერატურის გაკვეთილებზე გვესმოდა, ვიზიარებდით, მისით, როგორც ამაღლებული გრძნობით, ვიმსჭვალებოდით. ეს იყო თერგდალეულთა და, განსაკუთრებით, ილია ჭავჭავაძის პათოსი, რომელსაც ეჭვმიუტანელი ჭეშმარიტების პრეტენზია ჰქონდა. ვის შეეძლო დაეჭვება ამ თეზისში, რომელიც, ლამის (უკვე ითქვა) ბუნების კანონს უთანაბრდებოდა? მთელს ჩვენს სახელოვან მე-19 საუკუნეში ერთადერთი ავტორი ვაჟა-ფშაველა იყო, რომელმაც არ გაიზიარა ეს ეპოქალური თეზისი. უფრო მეტიც, თავის შედევრებში, „ალუდა ქეთელაურში“ და „სტუმარ-მასპინძელში“ უკანმოუხედავად დაუპირისპირდა მას. პიროვნების მხარე დაიჭირა ტოტალიტარული თემის წინააღმდეგ. როგორ მოხდა, რომ აქტუალური რეჟიმის ატმოსფეროში, სადაც შეუვალი საზოგადოებრივი აზრი, საღ აზრად წოდებული, ტოტალურად ბატონობდა, სასკოლო პროპაგანდამ პიროვნებას – ალუდას და არა საზოგადოებრივ წესრიგს დაუჭირა მხარი? მაშინ, როცა ყოფაში გაბატონებულ აზრს – საყოველთაოს – შებრძოლებული პიროვნება გათელილი, არარადქცეული, გაცამტვერებული იყო, ლიტერატურის გაკვეთილებზე მოჯანყე გმირის კულტი ინერგებოდა, წლიდან წლამდე, საბჭოთა რეჟიმის ბოლომდე იწერებოდა სასკოლო ნაშრომები თემაზე „თემი და პიროვნება“. „ჩვენიანობის“ ღირებულებებზე აგებული საზოგადოება, რომელსაც ალუდა დაუპირისპირდა, განა ისეთივე ტოტალიტარული არ იყო, როგორიც *ჩვენი*, სადაც ვცხოვრობდით, სადაც დამნაშავეებად ვიქეცით? ასეა: იოანე ოქროპირი წერდა, ადამიანი ყოველთვის დამნაშავეა ღვთის წინაშეო. ამ ნათქვამში ჩაღრმავება ღვთისმეტყველისთვის მიმინდვია. მე კი ვიტყვი: როგორ შეიძლებოდა, პატიოსანი, სინდისიერი მოქალაქე, თავისი ქვეყნის პატრიოტი, მამულიშვილი, დამნაშავე არ ყოფილიყო საბჭოთა სახელმწიფოსა და ხელისუფლების (რაც იგივეა) წინაშე? განა უდანაშაულობა მისი ღირსების შეურაცხმყოფელი არ იქნებოდა? გულის სიღრმეში ის ამას გრძნობდა, შესაძლოა, საკუთარ თავსაც არ გამოტყდომოდა, მაგრამ არსებობდა დანაშაულის აქტუალიზაციის ქცევშეცნეული შიში. ნებისმიერი მოქალაქე, ხელისუფლების მიმართ თვით ლოიალურნიც კი, თვით კომუნიზმის სასუფევლის მორწმუნენი და მსასოებელნი, გულწრფელად მაქებ-მადიდებელნიც, ფანატიკოსნიც, ანგარებიანნიც, თვით ხელისუფლებაში მოკალათებულნიც, – ყველანი უკლებლივ პოტენციური დამნაშავეები იყვნენ და ძრწოდნენ თავ-თავიანთ საცხოვრებლებში, აძრწუნებდათ ღალატის, ხალხის მტრობის პერსპექტივა, რაც, როგორც წესი, სინამდვილედ ქცევას არ აყოვნებდა. როგორ ვცხოვრობდით და როგორ ვფიქრობდით საბჭოთა წყობილების დროს? გულში ვაღიარებდით, რომ ყველანი დამნაშავეები ვიყავით *მათ* წინაშე, რადგან შინაგანად, ფიქრში მაინც, ვარღვევდით მათებურ სამართალ-სიმართლეს. თუ ვიტყოდით, რომ უდანაშაულონი ვართ, მაშინ უნდა გვეღიარებინა, რომ არ დაგვირღვევია მათებური სამართალი და, მაშასადამე, ჩვენც მათებური წესის მიხედვით ვცხოვრობდით, რაც მართალი არ იქნება. თუ ვარღვევდით მათ სამართალს, მათებური სიმართლით ვისჯებოდით და მოთმინებით ვიწყნარებდით სასჯელს, რადგან სრულებითაც არ გვსურდა მათებური სამართლით ვყოფილიყავით გამართლებული. უნდა დავესაჯეთ და ასე დასჯილნი უნდა ვყოფილიყავით, ვიდრე მართალი სამართალი არ გაგვამართლებდა.

ალუდა – ხალხის მტერი

1951 წლის 10 იანვარს ქართველი ხალხის ნაცადმა ხელმძღვანელმა, როგორც იმჟამინდელ ცეკას მდივანს უწოდებდნენ, გაახმიანა სტალინის დამოკიდებულება ვაჟა-ფშაველას თითქოს ენისადმი, მაგრამ პრეტენზიები სხვამხრივ იყო მიმართული... თბილისის პარტიულ კონფერენციაზე ითქვა, რომ ვაჟა-ფშაველა „ფშავის ვიწრო ხეობაში ჩაიკეტა“. მრავალი ხნის შემდეგ ნაცად ხელმძღვანელს მოუხდა მობოდიშება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავით განმარტების გაკეთება ამ თავის განცხადებაზე, რასაც ისტორიისთვის ნაკლები ღირებულება აქვს. ვაჟას ენის დაწუნება, თუ ის მართლაც ფშაური დიალექტია და მეტი არაფერი, საერთოდ ხალხური პოეზიის, განსაკუთრებით, მთის გენიალური ზეპირსიტყვიერების დაწუნების ტოლფასი იყო. ამ ზომამდე კი, რომ წუნი დაედოთ ხალხური პოეზიისთვის, კრიტიკა, რომელმაც მხარი აუბა ამხანაგი სტალინის მიერ გაკვრით, ვფიქრობ, არა დაჟინებით, არა კატეგორიულად გამოთქმულ თვალსაზრისს, არ მისულა. ძნელია ახლა სტალინის ფიქრების ვერბალიზაცია, მაგრამ ერთი რამ ცხადი უნდა იყოს: მის გამჭრიახობას არ გამოჰპარვია ალუდას, „მამხსენეს ქისტის სულისა“, ჯანყის მარადიული საფანელი, რომ ხევსურეთის კონკრეტული ხევი და კონკრეტული დრო მხოლოდ საშუალებაა იმ უნივერსალურის გამოსახატავად, რისთვისაც ვაჟა იყო მონოდებული, რომ ეს მომავლის თემა უფრო იყო, ვიდრე მე-19 საუკუნის საქართველოსი. მართალია, ვაჟა „ფშავის ვიწრო ხეობაზე“ წერდა, მაგრამ კოსმოპოლიტური პოზიციებიდან წერდა, როგორც ჰენრიკ იბსენი, რომელსაც თავის შემოქმედებაში უარი არ უთქვამს ნორვეგიულ, მის მიერ მარგინალურად მიჩნეულ სინამდვილეზე, რომელზეც დაწერა, რომ „მძიმეა, გქონდეს ისეთი სამშობლო, როგორიც ნორვეგიაა“, და ამ სამშობლომ გარიყა იგი, მოიშორა როგორც შეუთავსებელი უცხო სხეული. ასეთი იყო ალუდაც, რომელიც უცხო სხეულივით განაგდო თემმა. პროლეტარიატის ბელადი, კომუნიზმის ხუროთმოძღვარი და აწ უკვე მეცნიერების კორიფე, ხვდებოდა ალუდას საქციელის საზრისს, თუ რა ხიფათს შეიცავდა იგი რეჟიმისთვის, თუმცა არც მაინცდამაინც აღუშფოთებია ამას, თორემ უფრო კატეგორიული იქნებოდა და სხვა გადაწყვეტილებისკენ მოუწოდებდა მისი ნების აღმასრულებელთ. მაგრამ მაინც რაღაც უნდა აღსრულებულიყო. მწერალთა კავშირი, როგორც ერთი კაცი, ისევე როგორც ალუდას განმკვეთელი თემი, ერთსულოვანი იყო, როცა კავშირის კედლიდან მისი პორტრეტი ჩამოხსნეს. მაგრამ სკოლაში იგი დარჩა, გადარჩა. ბოლომდე ვერ მისდიეს, 1953 წელმა სამანი დაუდო.

ბუმტის კოლაფსი

9 მარტით დაგვირგვინებული ის დღეები სრულიად განსაკუთრებული იყო, დაუჯერებელიც კი, რომელსაც

არათუ საიდუმლო მისი იყო გახსნილი, საიდუმლო საიდუმლოდ რჩებოდა, მაგრამ ახალი ის იყო, რომ საიდუმლოს გემო გაიხსნა.

პრეცედენტი არ ჰქონია რეჟიმის ხალხის რამდენიმე (სამი მაინც) ათეული წლის გამოცდილებაში. პარადოქსი იყო, რომ ხალხი რეჟიმმა დასაჯა იმისათვის, რომ იცავდა იმ კულტს, რომელიც იმავე რეჟიმის გულისგულს შეადგენდა, რომლის გარეშე მას გარდაუვალი რღვევა ელოდა. და ასეც მოხდა სულ რაღაც 35 წლის შემდეგ. მაგრამ ჭაბუკის გულს – ის გამალებით ძგერდა – ვერ მოეთმინა. სოფოკლეს სიტყვებს – „შურისგება მოდის ნელი ნაბიჯებით, მაგრამ ხომ მაინც მოდის“ – რომც სცოდნოდა, არად ჩათვლიდა. განა არ ჰქონდა მოსმენილი ტეხურის ნაპირას იმედიანი სხვა სიტყვები სოფოკლეს კვალზე: *ნუ გოშქურუ, ქეგესკიდუნა* ათენეფი ვერ ჩხის (ნუ გეშინია, ლუკა, იცოდე, გაირიყებიან ესენი... მეგრ.). არ ეშინია, მაგრამ მოთმინება ელევა. ის ნახტომს ნატრობს: თუ ხვალვე არა, არასოდეს. მაგრამ ის *ხვალვე*, რომელიც ოდესმე უნდა დამდგარიყო, სადღაც სხვაგან, სხვა სივრცეში და სხვა დროჟამულ განზომილებაში ეგულებოდა. და ეს *ოდესმეც* სადღაც ახლოს, ფარულად მყოფობდა. გრძნობდა, თითქოს გადანახული იყო ის *ოდესმე* და არ ებმოდა ამ ჟამს და ამ სივრცეს, ამ შეჩვეულს, ყოველდღიურს. ის ქალწულებრივი *ოდესმე*, ხელშეუხებელი, შორეული, განუფენელი, მაინც მყოობადი, ხომ სადღაც და ოდესმე იქნება? ოდესმე... იმ *ოდესმე* ეს ქალაქი, ეს სახლები, ეს ქუჩები – მთელი არემარე, ვერა-ზემელი, გალავინსკი, ერევნის მოედანი, ვარანცოვი, მისი ცაც და მიწაც, როგორიც ახლა ჩანან, ისეთივე დარჩებიანო? ჩვენც, ადამიანები, როგორებიც ვართ, ისეთივე დავრჩებითო? ერთბაშად, ერთი ნამისყოფით არ შევიცვლებით ყველაფერთან ერთად, როგორც პავლე მოციქული გვპირდება? მაგრამ როგორ და როდის მოხდება ეს? ერთ მშვენიერ დღეს? გაზაფხულის ერთ დილას? ჩიტების ჟრიამულთან ერთად გაიღვიძეს იმ *ოდესმე* და ჩვენ ყველანი ერთიანად შეცვლილნი აღმოვჩნდებით? სანამ დავიხოცებოდეთ, გარდავიცვლებით? მართლაც, როგორი უნდა ყოფილიყო აპოკალიფსური ჟამი იგი, რომელსაც ყველაფერი უნდა დაესრულებინა? – და სწორედ ის წამი მოვარდა მოულოდნელად, ტყვიების კაკანში, არა ჩიტების ჟრიამულში, როგორც უცხო და მძვინვარე გაზაფხულის თქეში, უჩვეულო, განუცდელი. სხვაგვარი მოლოდინი ჰქონდა? აბა, თუ მიიღებდა გაზაფხულს უჭექაქუხილოდ? რას მოელოდა მონმენდილი ცისგან? თუ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიღრუბლებოდა, რითი ანიშნებდა? გაექცეოდა კი ამ გრგვინვა-გრიალს, რომელსაც ნიაღვარი უნდა მოჰყოლოდა ქვეყნის განსაწმენდად, ნალახი ქუჩებისა და ეზოების, ჩაბნელებული სადარბაზოების გამოსახვეტად, ადამიანური, ერთობ ადამიანური სუნისგან გასანიავებლად, ჭექა-ქუხილზე, თითქოს მთავარანგელოზის მეშვიდე საყვირზე გამოღვიძებულთა გარეთ გამოსარეკად, ახალი დღის შესაგებებლად, შიშის, როგორც მტვერის, სამუდამოდ ჩამოსაფერთხად? რადგან, რაც მოხდა, მოხდა, და რაც მოხდა, გარდაუვალია, როგორც მზის ამოსვლა, როგორც გათენება... 50-იანის შუაძალი იდგა, მარტის დასაწყისი იყო, რიცხვიც იყო, მშვენიერი რიცხვი. ოდნავ ქროდა, ჟინჟღლავდა. ესქატონის ეს ხედვა რეტროსპექტულია, იმ წამიერად ნაგრძნობის ამეტყველების მცდელობაა. ვინ იტყვის, რომ 9 მარტი არათუ 50-იანი წლების, არამედ მთელი ომის შემდგომი პერიოდის უმნიშვნელოვანესი მოვლენა არ იყო? ბოლოს და ბოლოს, იმ ხალხმა, თუნდაც არ იზიარებდეთ მათგან გაცხადებულ ლოზუნგებსა და შეძახილებს (კომიკურ „ლენინმა აკოცოს სტალინს“, აბსურდულ „ჯუდე, ჯუდეს“ და სხვათ) მაშინ თარიღი შექმნა, რომელმაც ცნობილი 9 იანვარი რაღაც უცნაურად გაიმეორა, ხოლო თავად სრულიად კანონზომიერად, ლევ ტროცკის „კარის გაჯახუნებით“ 9 აპრილში განმეორდა, რაშიც – სამ ცხრიანში – განგების ხელი დაინახეს (იმავე ადგილზე მათი ტყუპისცალი 26 მაისიც იხილეს). და ეს 50-იანის შუაძალზე მოხდა. ეს საუკუნის შუაძალიც იყო.

ლადო გუდიაშვილი

9 მარტის ნლისთავზე, 1957 ნლის გაზაფხულზე, თბილისში ხმა გავარდა, რომ ცისფერ გალერეაში გაიხსნებოდა ქაშვეთის საკურთხევლის მოხატვისთვის რეჟიმისგან შერისხული სამხატვრო აკადემიიდან დათხოვნილი და კომუნისტური პარტიიდან გარიცხული ლადო გუდიაშვილის პერსონალური, როგორც ეწოდა, რეტროსპექტული გამოფენა. ეს მოხდა 14 მაისს. მაგრამ იმდენად დიდი იყო ინტერესი მისი მხატვრობის მიმართ და იმდენად ნაკლები ნდობა იმისა, რომ დანიშნულ დროს გაიხსნებოდა, ან თუ საერთოდ გაიხსნებოდა გამოფენა, ზედმეტად, თუმცა არა უსაფუძვლოდ აჟიტირებული და მოუთმენელი ხალხი ორი დღით ადრე, 12 მაისს, გალერეის კარის შენგრევას შეეცადა, რაც გასული ნლის 9 მარტამდე, ძნელი წარმოსადგენია, მომხდარიყო.

ჭაბუკიანის ოტელო

იმავე 1957 ნლის ნოემბერში ვახტანგ ჭაბუკიანის ოტელომ განაცვიფრა და აღაფრთოვანა თბილისი, განსაკუთრებით და უჩვეულოდ კი ახალგაზრდობა. გადატენილ დარბაზში კიბეებზეც აღარ რჩებოდა თავისუფალი ადგილი. ეს სპექტაკლი იმდენად თავბრუდამხვევი იყო, რომ ხელოვნებაში სიფხიზლის მომთხოვენ და, თავად ფხიზლად აღმქმელ, ზოგიერთ, შესაძლოა, არაკეთილმოსურნე კრიტიკოსში ეჭვებს ინვევდა („длинноты, длинноты...“ გაისმოდა პრეტენზიები მუსიკის მიმართ) და, განსაკუთრებით, დაუსაქმებელი ბალერონის აზრით, ვერსაპატიებელი გარღვევა ტრადიციულ რუსულ ბალეტში. აზრის რა სივიწროვე გამოჩნდა... რაფინირებულმა პარიზმაც არ მიიღო, ამბობდნენ, ჩავარდა კიდეცო (თუმცა რაღაც ჯილდო *მავრს* მაინც გადაეცა). მაგრამ რას ვაქნევდით სხვაგან ჩავარდნებს, როცა აქ, მის დამცირებულ ქვეყანაში მისი სხეულის ფეთქებადი, დაუცხრომელი ენერგიის გამოსხივებით პროვიდენციამ თქვა თავისი სიტყვა-ვერდიქტი – გამგებს უნდა გაეგო, არათუ გაეგო, ჩაწვდომოდა ხელოვნების საზღვრებს გადაცდენილი ამ მოვლენის მნიშვნელობას. ეს მომავლის ნიშანი იყო ამ პერიოდში, როცა ხსნის არავითარი სახსარი არ იყო, არც არავითარი მოლოდინი, მისი ნასახიც კი.

გალაკტიონის ცის ქვეშ

ამ მონაკვეთში ავტორი სუბიექტური იქნება, როგორ ადრე ივარაუდა. 50-იანი ათწლეულის ერთი შრე sub specie Galactionis, ანუ „გალაკტიონის თვალთახედვით“, უფრო ზუსტად: „გალაკტიონის ცის ქვეშ“ წარიმართა. 1951 ნლის ზაფხულის ტრაგიკული შემთხვევა, რომელმაც მწუხარების გვერდით, უფრო, მასში შემსჭვალვით, მანამდე განუცდელი გაოცების მაგვარი რაღაც მოიტანა, გახდა იმის მიზეზი, რომ პოეტის შემოქმედების მისთვის და მისი მეგობრისთვის აქამდე დახშული კარი საბოლოოდ გახსნილიყო. არათუ საიდუმლო მისი იყო გახსნილი, საიდუმლო საიდუმლოდ რჩებოდა, მაგრამ ახალი ის იყო, რომ საიდუმლოს გემო გაიხსნა. უაზრობად გამოჩნდა კითხვები, რომლებიც 40-იანი ნლების დასასრულს აწუხებდა, თუ რა არის „ფერი და ფერვალი“, ვინ და სად მიაჭენებენ ლურჯა ცხენებს, და სხვა მრავალი... და ახლა, თუ ვინმე შეეცდება არცთუ ქრესტომათიული სონეტის „გობელენის“ თარგმნას რაციონალურ ენაზე, კიდევ უფრო გაუგებარს გახდის მას:

„იქაური ცა ფოთლით ქსოვილი,
ლაჟვარდ თვალთაგან გადასულ ნამით
მოველი ღამეს და შენ, სულამით!
ჩემ მკვლელ – მიუვალ ღამეს მოველი.
ალერსთა უხვი და უხმო ველი
დამფარავს ნისლთა წამოსასხამით
და დათრობაში ამ ღამის-ღამით
უხილავ გ ზებით შთავა ყოველი...“

ამასობაში, როცა ის და მისი მეგობარი პირველი გამოცხადების შემდეგ თანდათანობით შედიოდნენ მის სამყაროში, გალაკტიონის წვერი, რომლის მოშვება მან 40-იანი ნლების დასასრულს (1948 ნელს?) დაიწყო, თანდათან იზრდებოდა. ის დადიოდა თბილისის ქუჩებში, მტკვრის გაღმა-გამოღმა, როგორც ღვთის სუნელი, და მისი ეს ხატება, მიუხედავად იმისა, რომ ერთგვარი საკრალიზმით იყო მოსილი, სრულებით არ უკავშირდებოდა გენიალურ „თავის ქალას არტისტული ყვავილებით“, წიგნს სახლში ნაპოვნს, 1920 ნლის 30 სექტემბერს ნაყიდს, არცთუ შემთხვევით შემორჩენილს რეპრესირებულის დარბეულ კარადაში, ან 1927 ნლის გამოცემას, ან, თუნდაც, ყავისფერ ქაღალდზე ნაბეჭდ „ასმანეთიან ტომს“ (1946), როგორც უწოდებდნენ ხსენებისას, გულში იხუტებდნენ, ან, თუნდაც, მისი სიცოცხლის მიწურულს (1957) გამოცემულ წითელყდიანი მომცრო ტომეულების მე-8 ტომს, სადაც სიბრძნე თავისი თანდაყოლილი სისადავით მეტყველებს:

„ომსა ცვლის მშვიდობა,
და ნგრევას შენება,
სიტლანქეს სულისას
ცვლის სულის მშვენება,
წყალს – ღვინო,
დღეს – ღამე,
სიცხადეს – ჩვენება,
აქ გული მონაა
და თანაც ბატონი“.

როცა მას მთაწმინდაზე მიასვენებდნენ, ხალხის გაუთავებელი ნაკადი მიჰყვებოდა უკან. მთაწმინდა მის ფერდობებს შეფენილი ხალხითურთ ზოგიერთს, ამ სახილველით შეძრულს, გოლგოთის დღეს აგონებდა. ასეთ ხალხმრავლობას დასაფლავებაზე ჩვენს დროში არავინ შესწრებია.

„ხამს მოყვარე...“

რეჟიმი არ იყო საამისოდ მოწოდებული, მაგრამ მისდაუნებურად ქმნიდა ნიადაგს, უფრო ნოყიერს ვიდრე რომელიმე სხვა ეპოქაში, თუნდაც მე-12 საუკუნის საქართველოში, როდესაც ეს სიტყვები „ხამს მოყვარე მოყვრისათვის...“ ითქვა. თუმცა საკითხავია, რატომ ითქვა? იმიტომ ხომ არა, რომ ამგვარი ურთიერთობის დეფიციტი იყო? დავიწყებულის გასახსენებლად, რომ *ხამს ...თავი ჭირსად არდამრიდად* მოქცევა, ხომ არ ითქვა ეს სიტყვები? ასე იყო თუ ისე, ამაზე არც უფიქრია მაშინ ყმაწვილკაცს. მასში რაღაც სპონტანურად დაბადებულ ამ გრძნობას დასტურს სცემდა „ოქროს ხანაში“ (ასე ასწავლიდნენ – მაგრამ ჩვენი კორიფეს ხანაც ხომ ოქროსი იყო?) თქმული ეს სიტყვები. მეგობრობა იკვანძებოდა თავისთავად, როგორც თანდაყოლილი იდეის ხორცშესხმა ამ ყოფაში, აქ და ახლა, კარგად ახსოვს მანამდე განუცდელი გრძნობისგან, თითქოს პირველხილვისგან განცვიფრება, ამ შეხვედრას რომ ახლდა.

ძალიან ხშირად და, როგორც წესი, ერთმანეთს ხელახლა ეცნობოდნენ საბავშვო ბაღის უხსოვარი დროში გაცნობილნი, რასაც გაცნობა არც ეთქმოდა. ჩვენ ხომ აქა და აქ ერთად დავდიოდით, მახსოვხარ იქიდან, ან: შენც იქ უნდა გევლო წესით, სადაც მე დავდიოდი, დავყავდი... შენ ვერაზე არ ცხოვრობდი, ბელინსკისა და ბარნოვის კუთხეში, თუ ზემოთ, ხოშტარიაზე?... სკოლაში უკვე ან ერთად შეიყრებოდნენ, ან იფანტებოდნენ, რათა კვლავ მოეძებნათ ერთმანეთი, ან სამუდამოდ დაკარგოდნენ ერთმანეთს. რომ არაფერი ვთქვათ ურთიერთობის სიღრმეზე, სიამაყით ავსებდა მათ თავად ურთიერთობის ხანგრძლივობა, მიუხედავად ქარტეხილებისა, რაც ჟამს მოჰქონდა, რაც ჩაფიქრებული ჰქონდა „პროვიდენციას“. ტოტალური სეკულარიზაციის, კერძოდ, სიწმიდეთა პროფანაციის პირობებში იმაზე უკეთესი სახელწოდება რეჟიმისთვის, ვიდრე პროვიდენციაა (პრო-ვიდენტია „წინასწარ-ხედვა“), არ მოიძებნებოდა. ან თუნდაც განგება – მისი ბადალი ტერმინი, – რომელიც განაგებს ყველაფერს – გარეს და შინას. ამ „განგებას“ ხომ *საზოგადო* ხელში ეჭირა, იგი *კერძოსაც*, რეჟიმისთვის არა ნაკლებ საშიშს, სწვდებოდა, რის გამოც ურთიერთობა უფრო სიღრმეში, ვიდრე ზედაპირზე, უნდა განვითარებულიყო. ეს იყო ის ნახსენები ნოყიერი ნიადაგი. 40-იანში ეზოდან თუ მერხიდან დაწყებული ურთიერთობა 50-იანში ძლიერდებოდა, საერთო საიდუმლოს, სხვა ენაზე რომ ვთქვათ, კონსპირაციას მოითხოვდა.

როცა მას მთაწმინდაზე მიასვენებდნენ, ხალხის გაუთავებელი ნაკადი მიჰყვებოდა უკან. ასეთ ხალხმრავლობას დასაფლავებაზე ჩვენს დროში არავინ შესწრებია.

„დაიშალეთ, ამხანაგო, დაიშალეთ...“

შესაძლოა, სხვაგვარად გამოთქვამდა ამ თავის მოწოდებას რეჟიმის ერთგული, ალბათ თავგაბეზრებული დარაჯი, მაგრამ მსმენელს მხოლოდ ამგვარად თუ შეეძლო აღექვა მრავალგზის მოსმენილი ეს კლასიკური, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ფრაზა, მოწოდება... ის დრამა, საიდანაც მოდიოდა ეს რემინისცენცია, ბევრისთვის სიმბოლური ხატი იყო იმისა, რაც ქვეყანაში მოხდა და კვლავ და კვლავ, თუმცა მისუსტებულად ხდებოდა, და კუდები არ წყდებოდა, არ იმალებოდა. „რად არ მეშლება ეს სხეული, ესრეთ...“ პასუხობდა ენაკვიმატი ჩვენიანი ამ მოწოდებას, რაკი ის „დაიშალეთ“ მხოლოდ ჯგუფს როდი ეხებოდა, ინდივიდსაც სწვდებოდა, რათა დაშლილიყო. დაღუპულ მამათა აჩრდილები დადიოდნენ იმ ხანის ქუჩებში და შურისგებას – რა იმედით? – ელოდნენ. ტელემაქენი, ორესტენი, ჰამლეტნი – მომრავლებულიყვნენ. იქნებ შურისგების ნიშანი იყო, რომ კაცი ვინმე ზემოდან დაღმართ ქუჩებზე ჩამომავალი გამაყრუებელი ძახილით ფარავდა თავის შიშსა და ძრწოლას, ასე ამბობდნენ, ჩადენილის გამოო. მისი გამყივანი ხმა არათუ ესმოდათ, შეეძლოთ ეხილათ კიდეც ყინულის კრისტალებით მოკირწყლულ ჰაერში...

50-იანის შუაძალი მოლოდინის ჟამი იყო, „გულაგებიდან“, როგორც ტროადან, დაბრუნების და არდაბრუნების, მრავალთა იმედების აღსრულების და გაცრუების ჟამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესაც, ისევე როგორც წინა ნომერში, „პარალელური ტექსტები“ გვინდა წარმოგიდგინოთ. როგორც გახსოვთ, გასულ თვეს ხათუნა ცხადაძის მიერ მომზადებული პუბლიკაცია გვქონდა, სადაც პიერ პაოლო პაზოლინისა და იტალო კალვინოს პოლიტიკური ტექსტები დავბეჭდეთ გვერდიგვერდ წასაკითხად, მსგავსებითა და განსხვავებულობით გაერთიანებული ორი პოლიტიკური იგავი.

დღეს გაცილებით უცნაური წყვილი გვყავს, ანტონენ არტო და ბესიკ ხარანაული, ერთის ლექსი 1926 წელსაა დაწერილი და შესულია კრებულში „ნერვმზომი“, მეორე კი სულ ახლახანს დაიწერა და შესულია „ინტელექტის“ მიერ 2012 წელს გამოცემულ წიგნში „მთავარი გამთამაშებელი“.

ეს არის ორი დიდი ლექსი, პირველი – ნევროზული ბუნდოვანებითა და ასევე ნევროზულად ზუსტი გამონათებებით. მეორე ლექსი ბრძნული აღტაცებით საუბრობს სიკვდილსა და სიცოცხლეზე, რომელიც ტვირთია და მოქმედება. საუბრობს არდათმობაზე. არა გმირობაზე, არამედ სიცოცხლეზე... ამ ორ ლექსში ადვილად იპოვით მსგავსებასაც და განსხვავებასაც, მემგონი ზედმეტია მათი ჩამოთვლა, მით უმეტეს, არ მინდა წინასწარ რაიმე აზრი შეგიქმნათ. იმედი მაქვს, მომავალშიც არაერთ ასეთ „პარალელურ საფიქრალს“ შემოგთავაზებთ.

რედაქტორი

ანტონენ არტო

ნებისმიერი ნაწერი ღორობაა

კრებულიდან „ნერვმზომი“

ნებისმიერი ნაწერი ღორობაა.
საკუთარ გონებაში გაელვებული ყოველი აზრის დასაზუსტებლად ცხოვრების დინების ტალღიდან გამოსული ადამიანები – ღორები არიან.
ყველა ლიტერატურული ჟანრი ღორობაა და განსაკუთრებით ამ დროის.
ყველა, ვისაც ათვლის წერტილი გონებაში აქვს, ასე ვთქვათ, თავის რომელიღაც ნაწილში. ტვინის კარგად ლოკალიზებულ ზუსტად მიჩენილ ადგილზე.
ყველა, ვინც ასე ოსტატურად ფლობს საკუთარ ენას, ვისთვისაც სიტყვებს განსაზღვრული მნიშვნელობები აქვთ, ვისთვისაც სულიერი სიმაღლეები არსებობს, და მიმდინარეობები გონებაში, ისინი, ვინც ეპოქის სულის ჩამდგმელნი არიან, და ვინც სახელები დაარქვა ამ აზრობრივ მიმდინარეობებს.
მე ვფიქრობ მათ სრულყოფილ, ზუსტ ნაჯაფარზე, ამ ავტომატურ ჭრიალზე, რომელიც ყველა უაზრო გაელვებაში სულიერებას პოულობს – ისინი ღორები არიან.

ყველა, ვინც გარკვეულ სიტყვებსა და ყოფის გარკვეულ მანერებს, რომლებიც სტილს ქმნიან მნიშვნელობას ანიჭებს,
ვისთვისაც გრძნობები კლასიფიცირებულია, და ვინც ბანალურ კატეგორიებზე თავიანთი მატრაბაზული კლასიფიკაციებიდან მსჯელობენ, ისინი, ვისაც ჯერ კიდევ სჯერა „დასკვნების“, ვინც ეპოქაში, რაღაც პოზიციაში მოხვედრილნი, ურევენ იდეოლოგიებს, ისინი ვისაც ქალები ასე სიამოვნებით ესაუბრებიან, და ქალებიც – ესე კარგად რომ საუბრობენ, და საუბრობენ ეპოქის მიმდინარეობებზე. ისინი, ვისაც კიდევ სჯერა სულიერი ორიენტაციისა, ვინც გზებს, მიმდინარეობებს მიუყვებიან, ვინც აჟღარუნებენ სახელებსა და ვინც აყვირებენ წიგნების ფურცლებს – ისინი ყველაზე უარესი ღორები არიან.
– ეს ყველაფერი მუქთად ნათქვამია, ახალგაზრდავ!
– არა, მე მხედველობაში მყავს წვერებიანი კრიტიკოსები.
გითხარით – არანაირი ნაშრომი, არც ენა, არც სიტყვა, არც გონება, არაფერი.
არაფერი, გარდა ზუსტი ნერვმზომის.
რაღაც გაურკვეველი სისრულის, რომელიც ზუსტად გონების ცენტრშია მოთავსებული.
ნუ გექნებათ იმედი, რომ სახელს დავარქმევ ამ სრულს, გეტყვით თუ რამდენ ნაწილად იყოფა, ან რამდენს იწონის, რომ გამირიგდებით, დავიწყებ ლაპარაკს ამ სრულზე, და ლაპარაკის დროს დავიკარგები ჩემდა უნებლიეთ, ისე რომ ვერც კი მივხვდები, ფიქრს დავიწყებ.
და რომ ის განათდება, გაცოცხლდება, ხორცს შეისხამს უამრავი სიტყვით,
რომლებსაც ყველას, სათითაოდ, განსაზღვრული და განსხვავებული მნიშვნელობები ექნებათ, რომლებსაც შეეძლებათ ახსნან ნებისმიერი პოზიცია, ნებისმიერი ნიუანსი ყველაზე ღრმა და მგრძნობიარე აზრისა.
აჰ, ეს მდგომარეობა, რომელსაც სახელს არასდროს ვარქმევთ, ეს ამაღლებული სულიერი მდგომარეობა. აჰ! ეს ცნობიერების ინტერვალები. ეს პაწაწინა აცდენები, რომლებიც პურია ჩემი არსობისა, აჰ! ეს მონაცემებში ჭიანჭველებივით მოფუსფუსე ხალხი! – ყოველთვის ერთსა და იმავე სიტყვებს ვხმარობ, და მართლა არ მეტყობა, რომ რაიმე დიდი ძვრა ხდება ჩემს აზრში. მაგრამ სინამდვილეში მე მაინც უფრო მეტად გადავაადგილდები, ვიდრე თქვენ, თქვე ვირის წვერებო, უბადრუკო ღორებო, ყალბი ზმნის ოსტატებო, პორტრეტების მქარგავნო, ფელეტონისტებო, ერთსართულიანებო, ენტომოლოგისტებო, ჩემი ენის
წყლულებო.
მე თქვენ გითხარით – ენა აღარ გამაჩნია. მაგრამ ეს არ არის იმის
საფუძველი, რომ ერთი და იგივე იმეოროთ, ენაში გაჯიუტდეთ.
ვნახოთ, ათ წელიწადში ის ადამიანები გამიგებენ, რომლებიც იმავეს გააკეთებენ, რასაც თქვენ აკეთებთ დღეს.
შეიცნობენ ჩემს გეიზერებს, ნახავენ ჩემს ყინულებს, ისწავლიან ჩემი
შხამის დენატურაციას, გამოიკვლევენ ჩემს სულებით თამაშს.
ამგვარად მთელი ჩემი თმები, ყველა ჩემი გონებრივი სისხლძარღვი ჩაიკირება, ამოხსნიან ჩემს იეროგლიფებს, და ჩემი მისტიკა მათ ქუდად გადაეფარება.
ასე ნახავენ აბოლებულ ქვათა ნაწიბურებს,
განტოტებული გონების მზერის თაიგული
მჭევრმეტყველებაში დაკრისტალდება.
აი, ასე ნახავენ ქვების აეროლიტების ცვენას,
ნახავენ სიმებს, გაიგებენ გეომეტრიას სივრცის გარეშე,
შეისწავლიან, გაარკვევენ თუ რას ნიშნავს გონების კონფიგურაცია, და მიხვდებიან – როგორ დავკარგე გონება.
მიხვდებან, რატომ არ არის ჩემი გონება აქ.
ნახავენ როგორ გახმება ყველა ენა, ყველა სული გამოშრება,
ყველა ენა გაქვავდება, ადამიანების სახეები ვენტუზით
შესრუტულებივით გაბრტყელდებიან, ჩაიფუშებიან,
და ეს პრიალა მემბრანა გააგრძელებს ჰაერში ფარფატს,
ეს პრიალა და კაუსტიკური, ორმაგი სისქის,
დაბზარული მრავალსახა მემბრანა.
ეს მელანქოლიური და გამჭირვალე,
მაგრამ ამავე დროს ისეთი მგრძნობიარე, ისეთი აღგზნებული,
ისეთი უნარიანი გამრავლებისა და დაწყვილების.
თავის ბზარების ანარეკლებთან, გრძნობებთან, გაოგნებასთან
ერთად ღრმა, შხამიანი მორწყვით შემობრუნდება.
ისინი ნახავენ ყოველივე ამას.
და მე – მეტი ლაპარაკი აღარ დამჭირდება.

1925

ფრანგულიდან თარგმნა პაატა ქურდაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიდედლე

ბესიკ ხარანაული

რა სიდედლეა წერა, ჯობს, რომ კაცმა თავი ანებოს და
პირდაპირ შეებას სიკვდილს.
მართალია ორთაბრძოლა მხოლოდ ერთს ააღელვებს,
მაგრამ როცა ორი სხვადასხვა შეიბმის, ორთაბრძოლა
ჰქვია.
რადგან სახელია პირველი ორჭოფობა სიკვდილთან
ჭიდილში,
თუ სახელი დაამარცხე, სიკვდილი არ გაგიჭირდება.
საკვირველია, ხომ ასე ძალიან არ უნდა ადამიანს
სიკვდილი,
მაგრამ უფრო უჭირს იმის დაჯერება, რომ უნდა
იცოცხლოს.
ძნელად, რომ ადამიანს უნდოდეს სიცოცხლე.
ძნელად, რომ ადამიანს უნდოდეს სიკვდილი,
თუმცა ამას უფრო იჩემებს, ვიდრე იმას, რომ უნდა
სიცოცხლე.
„მომკლა-ს“ უფრო ხშირად ამბობს, ვიდრე
„მაცოცხლა-ს“.

რატომ ეშინია ადამიანს სიცოცხლის?
იმიტომ, რომ ტვირთია და მოქმედებაა?
ახალგაზრდებს, განსაკუთრებით, რატომ ეშინიათ?
იმიტომ, რომ სულ სიკვდილთან თამაში უწევთ,
თუ იმიტომ, რომ სიცოცხლე მოქმედებაა?
რატომ უყვართ გაღვიძებისთანავე წამოდგომა
მოხუცებულებს
და რატომ უყვართ ახალგაზრდებს ძილის შებრუნება?

იმიტომ, რომ ძნელია სიცოცხლე, რომ სიცოცხლე
მოქმედებაა
და არა სიზმარი, როგორც თავს ვიტყუებთ.
უნდა გაახილო თვალი, უნდა გააგრძელო
გუშინდელი, მაგრამ უნდა იყო ახალი.
გუშინდელი არაფერი არ უნდა გინდოდეს,
ქამარიც არ უნდა შემოირტყა გუშინდელი დღის,
რადგან ყოველ დილას ახალი გვამი ხარ
და გვერდზე თუ გადაბრუნდი, იცოდე, რომ
გადაბრუნდი სიკვდილისაკენ.
იმიტომ, რომ ყველაფერზე უზრუნველი არის
სიკვდილი,
სიკვდილი აუდგომლად ჩაფსმაა სიცოცხლის წინაშე,
შიშით ჩაფსმაა, განა თუ შარდით.
სიცოცხლე წინ მოძრაობაა, დედამინაც, როგორც
კი გვერდზე გადაბრუნდება, გადაბრუნდება
სიკვდილისაკენ.
ეტყობა არ შეუძლიათ სიცოცხლე,
ეტყობა ყველას უნდა სიკვდილი, ეტყობა ყველა
იფსამს
თავის ფეხების წინ.

სიცოცხლე დილაა, გათენებაა, მათ კი სიცოცხლის
ეშინიათ, როგორც უკუნის, ეშინიათ, რომ საიდუმლოს ვერ
შეინახავენ,
კოკა გაუტყდებათ, უფსკრულზე ვერ გადახტებიან,
ჩაიფსავენ, თავს შეირცხვენენ.
თენდება თუ საქმე იწყება, კაცმა ნუ იცოდეს.
საქმის ეშინიათ – შეძლებს თუ ვერ შეძლებს? – ამის
ეშინიათ.
ამიტომ გეტყვით, – არ გინდა გმირობა, უბრალოდ,
იცოცხლე,
სიცოცხლე ყველაზე დიდი გმირობაა
და თავისუფლებაა იმისი საზომი.

ახალგაზრდებს არ უნდათ საქმე,
ახალგაზრდებს უნდათ სიკვდილი,
მაგრამ სიკვდილს არ უნდა ახალგაზრდები
და გადაუნაწილებს მათ ფსიქეას, სმას და ნევროზებს.
ახალგაზრდები სულ გაღელვებენ,
თუმც გართული ხარ შენი საქმით – არ გვინდა
სიცოცხლე!

აქაც შეიძლებოდა ყბედობის დამთავრება,
მაგრამ ახალგაზრდები ყოველ წუთს გაღელვებენ.
შემოდგომის მზეში ცალ-ცალკეა ყველა ფოთოლი,
ზაფხულში კი ერთად არიან.

ისეთი დადექი, რომ ყველას სწყინდეს!

განწირული ბიჭები არიან და უნდა ვასწავლოთ ჩვენც
განწირულება,
ღრუბლებივით არიან და უნდა ფრთები მივუმატოთ,
უნდა ვასწავლოთ ფრენა.
რომ დაცემა და გაქრობა კი არ არის ფრენა –
როცა მაღლა ხარ, მავთულზე ზიხარ და ინიტები,
როცა ღმერთსღა უჭერიხარ ჩიტის კანჭებით,
როცა იქით გაფრინდები, საითაც გინდა,
რადგან ტრაკებს ფრენა არ ძალუძთ.
ბიჭებო! როგორც ჰაერს არ უთმობთ ამათ,
არც მიწა დაუთმოთ,
ნუ დაუთმობთ ცხოვრებასა, ზაფხულებსა და გაზაფხულებს,
ნუ დაუთმობთ ამათ სიცოცხლეს,
გემრიელი ჭამეთ უგემურად, ოღონდ ამათ პურს ნუ
შეარგებთ.
უთხარით: – აი, ვირებო, ჩალასა ვღეჭავთ,
რადგან თქვენი ყურება გვიფუჭებს მადას,
თქვენი გემოვნება ჩვენსასა სტანჯავს,
თქვენი ტრაკი დაბლა გვექაჩება.
ბიჭებო! ამათ გართობა აქვთ და თქვენ გიტყუებენ,
ბიჭებო! ამათ თავისუფლება აქვთ, რომ თავები
დაგახატინონ,
არა, ბიჭებო! გიხაროდეთ მაგ მავთულებზე,
თაფლიანი ჰაერი მიირთვით!
ოღონდ ნურასდროს დაფრინდებით, სადაც ძღომაა
და განწირულება ნუ გეგონებათ, რითიც ამათ
ასიამოვნებთ.
განწირულება წაგლეჯაა და არა დათმობა,
მე გეუბნებით ამას ჩემი გამოცდილებიდან –
მავთულებზე კი ვისხედით, მაგრამ ტაშს ვუკრავდით.
არა, ბიჭებო!
ნუ იქნებით ჩვენნაირი განწირულები,
თქვენ იყავით ულმობლები, დაუნდობლები,
შეაგინეთ ამ მიწაზე მოსიარულეებს,
ეს იქნება განწირულება
და არა მავთულიდან დაბლა ჩამოვარდნა.
რადგანაც ვინ დაგიტირებთ? ისევ ესენი.
მერწმუნეთ, ამათ დაცინვა სჯობია
ამათ დატირებას.

აი, მე გასწავლეთ თქვენ განწირულება,
შეიძლება ძველი ანბანით, მაგრამ გასწავლეთ.
მე არ ვიყავი არც უზრდელი და არც თავში მქონდა
ავარდნილი
და ვიფარავდი ასე მე ჩემს განწირულებას,
არა, ბიჭებო!
დერეფნებსა და დარბაზებს ამჯობინეთ სივრცეები,
საჯდომები ამათ დაუთმეთ,
მაშინ ნახეთ თვალების დაჭყეტა,
როცა ლირა და საქსაფონი მთა და ველზე
აბრჭყვიალდება...
ძმებო უფროსებო, წაიშალა თქვენი ანბანი,
აღარ იკითხება,
იკითხავთ კი – ჭეშმარიტებაო?
მაგრამ რაა ჭეშმარიტება, ლოდი თუ არ გადააგორე?
მკლავების ძალა თავისთვის ურგოა,
არც თავის ძალა ვარგა მკლავებისთვის,
ძალა არის განწირულებაში.
ლოგინში ლოდი ვინც გადააგორა, თვითონ გადაგორდა.
კლოუნები არა კვდებიან, კვდებიან გმირები,
იმიტომ, რომ კლოუნმა ითამაშა, გმირმა კი ისაქმა.

ჩემს ბავშვობაში მავთულებზე ისხდნენ ჩიტები
და ისკინტლებოდნენ.
ახლა მავთულებზე სხედან ბიჭები და ინიტებიან.

რაც უფრო ბრწყინავს ცხოვრება, მით უფრო ემსგავსება
იმას, რაც იყო.
რაც უფრო შენდება ჩვენი ქალაქები,
მით უფრო ემსგავსება იმას, რაც დაინგრა.
რაც უფრო ბრწყინავს ჩვენი ქალაქები,
მით უფრო ემსგავსება იმას, რაც დაიწვა.

– აღარ დავლევ!
ეშმაკს კი ნუ ენაძლევები, შენს თავს შეურიგდი.
ეშმაკთან დანაძლევებული უკვე მახეშია,
თავის თავთან შერიგებულს კი გზა არ ყოფნის
სრულყოფისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვენიერი ელენე, გაელვებით

„მარგარიტა და არმანი“ – ელენე გლურჯიძის შემოქმედებითი საღამოს კულმინაცია

ავტორი: დავით ბუხრიკიძე
ფოტო: გიორგი გოგატიშვილი

ინგლისის ნაციონალური ბალეტის პრიმა-ბალერინა ელენე გლურჯიძე, ორი წლის შემდეგ თბილისს ეწვია. მისი შემოქმედებითი საღამო, რომელიც რუსთაველის თეატრში გაიმართა (ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობა უკვე კარგა ხანია სარემონტოდაა დაგმანული) მინიმუმ ორ მცირე აღმოჩენას გულისხმობდა: ჯერ ერთი, მშვენიერი ელენე პირველად ვიხილეთ ფრედერიკ ეშტონის ცნობილ მინიბალეტში „მარგარიტა და არმანი“ და მეორეც, ცნობილი ქართველი პრიმა იმ საღამოს სიცხიანი ცეკვავდა. და რადგან ტერფსიქორას ერთგულ მიმდევართ წარმოსახვის „გრადუსი“ ისედაც გამძაფრებული აქვთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ სიცხიანი ბალერინა ავადმყოფ მარგარიტას უფრო შთამაგონებლად იცეკვებდა.

ელენე გლურჯიძეს პარტნიორობას ნაციონალური ბალეტის პრემიერი და უკვე პროდისუსერი, ივან პუტროვი უწევდა. 2011 წელს უკრაინელი მოცეკვავის მიერ განსახიერებულ როლს ქორეოგრაფისა და რეჟისორის, ხავიერ დე ფრუტოსის ექსპერიმენტულ წარმოდგენაში „ყველაზე საოცარი რამ“, ბრიტანულ პრესაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. გასულ წელს კი ლონდონის თეატრში Saddler's Wells პუტროვმა განახორციელა პროექტი „მამაკაცები მოძრაობაში“, რომელიც მეოცე საუკუნის საბალეტო ხელოვნებაში მამაკაცის პარტიების განვითარებას ასახავს. სხვათა შორის, ეს პროექტი 2013 წლის გაზაფხულზე მოსკოვის დიდ თეატრშიც წარმოადგინეს. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ბატონ პუტროვის „ხელგარჯილობაც“ და „ფეხგასმაც“ უიმედოდ შეყვარებული არმანის პარტიაში მოსალოდნელზე ნაკლებად შთამბეჭდავი აღმოჩნდა. თუ საგასტროლო პროგრამას უფრო თანმიმდევრობით ჩავეძიებით, აღმოვაჩენთ, რომ საბალეტო საღამოს პირველი ნაწილი – ალექსანდრე გლაზუნოვის „რაიმონდა“ (უფრო ზუსტად, წარმოდგენილი მეორე მოქმედება) უფრო ეგზოტიკური კოსტიუმებით გაფორმებულ მოთელვას, ან გამართულად მოცეკვავე კორდებალეტის თვითდამკვიდრებას ჰგავდა.

რაიმონდასა (ელენე გლურჯიძე) და გრაფ დე ბრიენის (ივან პუტროვი) დუეტი ლაღად, მაგრამ უქარო ამინდში გამოსული იახტასავით შედარებით ნელ ტემპში „სრიალებდა“ სცენაზე. შესაძლოა იმიტომ, რომ ჩაწერილი ფონოგრამით ცეკვავდა და არა ცოცხალი მუსიკის თანხლებით. პუბლიკამ ჩვენი საბალეტო დასისა და ქორეოგრაფიული სასწავლებლის ნორჩების შესაძლებლობებიც იხილა. სხვათა შორის, შთაბეჭდილება ურიგო სულაც არ იყო; მით უმეტეს, რომ „რაიმონდას“ მეორე აქტის გარდა, სოლისტებმა სხვა ცალკეული ნომრებიც შეასრულეს. ისინიც თავს არ

ზოგავდნენ და მაყურებელს ტაში და „ბრავო“ ბევრჯერ დასტყუეს. ასე, რომ „გედების ტბას“, „ჟიზელსა“ თუ „ბაიადერას“ მაინც ვერ ავცდით.

გლაზუნოვის „რაიმონდა“ ჩვენთან იშვიათად იდგმება, რაც კიჩთან კარგად დამეგობრებული მუსიკითაც უნდა აიხსნას. მიუხედავად ამისა, ცალკეული ნომრების საკმაოდ ვრცელ ანატომიას საბალეტო თუ საკონცერტო საღამოებზე ხშირად წააწყდებით. ტოტალური და თუნდაც მომაბეზრებელი ჩაიკოვსკის ფონზე „რაიმონდა“, ცხადია, მეორეული „პროდუქტია“ და ამას ქორეოგრაფებიც და მოცეკვავეებიც კარგად გრძნობენ. მარიუს პეტიპას კლასიკურ ქორეოგრაფიულ ვერსიას პილპილი ამჯერად ნინო ანანიაშვილმა და ალექსეი ფადეიჩევმა მოაყარეს, რომელთა ქორეო-რევიზია უფრო გაქვავებული ფორმისგან თავდახსნას ნიშნავდა. რამდენად მოახერხა ზოგადად დასმა, ან გლურჯიძე-პუტროვის დუეტმა ნაფტალინისგან „განბერტყვა“, ეს ცალკე საუბრის თემაა. ისე კი არც რაიმონდა იყო მარგარიტა გოტიეზე ნაკლებ „სიცხიანი“.

ვისაც 2012 წლის მარტში ნინო ანანიაშვილის საიუბილეო საღამო ახსოვს, ისიც ემახსოვრება, რომ ფრედერიკ ეშტონის ბალეტში „მარგარიტა და არმანი“ (გამოყენებულია ლისტის საფორტეპიანო სონატა) სახელოვანმა ქართველმა პრიმამ ვასილ ახმეტელთან ერთად იცეკვა. დიუმა-უმცროსის „ქალი კამელიების“ მიხედვით შექმნილი ბალეტი ეშტონმა ლეგენდარულ წყვილს – მარგო ფონტეინს და რუდოლფ ნურიევს მიუძღვნა, რომელიც პირველად 1963 წელს „კოვენტ გარდენში“ დაიდგა. ამის შემდეგ თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში მთავარი პარტიების ცეკვის უფლება არავის ჰქონდა! მოგვიანებით პარიზის „ოპერა გარნიეს“ სცენაზე ამ ერთაქტიან ბალეტში ბრწყინვალე სილვი გილემი და მისი პარტნიორი, ნიკოლა ლე რიში ცეკვავდნენ... შემდეგ იყო ნინო და ბოლოს, მშვენიერი ელენე. მოკლედ, მარგარიტას პარტიის შემსრულებელთა ხუთეულში ორი ქართველია!

ცხადია, „მარგარიტა და არმანი“ ელენე გლურჯიძის თბილისური საღამოს კულმინაციად იქცა. ეშტონის ბალეტის სირთულე ისაა, რომ დიუმას ნაწარმოებისა და ვერდის ოპერისგან განსხვავებით, ის ძალიან მოკლე, კამერული და კომპაქტურია. შესაბამისად, სწრაფად იცვლება სიუჟეტი და მოცეკავეთა განწყობაც. ელენე გლურჯიძემ მოახერხა მაღალი წრის კურტიზანი ქალი უფრო გაკეთილშობილებულ და ფაქიზ პერსონაჟად წარმოეჩინა. სიმართლე ვთქვათ, მისი მარგარიტა უფრო ბლანშ დიუბუას მოგაგონებდათ ტენესი უილიამსის პიესიდან, ვიდრე საკუთრივ დუმას მელოდრამის პერსონაჟს. შესაძლოა მისი „მსხვრევადი“ ხელები და ჰაეროვანი ნახტომი ისე დახვეწილად ვერ გადმოსცემდა დრამატულ განწყობას, როგორც გასულ წელს ნინო ანანიაშვილის მარგარიტა, თუმცა მისი ინტერპეტაცია არანაკლებ საინტერესოა.



„მარგარიტას პარტიის ცეკვა ჩემთვის დიდი პატივია, რადგან ის ძალიან ცოტა მოცეკვავეს თუ შესრულებია – ამბობს ელენე გლურჯიძე. ცხადია, აღფრთოვანებული ვიყავი, როცა შესრულების უფლება მომცეს, რაც, სხვათა შორის, მხოლოდ ნინო ანანიაშვილის დახმარებით მოხდა. მარგარიტა ტრაგიკული გმირია. ძალიან ფაქიზი, მაგრამ, ამავე დროს, ძალიან ძლიერიც, ჩემი ინტერპრეტაცია სწორედ ამ გაორებას გულისხმობს“.

ბავშვობაში, როცა კლასობანას თამაშობდა, წარმოდგენა არ ჰქონია და არც უფიქრია, რა არის ბალეტი; რა მკაცრი და დაუნდობელია თუნდაც დიდ მოცეკვავეთა ყოველდღიური ცხოვრების რიტმი. თუმცა სწავლა რომ დაიწყო, თითქოს აზარტში შევიდა. დაახლოებით ათი წლის ასაკში უკვე იცოდა, რომ ეს მძიმე შრომასთან იქნებოდა დაკავშირებული. შემდეგ დადგა საკითხი, რომ ძალიან პატარა უნდა წასულიყო რუსეთში, ეცხოვრა სასწავლებლის საერთო საცხოვრებელში, ესწავლა რუსულ სკოლაში, ეჭამა სასწავლებლის თითქმის საშინელი საჭმელი! მაგრამ 12 წლის ასაკში უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ამას გაუძლებდა და აიტანდა...“

მერე იყო პეტერბურგი, ვაგანოვას სახელობის რუსული ბალეტის აკადემია, სადაც ცნობილი რუსი ბალერინას, ლუბოვ კუნაევას ხელმძღვანელობით დღეში 7-8 საათს ატარებდა; 2002 წელს ლონდონში ჩავიდა, სადაც ინგლისის ნაციონალური ბალეტის პრიმა გახდა. ისე, თანამედროვე ბალეტის სამყაროში ზღაპრის ფინალი ყოველთვის ლამაზი როდია. იღბალი, ნიჭი და დაღვრილი ოფლი ერთნაირად საჭიროა. ელენე გლურჯიძეს ეს ყველაფერი აღმოაჩნდა და დღეს ინგლისის ნაციონალურ ბალეტში ლამის ყველაფერს ცეკვავს – კლასიკური „ჟიზელიდან“ დაწყებული, ნეოკლასიკური „მარგარიტა და არმანით“ დამთავრებული. ცხადია, პიოტრ ილიას ძე ჩაიკოვსკის სრული კომპლექტის ჩათვლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილი სამოთხეში

რეჟისორ კახა ბარამიძის მიზნობრივი არტჰაუზი

ავტორი: დავით ბუხრიკიძე

ვიდრე 3D ფორმატით შთაგონებული ბაზ ლურმანის „დიდი გეტსბი“ (ლეონარდო დიკაპრიოს მონაწილეობით) „რუსთაველის“ მაყურებელს აღაგზნებს, იმავე კინოთეატრის გვერდით დარბაზში არტჰაუზით შთაგონებული ქართველი რეჟისორის, კახა ბარამიძის მოკლემეტრაჟიანი ფილმი უჩვენეს. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ იოჰან სებასტიან ბახი, რომლის „კანონსაც“ ფილმში მონაწილე ლევან ვარაზი გიტარაზე ასრულებს, ფილმის მთავარი ინსპირატორია. არა მხოლოდ იმიტომ, რომ 13-წუთიან ფილმს სწორედ „კანონი“ ჰქვია, არამედ იმიტომაც, რომ მისი სტრუქტურა სწორედ ბახის მუსიკალური კანონის, ანუ დაუსრულებელი გამეორების პრინციპითაა აგებული.



ოპერატორ ტატო კოტეტიშვილის კამერა მთელი ფილმის განმავლობაში განუწყვეტლივ, ნელა და, ვიტყოდი, მტანჯველად სასიამოვნო რიტმით მოძრაობს. ის ჯერ აგურისფერ კედლებს და ზურმუხტისფერ, გაცრეცილ კარს მიუყვება; შემდეგ ფილმის მხატვრის, გუგა კოტეტიშვილის გემოვნებით განყობილ ინტერიერში შეგვახედებს. კედელზე გიორგი ჩხაიძის ლამის გიგანტური მასშტაბის „სამოთხის ბაღია“ აღბეჭდილი, რომელიც ანრი რუსოს ნაივურობას და კიჩთან დამეგობრებული ავანგარდის სურნელს გამოსცემს.

თვალს მოგჭრით ულამაზესი თაკო ჩხეიძე – იისფერი კაბასა და წითელ ფეხსაცმელში, რომელიც ოდნავ მელანქოლიურად იმზირება ფანჯარაში და ვაშლს ზანტად ჭამს. გვერდით კი გიტარისტი კედებში (ლევან ვარაზი) ზის და პიუპიტრზე დადებულ ბახის კლავირს შთამაგონებელი უბრალოებით აცოცხლებს. ვიდრე კამერა კედელსა და ამწვანებულ მცენარეს ჩაუვლის, ამასობაში მუსიკოსი ფანჯრიდან ხტება. ქალი სკამიდან წამოდგება, ფანჯარაში გაიხედავს და თითქმის ზრდილობიანად შეშფოთდება მუსიკოსის სიკვდილის გამო. კამერა არ ჩერდება და ისევ საწყის წერტილს უბრუნდება: ზურმუხტისფერ კარს, კედელზე დახატულ „სამოთხის ბაღს“, მუსიკოსს, რომელიც ბახს უკრავს, ქალს, რომელიც ვაშლს ჭამს... მოკლედ, ფილმის დასასრული უსასრულობა ზუსტად ორ აბსოლუტურად ერთნაირ ეპიზოდს მოიცავს, ისე, რომ კადრი „გაუჭრელია“ და არსად არ წყდება.

ფრანგი რეჟისორის, ბრუნო დიუმონის თაყვანისმცემელი და არტჰაუზის სადარაჯოზე მყოფი კახა ბარამიძე რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ფილმის ავტორია. დიდი ხნის პაუზის შემდეგ, ის საკუთარი სცენარით იღებს ფილმს, რომელიც ნებისმიერ მოკლემეტრაჟიან საერთაშორისო ფესტივალს დაამშვენებდა. ხოლო არტჰაუზის მხარდამჭერი ფრანგულ-გერმანული ტელეარხი „არტე“ ასეთი ფილმებით, როგორც წესი, კინოგურმანებს შაბათობით უმასპინძლდება.

გამოყენებული ციფრული კამერის მიუხედავად, ფილმის მხატვრული ხარისხი და გამომსახველობა ერთობ შთამბეჭდავია, ხოლო რეჟისურა კარგად აწონილი და გააზრებული. თვალში საცემია არა მხოლოდ დახვეწილი მუსიკალური სტრუქტურა, ზემხატვრულობა და ზომიერება, არამედ გამომსახველობითი მინიშნება მიქელანჯელო ანტონიონის „პროფესია რეპორტიორთან“ და ჟან ესტაჟის ფილმებთან.

რეჟისორმა მხატვარ გუგა კოტეტიშვილთან ერთად, ამ პატარა ფილმის მასშტაბთან შედარებით მართლაც გიგანტური, 30-მეტრიანი პავილიონი ააგო, რომელშიც ყველაფერია ჩატეული – ბინის დახვეწილი ინტერიერით დაწყებული, ნატურით დამთავრებული.

გაუჭრელი და ოდნავ თავბრუდამხვევი კადრები, კამერის მოძრაობა, თავგადაკლულ კინომანებს ალბათ, უნგრელ რეჟისორს, მიკლოშ იანჩოსაც შეახსენებს, ხოლო შედარებით „დაუხვეწავებს“ – მუსიკალურ თუ არტ-კლიპებს. არც ესაა ურიგო. მთავარია, ამ „არტისტულ სამოთხეში“ არა მარტო ბახი იცნო, არამედ სიკვდილი დაინახო, დააფასო და გადააფასო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული
ბარი
ბაღი
ინტერნეტი
ბილიარდი
ბიბლიოთეკა
ბავშვთა
ოთახი
ბარბეკიუ
ბაღი
ინტერნეტი
ბარ
ბილიარდი
ბაღ
ინტერნეტ
ბარ
ბაღ
ინტერნეტ
ბარ
ბაღ
ინტერნეტ
ბარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნები

ავტორი: სალომე აფხაზიშვილი

უცხოურენოვანი გამოცემები



„ინფერნო“

დენ ბრაუნი

488 გვ.

პოპულარულ ამერიკელ მწერალსა და დეტექტიური ჟანრის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ავტორს – დენ ბრაუნს ქართულენოვანი მკითხველი ყველაზე კარგად მისი გამორჩეულად პოპულარული რომანებით „და ვინჩის კოდით“ და „ანგელოზებით და დემონებით“ იცნობს. „დაკარგულ სიმბოლოსთან“ (ქართულად ჯერ არ თარგმნილა) ერთად, ერთობლივი სერიის გაგრძელებაა მწერლის ახალი რომანიც – „ინფერნო“, რომლის მთავარი პერსონაჟი კვლავ რობერტ ლენგდონია. ლენგდონი ჰარვარდის უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიას ასწავლის, რომელიც თხრობის დასაწყისშივე თავს ფლორენციაში მდებარე საავადმყოფოში ამოყოფს, თუმცა გონზე მოსულს არაფერი ახსოვს, გარდა იმისა, რომ გონების დაკარგვამდე ის ჰარვარდის შენობაში იმყოფებოდა. მალევე ის საავადმყოფოს ერთ-ერთ ექიმთან ერთად ტოვებს და უცნაურობების ამოხნას დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ პირველ თავში თავმოყრილი სიმბოლოების დახმარებით ცდილობს.

„დელიკატური სიმართლე“

ჯონ ლე კარე

320 გვ.

81 წლის ასაკში დაწერილი 23-ე რომანი – „Delicate Truth“, რომელიც 2013 წლის 25 აპრილს გამოქვეყნდა, კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ ჯონ ლე კარეე (ნამდვილი სახელი და გვარია – David John Moore Cornwell) ისეთივე ინოვაციური და საინტერესოა, როგორც დანარჩენი ნოველების შექმნის პროცესში. ნოველის მთავარი ღერძი ანტიტერორისტული ოპერაციის, სახელწოდებით – ჭილდლიფე-ის გარშემო იგება. მას ბრიტანეთის მთავრობა გიბრალტარის კოლონიაში იარაღით მოვაჭრე ჯიჰადისტების გასანადგურებლად იყენებს, რომელსაც შეცდომით ორი უდანაშაულო მუსლიმი დედა-შვილის სიცოცხლე ეწირება. ბრიტანეთის მთავრობა ოპერაციის ორი მთავარი ხელმძღვანელის – პოლ ანდერსონისა და ტობი ბელის კონსპირაციული გეგმით ცდილობს სიმართლის განადგურებას.





„კურტ ვონეგუტის წერილები“

რედაქტორი – დენ ვაკფილდი

464 გვ.

გასული საუკუნის ამერიკული სატირისა და სამეცნიერო ფანტასტიკის ერთ-ერთი უბადლო წარმომადგენლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი თვის წინ გამოცემული მისი პირადი წერილების კოლექციაც შეემატა. გულწრფელი და ხშირად იუმორისტული განწყობით შექმნილი ჩანაწერების თემატიკა და სტილი საგრძნობლად მრავალფეროვანია და მწერლის ცხოვრების სამოცწლიან პერიოდს აირეკლავს. მათ შორისაა ომის შემდგომ, პატიმართა გერმანული ბანაკიდან გათავისუფლებისთანავე, 22 წლის ასაკში შექმნილი ერთ-ერთი პირველი ჩანაწერი; 1945 წელს საქსონიის დედაქალაქის დრეზდენის ბარბაროსული დაბომბვის შეფასება; მოგონებები, რომელიც სკოლის მეგობრებს, ომის ვეტერანებსა და ოჯახის წევრებს უკავშირდება და წერილობითი დიალოგები თანამედროვეებთან. წერილების უმეტესობა, რომლებიც ვონეგუტის მხატვრული ტექსტების მსგავსად დინამიურობით, სილაღითა და ბრძნული ქვეტექსტების სიმრავლით გამოირჩევა, პირველად სწორედ წელს, აღნიშნულ გამოცემაში გამოქვეყნდა.

„საუბრობს მინგუსი“

ჯონ გუდმენი (ავტორი), სიუ ჯონსონი (ფოტოგრაფი)

350 გვ.

ჩარლი მინგუსის მუსიკალური შესაძლებლობების, ვირტუოზული უნარებისა და უცნაური ხასიათის ამოსახსნელად ჯაზის მოყვარულებს საშუალება აქვთ გაეცნონ კალიფორნიის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ წიგნს, რომელიც დოკუმენტურ ფოტორეპორტაჟებთან ერთად, 1972-1974 წლებში მუსიკოსთან ჩაწერილ ვრცელ ინტერვიუებსაც აერთიანებს. წიგნში ჩარლი მინგუსი საუბრობს თავის თავზე, როგორც კომპოზიტორსა და შემსრულებელზე, განიხილავს იმას, თუ როგორ აღიქვამდა თავის თანამედროვეებსა და წინამორბედებს, როგორ ქმნიდა თავის ექსტრაორდინარულ მუსიკას და რას ნიშნავდა მისთვის რასობრივი ფენომენი. ინტერვიუების გარდა, წიგნში ჟურნალ „ფლეიბოის“ ავტორის, ჯონ გუდმენის მიმოხილვებსაც შეხვდებით ამერიკელი ბასისტის შემოქმედებითი უნარებისა და პიროვნული თვისებების შესახებ.

„ნაიჯელისიმა“

ნაიჯელა ლოსონი

273 გვ.

დღეს უკვე აღარავინ დაობს იმაზე, რომ ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც მსოფლიოს სრული კულინარიული კოლონიზაცია მოახდინა – იტალიაა. იტალიური კერძების რეცეპტების კრებულის ავტორი, იტალიური სამზარეულოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი პროფესიონალი – ნაიჯელა ლოსონია, ადამიანი, რომელიც კულინარიული ლიტერატურის ბესთსელერების ავტორთა სიაშია. ინგლისელი ჟურნალისტი ახალი კულინარიული გამოცემის შესავალში წერს: „16-17 წლის ასაკში შეგნებულად გავაცნობიერე, რომ განსაკუთრებული სურვილი მქონდა იტალიელი ვყოფილიყავი... მე განსაკუთრებულად შემიყვარდა იტალია“. ფერად ფოტოგალერეასთან ერთად, ნიგელას წიგნში იტალიური სამზარეულოს ასამდე რეცეპტია თავმოყრილი, რომელსაც მარტივი განმარტებები ახლავს. მენიუ და ინგრედიენტები სასიამოვნოდ მრავალფეროვანია: ხორცი, თევზი, ბოსტნეული, პასტა, ტკბილეული და ა.შ. ეს არის წიგნი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოამზადო კერძები სტრესის გარეშე“ – აღნიშნულია წიგნის ანოტაციაში.

„დაწყევლილი“

ჯოის კეროლ ოუტსი

669 გვ.



ამერიკელი მწერლის, ჯოის კეროლ ოუტსის ისტორიულ რომანში მოქმედება მეოცე საუკუნის დასაწყისის პრინსტონში ვითარდება. ქალაქს, სადაც ადამიანები მშვიდად ცხოვრობენ, ვამპირთა ჯგუფი ესხმის თავს, რომლებიც ადამიანებს იტაცებენ. წიგნის მთავარი გმირი – ანაბელ სლეიდიც სწორედ ვამპირის მსხვერპლი ხდება, რომელსაც შეაცდენენ და პირდაპირ საქორწილო ცერემონიიდან იტაცებენ. მთავარი გმირების გარდა, ოუტსი თავის წიგნში პერსონაჟების მრავალფეროვან სამყაროს – აჩრდილებს, ეშმაკებს, ფსიქიკურად შეშლილ ადამიანებს, მწერლებსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტებს წარმოგვიდგენს. წიგნში აღწერილი ეშმაკებით გარემოცული ქალაქი სწორედ რასობრივ ძალადობაზე, რელიგიის სახელით განხორციელებულ შურისძიებასა და კლასობრივ ომზე ფიქრისკენ მოგვიწოდებს. მწერალი დღეს წიგნის ეროვნული ჯილდოს მფლობელია, მისი სამი რომანი კი გასულ წლებში პულიცერის პრემიაზეც წარადგინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულენოვანი გამოცემები



„ფლობერის თუთიყუში“

ჯულიან ბარნსი

დიოგენე
280 გვ.

„დიოგენეს ბიბლიოთეკას“, რომლის ფარგლებშიც უკვე ათამდე პოპულარული უცხოენოვანი ავტორი (ჯონ მაქსველ კუტზეე, ორჰან ფამუქი, პოლ ოსტერი, ჩაკ პალანიკი და ა.შ.) გამოიცა, მაისის დასაწყისში ჯულიან ბარნსიც შეემატა უცნაური და საინტერესო თხრობის კიდევ ერთი ნიმუშით – „ფლობერის თუთიყუში“. ნოველა პირველად 1984 წელს გამოქვეყნდა და იმავე წელს, ბუკერის პრემიის შორთლისტში მოხვდა. ნაწარმოების მთავარი გმირი, ექიმი ჯეფრი ბრაითუეიტია, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ფრანგი მწერლის, გუსტავ ფლობერის ცხოვრების დეტალებს უღრმავდება და მათზე მსჯელობს: „რატომ გვაქეზებს ნაწერი, რომ მწერალს ავედევნოთ? რატომ ვერ ვეშვებით, ვერ ვჯერდებით წიგნებს? ფლობერს უნდოდა, წიგნები გვეკმარა: სულ ერთი-ორი მწერალი თუ მოიძებნება, მასზე მეტად რომ სჯეროდეს ნაწერის ობიექტურობა და მწერლის პიროვნების უმნიშვნელობა. თუმცა ჩვენ მაინც ვჯიუტობთ, თავს არ ვანებებთ“.



„დონ კიხოტის დაბრუნება“

ჯილბერტ კიტ ჩესტერტონ

ელფის გამომცემლობა
248 გვ.

„დონ კიხოტის დაბრუნება“ ერთგვარი ფილოსოფიური ნარკვევია, რომელშიც ავტორი, წარსულის მაგალითების მოშველიებით ცდილობს გააანალიზოს კარგად შენიღბული აწმყო. ის მუდმივად ცვლილებების მსურველ საზოგადოებას აფასებს და რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვას სვამს: რა ხდება მაშინ, როდესაც ადამიანებს ცვლილებები სურთ? კვდება თუ არა რომანტიკა? არის კი შესაძლებელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ერთიანობა? წიგნის ანოტაციაში მცირე ამონარიდიც არის მისი ერთ-ერთი ნაშრომიდან, რომლიც ძალიან ახლოს არის მწერლის პათოსთან: „ჩვენი შუა საუკუნეები ჯანსაღი იმიტომ იყო, რომ მათში ჭეშმარიტება იდო, დღეს კი სიცრუეში ვართ ჩაფლულები. არ ვამტკიცებ, რომ მაშინ ცოდვა ან ტანჯვა არ არსებობდა, მთავარი მაინც ის არის, რომ მათ თავის სახელებს არქმევდნენ. თანამედროვე სამყაროს ყავარჯნები იმის გამო შესთავაზეს, რომ ის უბრალოდ ხეიბარია!..“

„15 საუკეთესო ქართული მოთხრობა“

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013.

თუ გაინტერესებთ როგორ მიმდინარეობს თანამედროვე ლიტერატურული პროცესი საქართველოში, აუცილებლად უნდა გადახედოთ ამ კრებულს, რომელიც ბევრ ცნობილ ქართველ ავტორთან ერთად, ახალბედა მწერლებსაც აერთიანებს. „15 საუკეთესო ქართული მოთხრობის კრებულში“ შესულია 2012 წელს ქართულ ლიტერატურულ პრესაში და კრებულებში გამოქვეყნებული მოთხრობებიდან შერჩეული 15 საუკეთესო ავტორი თითო მოთხრობით. ავტორებს შორის არიან ლაშა ბუღაძე, მოთხრობით – „მგლის ცოდვა“, ასევე მარი ბექაური, თამთა მელაშვილი, ეკატერინე ტოგონიძე, ლაშა მილორავა, ალექსანდრე ლორთქიფანიძე, ანინა ტეფნაძე, თეონა დოლენჯაშვილი, არჩილ ქიქოძე და სხვები. გასულ წელს შექმნილი 15 საუკეთესო მოთხრობა მორიგ კონკურსს წიგნის ფესტივალზე გაივლის, სადაც წიგნის გამომცემელი ამ მოთხრობებიდან ერთ საუკეთესოს შეარჩევს და „წლის საუკეთესო მოთხრობის“ ნომინაციაში ფულადი პრემიით დააჯილდოებს.

„მოწყენილობა“

ALBERTO MORAVIA

ელფის გამომცემლობა
216 გვ.

იტალიელ რომანისტსა და ჟურნალისტს ალბერტო მორავიას ქართულენოვანი მკითხველი კიდევ ერთი ვრცელი ნაწარმოებით გაიცნობს. „მოწყენილობის“ მთავარი გმირი 35 წლის მხატვარი დინოა, რომელიც საკუთარ სამყაროსთან ვერანაირ კავშირს ვერ პოულობს. სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად დინო ცდილობს გაექცეს ფულს და მის მთავარ წყაროს – დედას. თუმცა დინოს არც „ფსევდოსიღარიბე“ შველის, რის გამოც იგი გამოსავალს ერთ ღარიბ გოგონასთან – სესილიასთან ურთიერთობაში ეძებს. რომანის კითხვისას ნათლად იკვეთება ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი იდეა – მორავიას ყველა გმირი ერთმანეთის დაუფლებას სხვადასხვა ნივთიერი საშუალებებით ცდილობს. ამ ძალიან საინტერესო სიუჟეტით ალბერტო მორავია მთავარ ცხოვრებისეულ შეკითხვებს სვამს: რა ძალაუფლება და გავლენა აქვს ფულსა და სექსუალურ ურთიერთობას ადამიანზე? რა არის ეს ყოვლისმომცველი მოწყენილობა და როგორ შეიძლება მისი დაძლევა? რა შედეგი შეიძლება გამოიღოს ინფანტილურმა და უემოციო ურთიერთობებმა?— პასუხების მისაღებად და მასზე დასაფიქრებლად, გირჩევთ თავად გაეცნოთ წიგნს, რომელიც „ელფმა“ მაისის დასაწყისში გამოსცა. ნოველა იტალიურიდან ეთერ ახობაძემ თარგმნა.

„ქართულის რვეულები — XIX საუკუნის სურათები“

აკა მორჩილაძე

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
264 გვ.

თავის ბოლო წიგნში, აკა მორჩილაძე ფაქტების დეტალური აღწერის, ზუსტი თარიღებისა და წყაროების მიხედვით დამოწმებული ინფორმაციის გამოყენების გარეშე, XIX საუკუნის საქართველოს მნიშვნელოვან მოვლენებსა და პიროვნებებს აცოცხლებს. მოვლენებისა და ადამიანების სუბიექტური შეფასების მიზეზებს აკა მორჩილაძე აღნიშნული წიგნის წინასიტყვაობაში ასე ხსნის: „ერთი ხნის წინათ ბევრს ვკითხ-ულობდი ასი წლის წინანდელი ქართველების მოგონებებსა და ჩანაწერებს. იმ წაკითხულიდან რაც დამელექა თავში, იმის ერთი ნაწილი ასეთი გამოდგა. ეგებ ამ ნაწერებში ბევრი რამ ზუსტი არ იყოს, მაგრამ ამბად ასე დამრჩა გონებაში და აღარ გამოვედევნე. მთავარი ხომ მაინც ის არის, რაც გულს სამუდამოდ დააჩნდება. მეტი არაფერი“.

გაატარე ზაფხული ოჯახთან ერთად!

Sheraton Batumi HOTEL

ფასი 14 დამისთვის
$ 179
ოთახი ერთი დამით

ფასი 10 დამისთვის
$ 199
ოთახი ერთი დამით

ფასი 7 დამისთვის
$ 219
ოთახი ერთი დამით

შემოთავაზება შეიცავს:

- განთავსება სასტუმროს ორადგილიან ნომერში
- ბუფეტის ტიპის საუზმე
- ბუფეტის ტიპის სადილი
- გამაჯანსაღებელი ცენტრით სარგებლობა: ღია, დახურული და ბავშვთა აუზები, საუნა, ჯacუზი, ჰამამი - თურქული აბანო, ორთქლის ოთახი
- 25% ფასდაკლება ყველა ტიპის სპა მომსახურებაზე რომელიც აღემატება 100 ლარს
- 10% ფასდაკლება სასტუმროს კეკების მომსახურებაზე
- უფასო ინტერნეტი

პირობები:

- ფასები მოცემულია თითო ოთახზე, ერთი დამით.
- ფასები მოცემულია ორადგილიანი დაკავებულობის შემთხვევაში
- საოჯახო პაკეტურ ფასზე არ ვრცელდება სხვა სპეციალური შემოთავაზებ
- პაკეტი გულისხმობს ორ ზრდასრულსა და ორ ბავშვს, 6 წლის ასაკამდე
- 6 დან 12 წლამდე ბავშვის თანხა შეადგენს 20 აშშ დოლარს, თითო ბავშვზ
- დამატებითი ადამიანისათვის, თანხა შეადგენს 40 აშშ დოლარს
- ზემოხსენებული ფასები არ შეიცავს 18 % დღგ-ს
- შემოთავაზება ძალაშია 2013 წლის 31 აგვისტომდე
- ზემოხსენებული ფასები ექვემდებარება 18% დღგ - ს გადახდას

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით 995 422 22 9000 sheraton.com/batumi

b 83/24

მუსიკა

ავტორი: სალომე აფხაზიშვილი

Modern vampires of the city
Vampire Weekend
Alternative Rock, indie rock, indie pop
XL

„მუსიკისა და ტექსტის ასეთი სასიამოვნო შერწყმა, წლევანდელ მუსიკალურ ჩარტებში იშვიათია“ – წერს ბრიტანელი მიმომხილველი თანამედროვე ამერიკული როკ-ჯგუფის – Vampire Weekend-ის ახალი, რიგით მესამე ალბომის შესახებ. ბენდი კოლუმბიის უნივერსიტეტში 2006 წელს დაფუძნდა და დღემდე მათი დისკოგრაფია სამ სტუდიურ ალბომს აერთიანებს, რომელთაგან ერთ-ერთი – Contra, 2010 წელს გრემის დაჯილდოებაზე, ალტერნატიული მუსიკის საუკეთესო ალბომის ნომინაციის პრიზიორი გახდა. ახალი ალბომით მუსიკოსები ცდილობენ დაშორდნენ იმ გამოცდილებას, რაც მათ წინა ალბომებზე მუშაობით მიიღეს. ამისთვის ისინი ექსპერიმენტულ და არაორდინარულ ბგერებს, ასევე მუსიკის ჩაწერის განსხვავებულ ტექნიკას მიმართავენ.

Random Access Memories
Duft Punk
Disco, Funk, Electronic
Duft life, Columbia

ხუთწლიანი მუშაობის დასრულების შემდეგ, ელექტრონული მუსიკის ყველაზე ცნობილი ფრანგული დუეტი – Duft Punk მსმენელს რიგით მეოთხე სტუდიურ ნამუშევარს სთავაზობს. მუსიკოსები ამ ალბომს 1970-იანი და 1980-იანი წლების ამერიკულ მუსიკას უძღვნიან და ამით იმ პერიოდს იხსენებენ, როდესაც აქტიურად მუშაობდნენ ლოს-ანჯელოსის სტუდიებში. კომპოზიციების დიდი ნაწილი ერთგვარი ლაივ-პერფორმანსია, რომელშიც ფრანგი მუსიკოსები ისეთ ცნობილ ინსტრუმენტალისტებთან თანამშრომლობენ, როგორებიც არიან: ნილ როჯერსი, პოლი და ფარელ უილიამსები, ჯულიან კასაბლანკასი (Julian Casablancas), ჯორჯო მოროდერი (Giorgio Moroder), Dj. Falcon და სხვები. ალბომის სახელწოდება Daft Punk-ის წარსულთან მიმართების იდეას გამოხატავს, რომელიც ადამიანურ გამოცდილებასა და მეხსიერების შენახვის კომპიუტერულ ტექნოლოგიებს ეყრდნობა.

Jake Bugg / Jake Bugg / Indie folk, indie rock / Mercur Universal



1960-იანი წლების ბრიტანული როკ-ენ-როლის ცნობილი წარმომადგენლების – ბობ დილანის, Crickets და Everly Brothers-ის ნაკვალევზე სვლით, 19 წლის ჯეიკ ბაგმა ბრიტანულ მუსიკალური ჩარტებში პოპულარობა მთელი გასული წლის განმავლობაში შეინარჩუნა. სადებიუტო ალბომი, რომელიც თავად მუსიკოსის სახელს ატარებს, ლონდონში გასული წლის ოქტომბერში, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი 2013 წლის აპრილში გამოჩნდა. „ბაგის მუსიკის მოსმენისას, ვერც შეამჩნევთ, რომ მისი ხმა ციფრული სტუდიიდან ისმის. მისი საოცრად ბუნებრივი ხმის ტემბრი, 1950-იანი წლების სცენაზე, დაჟანგებულ მიკროფონთან გაბრუნებთ“ – აღნიშნავს ჟურნალ Rolling Stones-ის კრიტიკოსი, ახალგაზრდა მუსიკოსის სადებიუტო ალბომის მიმოხილვისას.

Love Has Come for You / Steve Martin and Edie Brickell

სტივ მარტინი, ამერიკელი კომედიანტი, თავის ახალ სტუდიურ ნამუშევარს ედი ბრიკელთან ერთად წარმოადგენს. ალბომი 13 კომპოზიციას აერთიანებს, სადაც მთავარია ხუთსიმიანი ბანჯოს ექსპრესია, ედი ბრიკელის გამორჩეული ვოკალური მანერა და საკმაოდ ვრცელი ტექსტები. სტივ მარტინის მელოდიურ და თანამედროვე შესრულებას ემატება ბრიკელის სევდიანი ხმის ტემბრიც, რომელიც კომპოზიციას მელანქოლიურ ეფექტს სძენს. ამ სინთეზის შედეგად, ალბომის ყველა კომპოზიცია მარტივი მოსასმენია და განსაკუთრებულად გხიბლავს.

Ready to Die / Iggy and the Stooge / Hard rock, protopunk
Fat Possum

სიმღერის თითქმის ყველა ტექსტი, რომელიც ამ ალბომშია შესული, იმ ამბებს ეხმიანება, რომელიც ბენდის ლიდერს 1960-იან წლებში გადახდა. ერთ-ერთ კომპოზიციაში (Unfriendly World) ის იმ სამყაროზე საუბრობს, რომელთან მეგობრობასაც ადამიანი წყვეტს, ან პირიქით, სამყარო ამბობს უარს ადამიანთან მეგობრობაზე, რის გამოც ის მუდმივად იძულებულია გაექცეს საკუთარ რეპუტაციას: „არ შემიძლია ამ ყველაფერს თავი დავაღწიო, – მღერის ის, – ვიქნები კი ოდესმე თავისუფალი?“. არის კიდევ ერთი კომპოზიცია ამ ალბომში, რომელშიც იგი პოპი მსმენელს სასიკვდილო მოგზაურობაში ეპატიჟება, თუმცა იქვე განმარტავს, რომ ეს არის არა რეალური კვდომა, არამედ ისტორიის სიღრმეებში დაბრუნება, რომელსაც ახალგაზრდობის ნოსტალგია ახლავს თან.

Songs for Slim / The Replacements / Indie rock / New West

1980-იანი წლების ამერიკული როკის პიონერები, დღეს მათივე ჯგუფის წევრის, სლიმ დანლეპის (Dunlap) სიცოცხლის გადასარჩენად ერთიანდებიან. ტვინის დამბლის დიაგნოზის შესახებ, რომელიც ჯგუფის წამყვან გიტარისტს დაუსვეს, გასულ წელს გახდა ცნობილი, რასაც მისივე მეგობრებისა და კოლეგების მხრიდან მასშტაბური საქველმოქმედო კამპანია მოჰყვა. ახალი ალბომიც, რომელიც ბენდის შემოქმედებით ცხოვრებაში 23-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად წელს გამოვიდა, სწორედ სლიმის მკურნალობისთვის საჭირო თანხის შეგროვებას ემსახურება. მასში დანლეპის მიერ შესრულებული კომპოზიციების გარდა, ცნობილი მუსიკოსების ქავერებია წარმოდგენილი. მათ შორისაა ლეონ პეინის (Leon Payne) „Lost Highway“, გორდონ ლაითფუთის (Gordon Lightfoot) „I'm not sayin“, სლიმ დანლეპის „Radio Hook Word Hit“, რომლის სოლოვერსიას ჯგუფის ყოფილი გიტარისტი კრის მარსი ასრულებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხელი შოკოლადი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იოტა iOS-ისთვის

იკითხე ყველგან!

იკითხე კომფორტულად!

www.lit.ge

იოტა iOS-ისთვის საშუალებას გაძლევთ მარტივად იკითხოთ lit.ge-ს წიგნები და პერიოდიკა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

აპლიკაციის გადმოსაწერად, თქვენი მოწყობილობიდან **iTune**-ზე მოძებნეთ **„IOTA READER"**

lit.ge

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხელი
შოკოლადი
98.5 FM
www.facebook.com/RadioTskheliShokoladi

98.5